# კვირის პალიტრა

32 გვ

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 30 (275) ◆ 24 – 30 ივლისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## სახეზე გვაქვს ფაქტი — 10-15 ოჯახი ჭამს ქვეყანას პირდაპირი გაგებით



— არ მეშინია, რომ ვინმე პრორუსობას დამწამებს...

— ბოლო ორი თვის განმავლობაში მოსკოვმა საოცრად მოატრიალა თავისკენ შუა აზიის ქვეყნები...

— საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიძლება ირანმა, რომლისკენაც გახედვაც არ უნდა დასავლეთს, საქართველოს ფუნქცია დაუკარგოს.

— შევარდნაძე თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით ელცინზე ნაკლები არაფრით ყოფილა... მანაც უნდა მოძებნოს ღირსეული მემკვიდრე.

გვ. 3

## „ჩვენ მოვითხოვთ მოქალაქეთა კავშირის სოცინტერნიდან გარიცხვას“

— მოქალაქეთა კავშირი ძმაკაცობით არის გაწევრებული ამ ორგანიზაციაში... „სოცინტერნი“ უნდა გაიწმინდოს შეპარული და მავნე მოქალაქეთა კავშირისაგან.

გვ. 5

## გვიამბობენ ფესტაფონში პატიმრობაში აყვანილნი

— ელიავამ ყველას თვალწინ ამოიღო „კოლტი“, გადმომცა და მითხრა — აჩვენე ნომერიო...

— კენჭაძისა და სპეცდანიშნულების რაზმის ჩამოსვლასთან დაკავშირებით არაფერი ვიცოდი...

— ჯვაზავამ მანქანის კარი გამოაღო და დაინახავ... უბენ ასანიძე კი არ იჯდა, იწვა სავარძელზე, ამ დროს მოულოდნელად მას ყრიმალში რაღაც საგანი ჩაარტყეს...

გვ. 6



## ქაშუეთში სასწაული ხდება



ერთმა ბათუმელმა კაცმა, რომელიც ჯვარცმასთან ლოცულობდა, პირველმა იხილა ეს სასწაული...

„ვისაც ყური აქვს, ისმინოს“.

გვ. 4

## სამხედრო თემაზე:

თუკი ტყვედ ჩავარდნილს „მჭიდში“ ეგრეთ წოდებულ ექსპანსიურ მსკდომარე ტყვიებს უპოვიან, მას, როგორც წესი, ადგილზე დახვრეტა არ ასცდება.

გვ. 9

## რით გვემუქრება თბილისური სიცხე?

როგორ დავეხმაროთ საკუთარ ორგანიზმს...

გვ. 23

## „კვირის პალიტრის“ რეიტინგში მხოლოდ პრეზიდენტმა გაასწრო...

— კვირაიას ელიავას არც შევადარებ... კვირაია აგარაკზე კი არ უნდა ისვენებდეს, სასჯელს უნდა იხდიდეს...



— არც ბევრი ფული მაწუხებს და არც უფულობა... პარლამენტარის ხელფასი ზუსტად მყოფნიდა ბავშვების პამპერსებსა და კვებაზე. ოჯახში უცხო ვერ ავიტანე და ძიძა დავითხოვე...

— გვერდით, ჩემი ბიჭების სახით, ორი ძალიან ძლიერი ადამიანი მყავს. შეიძლება მყავდეს მესამეც...

გვ. 7

## მკითხველი სულხან მოლაშვილს სერიოზულ წარმატებებს უწინასწარმეტყველებს

გვ. 31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## იგი საყვარელი მამაკაცების გარემოცვაში კვდებოდა...



მთელმა მსოფლიომ დაიჯერა, რომ ის მართლაც სასახლიდან გამოპარული პრინცესა იყო, რადგან ასეთი ციური სილამაზე და უმანკოება, ასეთი უჩვეულოდ მეტყველი თვალები და დახვეწილი მანერები შეუძლებელია ჩვეულებრივ გოგონას ჰქონოდა.

გვ. 20

## გუშინდელი დღევანდელობა

...გამორბოდა ქართველობა: გვარდიელები, ჯარისკაცები, როგორც დამფრთხალი თხები...

...ზოგს ზურგზედ საკერავი მანქანა მოეგდო, ზოგს ხალიჩა, ზოგს რა და ზოგს რა...

— სად გარბიხართ? ვუყვიროდი...

— ქვე გვესვრიან და რაღა გავჩერდეთ;

ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა ხმაურიანი მიტინგების იმედად არ შეიძლება...

გვ. 14

## ლობჟანიძე მოსკოველი ჩეჩნების ერთ-ერთი ლიდერი იყო

სასაუბროდ „ვოლგაში“ მიმიწვია... უცებ უხეში ტონით მეკითხება — ამხელა საქმე რომ გაგიჩალებია, წილი არ უნდა გაიღო? შენს კოლეგა-კოოპერატორებს ჰკითხე ვინა „შრამის“ თაობაზე და ისინი გეტყვიან, როგორ მოიქცეო...

გავიკითხე... მითხრეს, ვინა „შრამი“ (ლობჟანიძე) ჩეჩნების დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერია და ურჩ გადამხდელებს სასტიკად უსწორდებაო...

გვ. 10

## მარადიული ურია...

ეს საიდუმლო ოცი საუკუნის წინ დაიწყო და მეორედ მოსვლამდე გაგრძელდება.

გვ. 25

## „მეძავად მუშაობის საკმაო სტაჟი მაქვს“...



„რაც ამ წლების მანძილზე გადამხდა თავს, ენით აუწერელია... ერთხელ ცოცხალი ძლივს გადავრჩი... ძალოვანი სტრუქტურები ჩვენ მიმართ იჩენენ საშინელ აგრესიას. იყენებენ იარაღს და გვაიძულებენ, შევასრულოთ მათი ნებისმიერი სურვილი“

ასამდე მეძავმა საჩივარი შეიტანა...

გვ. 8


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო



ტელე-კინოგიდი

24 – 30 ივლისი

გვ. 14-15

Неделя

КОММАНДОС

ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ

ТЕЛОХРАНИТЕЛЬ

За РУБЕЖОМ

МОСКОВСКИЕ НОВОСТИ

Newsweek

FOCUS

общая газета

DER SPIEGEL

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

stern

СЕГОДНЯ

КАЮКВА

ИЗВЕСТИЯ

ТРУД

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

иностранец

LE FIGARO magazine

MATCH

ТВ ПАРК

ЛИЦА

ОГОНЁК

daily

Le Nouvel Observateur

ИТОГИ

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## პარლამენტს სკანდალი ემუქრება?!..

საზაფხულო არდადეგებზე წასულ პარლამენტს დიდი სკანდალი ემუქრება, რომელმაც შეიძლება ქვეყანა სეკვესტრირებული ბიუჯეტისა და საგადასახადო ცვლილებების გარეშე დატოვოს! ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი პარლამენტის ბოლო საგანგებო სესიის კენჭისყრის შედეგები ანულირებულად გამოცხადდება და ფრაქცია „მრეწველების" მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის ნამდვილობა დადასტურდება.

სკანდალი მას შემდეგ ატყდა, რაც „მრეწველებს" ხელში ჩაუვარდათ ბიუჯეტის შესახებ კანონზე კენჭისყრის ოქმი, რომელშიც მომხრეთა შორის დაფიქსირებულია ფრაქცია „მრეწველები". არადა, ეს მაშინ, როცა მთელი საქართველო იყო მოწმე, თუ პროტესტის ნიშნად, როგორ დატოვა ამ ფრაქციამ დარბაზი კენჭისყრის წინ(!). მოკლედ, „მრეწველები" უკვე სასამართლოსკენ იყურებიან და თუ პროცესი შედგა, არ არის გამორიცხული, რომ დამტკიცებული ბიუჯეტის კანონპროექტი ბათილად იქნეს გამოცხადებული! კენჭისყრის ოქმში კი შავით თეთრზე წერია, რომ ამ სეკვესტრირებული ბიუჯეტისათვის ხმა მიუციათ გოგი თოფაძეს, თამაზ ტყემალაძეს და სხვებს, მათ შორის, უმრავლესობის იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნული ბიუჯეტის დამტკიცებას! ამასთან (სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს), უშუალოდ კენჭისყრისას თოფაძე და მისი გუნდი უკვე ყვარელში მეგობრის დაკრძალვაზე იმყოფებოდნენ. მეტიც, იმავე დაკრძალვაზე პარლამენტის სხვა ფრაქციების და უმრავლესობის წარმომადგენლებიც ყოფილან, რომლებიც ელემენტარულად ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას კენჭისყრაში, თუმცა ოქმში მათი ხმებიც დაფიქსირებულია ბიუჯეტის სასარგებლოდ! მართალია, მომხდარს პარლამენტის აპარატის შეფმა გოგორიშვილმა გაუგებრობა უწოდა და არც შეგნებული პროვოკაცია გამორიცხა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: „მრეწველებისა" და სხვა პარლამენტართა პულტებით „ვიღაცამ" გვარიანად მოითბო ხელი და ბიუჯეტის დამტკიცებისას დააფიქსირა „ხმათა მაღალი მაჩვენებელი"(!).

## სამართალდამცავები პოზიციას არ თმობენ

9 ივლისს, ზესტაფონის ინციდენტში დაღუპული აკაკი ელიავას დაცვის უფროსი, გოჩა გვილავა, სამშაბათს, ზუგდიდში ყოველგვარი ექსცესის გარეშე დაკრძალეს, თუმცა კი საპირისპირო შედეგს ელოდნენ.

სამაგიეროდ, მთელი კვირის მანძილზე არ ჩამცხრალა ვნებათაღელვა აკაკი ელიავას სამი დაკავებული თანამოაზრის ირგვლივ. ელიავას ოჯახმა განსვენებული არ მიაბარა მიწას დანიშნულ დღეს, თუმცა დაკრძალვის გრანდიოზული ცერემონია ტრადიციული წესით და რიგით ჩატარდა (ელიავასთან გამოსათხოვებლად 20 ათასზე მეტი ადამიანი მივიდა). არანაკლებ სულისშემძვრელი იყო ის ფაქტიც, რომ ელიავას ცხედრის შესანახად, მიცვალებული ჯერ ყინულებში ჩაასვენეს, პარალელურად კი შეუდგნენ თაფლის დიდი რაოდენობით შეგროვებას, რომელშიც შეინახავენ ცხედარს მანამ, სანამ დაკავებულ სამ პიროვნებას არ გაათავისუფლებენ...

ამ უპრეცედენტო მოვლენის ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევდა სამართალდამცავთა პოზიცია, რომლებიც არ თმობდნენ „სიამაყეს" და აცხადებდნენ, რომ ისინი არანაირ ულტიმატუმს არ მიუგდებენ ყურს და დაკავებულებს მაშინ და იმ შემთხვევაში გაათავისუფლებენ, როცა ამის საშუალებას კანონი და გამოძიება მისცემთ... არადა, საქმეში ოპერატიულად ჩაბმული ელენე თევდორაძე და ნანა დევდარიანი ირწმუნებოდნენ, რომ ელიავას თანამოაზრეთა გათავისუფლებას წინ არაფერი ელობებოდა. გენპროკურატურისადმი გაგზავნილ საგანგებო მიმართვაში ომბუდსმენმა მოითხოვა ორი დაკავებულის გათავისუფლება, რადგან მისი მტკიცებით, ისინი ინციდენტისას უიარაღონი იყვნენ!

## დამოუკიდებელი ექსპერტი სხვა აზრისაა

აკაკი ელიავას ცხედარს, ოჯახის კატეგორიული მოთხოვნით, მეორე ექსპერტიზა ჩაუტარეს და საამისოდ სპეციალურად მიიწვიეს სენაკში დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი, რომელმაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისაგან განსხვავებული დასკვნა გააკეთა. ნიკოლეიშვილის მტკიცებით, ელიავას ცხედარს მართლაც აქვს ბლაგვი საგნით მიღებული დაზიანებები, თუმცა, ჯერჯერობით, გაურკვეველია, ეს დაზიანება სიცოცხლეშია მიყენებული, თუ სიკვდილის შემდეგ. დაზიანებები ცხედარს აღენიშნება თავის ქალის და შუბლის მიდამოში, ამასთან, არის პატარა ჭრილი მარცხენა თვალის ქუთუთოზე, გულ-მკერდის მარცხენა ნახევარშიც შეინიშნება დაზიანება და მოტეხილია ორი ნეკნი(!).

საბოლოო დასკვნას მაია ნიკოლეიშვილი დღე-დღეზე გამოაქვეყნებს. თუმცა ელიავას ოჯახს ეჭვიც არ ეპარება, რომ მოკლული სიკვდილის შემდეგ სცემეს. ამასთან, ნიკოლეიშვილი ეჭვქვეშ აყენებს იმასაც, იყო თუ არა სასიკვდილო ის სამი ტყვია, რომელიც ელიავას ზურგში ესროლეს.

## ელენე თევდორაძეს პეტრიაშვილი გაახსენდა!..

ცეცხლზე ნავთი დაასხა ფრაქცია 21-ე საუკუნის წევრმა ჯემალ გამახარიამ, რომლის მტკიცებითაც, ელიავა ჯერ შეიპყრეს, შეკრეს, სცემეს და უკვე მიწაზე დაგდებული და ბორკილდადებული დახვრიტეს. მეორე დღეს ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა საგანგებოდ მოიწვია პარლამენტის ბიუროსა და შერიგების კომისიის სხდომა, სადაც ამ განცხადებასთან ერთად დაგმო ტელევიზიით გამოსვლისას გამახარიას ის განცხადებაც, სადაც პარლამენტარი არსებული ხელისუფლების ალაგმვას მოითხოვდა!

ატყდა ხმაური და ურთიერთბრალდებები. გამახარიამ ბიუროს სხდომას უწოდა კომკავშირული შეკრება, თუმცა მანამდე ვერც ელენე თევდორაძემ შეიკავა თავი და გამახარია მის მიერ გაკეთებული განცხადებისთვის შეადარა... გურამ პეტრიაშვილს(!).

## ქართველი ფიზიკოსის სენსაციური აღმოჩენა

ფიზიკის მეცნიერების სამყარო ამ დღეებში შეძრა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორის გიორგი დვალის და მისი ორი ამერიკელი კოლეგის აღმოჩენამ, რომელთა მიერ შემუშავებული ახალი თეორიის მიხედვით, დღემდე აღიარებული სამი განზომილების გარდა, არსებობს მრავალგანზომილებიანი სივრცეც. ამასთან, ეს დამატებითი განზომილებები შესაძლოა, ჩვენი გალაქტიკის მსგავსადაც იყოს მოწყობილი, მაგრამ იქაურ პლანეტებზე სიცოცხლის არსებობას ნაკლებად ვარაუდობენ.

ეს თეორია პირველად 1998 წელს გამოქვეყნდა ამერიკის სამეცნიერო ჟურნალებში და დღემდე, ანუ ორი წლის მანძილზე, მისი ცალკეული პუნქტები, მოსაზრებები არ ჩამოსულა მსოფლიო სამეცნიერო პრესის ფურცლებიდან და ახალ თეორიას 500-ზე მეტი სტატია მიეძღვნა. ახლა გია დვალს და მის კოლეგებს ამ თეორიის დამტკიცება დარჩათ, ათასობით ფიზიკოსი კი მრავალ ქვეყანაში უკვე ატარებს ცდებს.

## სტანევსკი „კმაყოფილებით" ტოვებს საქართველოს

რუსეთის ფედერაციის მეორე ელჩს საქართველოში ფელიქს სტანევსკის (პირველი ელჩი ბორის ზემსკი გახლდათ...) ამოეწურა უფლებამოსილების ვადა და გამოსათხოვებლად იგი ირაკლი მენაღარიშვილსაც ეწვია. შეხვედრის შემდეგ, ბატონმა სტანევსკიმ „კვირის პალიტრას" განუცხადა (ამ წლების მანძილზე, არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, სტანევსკი თავისი თანაშემწეების პირით და გაურკვეველი მოტივებით კატეგორიულ უარს ეუბნებოდა ჩვენს კორესპონდენტს ინტერვიუზე), რომ „მისთვის, როგორც ელჩისთვის, ეს პერიოდი იყო უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი და რომ იგი კმაყოფილებით ტოვებს საქართველოს..." მორჩა, ელჩმა ამის შემდეგ ზურგი შეგვაქცია და, რომ იტყვიან, გაუტია თავისი გზით.

## მკვლელმა თავი ჩამოიხრჩო

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ზეწრით თავი ჩამოიხრჩო სკანდალურად ცნობილმა მკვლელმა — რუსუდან თბილელმა, რომელიც თავის ავტოფარეხში განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავდა ადამიანებს და იქვე მარხავდა.

შეგახსენებთ, რომ პოლიციას მკვლელობათა სერიის გახსნაში დაეხმარა თავად თბილელის მიერ დაწერილი დღიური (გამოძიებამ ეს დღიური დამნაშავის ბინაში იპოვა), სადაც ამაზრზენი სიზუსტით იყო დაფიქსირებული ყველა მკვლელობის სცენა. მიუხედავად ამისა, გამოძიებისთვის უცნობი დარჩა, რატომ ხოცავდა ეს ქალი ადამიანებს ასეთი სისასტიკით...

## გადადგომების სერია გრძელდება

**(ბლეკ სი პრესი)** გრძელდება გადადგომების სერია ენერგეტიკის სფეროში. მხოლოდ გასულ კვირას თანამდებობიდან გადადგნენ სათბობენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე მალხაზ ყიფშიძე, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ეკონომიკური დირექტორი თემურ ყიფიანი, მთავარი ბუღალტერი ვლადიმერ პაპიაშვილი და თბილსრესის მთავარი ბუღალტერი ნოდარ გურგულიანი.

ზემოთ ჩამოთვლილ პირთა გადადგომის მიზეზი შეიქნა მთავრობის სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელმაც დარგში დაშვებული დარღვევების ფაქტები მოიყვანა და დასვა ენერგეტიკის სექტორის ზოგიერთი ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, 3 აგვისტოსათვის დაგეგმილია სააქციო საზოგადოება „საქელექტროგადაცემის" სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილება ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ვაჟა მეტრეველის თანამდებობაზე ყოფნის საკითხი.

## აფხაზეთი შიგნიდან აფეთქდება

**(გეა)** აფხაზურ პრესაში დიდი გამოხმაურება პოვა ოჩამჩირის რაიონის სოფელ არაკჩიჩის სომხურ მოსახლეობასა და აფხაზებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ. დაპირისპირების მიზეზად, პირველ რიგში, კვლავ პარტიზანული, ე.წ. „დივერსიული დაჯგუფებები" სახელდება. ერთ-ერთი აფხაზი მწერლის მტკიცებით, ეს არის სწორედ ის, რასაც აფხაზეთის ენგურგამოღმა მყოფი ხელისუფალნი, კერძოდ, თამაზ ნადარეიშვილი აცხადებდა, რომ აფხაზეთი შიგნიდან აფეთქდება. მან არ გამორიცხა, რომ „ქართულმა დივერსიულმა ჯგუფებმა აფხაზებსა და რუს მშვიდობისმყოფლებზე თავდასხმის გარდა, ზოგიერთი „შაბაშის" მოყვარული აფხაზების მოსყიდვა მართლაც შეძლონ".

მწერალი შიშობს, რომ ამგვარი მცდელობებით, რასაც აფხაზი ჟურნალისტებიც უწყობენ ხელს არაკჩიჩის მსგავსი ინციდენტების მწვავედ გაშუქებით, „ტოლერანტი" და „დიდსულოვანი" აფხაზი ერი, რომელმაც 30-40-იან წლებში გადასახლებული ქართული მოსახლეობა „მიიღო" აფხაზეთში, მართლაც დადანაშაულდება „რესპუბლიკის" ტერიტორიაზე მცხოვრები ერების გენოციდში.

## ყაჩაღებს იმედი გაუცრუვდათ...

სააქციო საზოგადოება პურპროდუქტების თავმჯდომარისა და პარლამენტარ ნინო ბურჯანაძის მამის, ანზორ ბურჯანაძის ბინას ყაჩაღები დაეცნენ და გაძარცვეს.

ეს იმ დღეს მოხდა, როცა პარლამენტარი საკუთარ დაბადების დღეს აღნიშნავდა და შინ არ იყო. ყაჩაღები მის მშობლებს გვიან ღამით დაეცნენ და თანაც საკმაოდ ორიგინალური ხერხით — მეექვსე სართულზე მდებარე ბინის აივანზე სახურავიდან თოკებით დაეშვნენ და ბინაში შეიჭრნენ. ორი ნიღბიანი ყაჩაღი პირველად ანზორ ბურჯანაძის მეუღლემ შენიშნა, მაგრამ დარეკვა ვერსად მოასწრო და ყაჩაღებმაც ცოლ-ქმარი სააბაზანოში დაამწყვდიეს. იარაღის მუქარით მოითხოვდნენ ფულს და ძვირფასეულობას, მაგრამ ანზორ ბურჯანაძე და მისი მეუღლე ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევდნენ, სანამ შეეძლოთ. ამ ბრძოლაში ყაჩაღებმა გაისროლეს კიდეც შესაშინებლად და შემდეგ, რაც ხელთ მოხვდათ — 200 დოლარი, გაზის და „ტეტეს" სისტემის პისტოლეტები, სანადირო დანა და ოქროულობა გაიტაცეს...

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, თავდასხმა შესაძლოა, იმანაც გამოიწვია, რომ ბურჯანაძის ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადაჭარბებულია და სწორედ ამიტომ ეგონათ ყაჩაღებს, რომ ბინაში დიდ თანხას მიაგნებდნენ...

## სოსლანბეკოვს თავს დაესხნენ

საქართველოსა და ქართველების დაუძინებელ მტერს, რუსეთის სპეცსამსახურების პირწავარდნილ აგენტს, ე.წ. ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტს და აფხაზეთის ომის უაქტიურეს მონაწილეს იუსუფ სოსლანბეკოვს მოსკოვში საკუთარ სახლთან უცნობმა პირებმა ესროლეს! კაცი, რომელმაც აფხაზეთის ომის დროს თბილისი „უბედურების ზონად" გამოაცხადა და ჩრდილოკავკასიელთა ბანდები მოგვისია, ახლა მოსკოვის №1 საავადმყოფოს რეანიმაციაში ებრძვის სიკვდილს...

...მოსკოვში ფეშენებელური ბინა სოსლანბეკოვს აფხაზებმა შეუძინეს, ისე როგორც, სოხუმში ერთ-ერთი ლტოლვილი ქართველის სახლიც მიართვეს „აფხაზი ხალხის წინაშე დიდი დამსახურების ნიშნად" და „ლეონის" ორდენიც ჩამოჰკიდეს...

## სიგარეტით მოვაჭრეთა ეგზეკუცია

ათიათასობით კოლოფი უაქციზო სიგარეტის სიმბოლური კოცონი გააჩაღეს დედაქალაქის პოლიციისა და შემოსავლების სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა... გლდანის ნაგავსაყრელზე. მათ ბაზრობებსა და ქუჩებში განხორციელებული რეიდების შედეგად, ფაქტობრივად, ხელჩართული ბრძოლით, წვრილ-წვრილი სიგარეტით მოვაჭრეებისაგან ამოიღეს კონტრაბანდული საქონელი. ამას კი ის მოჰყვა, რომ მოვაჭრეები პირდაპირ წერეთლის გამზირზე დასხდნენ და გზა გადაკეტეს, თუმცა უბედურ ადამიანებს ამით არაფერი გაუვიდათ, უაქციზო და წართმეული სიგარეტი ველარ დაიბრუნეს. გულის მოსაფხანად, თავად სამართალდამცავების მტკიცებით, მოვაჭრეებმა რამდენიმე წესრიგის დამცველი მიბეგვეს და დაკაწრეს...

რა თქმა უნდა, კონტრაბანდულ საქონელთან ბრძოლა გადაუდებელი და აუცილებელი საქმეა, მაგრამ მოვაჭრეებიც აბსოლუტურად მართლები არიან, როცა ამტკიცებენ, — ჯერ დასაჭერ-დასაბეგვები არიან ის ხელისუფალნი და სამართალდამცავნი, რომლებიც მფარველობენ კონტრაბანდას და ხშირად თავადვე არიან ამ საქმის „ნათლიები", და მეორე — წლების მანძილზე სწორედ სამართალდამცავთა დანაშაულებრივმა ქმედებამ მისცა გასაქანი კონტრაბანდული სიგარეტით ვაჭრობას, როცა ისინი მოვაჭრეებისათვის წართმეულ სიგარეტს იმავე ადგილზე თავისივე ხალხის მეშვეობით ასაღებდნენ!

წერეთლის გამზირზე ჩატარებულმა ეგზეკუციამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა შემოსავლების სამინისტროს ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა 80 წლის მოხუცს წაართვეს... ოთხი კოლოფი უაქციზო სიგარეტი!

## აბსანძის სასამართლო პროცესი ჩიხში შევიდა

მოსამართლე იური ტყეშელაშვილი გურამ აბსანძისა და სხვათა სასამართლო პროცესს ვეღარ ატარებს. მას შემდეგ, რაც განსასჯელები სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ დარბაზიდან გააძევა, ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად პროცესი დატოვეს. არადა, კანონის მიხედვით, ადვოკატების გარეშე სასამართლო კოლეგიას პროცესის ჩატარების უფლება არ აქვს. იგი იძულებული შეიქნა, 9 თებერვლის ტერაქტში დადანაშაულებული განსასჯელების პროცესი 1 აგვისტომდე გადაედო.

აღსანიშნავია, რომ სხდომის დროს მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. განსასჯელმა ზურაბ ეჯიბიამ პროტესტის ნიშნად კბილის პროთეზით მუცელი გადაისერა. ადვოკატებმა თავიანთ დაცვის ქვეშ მყოფებს სოლიდარობა გამოუცხადეს და სასამართლო პროცესი დატოვეს ულტიმატუმით: სანამ მოსამართლე ტყეშელაშვილი გაძევებულ განსასჯელებს სხდომათა დარბაზში არ დააბრუნებს, პროცესზე არ გამოვცხადდებითო.

„ჩვენ პირველი დღიდან არასამართლებრივ სივრცეში ვიმყოფებით. ამ პროცესზე ჩვენი პროფესიული ღირსება შეილახა. ჩვენი შრომა სიზიფეს შრომას ჰგავს", — ერთხმად აცხადებენ აბსანძისა და სხვათა ადვოკატები. თავის მხრივ, სასამართლო კოლეგიამ ურჩ ადვოკატებს საქართველოს ადვოკატთა პრეზიდიუმში უჩივლა. პრეზიდიუმმა არც მწვადი დაწვა და არც შამფური. ერთი მხრივ, დაადასტურა, რომ ადვოკატებმა მიატოვეს სხდომათა დარბაზი, მეორე მხრივ კი, ასევე დაადასტურა, რომ სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას.

სასამართლო ჩიხში შევიდა. როგორც ამბობენ, მიმდინარეობს მუშაობა განსასჯელებისათვის ახალი ადვოკატების ასაყვანად. სასამართლოს ამის უფლება კიდეც აქვს და არც აქვს, — განსასჯელები ძველ ადვოკატებზე უარს არ ამბობენ და ამიტომ ახალი ადვოკატების დანიშვნის შემთხვევაში სახეზე იქნება კანონის დარღვევა.




## ლუკაშენკოს სომხები ებრალება?!

**(გეა)** ბელორუსიაში სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის ვიზიტის დროს ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ საქართველო, ფაქტობრივად, სომხეთის ბლოკადაში დაადანაშაულა. კერძოდ, პრეზიდენტმა ლუკაშენკომ „გულისტკივილით" აღნიშნა, რომ სომხეთი ამჟამად სრულ იზოლაციაში იმყოფება, ვინაიდან ერთი მხრივ, აზერბაიჯანი ემეზობლება, მეორე მხრივ — საქართველო. ბელორუსიის პრეზიდენტის ამ ანტიქართულ განცხადებას რობერტ ქოჩარიანის მხრიდან არანაირი კომენტარი არ მოჰყოლია.

## რუსი პილოტები შეიწყალეს

**(გეა)** ინდოეთის ხელისუფლებამ შეიწყალა და გაათავისუფლა ხუთი რუსი პილოტი, რომლებსაც მიმდინარე წლის დასაწყისში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს დასავლეთ ბენგალიის შტატში ამბოხებულთა დაჯგუფებისათვის იარაღის მიწოდების გამო.

განკარგულებაში ნათქვამია, რომ პილოტები შეიწყალეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, თუმცა ინდოეთის იურიდიული წყაროები ამტკიცებენ, რომ შეწყალება ასეთი სერიოზული დანაშაულისათვის — უპრეცედენტო შემთხვევაა.

პილოტები ციხეში 5 წლის მანძილზე იმყოფებოდნენ მას შემდეგ, რაც ისინი ანანდ მარგის სექტისთვის პარაშუტების მეშვეობით იარაღის დიდი პარტიის თვითმფრინავიდან გადაყრაში დაადანაშაულეს. პილოტების თქმით, ისინი არასწორად იყვნენ ინფორმირებულნი. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, რომელიც ინდოეთში ჩასვლას ოქტომბერში აპირებს, მიესალმა ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილებას.

ვარაუდობენ, რომ რუსი პილოტები სამშაბათს დაბრუნდებიან შინ. რაც შეეხება მეექვსე მსჯავრდადებულს, ბრიტანელ იარაღით მოვაჭრეს, არ შეუწყალებიათ და იგი სასჯელის მოხდას განაგრძობს.

## დაიწყო „ტიტანიკის" განძის ძიება

**(გეა)** დაიწყო ისტორიაში პირველი ოპერაცია, რომლის დროსაც ჩაძირული „ტიტანიკის" სათავსოებში შეღწევას შეეცდებიან. ეს საქმე გადაუდებელია, რადგან ხომალდის შიგთავსი შესაძლოა სამუდამოდ დაიკარგოს.

„ტიტანიკის" ერთ-ერთი ცოცხლად გადარჩენილი მგზავრი ქალის პროტესტის მიუხედავად, მყვინთავები ატლანტის ოკეანეში 4 კილომეტრის სიღრმეზე ჩაეშვებიან და ხომალდის ნანგრევების შესწავლას შეეცდებიან. მყვინთავები გამოიყენებენ იმავე წყალქვეშა ნავებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა რეჟისორ ჯეიმს კამერონის მიერ ფილმ „ტიტანიკის" გადაღებისას. გარდა ამისა, გამოყენებული იქნება სხვა უახლესი მოწყობილობებიც.

მყვინთავები შეეცდებიან იმ ძვირფასეულობის მოძებნას, რომელიც ორ შვეიცარიელ ძმას ეკუთვნოდა. ისინი 1912 წელს „ტიტანიკით" ნიუ-იორკში მიემგზავრებოდნენ. მყვინთავები იმედოვნებენ, ასევე, საგანწესო ჟურნალის პოვნას, რომელშიც „ტიტანიკის" უკანასკნელი წუთების შესახებ ჩანაწერები უნდა არსებობდეს.

# „დარწმუნებული ვარ, შევარდნაძე მოძებნის ღირსეულ მემკვიდრეს და შეცვლის მმართველობის სისტემას...“

ერთი შეხედვით, თითქოსდა ჩვეულებრივი საერთაშორისო მოვლენა გახლდათ ჩვენთვის პრეზიდენტ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში და სხვა ვიზიტებთან შედარებით — ულიმლამოც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოში შექმნილ ვითარებას და იმ დრამატულ მოვლენებსაც, რომლებიც უშუალოდ წინ უძღოდა შევარდნაძის ამ ვოიაჟს, აშკარად მრავალმხრივი განსჯისა და ანალიზის საბაბი მოგვეცემა...

საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემა, რომელიც, ფაქტობრივად, ლაიტმოტივად გასდევდა მთელ ამ ვიზიტს და ჩვენდა სამარცხვინოდ, არათუ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ლონდონის მერის, ბანკირებისა და ბიზნესმენების, არამედ ლამის დედოფალ ელისაბედ-ის განსჯის საგნადაც კი იქცა, აშკარად ცხადყოფს იმას, რომ დასავლეთი უკანასკნელ შანსს გვაძლევს — მოვეგოთ გონს! ამასთან, იქმნება შთაბეჭდილებაც, რომ შინაპრობლემებითა და ეკონომიკური სიდუხჭირით გაწამებულ ქვეყანას, ხალხს, ისთებლიშმენტს აღარც კი აინტერესებთ და აღელვებთ, რა გლობალური ურთულესი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ჩვენს ახლო და შორეულ სამეზობლოში. ყველაფერი ეს უშუალო კავშირშია აქაურ მოვლენებთან და იქნებ მათი ზეგავლენითაც ხდება საქართველოში ბევრი ისეთი რამ, რაც დღეს ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება... ამ და სხვა საკითხებზე საინტერესო და დამაფიქრებელ მოსაზრებებს გვთავაზობს ფრაქცია „ტრადიციონალისტის“ წევრი თედო პაატაშვილი:



— იუგოსლავიის ამბების შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა მოსკოვის საგარეო პოლიტიკა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების მიმართ. მიაქციეთ ყურადღება, აქამდე მოსკოვი ჩვენ გვთვლიდა არშემდგარ სახელმწიფოდ და საქართველოს მიმართ მისი პოლიტიკა იყო აგდებული, საბჭოური და ძალისმიერი მეთოდებით გამყარებული! ეს ეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებში რუსეთის უშუალო მონაწილეობას აქედან გამომდინარე შედეგებით, რასაც, თავის მხრივ, ფარულად ხელს უწყობდა ჩვენი ხელისუფლების უნიათობა, ქართველ ერში მძვინვარე დაპირისპირება, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გახრწნა-გათახსირება და ა.შ. ამას თან ერთვოდა აშშ-ის ადმინისტრაციის შემგუებლური, ნაკლებპრინციპული პოლიტიკა რუსეთისადმი, რაც ყოველთვის ახასიათებდა და დღესაც ახასიათებთ ამერიკის დემოკრატ პრეზიდენტებს! ხოლო დღეს, როდესაც აშშ-ში გარდამავალი პერიოდია და რამდენიმე თვეში უნდა მოხდეს ადმინისტრაციის ცვლილება, არნახულად გაააქტიურა რუსეთმა თავისი პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში, კავკასიაში, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით და გაააქტიურა ძალზე უჩვეულოდ. ფაქტია, ბოლო ორი თვის მანძილზე მოსკოვმა საოცრად მოატრიალა თავისკენ შუა აზიის ქვეყნები, განსაკუთრებით, უზბეკეთი და თავის ყველაზე დიდ პრობლემას, ჩეჩნეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს, მისთვის სასურველი მიმართულება მისცა. როგორც არ უნდა შევაფასოთ ჩეჩნეთის მეორე კამპანია, რუსეთის სახელმწიფოს გადარჩენასთან ერთად, უდავოდ ეს გახლავთ ისლამური ფუნდამენტალიზმის ექსპანსიის წინააღმდეგაც მიმართული კამპანია. ამ ექსპანსიისა კი, ეშინიათ არა მარტო შუა აზიის ქვეყნებს, არამედ თვით თურქეთსაც. ამიტომ, ვფიქრობ, ისე გონივრულად მიჰყავს თავისი პოლიტიკა რუსეთს, რომ მალე ალბათ უკვე რამდენჯერმე გახმოვანებული, მაგრამ რეალურ დიპლომატიაში გაუთამაშებელი კოზირი, რასაც არა მარტო შუა აზიისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხის თავიდან აცილება ჰქვია, ევროპის ქვეყნებისთვისაც მალე ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ფაქტორი შეიქნება. არ მინდა ვთქვა, რომ მალტის გარიგების მსგავსად, დღესაც გადაწყვეტილია გავლენის სფეროების გადანაწილების საკითხი, რადგან ამ პრობლემაზე ალბათ ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაცია და პუტინის გუნდი იმსჯელებენ მომავალში, მაგრამ ის ნაბიჯები, რომელიც გადადგა პუტინმა შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით, უთუოდ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა რუსეთისთვის. გავიხსენოთ, როგორ მიიღო ვითომდა „ძალიან შევიწროებულმა“ რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა გალაღებული, ძლიერი ამერიკის პრეზიდენტი კლინტონი, მიიღო, ფაქტობრივად, როგორც აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, რომელთანაც ვერც ერთ საკითხზე „ვერ“ შეთანხმდა, უწინარესად, აშშ-ის ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის რეალიზების საკითხში.

**— ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსკოვის წარმატებული საგარეო პოლიტიკა ძალიან მალე საგრძნობი გახდება საქართველოსთვის, საერთოდ სამხრეთ კავკასიისთვის. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩვენმა სტრატეგიულმა მოკავშირემ და სუუამის წევრმა უზბეკეთმა ამას წინათ გამოთქვა სურვილი შეუერთდეს ე.წ. „შანხაის ხუთეულს...“**

— დიახ, ეს ადასტურებს, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნები ერთხმად დაუდგნენ გვერდით რუსეთს და მიუხედავად იმისა, რომ ისლამური სახელმწიფოები არიან, ფაქტობრივად, გადაჭრეს ის არტერია, რითაც ავღანეთსა და რადიკალურ ისლამურ რეჟიმებს შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ ჩეჩნეთისთვის... ეს მრავლის მთქმელი და ჩვენთვის დამაფიქრებელი მოვლენაა... ჩემი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, არ მეშინია, რომ ვინმე პრორუსობას დამწამებს და თქვენი გაზეთის მკითხველს მოვახსენებ შემდეგს: ამას წინათ, საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში ვეწვიე მოსკოვს და გამაოცა ყველაფერმა, უწინარესად, ფასებმა, რომლებიც საქართველოსთან შედარებით, პრაქტიკულად, ყველა სახეობის პროდუქტსა და საქონელზე განახევრებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი კვლავ რჩება სახელმწიფოდ. საქართველოს ხელისუფლების უმრავლესობა კომკავშირულ-კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენელია, ხოლო ისინი, რომლებმაც ასაკის გამო ვერ მოასწრეს ამ „სკოლის“ გავლა, მენტალიტეტით არ განსხვავდებიან მათგან... ეს ხალხი მხოლოდ იმიტომ ხდება პროდასავლელი, რომ ნიუ-იორკის ბიუჯეტი რუსეთის ბიუჯეტზე მეტია, შესაბამისად, ამერიკიდან მეტი ფულის წამოღება შეუძლია შინ! ასეთი პროდასავლურობისა არ მწამს. მოსკოვში ყოფნისას შევხვდით დუმის ყველა კომიტეტსა და კომისიას, რომლებთანაც განვიხილავდით სამ ძირითად საკითხს: 1. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებას; 2. რუსეთ-საქართველოს დიდი ხელშეკრულების რატიფიცირებას; 3. სავიზო რეჟიმის პრობლემას. დუმის წევრებიდან კი, ზოგი დიპლომატიურად, ზოგიც აშკარად, გვიცხადებდნენ, რომ არც ერთი ეს პრობლემა არ გადაწყდება, თუ არ მოგვარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებიო(!). ამ „ურთიერთობების“ გადაწყვეტისას კი პირდაპირ მიგვითითეს, რომ გულისხმობენ საქართველოს მიერთებას რუსეთ-ბელორუს-სომხეთის კავშირთან(!). იმდენად გამწვავდა მოლაპარაკებისას ვითარება, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ მიახალა რუსებს — ორი ვაჟი მყავს და აფხაზეთის დასაბრუნებლად არა მარტო მათ გავგზავნი საომრად, არამედ მეც მოვკიდებ ავტომატს ხელსო(!). რუსეთი ისევე „გამოასწორებს“ ჩვენთან ურთიერთობებს, როგორც „გამოასწორა“ შუა აზიის ქვეყნებთან.

**— ეი. აუცილებელი ხდება საქართველოს დიპლომატიის, პოლიტიკის გააქტიურება რუსეთთან მიმართებით, მაგრამ, დამეთანხმებით, რაღაც საეჭვო და თითქოს ავისმომასწავებელი დუმილი შეინიშნება სადღეისოდ...**

— 1994 წელს მომზადდა და მოეწერა ხელი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, მაშინვე უვარგის დოკუმენტს. ამასთან, მსოფლიო დიპლომატიის პრაქტიკას არ ახსოვს პრეცედენტი, როცა ხელშეკრულების მონაწილე ერთმა სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიკაცია, მეორე ქვეყანა კი მეექვსე წელიწადია არ აკეთებს ამას. ამაზე დიდი შეურაცხყოფა, ნონსენსი დიპლომატიაში არ არსებობს. არადა, დალოცვილებო, არანაირი პრობლემა არ არის, რომ საქართველომ ღირსეულად წარმოაჩინოს თავისი თავი და პოზიცია, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ და ქართულმა პოლიტიკამ ვერ მოიცილეს ის კომპლექსი, რასაც მეტროპოლიისადმი დაქვემდებარებული ნაწილის პოლიტიკა ჰქვია. ასეთი ვითარება ძალიან ჰგავს უპრინციპო კაცის მდგომარეობას, რომელსაც არც შინ, არც სამსახურში თუ უბანში პატივს არავინ სცემს... თუ არ უნდათ რუსებს ამ ხელშეკრულების რატიფიცირება, ჩვენ მოვახდინოთ მისი დენონსაცია, ვაჩვენოთ, რომ საქართველოც სახელმწიფოა და ღირსების გრძნობაც გვაქვს!.. შევთავაზოთ რუსეთს ახალი ხელშეკრულების მომზადება... ვიმეორებ, რუსეთი ძალზე ააქტიურებს თავის პოლიტიკას, გავლენას ევრაზიულ სივრცეზე და მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის.

**— გლობალური პროცესების ფონზე საქართველოში, ერთი შეხედვით, ხდება თითქოსდა ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა, კლავენ აკაკი ელიავას და ათასგვარი ინტერპრეტაცია ეძლევა ამ ფაქტს... არადა, უკვე აშკარაა, რომ ეს გაკეთდა, სწორედაც რომ საქართველოში თუ საქართველოს ირგვლივ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე და კონკრეტული მიზნისთვის... თქვენი კომენტარი:**

— მეტსაც გეტყვით: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოზირი, რითაც პრეზიდენტი შევარდნაძე ჩავიდა ინგლისში, გახლდათ ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი კომისიის შექმნა. ამასთან, არ გამოვრიცხავ, რომ მეორე კოზირი იყო სწორედ ის, რომ საქართველოს სახელმწიფომ პირველად აჩვენა თავისი ნება, ძალა შინასახელმწიფოებრივი პრობლემების შემქმნელი პიროვნებების მიმართ. სხვა საქმეა, რამდენად მართებული იყო ამის გაკეთება, მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილონი ვართ, რომ ვერ მივხვდეთ — ეს იყო კარგად დაგეგმილი და განხორციელებული სპეცოპერაცია. რა თქმა უნდა, პირადად ჩემთვისაც სამწუხაროა ელიავას სიკვდილი და, საერთოდ, ამ კაცის ბედი იმ ორომტრიალში, რასაც წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი საქართველოში. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რაღაც თეორიები დავამუშაო: იყო თუ არა ვინმეს აგენტი, მაგრამ ყველაფრისგან თავისუფალი რომ არ ყოფილა, ესეც ფაქტია. მაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ ელიავა მხოლოდ შვილის მოსანახულებლად არ მოდიოდა თბილისში... თუ გავითვალისწინებთ იმასაც, თუ როგორ ინტერვიუებს იძლეოდა წინა პერიოდში, ნათელი შეიქნება, რომ ის ისეთი ფიგურა იყო, რომელზეც შეიძლებოდა გაეკეთებინათ გარკვეული ფსონი შინა თუ გარეშე დაინტერესებულ ძალებს... ამასთან, გარდა ნეგატიურისა, ამ ოპერაციას, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოზიტიური მომენტიც ახლდა — სახელმწიფომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალწინ გამოიჩინა პრინციპულობა, ნება და ძალა!

**— ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ სწორედ დიდ ბრიტანეთში შევარდნაძის ვიზიტის წინ განვითარდა ეს მოვლენები...**

— რა თქმა უნდა. საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარების ფონზე მიდიოდა შევარდნაძე ინგლისში, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც საქართველოში ინგლისის ელჩმა ბრძანა, ვიზიტს სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. ტონი ბლერს მაინცდამაინც არ ეცალა პრეზიდენტთან სასაუბროდ, რადგან წინ დიდი შვიდეულისა და რუსეთის სამიტები ელოდა ოკინავაზე... ამიტომ ეს ვიზიტი ობიექტურადაც იყო სიმბოლური, მით უფრო, რომ ძალზე ცუდი იმიჯის მქონე ქვეყანა ვართ უკვე დასავლეთისთვის. დიახ, პრეზიდენტს „რაღაც“ უნდა ჩაეტანა ლონდონში და ჩაიტანა ანტიკორუფციული კომისიის შექმნისა და ამ ოპერაციის ფაქტები, რითაც მიანიშნა, რომ საქართველოს აქვს უნარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა.

**— მით უმეტეს, რომ ამ ვიზიტს „ნავთობის სუნიც“ ასდიოდა. აქ ერთ საგულისხმო ფაქტს მოვიყვან. დაახლოებით ერთი თვის წინ ლონდონში გაიმართა უდიდესი ბანკების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც განიხილებოდა კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების დაფინანსებისა და უწინარესად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზების საკითხები, მაგრამ ბანკირების შეხვედრა-თათბირი უშედეგოდ დამთავრდა! თანაც საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, მისთვის განკუთვნილი ტვირთები უკვე გვერდს უქცევენ აქ გამეფებული განუკითხაობის გამო... სიტუაცია მართლაც რომ უპერსპექტივო ჩანს...**

— იმის გარდა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა უკანასკნელი ვადა მოგვცეს, ამ „აბრეშუმის გზისა“ და ნავთობსადენების პროექტების რეალიზაციის პერსპექტივებიც არასახარბიელოა. ის, რაც საქართველოში ხდება, არ არის მარტო შეცდომა, უსუსურობა, ეს არის ქვეყნის ინტერესების ღალატი. კორუფცია საქართველოსთვის აღარაა მარტო სენი, რომელიც ქვეყანას ჭამს, არამედ კორუფციამ ის მასშტაბები მიიღო, რომელმაც შეიძლება დაგვაკარგვინოს დასავლეთის მხარდაჭერა და „საუკუნის პროექტები“, სახელმწიფოებრიობა და ფუნქცია. ფაქტია, რომ მიმდინარეობს მძაფრი კონკურენცია და ვინც აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელი საუკეთესო ქვეყნის, დერეფნის მისიას იკისრებს, საერთაშორისო თანამეგობრობაც მას ამოუდგება მხარში. ყველაზე უმნიშვნელოვანესი მიღწევა დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ საქართველოსთვის იყო სტამბოლის სამიტი, სადაც კომპლექსურად შეიკრა სამხედრო-პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრიადა და მსოფლიო პოლიტიკის დონეზე გაფორმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქცია. შინაპრობლემების მოუგვარებლობის გამო, შეიძლება ქარს გავატანოთ ეს მონაპოვარი. თუ აქ წესრიგი არ იქნა, არავინ შემოვა იმ იმედით და ფიქრით, — აი, თუ დღეს არ ვარგა ხელისუფლება, 5-10 წლის შემდეგ ხომ მაინც გამოსწორდება ვითარებაო... საქმე იქამდეც მივიდა, რომ უკვე მეშინია — ირანმა, რომლისკენ გახედვაც არ უნდოდა დასავლეთს, საქართველოს არ დააკარგვინოს ფუნქცია. ამასთან, სულაც არ არის გამორიცხული, რომ პირდაპირი გარიგების შედეგად კვლავ აღმოვჩნდეთ რუსეთის გავლენის ქვეშ...

**— ლონდონში გამართული შეხვედრებისას, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წარმომადგენლებს სერიოზული პრეტენზიები გამოუთქვამთ ქართული ბანკების მიმართ... მათ ხელმძღვანელებს დღეს უკვე უწოდებენ ქართველ ოლიგარქებს...**

— თუნდაც რუსეთში მიმდინარე კამპანია ოლიგარქების წინააღმდეგ, ადასტურებს, რომ ამ ასპექტითაც რუსეთი ჩვენზე მაღლა დგას. რაც აქ ხდება, ამას ოლიგარქობას არ დავარქმევდი... მე ამას დავარქმევდი ღორობას! როდესაც ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც, რომ გავიკითხ-გამოვიკითხოთ, ყველა ერთმანეთის ნათელმირონები, ნათესავები, მეგობარ-მეზობლები ვართ და ამ ქვეყანაში ნახევარ ან ერთ წელიწადში გინდა იშოვო მილიონები შენი ახლობლების გაღატაკების, ხშირ შემთხვევაში, მათი შიმშილით სიკვდილის ხარჯზე, ამას ოლიგარქობა კი არა, ნამდვილად ჰქვია — ღორობა! საქართველოში მძვინვარე კორუფციამ, მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ მოსახლეობისა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისადმი და ა.შ. მიგვიყვანა იქამდე, რომ ბევრმა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციამ და ბანკმა ქართულ ბანკებთან თანამშრომლობას ზურგში შეაქცია, ამიტომაა კატასტროფულად შემცირებული ინვესტიციების შემოსვლაც და სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებებით გამაგრებული ბაქო-ჯეიჰანის პროექტიც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას! აქ საქმე მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებთან არა გვაქვს, არამედ სახეზე გვაქვს ფაქტი, რომ 10-15 ოჯახი და მათი გარემოცვა ჭამს მთელ ქვეყანას და ჭამს პირდაპირი გაგებით არა მხოლოდ იმას, რაც იჭმება, არამედ ჭამს ადამიანებს, ბუნებრივ რესურსებს, ქვეყნის ავტორიტეტს, ტერიტორიებს და ა.შ. მე წინააღმდეგი ვარ სამოქალაქო დაპირისპირებისა, მაგრამ უნდა დაერქვას ყველას და ყველაფერს თავისი სახელი...

**— ბი-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუშიც ედუარდ შევარდნაძემ, ფაქტობრივად, თითქოს ერთგვარი ფიციც დადო საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში არავის დაინდობს, მათ შორის, თავის გარემოცვასაც...**

— დიდი იმედი მაქვს. ვიყოთ გულახდილნი: გარკვეული წლების მანძილზე შევარდნაძისთვის კორუფცია იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შემადგენელი და გამიზნული ნაწილი, რითაც შევარდნაძეს გაიოლებული ჰქონდა ხელისუფალთა მართვა. მაგრამ თუ კომუნისტურ ეპოქაში ეს იყო კონტროლირებადი პროცესი, უკანასკნელ წლებში ამან აშკარად უმართავი სახე მიიღო. ზემოთ ღორობა ვახსენე და ვიტყვი, რომ ეს თვისება არ შეიძლება ჰქონდეს რაინდული სულისა და ვაჟკაც ადამიანს. საქართველო, საუბედუროდ, ამ „ღორებისა“ და „კურდღლების“ ქვეყანაა. ეს „ღორები“ არიან საშინლად მშიშრები, ანუ „კურდღლები“ და დაჭერების გარეშეც შეიძლება ამ სენის აღმოფხვრა. საჭიროა ნება და ვაჟკაცური მიდგომა. ედუარდ შევარდნაძემ უნდა გადაჭრას ის უდიდესი პრობლემა, რომელიც მას ე.წ. ეკონომიკური ბლოკისა და ე.წ. მთავრობის სახით შეექმნა. ამასთან, მას პიროვნული „ვალდებულებები“ აქვს ძალისმიერი და სხვა კორუმპირებული სტრუქტურების მიმართ, თუნდაც იმავე არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე. ესეც არის იმის მიზეზი, რომ მაშინ, როცა თავის დროზე გია ბარამიძის ანტიკორუფციულმა კომისიამ რამდენიმე მინისტრი გადააყენა თანამდებობიდან, დღევანდელმა მთელმა პარლამენტმა მხოლოდ ბაკურ გულუა აქცია „განტევების ვაცად“. ამიტომ აუცილებლად უნდა შეიქმნას მინისტრთა კაბინეტი, რომლის შექმნით შევარდნაძის ხელისუფლება კი არ დასუსტდება, არამედ მიეცემა საოცარი მანევრირებების საშუალება, მოიშორებს უზარმაზარ ტვირთს და მთელ თავის ენერგიასა და ავტორიტეტს მოახმარს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას... უაღრესად საინტერესო პიროვნებებისაგან შედგება ანტიკორუფციული ჯგუფი. ვიცი, რომ პრეზიდენტთან ჰქონდათ რამდენჯერმე საუბარი და შევარდნაძემაც განაცხადა, რომ ის მორალურად სავალდებულოდ მიიჩნევს ამ ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ცხოვრებაში რეალიზებას. ეს ყველაფერი მაძლევს იმედს, რომ სექტემბრიდან დაიწყება მსჯელობა პარლამენტში მინისტრთა კაბინეტის შექმნის, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების და საერთოდ, იმ პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც უნარი შესწევს გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან... თუ ელცინს ეყო ჭკუა, თავისი შესაძლო მემკვიდრეები გამოეცადა და გაესინჯა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე და ბოლოს, ალბათ, რუსეთისთვის საუკეთესო კანდიდატურაზე შეჩერებულიყო, დარწმუნებული ვარ, შევარდნაძე, რომელიც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით ელცინზე არაფრით ნაკლები არ ყოფილა ყველა თვალსაზრისით, მოძებნის ღირსეულ მემკვიდრეს და შეცვლის მმართველობის სისტემას...

ზურაბ მჭედლიშვილი





# ივერთა მონასტერი

25 ივლისს აღინიშნება ხსენება იმ წმინდა მამათა, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ათონის მთის ივერთა მონასტრის მშენებლობასა და განმტკიცებას. ესენი იყვნენ წმ. იოანე, ექვთიმე და გაბრიელ მთაწმინდელები. წარმოშობით ტაოკლარჯელი იოანე ათონელი დავით კურაპალატის კარზე წარჩინებული პიროვნება იყო. მიუხედავად მაღალი მდგომარეობისა, იოანემ მიატოვა საერო ცხოვრება და ბერად აღიკვეცა. თავდაპირველად, საქართველოში, ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობილი შეიქნა მისი ვინაობა, მოძღვრის კურთხევით საბერძნეთში გაემგზავრა. ამასობაში, საბერძნეთის იმპერატორმა დავით კურაპალატს, ერთგულების ნიშნად, მძევლად დიდებულთა შვილები მოსთხოვა. მათ შორის იყო იოანეს ვაჟი ექვთიმე. იოანემ იმპერატორის კარიდან ვაჟი გამოისყიდა და ათონის მთაზე ათანასე ათონელის ლავრაში დასახლდა. იმხანად ათონის მთაზე მრავალმა ქართველმა ბერმა დაიწყო მოღვაწეობა და წარმოიშვა ახალი ეკლესიის აშენების საჭიროება. პირველი ქართველთა ეკლესია ათონის წმინდა მთაზე, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის იყო, მოგვიანებით მას სხვა ეკლესიები და მრავალი სენაკი მიემატა. გადმოცემის მიხედვით, ივერთა სავანე სწორედ იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ათონის მთასთან მოახლოებულმა ღვთისმშობელმა თავის მეორე წილხვედრ მიწას პირველად დაადგა ფეხი. იოანე ათონელის მოღვაწეობით და დაუღალავი შრომით ივერთა მონასტერი არა მხოლოდ ათონის მთის, არამედ სრულიად საქართველოს სულიერსაგანმანათლებლო ცენტრად იქცა. იოანე დიდ ყურადღებას უთმობდა მთარგმნელობით საქმიანობას და შვილსაც მოუწოდებდა, გაემდიდრებინა ქართული მწიგნობრობა უცხოური ლიტერატურით. მაგრამ თავდაპირველად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან დიდხანს უცხოობაში მყოფ ექვთიმეს უჭირდა ქართულად ლაპარაკი. მამა ძალზე განიცდიდა ამ ამბავს, ვიდრე ღვთის სასწაული არ აღსრულდა. ერთხელ ექვთიმე ავმა სენმა შეიპყრო და მისი გადარჩენის იმედი თითქმის ამოიწურა. ღირსი იოანე ტაძარში ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო და დიდხანს ილოცა, შემდეგ მღვდელს მოუხმო, რათა მომაკვდავი ეზიარებინა და შვილის სენაკისკენ გაემართა. კარი რომ შეაღო, საკვირველი სურნელება იგრძნო და საწოლზე ჩამომჯდარი ჯანსაღი შვილი იხილა. როგორც ექვთიმემ იოანეს უამბო, მას დიდებული დედოფალი გამოსცხადებია და ქართულად უკითხავს: „რა არის, რა გტკივა, ექვთიმე?" „მოვკვდები, დედოფალო!", – შეუჩივლია მომაკვდავს. „არავითარი ვნება შენთან აღარ იქნება, ადექი, ნუ გეშინია და ქართულად უნაკლოდ ილაპარაკე!" ამ დღის შემდეგ, იოანეს თქმისამებრ, როგორც წყარო, ისე წარმოსდინდა მისი პირიდან ყველა ქართველზე უფრო წმინდა ქართული სიტყვა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ნაკურთხი წმინდა ექვთიმე დაუღალავი შრომით მართავდა ივერთა სავანეს და ამასთან თარგმნიდა მრავალ სასულიერო თუ საერო ლიტერატურას. აღსანიშნავია: ქართულიდან ბერძნულ ენაზე ითარგმნა ბიბლია, შემდეგ მსოფლიოში საყოველთაოდ გავრცელებული „სიბრძნე ბალაჰვარისა", „იოანეს სახარება", „ფსალმუნები" და სხვა.

წმ. გაბრიელ ათონელი იყო იოანეს და ექვთიმე ათონელების თანამედროვე, თავისი წმინდა ცხოვრებით გამორჩეული ბერი, რომელმაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კურთხევით ხმელთაშუა ზღვიდან თავისი ხელით ხმელეთზე გადმოასვენა ივერიის ღვთისმშობლის ხატი და დღემდე იქ ასვენია მართლმადიდებელი სამწყსოს განსამტკიცებლად.

*ანა ჩხეიძე*

# ვისაც ყური აქვს, ისმინოს...

ხუთშაბათს, წირვის დამთავრებისთანავე ქაშუეთის ტაძრის მრევლი საოცრების მოწმე გახდა — იესოს ჯვარცმის ხატიდან ზეთმა იწყო დენა. ზეთი ჯერ მაცხოვრის მარცხენა თვალიდან წამოვიდა, შემდეგ სისველე გაჩნდა მარჯვენა თვალსა და მუხლებზე. მლოცველები გაოცებულნი შესცქეროდნენ ღვთისგან მოვლენილ სასწაულს და სასულიერო პირთ სთხოვდნენ მის ახსნას. მამა ღვთისომ „კვირის პალიტრასთან" საუბრისას განაცხადა:

— ასეთი ფაქტები ხშირად ხდება ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ რაც ერთი საათის წინ ჩვენს ტაძარში მოხდა, იმითაა საოცარი და განსაკუთრებული, რომ ხალხმა საკუთარი თვალით დაინახა, როგორ წამოვიდა ზეთი იესოს თვალთაგან. ერთმა ბათუმელმა კაცმა, რომელიც ჯვარცმასთან ლოცულობდა, პირველმა იხილა ეს სასწაული. ამ დროს ტაძარში არ ვიყავი, ბათუმელი (მას სახელი და გვარი არ უთქვამს), რომელიც შორეული ნაოსნობის კაპიტანი აღმოჩნდა, დამელოდა, — საკუთარი თვალით ვიხილე საოცრებაო და ყველაფერი მიამბო.

**— რის გამო გამოარჩია უფალმა უცნობი კაპიტანი და აჩვენა ასეთი სასწაული?**

— ეკლესიაში მისული ადამიანი, რომელიც ლოცულობს და ხატს ევედრება, უკვე გამორჩეულია. კაპიტანმა მითხრა, — არაერთხელ დავრჩენილვარ შუა ზღვაში ღვთის ამარა და უფალს ყოველთვის უშველიაო. ასეთი რწმენის მქონე ადამიანი, გამორჩეულია და აკი მოხდა მის თვალწინ საოცრება.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სასწაულია, მაგრამ სასწაულია მორწმუნეთათვის, ურწმუნოთათვის სასწაული არ არსებობს. ის ყველაფერს ბუნებრივ პროცესად მიიჩნევს და შესაძლოა ისიც თქვას, — ზეთი თქვენ წაუსვითო. მაგრამ სასწაულები ხდებოდა, ხდება და მომავალშიც აუცილებლად მოხდება.

**— ყოფილა შემთხვევები, რომ ხატიდან წამოსული ზეთი საკურნებლად გამოუყენებიათ, ამჯერადაც ასე ხომ არ იქნება?**

— მომხდარის შესახებ ჯერ კათალიკოს-პატრიარქისთვის არ გვიცნობებია, როგორ ლოცვა-კურთხევასაც მოგვცემს, ისე მოვიქცევით.

**— შარშან ტაძარში ხელთუქმნელი ხატის ანაბეჭდი მინაზე გადავიდა, წელს მეორე საოცრების მოწმენი ვართ — ჯვარცმიდან ზეთი წამოვიდა. როგორ უნდა ავხსნათ ის სასწაულები, რომელთაც უფალი გვიჩვენებს?**

— დღეს რთული, კომუნისტური იდეოლოგიის შემდგომი ეტაპია. ჩვენი საზოგადოება კიდევ ვერ გამოსულა იმ საშინელებიდან, რასაც ეს იდეოლოგია ნერგავდა. ეს, ეტყობა, ხელისუფლებასაც ძალიან უჭირს, თითქოს ეშინია ეკლესიის მხარეს დადგომა. ეკლესია პოლიტიკაში არ ერევა, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა არაქრისტიანულია — ხალხი შიმშილობს და ერთეულებმა დიდძალი ქონება ჩაიგდეს ხელში. ერთ კაცს ისე შეუძლია ჩაიდოს ჯიბეში საქართველოს ბიუჯეტი, რომ თვალი არ დაახამხამოს. იმიტომ, რომ ურწმუნოა და ღვთის შიში არ აქვს. როცა კაცს ღვთის შიში არა აქვს, აქ უნდა სამოთხე და სხვის ხარჯზე აშენებს თავის ბედნიერებას. ვერ ხედავთ, დღეს რამდენი ცხოვრობს სხვის უბედურებაზე აშენებული ბედნიერებით? უფალი გვაფრთხილებს, გვანიშნებს. უნდა ისწავლოს ჭკუა ზოგმა, ვინც სხვის კუთვნილს იპარავს და გააქვს ქვეყნიდან. ფრთხილად იყვნენ, შეიძლება ისე მოხდეს, დაგროვილი ქონების გამომყენებელი აღარავინ დაგვრჩეს. თუ მაინცდამაინც წაღება უნდათ, ის წაიღონ, რაც ეკუთვნით. და კიდევ, დიდი ეშმაკი შემოვიდა საქართველოში სატანური სექტების სახით. მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაიძირა მის ჭაობში. ამ სექტანტობას არ გვაპატიებს ქართველებს უფალი.



ჯვარცმის ხატიდან ზეთმა დაიწყო დენა

არ ვიცი, ვინ როგორ გაიგებს, ვინ რას იტყვის დღევანდელ სასწაულზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არის გაფრთხილება. დღეს სახარებაც განსაკუთრებული გახლდათ, მეორედ მოსვლის ჟამზე იყო ლაპარაკი, ტექსტი მთავრდებოდა სიტყვებით, — ვისაც ყური აქვს, ისმინოსო.

და მართლაც, ვისაც ყური აქვს, ისმინოს!..

*იზო რუკაძე*

# ლამაზი ფეიერვერკებით განათებული დღესასწაული

თუ ვინმე კიდევ იტყვის, რომ ქართველებმა გრანდიოზული შოუ-ფესტივალების მოწყობა არ ვიცითო, არ იქნება მართალი, რადგან 15-16 ივლისს, ძველი კინოსტუდიის ეზოში, ღია ცის ქვეშ მუსიკალურ-კინემატოგრაფიული ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა — კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ და ჯაზ-ბალეტ-შოუ „აქცენტის" ხელმძღვანელმა ლელა მაქაცარიამ თითქმის არაფრისგან შეძლეს იმის გაკეთება, რასაც დღევანდელ ქართულ რეალობაში დიდი ფინანსების გარეშე ძნელად თუ ვინმე მოახერხებს. ეს ყოველივე კი, როგორც ორგანიზატორებმა, ისე ფესტივალში მონაწილე მუსიკოს-შემსრულებლებმა მხოლოდ ურთიერთთანადგომითა და მეგობარ-ძმაკაცობით შეძლეს. რაც შეეხება ფესტივალზე წარმოდგენილ სტუდენტურ ფილმებს, მაყურებელმა და კომპეტენტურმა ჟიურიმ (რეზო ჩხეიძის, ოთარ შამათავას, ერეკლე ბადურაშვილის, ზურა ყიფშიძის, ლევან ზაქარეიშვილისა და მამუკა ბერიკას შემადგენლობით) საკმაოდ თბილად მიიღეს. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი კი, რომელსაც თან ერთვოდა ქართული ესტრადის ვარსკვლავთა კონცერტი, მეორე დღეს გაიმართა. შოუ-საღამოს წამყვანის როლი ამპლუა თვით ორგანიზატორმა ლევან ანჯაფარიძემ იკისრა და მშვენივრადაც გაართვა თავი. ფესტივალზე მეორე დღეს მოსულთა რაოდენობამ აშკარად გადააჭარბა მოწვეულთა და 25 ლარიანი ბილეთების მფლობელთა რაოდენობას, რის გამოც მათი გარკვეული ნაწილი სხვადასხვაგვარი ტკბილეულით და სასმელებით გაწყობილი მშვენიერი მაგიდების მიღმა აღმოჩნდა. კონცერტის პირველი განყოფილების შემდეგ გაიმართა ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოება. კინოხელოვნებაში შეტანილი ღვაწლისათვის პრიზით დაჯილდოვდა რეზო ჩხეიძე. საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის პრიზი გადაეცა ქეთი მიქიაშვილს. მაყურებელთა სიმპათიის პრიზი დაიმსახურა გიორგი ხვადაგიანმა ფილმისთვის „დედა". საუკეთესო მსახიობად სავსებით სამართლიანად მიიჩნიეს მამუკა ლორია გიორგი ხარებავას ფილმში „უნამუსო" განსახიერებული როლისთვის. საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევრად აღიარეს ხათუნა გიორგობიანის ფილმი „მხოლოდ ერთი წუთი". ხოლო ფესტივალის გრან-პრი ასევე სამართლიანად დაიმსახურა მაია არჩვაძემ ფილმისათვის „ნეტა აღარ ინვიმოს".

ლამაზი ფეიერვერკებით განათებული დღესასწაული, რომელიც ბოლოს დისკოთეკაში გადაიზარდა, გვიან ღამემდე გაგრძელდა. ბახუსმიღებულ ესტრადის ვარსკვლავთა მხიარულება და „ტანციმანცი" ყოველგვარი ექსცესის გარეშე წარიმართა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფესტივალის ჟიურიმ საუკეთესო მსახიობისთვის განკუთვნილი პრიზი ერთხმად მიანიჭა მსახიობ მამუკა ლორიას. ჩვენ მივულოცეთ წარმატება ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობს და რამდენიმე კითხვით მივმართეთ. დასანანია, რომ ქაღალდზე სრულად ვერ ხერხდება იმის გადატანა, რაზეც მამუკა საკმაოდ საინტერესოდ და ჩვეული იუმორით საუბრობს.

**— რატომ აირჩიე მსახიობობა, მამათქვენის, ბატონი აბესალომის გავლენით ხომ არა?**

— ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ადვილი მეგონა. ვფიქრობდი, რა სჯობს მსახიობობას, მღერიან, თამაშობენ, ქეიფობენ, დროს ატარებენ და ა.შ. ვერანაირ სირთულეს მაშინ ვერ ვხედავდი... რაც შეეხება მამაჩემს, მას არ უნდოდა, რომ მსახიობი გამოვსულიყავი, რადგან ეს გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული — ან გამოვა შენგან რამე, ან არა. ყოველთვის თავისი მაგალითი მოჰყავდა, — მე პოლიტექნიკური მაქვს დამთავრებული და თუ შენი ბედი იქნება, ხელოვნებაში მაინც მოხვდებიო... ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე და გავხდი მსახიობი. მამაჩემი მხოლოდ მისაღები გამოცდების დროს დამეხმარა, რომ არ დავეჩაგრე ვინმეს. მას მერე უკვე თვითონვე ვწევ ჭაპანს.

**— მიუხედავად იმისა, რომ შენ უკვე ბევრ სატელევიზიო დადგმაში და ფილმში ხარ გადაღებული, ალბათ პოპულარობა მაინც რეკლამებმა მოგიტანა.**

— კი, ასეა. ქუჩაში „მაგთი ჯიესემს" მეძახიან ხოლმე, ზოგი „რეკლამას" მეძახის, ზოგი, უბრალოდ, ხელს მიიტანს ყურთან, ვითომ ყურმილი უკავია და გაიცინებს.

**— რამდენს გიხდიან „ჯესმ"-ის რეკლამაში?**

— ოო... ეს საიდუმლოა.

**— მაინც... კმაყოფილი ხარ?**

— გმადლობთ, კარგად (იცინის).

**— როგორც ვიცი, ფილმ „უნამუსოს" გადაღებისას კუჭის ოპერაცია ახალი გაკეთებული გქონდა და მოგიწია ძალიან ბევრი ხინკლის ჭამა...**

— ნუღა მკითხავ! დიდხანს ხინკლის დანახვა კი არა, გაგონებაც აღარ მინდოდა, ისეთ დღეში ჩავვარდი... გიორგიმ (ფილმის რეჟისორი) რატომღაც მოინდომა, რომ რეპეტიციებზეც მეჭამა. ეს ყველაფერი ორი საათის განმავლობაში ხდება, რეპეტიციები და — მაშინვე გადაღებები... პირველ რეპეტიციაზე ათი ხინკალი შევჭამე, მეორეზეც — ათი, მესამეზე უკვე — ხუთი, ახლა გადაღებაზე კიდევ და... ფილმს რომ ვუყურებ, არ იგრძნობა, მაგრამ, სინამდვილეში ისე იყო, რომ უკვე ველარ ვყლაპავდი. ყელგამოწეული ვეხვეწებოდი გიორგის, — ნუ გამწირავ, ბიჭო, შემიცოდე, იქნებ კიდევ სადმე დაგჭირდე-მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბოლოს, ისე მოხდა, რომ მანქანაში ჩამდეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და ასე მიმიტანეს შინ.

**— პრობლემები ბევრი გაქვს?**

— აუჰ, ეს რა გამახსენე, შენ რა გითხარი... ერთ ანეკდოტს გეტყვი. გურული მოსეირნობს ღიღინ-ღიღინით, გახარებულია, ყველას კოცნის, ყველას ეფერება, მოკლედ, ძალიან კარგ გუნებაზეა. ამ დროს შეხვდა ერთი ამხანაგი, რომელიც ეკითხება: როგორა ხარ, ძამაო... აუჰ, ეს რა გამახსენე, ბიჭო, ეგ რამ გათქმევინაო (როგორც ჩანს, ბატონი მამუკა ყურადღებით კითხულობს „კვირის პალიტრის" გვერდს „სადღე-გრძელოდ", — მ.ხ.).

**— რა გიყვარს ცხოვრებაში ყველაზე მეტად?**

— კაი ცხოვრება.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ოჯახის შემდეგ — კაი ფილმები, კაი მანქანები... ფული არ მიყვარს, მაგრამ ძალიან მჭირდება და რაც მეტი იქნება, უკეთესია (იცინის). ძალიან მიყვარს ჩემი შრომის დაფასება. პატარა ბავშვივით მიხარია, როცა მეუბნებიან, რომ კარგად ვითამაშე.

**— თუ არსებობს რაიმე კრიტერიუმი ან ზღვარი, რომელსაც შენ არ გადააბიჯებ, დიდი ჰონორარის მიუხედავად?**

— რა თქმა უნდა. მაგალითად, სადისტურ ფილმებში რა თანხაც არ უნდა შემომთავაზონ, არ ვითამაშებ...

**— ეროტიკულში?**

— ოო... ანაზღაურებას გააჩნია... ახლა ტან-ფეხიც არა მაქვს ისეთი, რომ ვინმე გადავრიიო და გააჩნია, რამდენს შემომთავაზებენ (იცინის)...

*მამუკა ხუციშვილი*

ახალი რუბრიკა

## უკომენტაროდ...

ფოტო გიორგი აბდალაძისა



## ვულოცავთ!

ჩვენი გაზეთის „საბაღდო-სადაღო" გვერდის რედაქტორმა მამუკა ხუციშვილმა თბილისში, ზემოთ აღნიშნულ ახლახან ჩატარებულ მუსიკალურ-კინემატოგრაფიულ ფესტივალზე „ღია ცის ქვეშ" საუკეთესო რეჟისორული დებიუტისთვის (მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გოი") ფესტივალის დიპლომი და მაყურებლის აღიარება დაიმსახურა. დიდი აღიარების საწინდარი ყოფილიყოს ეს პირველი გამარჯვება.

„კვირის პალიტრა"



# „ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოქკავშირს ჩამოერთვას სოცინტერნის წევრის სტატუსი"

„მოქალაქეთა კავშირს ეგონა, არჩევნების შემდეგ ერთი-ორი თვე ვიფხაჭუნებდით, მერე კი დავიშლებოდით და სახლებში წავიდოდით, მაგრამ ნურას უკაცრავად. ლეიბორისტული პარტია დანებებას არ აპირებს", — აცხადებს ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი, რომელიც არც თვითონ მიდის შინ (პენსიაზე წასვლის დრო ჯერ არ აქვს), არც დანარჩენებს უშვებს და არც მწარე ხვედრს (პარლამენტს გარეთ დარჩენას) ეგუება. „ჩვენ ვიბრძოლებთ მანამ, სანამ ქვეყანა ამ მავნე ძალისგან არ განიწმინდება", — არ ცხრება სუპერლეიბორისტი და მოქკავშირს ხან სტრასბურგში უჩივის, ხან ეუთოსა და ხანაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ამ ცოტა ხნის წინ კი ლეიბორისტთა რისხვის ხმა სოცინტერნსაც (სოციალისტური ინტერნაციონალი — მემარცხენე პარტიათა საერთაშორისო ორგანიზაცია) მისწვდა. სოცინტერნში მისი პრეზიდენტის ანტონიო გუტერეს, გენერალური მდივნის ლუის აიალას და ამ ორგანიზაციაში გაწევრებული პარტიების ლიდერთა სახელზე გაგზავნილ წერილში საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელიც ასევე სოცინტერნის ერთ-ერთი წევრია, რბილად რომ ვთქვათ, ძირფესვიანად არის მოთხრილი. ეს წერილი ევროპულ, დელიკატურ ენაზეა დაწერილი, თორემ „ქართულად" დედის გინებას ნიშნავსო, — გამოგვიტყდა ნათელაშვილი. წერილის შინაარსი დაახლოებით ასეთია:

„საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. დანგრეულია ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მილიონად უგულებელყოფილია მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიები... მმართველმა ელიტამ შეჭამა და არამიზნობრივად გამოიყენა მილიონიანი კრედიტები, რომლებიც მათი ოჯახის წევრებს მოხმარდათ... სოციალური მდგომარეობით განამხედრული მოსახლეობა თავის პროტესტს ქუჩის აქციებით გამოხატავს... მოსახლეობა დაყოფილია უმდიდრეს (2-3%) და უღარიბეს (85-90%) ფენებად. მათ შორის უფსკრული კი ყოველდღიურად იზრდება... პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ეჭვმიტანილია 100 მილიონი ამერიკული დოლარის კრედიტის არამიზნობრივ გაფლანგვასა და არასწორ საბანკო ოპერაციებში... მოქალაქეთა კავშირი დისკრედიტაციას უწევს სოციალისტურ ინტერნაციონალს..."

აღნიშნული წერილი დაახლოებით 70 სუბიექტს გაეგზავნა და როგორც ნათელაშვილმა გვითხრა, ფაქსით 3 დღის მანძილზე გზავნიდნენ, ხოლო თუ რა მიზანი დადეს საფუძვლად ამ ოპერაციას, თავად ლეიბორისტთა ლიდერი **შალვა ნათელაშვილი** გვიამბობს:

— — ვერ ხედავთ, რა მდგომარეობაშია და როგორ ილუპება ქვეყანა? ეს წერილი მიმართულია სწორედ იქითკენ, რომ მოქალაქეთა კავშირი, როგორც პოლიტიკური ძალა, მოვაცილოთ ხელისუფლებას, ანუ წერილის მიზანია, მოხდეს მოქალაქეთა კავშირის დისკრედიტაცია საერთაშორისო არენაზე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოქალაქეთა კავშირს ჩამოერთვას „სოცინტერნის" წევრის სტატუსი.



**— დავუშვათ, განიხილა სოცინტერნმა თქვენი წერილი და მართლაც დაისვა იქიდან მოქალაქეთა კავშირის გარიცხვის საკითხი. ამ შემთხვევაში, რას კარგავს საქართველოს მმართველი პარტია?**

— რას და, იმ საერთაშორისო ფაქტორს, რომელზედაც დღეს დგას, ანუ დაკარგავს ერთადერთ დასაყრდენს — საერთაშორისო მხარდაჭერას (მოსახლეობის მხარდაჭერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია). მოქალაქეთა კავშირი ყოველთვის ამ საერთაშორისო ფაქტორით აშინებდა თავის ხალხს, იგებდა არჩევნებს და ჩქმალავდა დანაშაულებებს. ამ სერიოზულ ადვოკატურას რომ დაკარგავს, მერე აქ უკვე ჩვენ მოვუვლით და სათანადო ადგილს მივუჩენთ.

**— გგონიათ, რომ „სოცინტერნი" თქვენს სიტყვაზე მართლა გარიცხავს მოქკავშირს?**

— ჩვენს სიტყვაზე კი არა, ობიექტური გარემოებების გამო გარიცხავს. ის პრინციპები, რაც ჩამოყალიბებულია სოცინტერნის ფრანკფურტის დეკლარაციაში, ფეხქვეშ არის გათელილი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიერ. გადახედეთ ერთი, როგორ ვართ სოციალურად თანასწორი, როცა მოქალაქეთა კავშირის ზოგიერთ წევრს მილიონი უდევს საბანკო ანგარიშზე და რამდენიმე ათეული მილიონი კიდევ სიდედრის „ნიფხავში" აქვს გადამალული.

**— იქნებ დააკონკრეტოთ, ვის გულისხმობთ?**

— რაღა მე უნდა გითხრათ?! ნახეთ ქონებრივი დეკლარაციები — საკმაოდ შემზარავი ციფრებია იქ მითითებული. თანაც, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ყველაფერს არ დაწერდნენ. გარდა ამისა, დარღვეულია ფრანკფურტის დეკლარაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი — შე მამაცხონებულო, თუ მემარცხენე ხარ და წევრდები „სოცინტერნში", რომელიც იღვწის ადამიანთა სოციალური თანასწორუფლებიანობის და სოციალური დაცვისთვის, აბა, რატომღა აკანონებ ბატონყმობას და რატომ შედიხარ ევროსაბჭოს მემარჯვენე ფრაქციაში? ასეთი რამ ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ, საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ ან სხვამ რომ გააკეთოს, მათი „დუხი" აღარ იქნება სოციალისტურ ინტერნაციონალში.

**— აბა, მოქალაქეთა კავშირს რატომ არ რიცხავენ, მათი ხათრი აქვთ?**

— რა ვიცი, ალბათ ხათრი აქვთ. ძმაკაცობით არიან გაწევრებულები და ალბათ იმავე ძმაკაცობის გამო ვერ რიცხავენ.

**— რა ძმაკაცობას გულისხმობთ?**

— რა და გადაგვაყოლა, კაცო, შევარდნაძემ ბერლინის კედლისა და საბჭოთა კავშირის დანგრევას. არადა, ვინ დაანგრია, რა დაანგრია, არაფრის დანგრევის სურვილი მას არ ჰქონია — თავზე შემოენგრათ. ჰოდა, ერთი სიტყვით, ამ დამანგრევლის იმიჯი და მისი პროტექცია გადამწყვეტი აღმოჩნდა „სოცინტერნში". ამ საკითხზე ჯერ კიდევ 3 წლის წინ ავტეხეთ განგაში. ჩავედი ლონდონში და პირადად შევხვდი ლუის აიალას. მაშინ ჩვენ გვქონდა სერიოზული საუბარი ამის თაობაზე. ლუის აიალამ ყურადღებით მოგვისმინა და პირდაპირ გვითხრა, ედუარდ შევარდნაძეს პატივს ვცემ, მან მოხოვა და იმიტომ მივიღეთ. მერე გვიამბო ისტორია, როგორ გაიცნო ბატონი ედუარდი. ეს მომხდარა მოსკოვის პუტჩის დღეებში, როდესაც რუსეთში ГКЧП შეიქმნა, ლუის აიალა ინკოგნიტოდ ჩასულა მოსკოვში და მაშინვე დაკავშირებია შევარდნაძეს იმ მიზნით, რომ ერთად შეემუშავებინათ ტაქტიკა, როგორ დაემხოთ ГКЧП. შევარდნაძეს მაშინ მისთვის დიდი დახმარება გაუწევია. აი, ეს ისტორია აკავშირებთ მათ ერთმანეთთან. ასე გაწევრდა მოქალაქეთა კავშირი ისეთ ორგანიზაციაში, სადაც მისი ადგილი არ არის.

**— ე.ი. ლუის აიალა ვალში იყო შევარდნაძესთან და ამით ვალი გაისტუმრა?**

— ასე გამოდის. ლუის აიალა ჩილელია და ეტყობა, ხასიათით ქართულ ხასიათთან ახლოსაა, ძმაკაცობა-ძმობილობის მხრივ. იცით, რაშია საქმე? დასასჯელი უნდა დაისაჯოს. ჩვენი ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გათავისუფლდეს მოქალაქეთა კავშირისგან. არ გგონოთ, რომ შურისძიება და ბოღმა გვამოძრავებს. რომ იცოდეთ, მოქალაქეთა კავშირის თითოეულ წევრისთვის სიკეთე მემეტება. უბრალოდ, მებრალებიან იმიტომ, რომ თუ ასე გააგრძელეს, თავიანთ პოლიტიკურ კარიერას სახრჩობელაზე დაამთავრებენ.

**— იმედი გაქვთ, რომ თქვენს წერილს შედეგი მოჰყვება?**

— ჩვენს წერილს უკვე გამოეხმაურა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, გერმანიის ბუნდესტაგმა მიიღო დადგენილება საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ თაობაზე. სატელეფონო ზარები იყო ფინეთის სოციალ-დემოკრატებისგანაც. ასე უცებ პასუხს ვერ გაგვცემენ, ჯერ სიტუაციას სწავლობენ, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქმე დაიძრა. პირობას გაძლევთ, რომ სოცინტერნი გაიწმინდება ისეთი შეპარული და მავნე ძალისგან, როგორიც არის მისი მადისკრედიტირებელი მოქალაქეთა კავშირი. თორემ, სოცინტერნის წევრობა იქით იყოს და, მოქალაქეთა კავშირის ხელში გადარჩენა არ გვინერია. როგორც ქვეყნის შიგნით აქვთ მაგათ ორიენტაცია დაკარგული, ისე აქვთ დაკარგული ორიენტაცია საერთაშორისო არენაზეც. სხვათა შორის, ჩვენ მიერ მიწერილ წერილში სერიოზულ შენიშვნაა ლუის აიალას მისამართით, რომ უღირს პარტიას არ უნდა დაანგაგიანებინონ მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია.

**— იმ წერილში 100 მილიონ დოლარზეც არის საუბარი. რას აბრალებთ ზურაბ ჟვანიას?**

— ვაბრალებთ კი არა, არსებობს ოფიციალური დოკუმენტი „მწვანეების" ბეჭდით. იმ დროს კი „მწვანეების" თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გახლდათ. ბეჭდის გამოყენების უფლებაც მხოლოდ მას ჰქონდა. ეს ცნობილი ფაქტია — დვალიშვილის დროს ეროვნული ბანკიდან გამოტანილ იქნა კრედიტი 102 მილიარდი რუსული რუბლი ანუ 100 მილიონი დოლარი, რომელიც კაცმა არ იცის, სად წავიდა. უბედურება ის არის, რომ ეს საქმე არ გამოიძიეს და არ გაარკვიეს, ეს კაცი დამნაშავე იყო თუ — არა. ამიტომაც არის, რომ ეს საკითხი მუდმივად ეჭვის ქვეშ დგას. თუ მართალია, რატომ არ გამოიძიეს? — ე.ი. ყველაფერი მთლად სუფთად არ არის.

**— ე.ი. მოქკავშირთან ბრძოლას აგრძელებთ?**

— რას ამბობთ, მოქალაქეთა კავშირთან ბრძოლა — ეს ჩვენი ეროვნული მოვალეობაა. პოლიტიკურ ომს ჯერ მხოლოდ ახლა ვიწყებთ.

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთ ლიდერს **გია ბარამიძეს:**

**— რამდენად შესაძლებელია, რომ ნათელაშვილის წერილის საფუძველზე მოქალაქეთა კავშირი მართლა გარიცხონ სოცინტერნიდან?**

— ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. ტყუილებისა და სისულელეების გამო არავინ არავის რიცხავს, მით უმეტეს ისეთი სერიოზული ორგანიზაცია, როგორიც სოცინტერნია. იქ გაწევრება ასე იოლად არ ხდება, რომ მერე ვილაცების ინტრიგებზე დაყრდნობით გამორიცხონ.

**— სხვათა შორის, ნათელაშვილი იმასაც ამბობს, რომ სოცინტერნში გაწევრება შევარდნაძის ძმაკაცური კავშირების საფუძველზე მოხდა.**

— დიახ, შევარდნაძის, ჟვანიას და სხვათა ძმაკაცობის და კაიკაცობის საფუძველზე მივიღეთ. იცით რა, ნათელაშვილი არის პოლიტიკურად მკვდარი ფიგურა, ერთი პროვინციელი პოლიტიკოსი, რომელიც სხვისი ლანძღვით ცდილობს საკუთარი თავის რეკლამირებას და იმიჯის შექმნას.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# „მინისტრი, რომლის თანამშრომელსაც სხვა უწყება ათავისუფლებს, თავად უნდა გადადგეს"

პრეზიდენტის ბრძანებულებით შემნილი ანტიკორუფციული სამსახურის სამუშაო პროგრამაზე მომუშავე „შესაძინზავი შვიდეული" გასულ კვირას ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის მთავარ საბჭოს შეხვდა. სხდომაზე ანტიკორუფციულ პროგრამაზე მსჯელობის გარდა მმართველი პარტიის საპარლამენტო ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა კონტროლის პალატის უფლებების გაფართოებაზე ისაუბრა. ეს მოულოდნელი არავისთვის ყოფილა.

როგორც ცნობილია, კონტროლის პალატა თავადვე მუშაობს საკუთარი უწყების კანონპროექტის შექმნაზე, რომლის თანახმადაც, მას არა მარტო კონტროლი და ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი დანაშაულის გამომზეურება, არამედ კონკრეტულ პირთა თანამდებობიდან დათხოვნის უფლება მიეცემა. თუმცა, კონტროლის პალატა „ვერაფერს დააკლებს" მინისტრებსა და პრეზიდენტის მიერ დანიშნულ პირებს.

მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის პალატას დღეს ყველაზე ნაკლებკორუმპირებული ორგანოს სახელი აქვს (რაც მისი ყოფილი და ახლანდელი ხელმძღვანელების დამსახურება უფროა და არა თავად სისტემისა), საუბარმა მისი უფლებების გაზრდის შესახებ საზოგადოებაში ერთგვარი ეჭვი წარმოშვა, ხომ არ იქცევა იგი უკანონო შემოსავლის განახლებულ წყაროდ. მით უმეტეს, რომ საბჭოური პერიოდის სახალხო კონტროლი ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ორგანოდ შემორჩა კომუნისტური ეპოქის საზოგადოების მეხსიერებას (ამ უკანასკნელსაც დაახლოებით იგივე უფლებები ჰქონდა, თუ მეტი არა).

ანტიკორუფციული სამსახურის შემქმნელი შვიდეულის ერთ-ერთი წევრი, დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ ანტიკორუფციული ჯგუფი სულ მალე წარმოადგენს პროგრამას, თუ როგორ უნდა განახორციელონ ამა თუ იმ უწყებების საბიუჯეტო კონტროლი და კორუფციასთან ბრძოლა.

„ის, რაც სააკაშვილმა ბრძანა, ჩემი აზრით, არა მგონია ამ სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალი იყოს, რადგან ამა თუ იმ უწყების უფლების გაზრდა, სხვა უწყების უფლების შეკვეცას და, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობის შემცირებას იწვევს. თუ ეს ასე განხორციელდა, ის პირები, ვისაც ევალებათ ამა თუ იმ ჩინოვნიკის გათავისუფლება, პასუხისმგებლობის გარეშე რჩებიან".

თუმცა, უსუფაშვილი მილიანად იზიარებს იმ განწყობას, რის გამოც სააკაშვილს ასეთი განცხადების გაკეთება დასჭირდა. როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, სამწუხაროდ, საკუთარ საქმიანობაში კვლავ კარგად გრძნობენ თავს ის პირები, ვისაც კონტროლის პალატა კორუფციაში ადანაშაულებს.

იმის გამო, რომ მოქკავშირის იდეა — გაიზარდოს კონტროლის პალატის უფლებები, — სააკაშვილმა გაახმოვანა, ეს ყოველივე უნებურად დაუკავშირდა პროკურატურის უფლება-მოვალეობების შეკვეცას. თუმცა, პროკურატურის იურიდიული უფლებები ნამდვილად არ ივიწყება, უბრალოდ ის პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. ეს შეიძლება ითქვას, „პოლიტიკური ამნისტიაა", მიაჩნია უსუფაშვილს, — მინისტრი, რომლის თანამშრომელსაც სხვა უწყება ათავისუფლებს იმ მოტივით, რომ ცუდად მუშაობს, თავად უნდა გადადგეს. ჩვენს ქვეყანაში მინისტრის გათავისუფლება ძალიან დიდ პრობლემადაა ქცეული, არადა, ყველა ქვეყანაში მინისტრები ყოველგვარი ტრაგედიების გარეშე მიდიან თანამდებობიდან.

ამ მოსაზრებათა კონტრარგუმენტად მოქკავშირს ის მოჰყავს, რომ კონტროლის პალატის უფლებების



გაზრდა დროებითი მოვლენაა (1 ან 2 წლით), თანაც მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა შემთხვევებში დააყენებს იგი კონკრეტული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხს, ხოლო შემდეგ ამ პიროვნების სასამართლოს საშუალებით შეუძლია თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს.

კანონპროექტი კონტროლის პალატის ორგანულ კანონში ცვლილებების შესახებ სექტემბერში თვეში შევა პარლამენტში. უცნობია, რა პოზიციას დაიჭერს უმცირესობა, მაგრამ უმრავლესობის მხრიდან ამ უწყების ფუნქციების გაზრდას წინააღმდეგობა ნამდვილად არ უნდა მოჰყვეს.

დაველოდოთ სექტემბერს, შემოდგომაზე შეიძლება კონტროლის პალატამ 1997 წელს ჩამორთმეული უფლება დაიბრუნოს.

***ნათია გოგსაძე***

# გაუგებრობათა სერია ქართველ და უცხოელ ბიზნეს-პარტნიორებს შორის გრძელდება

მოულოდნელობებით სავსე ქვეყანაში ცხოვრება რთულია, მაგრამ მოსაწყენი ნამდვილად არ არის. ეს შეიძლება ჩვენი ალოგიკური ყოფის ერთ დადებით შტრიხად მივიჩნიოთ.

ისე კი, ქვეყანაში გამეფებული წესები და უწესობები, პირველ რიგში, ჩვენ გვაზიანებს, შემდეგომ კი, არც სტუმრად ჩამოსულებს აკლებს ხელს.

სტუმრები მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობის გამო არ გვიხსენებია. საქმე ის არის, რომ საკუთარ ეროვნული მსჯელობის შემდგომ, ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც მივედით იმ დასკვნამდე, რომ თუ გვინდა ქვეყანა, წარმოება უნდა გვქონდეს. ეს სიკეთე კი რამდენიმე წლის წინ, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

მრეწველობის მკვდრეთით აღდგენას ფული სჭირდება. ფული კი (თეთრი და ლეგალური) არც მაშინ და არც ახლა საქართველოში არ მოგვეპოვება. შავ ფულს კი წარმოებაში (თანაც, დიდს) იოლად ვერ დააბანდებ! ერთადერთი შორი გზა ოფშორულ ზონაზე გადის და შინ მშვიდობით მისასვლელად ამგვარი სიარულს ცოტა თუ ახერხებს. ჰოდა, ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა, ქართული მრეწველობის საშველად, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა გადავწყვიტეთ.

ხუმრობა იქით იყოს და, ჩვენმა იუმორის მოტრფიალე პრეზიდენტმაც კი მთელი სერიოზულობით განაცხადა, ხსნის გზა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაშიაო, ხოლო უცხოურ კაპიტალს, მოგეხსენებათ, სტაბილური გარემო უყვარს... მოკლედ, ინვესტორები საქართველოთი დაინტერესდნენ!

თავიდან ყველაფერი ნანატრივით აეწყო, მაგრამ მალე იმ ფაქტორებმა იჩინა თავი, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, ანუ... ქართულ-უცხოურ გაუგებრობათა სერია ჩვენს მიწაზე დაიწყო!

კარგი ღვინო ვის არ უყვარს! კახეთი კი ამ საოცარი სითხის დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის. ეს, ეტყობა, ამერიკელი მეღვინეების ყურამდეც მივიდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ამერიკულმა კომპანიამ კახეთში ღვინის მარანი შეისყიდა და მის კეთილმოწყობასაც შეუდგა. ის იყო, უცხოელებმა სავარაუდო მოგების რაოდენობაზე დაიწყეს ფიქრი, რომ ერთ მათთვის არამშვენიერ დღეს ახალი გადაწყვეტილება ამცნეს — ვიმსჯელეთ და ქარხანა კოლექტივმა უნდა შეისყიდოს, თქვენ კი ჯანდაბამდის, გნებავთ, ამერიკამდის გზა გქონიათო!

პირდაპირული ინვესტორების ქართული გაუგებრობიდან ამერიკულმა ორგანიზაციამ — ინვესტიციათა დაცვის საბჭომ გამოარკვია. საბჭომ მთელი დაყინებით მოითხოვა ქონების მართვის სამინისტროსაგან ინვესტორთათვის კომპენსაციის გამოყოფა. მიიღეს თუ არა ამერიკელებმა ეს თანხა მთლიანად, ვერ დავადგინეთ, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, მათ საქართველოსკენ არც კი გამოუხედავთ.

ბიზნეს-კურიოზების ვერც აგარის შაქრის კომბინატი ასცდა. აგარაში ინვესტიცია უკრაინელებმა განახორციელეს. მათ და ქართველ პარტნიორებს აქცია თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, ანუ საოცნებო საკონტროლო პაკეტს არც ერთ მხარე არ ფლობდა. არადა, ძნელია ცდუნებას გაუძლო. ორმოცდაათ პროცენტს ულავოდ ორმოცდათერთმეტი სჯობს, ამისთვის კი ზოგჯერ აკრძალული ილეთის გამოყენებაც ღირს.

(გაგრძელება გვ. 6)

# გვიამბობენ ზესტაფონში პატიმრობაში აყვანილი ელიავას თანმხლებნი...



ზესტაფონის შემთხვევიდან ძალიან მალე ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობამ დაწვრილებით აღწერა ელიავამ და მისმა მხლებლებმა, თუ როგორ აიყვანეს მძევლად იმერეთის სამხარეო და ზესტაფონის პოლიციის უფროსები და იარაღი დაადეს ერთს კეფაზე და მეორეს — შუბლზე და ა.შ. მოკლედ, ძალოვნების მიერ აღწერილი მთელი ეს ეპოპეა საზოგადოებისთვის უკვე კარგადაა ცნობილი. მაგრამ უცნობი იყო ელიავას მხლებელთა — გადარჩენილ და დაპატიმრებულ პირთა ნაამბობი, რომლებიც მთელ ამ ამბავში უშუალოდ მონაწილეობდნენ.

პატიმრობაში მყოფ გია ზარქუას, ზურაბ გვაზავას და იოსებ (სოსო) სანაიას შეხვდა ქალბატონი ელენე თევდორაძე. უკვე იმის მიხედვით, თუ რა უამბეს მათ ქალბატონ ელენეს, შევეცდებით, აღვადგინოთ მთელი სურათი იმ ტრაგიკული დღისა. მათი ნაამბობი, არსებითად, ცვლის ძალოვნების მიერ მოვლენების აღწერას, განსაკუთრებით, მძევლების აყვანასთან დაკავშირებით და კიდევ რამდენიმე ჯერჯერობით პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს.

სამივეს თქმით, სენაკიდან ისინი წამოვიდნენ თბილისში, სადაც აკაკი ელიავას უნდა მოენახულებინა საავადმყოფოში მწოლი ქალიშვილი. ქალბატონი ელენე იმასაც აღნიშნავს, რომ მათი ნაამბობი, ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვევა.

მცხეთის ახლოს დარეკა ელიავას მობილურმა ტელეფონმა. ელიავამ უპასუხა. მხლებლები დაბეჯითებით ვერ ამბობენ, ვის ელაპარაკებოდა აკაკი ელიავა, მაგრამ საუბრიდან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ ეს იყო მისი ნათესავი, რადგან თავად კაკომ თქვა, — ნათესავს ველაპარაკეო. სხვათა შორის, ელიავას მობილური ტელეფონი ამოღებულია და ძნელი არ არის იმის დადგენა, თუ საიდან და ვინ რეკავდა. ეს ფარდას ახდიდა იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც ეხება ელიავას თბილისში ჩამოტყუებას და მერე ვიღაცის მიერ მის გაფრთხილებას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. რაც შეეხება თვით საუბარს, მათ მხოლოდ შემდეგი შინაარსის ტექსტი მოისმინეს, — კარგი, მაშინ შევეცდები, ხაშურში დავეწიო „მარშრუტკას“ და თუ ვერ ვნახე, მაშინ 5 საათისთვის სენაკის სადგურში დავხვდებიო. შემდეგ ბიჭებს უთხრა, — ჩემი ქალიშვილი საავადმყოფოდან გამოუწერიათ და სენაკში მიდის „მარშრუტკითო“. უკან გაბრუნება დააპირეს. საჭესთან ზარქუა იჯდა. რადგანაც ცალმხრივად მოძრაობის გზას ადგნენ, უკან მისაბრუნებლად ცოტათი გზის გაგრძელება მოუხდათ. სენაკისკენ მიმავლები ხშირად ჩერდებოდნენ გზაზე, რადგან ყველანი სიგარეტს ეწეოდნენ, ელიავას კი ინფარქტი ჰქონდა გადატანილი და მანქანაში მოწევას ერიდებოდნენ. რიკოთის უღელტეხილზე გაჩერდნენ სასადილოდ. ამის შემდეგ მოვლენები ამგვარად განვითარდა: ზესტაფონის შესასვლელთან ისინი პიკეტზე გააჩერეს. გადმოვიდნენ მანქანიდან. როგორც ყვებიან, უხეშად არავინ მოქცევიათ და არც არაფერი უბრძანებიათ. მხოლოდ შეეკითხნენ, — ვინ ხართ, რა ფორმა გაცვიათ, იარაღი საიდან გაქვთო. არანაირი დაუმორჩილებლობა და წინააღმდეგობის გაწევა არ დაუწყიათ, რადგან სიტუაცია მშვიდი იყო. აუხსნეს პოლიციას, ვინც იყვნენ. პრობლემა შეიქმნა იარაღთან დაკავშირებით. მოილაპარაკეს, რომ პოლიციის განყოფილებაში, პოლიციის უფროსთან გაარკვევდნენ საქმეს. ელიავა და მისი თანმხლებნი შეიყვანეს პოლიციის უფროსთან, ოლეგ ნაცვლიშვილთან. აქ გამოჰკითხეს — საიდან ჰქონდათ იარაღი და რამდენად კანონიერად ატარებდნენ.

როგორც სანაია ყვება, მას იარაღი არ ჰქონია. ელიავას ჰქონდა ორი — „კოლტი“ და „სტეჩკინი“. მან ყველას თვალწინ ამოიღო პისტოლეტები, „კოლტი“ სოსო სანაიას მისცა და უთხრა, — აჩვენე ნომერიო. სწორედ ეს მომენტი იყო კადრში დაფიქსირებული. როგორც ქალბატონი ელენე ბრძანებს, სანაიას ბრალად აქვს წაყენებული, თითქოს მისგან ამოიღეს იარაღი. თავად სანაია უარყოფს იარაღის ქონას. ამ საუბრის დროს გაიღო კარი და შემოვიდა სამხარეო პოლიციის უფროსი რუბენ ასანიძე (მას გვარით მხოლოდ გვაზავა იხსენიებს, დანარჩენები კი — როგორც გენერალს). გვაზავას თქმით, — მას თან ახლდა 25-მდე ავტომატით შეიარაღებული პოლიციელი. რუბენ ასანიძემ შემოსვლისთანავე ბრძანა — დაყარეთ იარაღიო. ამასობაში, პოლიციელებმა ავტომატები დაუმიზნეს ელიავას და მის მხლებლებს. ასეთ ვითარებაში ელიავამ კატეგორიულად თქვა უარი იარაღის დაყრაზე, მისმა მხლებლებმაც მოიმარჯვეს პისტოლეტები და პოლიციის ხელმძღვანელებს დაუმიზნეს. რუბენ ასანიძემ შეატყო, რომ სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა და პოლიციელებს უბრძანა, დაეტოვებინათ ოთახი. თვითონ კი ელიავას დაუწყო საუბარი. ამავე დროს სანაია და ზარქუა გაიყვანეს ოთახიდან, რადგან მათ იარაღი არ ჰქონდათ და მოათავსეს სხვადასხვა ოთახში. ისინი ამბობენ, რომ არც ერთი მხრიდან შეურაცხყოფა არ ყოფილა. ვსაუბრობდით მეგობრულად, ცხოვრებისეულ საკითხებზე, თითქმის ყველაფერზე, გარდა არსებული მდგომარეობისაო.

გვაზავა გვილავასთან ერთად დატოვეს ოთახში. გვაზავა ყვება: სადაც ჩვენ ვიყავით, იმ ოთახში ნაცვლიშვილს ტელეფონით არ უსაუბრია, მაგრამ კაბინეტის უკან იყო კიდევ ერთი ოთახი. იქ ხშირ-ხშირად შედიოდნენ ნაცვლიშვილი და ასანიძე. რას აკეთებდნენ, არ ვიცი. ისიც არ ვიცი, იქ ტელეფონი საერთოდ იყო თუ არა, სხვაგან კი ისინი არსად გასულანო.

როგორც ჩანს, ნაცვლიშვილი კახა თარგამაძეს იმ ოთახიდან ურეკავდა (ყოველ შემთხვევაში, კადრში ისე ჩანს, რომ ოლეგ ნაცვლიშვილი მინისტრს ესაუბრება და ეუბნება, — იყო პატარა ინციდენტი, მაგრამ ახლა დამშვიდდნენ და იარაღიც შეინახესო, სავარაუდოა, რომ იმ შემთხვევაზეა საუბარი, რომელიც რუბენ ასანიძის შემოსვლას მოჰყვა)...

კაბინეტში დაბრუნებულები კი აგრძელებენ მოლაპარაკებას სენაკის პოლიციის უფროსთან, თორნიკე საჯაიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის კრიმინალური პოლიციის უფროსთან მერაბ გერგაიასთან, რომელთა მისვლასაც ითხოვდა ელიავა, რათა მათი თანდასწრებით საბოლოოდ გარკვეულიყო სიტუაცია. ამაზე თანხმობა მიიღეს.

გვაზავას თქმით, ელიავა, გვილავა და გვაზავა თავის დროს უშიშროების თანამშრომლები იყვნენ, აქედან გამომდინარე, მათი იარაღი კანონიერად იყო გაფორმებული და პატრონებს შესაბამისი საბუთებიც თან ჰქონდათ. გვაზავამ აღიარა, — ორ წელიწადზე მეტია, რაც აღარ ვარ უშიშროების თანამშრომელი. აქედან გამომდინარე, დავარღვიე კანონი, რადგან იარაღი თავის დროზე არ ჩავაბარე, რაზეც მზად ვარ, პასუხი ვაგო. მაგრამ დანარჩენზე, რასაც გამოძიება მიყენებს ბრალად, — მძევლების აყვანა და ა.შ., ასეთი რამ არ ჩამიდენიაო.

კვლავ მივყვეთ გვაზავას ნაამბობს:

მოლაპარაკებებისა და გერგაიას ჩამოსვლის ლოდინში შეღამდა კიდეც. კენჭაძისა და სპეცდანიშნულების რაზმის ჩამოსვლასთან დაკავშირებით არაფერი იცოდნენ. ბოლოს, რუბენ ასანიძემ შესთავაზა მათ, მისი და ელიავას მანქანებით ერთად წასულიყვნენ სენაკში და იქ გაეგრძელებინათ ლაპარაკი იარაღის ჩაბარებაზე, რადგან, როგორც გვაზავა ამბობს, ზესტაფონში ელიავა ცოცხალი თავით არ ჩააბარებდა იარაღს. ამ წინადადების შემდეგ ელიავა, გვილავა და გვაზავა გამოიყვანეს ოთახიდან, დერეფანში მათ შეუერთდნენ სანაია და ზარქუა, რომლებიც ცოტა ხნით ადრე ერთ ოთახში შეიყვანეს და უთხრეს, — სენაკში მივდივართო. რუბენ ასანიძემ ასწავლა მათ, როგორ გასულიყვნენ და ჩამსხდარიყვნენ მანქანებში. იგივე გაუმეორა ელიავამაც, რადგან მისი მხლებლები მხოლოდ მის ნათქვამს დაემორჩილებოდნენ. მან ზარქუას მიაწოდა გასაღები, რადგან საჭესთან თავიდანვე ზარქუა იჯდა და უთხრა — ჩვენ (ელიავა, გვილავა, გვაზავა, — მ.გ.) წავალთ გენერლის მანქანით, რომ გზაში რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს, თქვენ კი იარაღი არ გაქვთ და მეორე მანქანით წამოხვალთო. შემდეგ თქვეს — ცენტრალურ გასასვლელთან ბევრი ჟურნალისტია თავმოყრილი და მათგან თავის ასარიდებლად ასანიძე, ელიავა და გვაზავა უკანა გასასვლელიდან გავლენ, სადაც ასანიძის მანქანა დგას, ხოლო სანაია და ზარქუა — ცენტრალური გასასვლელიდან, რადგან მათი ავტომობილი იქ დგასო.

სანაია ჰყვება, — როდესაც გამოვედით, ჟურნალისტები შემოგვეხვივნენ და ახლა ვნანობ, რომ ინტერვიუზე უარი ვუთხარიო. სანაიას ზარქუა მანქანაში დახვდა. გვერდით მიუჯდა და ატყდა კიდეც სროლა. როცა სროლის ხმა მიწყდა, ბრძანებაც გაისმა, — გადმოდით მანქანიდან და დაწექითო! ისინი დაემორჩილნენ ბრძანებას. მათ ბორკილები დაადეს ხელებზე...

რა ხდებოდა ამ დროს უკანა მხარეს? როგორც გვაზავა ჰყვება, ისინი მივიდნენ ასანიძის მანქანასთან. უკვე საკმაოდ ბნელოდა... ელიავამ უთხრა მას, უკან დამჯდარიყო. გვაზავამ უკანა კარი გამოაღო და დაინახა, რუბენ ასანიძე კი არ იჯდა, იწვა სავარძელზე. ამ დროს მოულოდნელად მას ყვრიმალში რაღაც საგანი (როგორც გვაზავა ვარაუდობს — იარაღის ტარი) ჩაარტყეს (ქალბატონი ელენე ამბობს, რომ მას მართლაც ეტყობოდა დანარტყამი) და ზევიდან დაეცა ასანიძეს ისე, რომ თავი მის ხელებთან მოხვდა და ატყდა კიდეც სროლა. ისე ელვისებურად განვითარდა მოვლენები, რომ გვაზავას არ გაუგონია, იყო თუ არა ბრძანება, იარაღი დაყარეთო. მას მხოლოდ სროლის დამთავრების შემდეგ ჩაესმა — გადმოდით მანქანიდან, დაყარეთ იარაღიო... გადმოვიდა და მიწაზე დაწვა. ხელბორკილი დაადეს და სამივე (გვაზავა, ზარქუა და სანაია) თბილისში წაიყვანეს. მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეიტყვეს, რომ ელიავა და გვილავა მოკლულები იყვნენ. გვაზავას არ დაუნახავს, როდის და როგორ მოკლეს ელიავა და გვილავა.

გავრცელებული ინფორმაციით, გვაზავას ხელყუმბარა ჰქონდა და მანქანაში ამოუვარდა კიდეც სროლის დროს, რასაც გვაზავა კატეგორიულად უარყოფს. ქალბატონ ელენე თევდორაძესთან საუბარში მან თქვა: „რომ მქონოდა, არ ავაფეთქებდი?! და საერთოდ, არ ყოფილა საამისო სიტუაცია...“

ზესტაფონის მოვლენების შემდგომ გაკეთებული კომენტარებიდან საინტერესო იყო ბატონ ასლან აბაშიძის ნათქვამი — ვინც სხვის თამაშს თამაშობს, იგი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებაო. ამასთან დაკავშირებით ქალბატონი ელენე ამბობს, — როცა ამბოხება მოხდა სამეგრელოში, მაშინ ბათუმში ვიყავი და მეორე დღეს შეხვედრა მქონდა ბატონ ასლან აბაშიძესთან, რომელმაც მაშინ ნახევრად მინიშნებით თქვა, რომ ელიავა მართვადი პიროვნებაა, ხოლო ვის მიერ, აღარ დაუზუსტებია. თუმცა კი თქვა, ეს ყველაფერი აჭარის წინააღმდეგაა გამიზნულიო.

ალბათ, ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ზესტაფონის ტრაგედია სრულად გაიშიფრება (თუკი საერთოდ გაიშიფრა). მანამდე კი უამრავი ეჭვი და პასუხგაუცემელი კითხვაა დაგროვილი, რომელთა შესახებაც საუბარი ალბათ კიდევ კარგა ხანს არ შეწყდება და ყოველთვის იქნება გამოყენებული პოლიტიკური ინტრიგებისთვის.

მანამდე კი კიდევ რამდენიმე დამაფიქრებელი ასპექტის წამოწევა შეიძლება შეკითხვის სახით: ლოგიკურია, რომ ელიავა თბილისში შეიარაღებული და თავისი სამხედრო ფორმით, მხლებლებთან ერთად, ასე თამამად, გარკვეული უსაფრთხოების გარანტიის გარეშე არ წამოვიდოდა. ვინ არის ის პირი, ვინც ასეთი გარანტია მისცა ელიავას? სავარაუდოა, რომ თუ ასეთი პირი არსებობს, იგი ხელისუფლების არცთუ ისე დაბალი ეშელონის წარმომადგენელი უნდა იყოს, რომელსაც ძალოვან სტრუქტურებზე ზემოქმედებაც ძალუძდა.

გარდა ამისა, გარკვეულ ეჭვს აღძრავს დამოუკიდებელი ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის განცხადება, რომ ელიავასა და გვილავას სხეულზე არსებული დაზიანებები, სისხლნაჟღენთები, სიცოცხლის დროინდელია. თუ ამას დავუმატებთ გვაზავას მონათხრობს, როგორ მოულოდნელად დაესხნენ თავს მანქანაში ჩასხდომისას და, რაც მთავარია, მას არ დაუნახავს, იმ სროლის დროს მოკლეს თუ არა ელიავა და გვილავა. ის დაემორჩილა ბრძანებას და პირქვე დაწვა. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ელიავას და გვილავას, ორივეს ზურგში აქვს ტყვიები მოხვედრილი, უკვე გარკვეული ეჭვები იბადება. თუმცა, სანამ გამოძიება თავის სიტყვას არ იტყვის (თუკი ობიექტური იქნება), ძნელია, კონკრეტულად რამის თქმა.

ხოლო რაც შეეხება ელიავას დაპატიმრებულ თანმხლებთ, ქალბატონი ელენე ამბობს, რომ გვაზავას საკითხში ჯერ კიდევ გასარკვევია რაღაცრაღაცა, ხოლო ზარქუას და სანაიას ამბავი, იმედი მაქვს, რომ მალე გადაწყდება და გაათავისუფლებენო.

***მამუკა გიორგაძე***

# გაუგებრობათა სერია ქართველ და უცხოელ ბიზნეს-პარტნიორებს შორის გრძელდება

***(დასაწყისი გვ. 5)***

ქართულმა მხარემ დამატებითი ემისია განახორციელა (ანუ დამატებითი აქციები გამოუშვა და თავად შეისყიდა) და ამ ბიზნეს-სამყაროში ცნობილი (მაგრამ აკრძალული) ხრიკით დაეუფლა საკონტროლო პაკეტს. თუმცა „წვალებამ“ არ გაამართლა! — დავა სასამართლოს დადგენილებით დასრულდა და ამ ვერდიქტმა პარტნიორები საწყის მდგომარეობაში დააბრუნა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უცხოელებიც სცოდავენ. ამ „ცოდვათა“ მსხვერპლი ჭიათურმანგანუმი გახდა და როგორც ჩანს, არაერთხელ! ჯერ იყო და, ამ საწარმოს პრივატიზირება რუსულმა კომპანიამ განახორციელა, რომელმაც მართვის უფლება მიიღო. ინვესტორმა უფლებები და მოვალეობები ერთმანეთში აურია და საქართველოს მთავრობამ სამართლიანად წაუყენა პრეტენზია სატენდერო პირობების შეუსრულებლობის შესახებ და ამგვარად დაემშვიდობა რუს პარტნიორებს. ხელმეორე ტენდერით უკვე ბედნაცვალი ჭიათურმანგანუმი ჩეხებს „მიათხოვეს“. საწარმოს აქაც არ გაუმართლა და ქართულ-ჩეხური დავა ორმხრივი ბრალდებებით საკმაო აზარტით მიმდინარეობს.

რაც შეეხება კაზრეთის მადნეულს, მოგეხსენებათ, ოქროს ციებ-ცხელებას თავისი სიმპტომები და კანონზომიერებები აქვს და მსოფლიო ტრაგედიებიც სწორედ ამ ლითონის გარშემო ტრიალებს. დავა კი მადნეულის კომბინატის გარშემო იმდენად დაიძაბა, რომ სავსებით შესაძლებელია, ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანას 100 მლნ დოლარამდე ჯარიმად დაუჯდეს. შვეიცარიული კომპანია „გლინკორის“, ავსტრალიური კომპანია „ბონისი-მაინინგის“ და ანონიმური ქართული მხარის ინტერესები ისეთ რთულ კომბინაციად მოგვევლინა, რომლის ამოხსნა არცთუ ისე ადვილია. მადნეულის საქმეში ერთდროულად რამდენიმე დავა მიმდინარეობს. ექსპერტთა ვარაუდით კი, როგორც გაუწყეთ, ვერდიქტი შეიძლება ჩვენთვის საზიანო გამოდგეს.

ახლა კი, რაც შეეხება დავას, რომელიც თამამად შეიძლება მოინათლოს წლის ბიზნეს-სკანდალად!

დავიწყოთ ბოლოდან! 21 ივლისს „ყაზბეგი-კასტელის“ პარტნიორთა კრებაზე გოგი თოფაძე გენერალური დირექტორის პოსტიდან გადადგა.

ამ მოთხოვნით ფრანგმა პარტნიორებმა მრეწველთა თავკაცს, ჯერ კიდევ მაისის პირველ რიცხვებში მიმართეს. ერთ-ერთი არგუმენტი კომპანიის გენერალური დირექტორის ბიზნეს-თანამდებობის საჯარო სამსახურთან შეუთავსებლობა გახლდათ (მოქმედი კანონმდებლობით, გოგი თოფაძეს გენერალური დირექტორის პოსტი პარლამენტში მოხვედრისთანავე უნდა დაეტოვებინა).

ყოველივე ამას წინ კარგად ცნობილი სკანდალი უძღოდა. პირველი პრეტენზია მაშინ გაჩნდა, როდესაც საბაჟო და საგადასახადო სამსახურებმა „ყაზბეგი-კასტელს“ უჩივლეს და 3 მლნ 600 ათასი აშშ დოლარის შესაბამისი თანხის გადახდა მოსთხოვეს. ქართულ-ფრანგული საწარმო საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდა 3 წლის მანძილზე, ე.წ. უცხოური ინვესტიციების ლიცენზიის შესაბამისად. ხსენებული ლიცენზია ფრანგულმა მხარემ ერთ-ერთ სასურველ პირობად მიიღო იმ ხელშეკრულების დადებისას, რომლის მიხედვითაც, ქართული მხარის წილობრივი მონაწილეობა დიდუბის ლუდის ქარხნით და „ლუდი ყაზბეგით“ განისაზღვრებოდა. 3 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ლიცენზია პროცესუალური დარღვევით იყო გაცემული. „ყაზბეგი-კასტელს“ ლიცენზია ჩამოართვეს. ასე იყო თუ ისე, შესაბამისმა სტრუქტურებმა საბაჟო და საგადასახადო შეღავათების „ყაზბეგი-კასტელზე“ გავრცელება არასწორად ცნეს და ხსენებული თანხა საწარმოს ვალად დააკისრეს. როგორც ფრანგული მხარის წარმომადგენელი ივა ხოხლოვი აღნიშნავს, შეღავათების არსებობა მათი დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ და ლიცენზიის „ვარგისიანობის“ შესახებ არაფერი უწყოდნენ.

ყოველივე კი შემდეგნაირად დაიწყო: როგორც გაუწყეთ, ქართულმა მხარემ ერთობლივი საქმის დასაწყებად ქალაქის ცენტრში მდებარე ლუდის ქარხანა და ლუდი „ყაზბეგი“ (საფირმო ნიშანი) „გაიღო“. ქარხანა, რომელიც ქონების მართვის სამინისტროს მიერ დაახლოებით 30.000 დოლარადაა შეფასებული, აუდიტორულმა ფირმამ TG BEGA 5 მლნ 400 ათას აშშ დოლარად შეაფასა. განსხვავება ერთი საწარმოს ამ ორ, მნიშვნელოვნად განსხვავებულ ტარიფს შორის მართლაც გასაოცარია. როგორც ბატონი გოგი თოფაძე აღნიშნავს, ეს სხვაობა იმ დანახარჯებმა გამოიწვია, რომელიც ქარხნის აღდგენას დასჭირდა.



პიერ კასტელი

ფრანგულმა მხარემ მთლიანობაში 33 მლნ აშშ დოლარი გაიღო — აქედან 13 მლნ საბრუნავი თანხის, დანარჩენი კი ტექნიკური აღჭურვილობის სახით.

პარალელურად, რუსთავში არსებული ლუდის ქარხანა 1998 წელს სააქციო საზოგადოება „ყაზბეგად“ გადაკეთდა (არ აგერიოთ „ყაზბეგი-კასტელში“). სააქციო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი ბატონი გოგი თოფაძე გახლდათ. თავად ქარხანა კი ასევე წარმატებით აწარმოებს ლუდ „ყაზბეგს“, რომელსაც ვერც სახელით, ვერც საფირმო ნიშნით და ვერც გემოთი ვერ გაარჩევთ „ყაზბეგი-კასტელში“ ჩამოსხმული ამავე სახელწოდების ლუდისაგან. რუსთავის ლუდის ქარხანა ახალი სახელწოდებით ს/ს „ყაზბეგი“ „ყაზბეგი-კასტელის“ სერიოზული კონკურენტი შეიქნა.

ბუნებრივია, ამ გარემოებამ პარტნიორებს შორის ვითარება დაძაბა.

ამასთან, გოგი თოფაძე ეჭვქვეშ აყენებს ფრანგული მხარის წილობრივი მონაწილეობის ოდენობას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 33 მლნ აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრებოდა.

შეურაცხყოფილმა ინვესტორებმა განხორციელებული კაპიტალდაბანდების შესაფასებლად მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი აუდიტორული ფირმა მოიწვიეს.

აუდიტორთა საბოლოო დასკვნის გამოტანამდე კი, სარჩელს საოლქო სასამართლოში უახლოეს დღეებში აღძრავენ. გოგი თოფაძე საფრანგეთში იჩივლებს, მორალური შეურაცხყოფისათვის კი საოლქო სასამართლოს მიმართავს.

დავას, ალბათ სასამართლო გადაწყვეტს. დაზარალებულად, ჯერჯერობით, „კასტელი ჯგუფის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პიერ კასტელი მოგვევლინა. თურმე 19 მლნ 800 ათასი აშშ დოლარი მან თავისი პირადი თანხიდან მისცა კომპანიას 8%-იან სესხად. სესხის დაფარვა 1999 წლის იანვარში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, პიერ კასტელს დღემდე ერთი ცენტიც არ მიუღია...

პიერ კასტელი, საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც ლიდერია მეღვინეობის დარგში და რომლის შემოსავალი 1999 წელს დაახლოებით 3 მლრდ 332 მლნ ლარს შეადგენდა, გულდაწყვეტილია, მაგრამ საქართველოში კომერციული საქმიანობის შეწყვეტას არ აპირებს. პირიქით, ის ახალ პროექტებზე ფიქრს განაგრძობს.

და კიდევ... „ყაზბეგი-კასტელმა“ გასულ წელს საქართველოს ბიუჯეტში 4,5 მლნ ლარი შეიტანა, ანუ ქართულ-ფრანგულმა თანამშრომლობამ შედეგი ნამდვილად გამოიღო. რაც შეეხება პრეტენზიებს, ალბათ სჯობს „საპატარძლოს“ ნაკლზე ქორწინებამდე იფიქროს კაცმა, თორემ ნაგვიანევი ეჭვები თავად წარმოშობს ეჭვს...

***მაია გაბუნია***

# „სასიამოვნოა, რომ რეიტინგით მარტო პრეზიდენტმა გამასწრო“

„კვირის პალიტრის“ რეიტინგის მიხედვით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია მკითხველის ყველაზე სასურველ მანდილოსან რესპონდენტად დასახელდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ედპ-ის ლიდერს შინ ვესტუმრეთ.

ინტერვიუ ქალბატონი ირინას ვაჟების ტრადიციული აკომპანემენტის თანხლებით არ წარმართულა. ამ ზაფხულს ისინი ბებიასა და ბაბუასთან ერთად სურამში ისვენებენ. საუბარი შორეული თემებიდან დავიწყეთ:



**— ედპ-ს და თქვენ ძალიან ცუდად გიხსენებენ იმ ფაქტს, როცა შევარდნაძე გადადგა და თქვენ მრავალათასიანი მიტინგი მოაწყვეთ მის დასაბრუნებლად. აქცია კი იმით დამთავრდა, რომ ხალხმა დაიჩოქა.**

— მაშინ ძალიან ვიაქტიურე, რომ შევარდნაძე არ გადამდგარიყო. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, რომ ასე უნდა გამეკეთებინა. დღესაც რომ გადაწყვიტოს შევარდნაძემ ამ ნაბიჯის გადადგმა, ზუსტად ისევე მოვიქცევი. არ შეიძლება ჩვენი მდგომარეობის ქვეყნისთვის არჩევნების გარეშე ხელისუფლების წყვეტა. არ ვამბობ, რომ შევარდნაძე იდეალური ვარიანტია, მაგრამ ციკლი (მმართველობის) ბოლომდე უნდა მივიდეს. რაც შეეხება დაჩოქებას, მაშინ ხალხმა თქვა, — დავსხდებით, არ წავალთო. ვისაც ეეჭვება, მოსინჯოს, როგორ ჩაჯდება ისე, რომ მუხლი ან ფეხი მიწაზე არ მოუხვდეს. ჩვენ გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგაც მოვაწყვეთ მჯდომარე აქცია და მგონი, არავის მოსვლია აზრად ეთქვა, რომ მას დავუჩოქეთ. თუ ვინმემ იმელის შენობა და ეკლესია ერთმანეთისაგან ვერ გაარჩია, დაიჩოქა და პირჯვარი გადაისახა, ეს არც ჩემი პრობლემაა და არც იმ ხალხისა, რომელიც იქ სხვა მიზნით იყო მისული. ეს ვერსია რომელიღაც გაზეთში დაიბეჭდა, მერე პრეზიდენტმა გაიმეორა რუსეთის ტელევიზიასთან ინტერვიუს დროს. იმ დღესვე, მიუხედავად იმისა, რომ ვიცე-პრემიერი ვიყავი, გავაკეთე განცხადება, პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს-მეთქი.

**— ედპ-ს საყვედურობენ, „ზვიადისტების“ დარბევას ლოიალურად ხვდებოდა და ზოგ შემთხვევაში ხელისუფლების რადიკალურ ნაბიჯს ამართლებდა კიდეცო.**

— ედპ-ს ყველა დარბევაზე საპროტესტო გამოსვლა ჰქონდა. მხოლოდ ერთხელ იყო, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეების საწინააღმდეგო განცხადება გავაკეთეთ. რომელ ქვეყანაში მომხდარა, რომ შეიარაღებული გზით მოსულ ხელისუფლებას მეორე დღესვე ტელევიზია დაეთმო დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის? ეს სერიოზულ დაპირისპირებებს გამოიწვევდა და ამის წინააღმდეგ გამოვედით და ეს იმიტომ არ გაგვიკეთებია, რომ „ზვიადისტების“ დანახვა არ შეგვეძლო.

**— ბოლო დროს, ხშირად ჩნდებით „რუსთავი-2“-ის ეთერში, კულუარებში ითქვა, რომ სარიშვილს ტრიბუნა ესაჭიროება და ამას კარგად ახერხებსო.**

— ყველა ტელევიზიას თავისი პოლიტიკა აქვს. დღესდღეობით ჩვენ ამ ტელეკომპანიასთან სასაყვედურო არ გვაქვს. „რუსთავი-2“ ჩემს კი არა, საკუთარ იმიჯზე მუშაობს. აქედან გამომდინარე, არიან ადამიანები, რომელთა გამოჩენა „რუსთავი-2“-ს უნდა თავის ეთერში. დადგება დრო, როცა მე გავქრები ამ ტელეკომპანიის ეთერიდან. არის თემები, როცა ერთი პოლიტიკოსის გამოჩენა მომგებიანია ტელევიზიისათვის. სხვა თემაზე — მეორე პოლიტიკოსს გამოიყვანს და ა.შ. არხით შესაძლოა ისეთი ადამიანიც გამოვიდეს, რომელიც არც იმიჯის და არც ვიზუალური თვალსაზრისით არაფერს აძლევს ტელევიზიას, მაგრამ სხვა მხრივ აკმაყოფილებდეს მას, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით.

ერთდროულად ერთსა და იმავე თემაზე სასაუბროდ რომ მიმიწვიოს რამდენიმე ტელეკომპანიამ, უთუოდ გავითვალისწინებ მათი მაყურებლის კატეგორიას და იქ მივალ, რომელიც უმჯობესი იქნება ჩემთვის.

**— ვის მიიჩნევდით დღესდღეობით ყველაზე გამოკვეთილ, პერსპექტიულ პოლიტიკოსად?**

— ასეთი კითხვის დასმას არც ერთი პოლიტიკოსისათვის არ გირჩევთ, იმიტომ, რომ ყველა თავის თავზე იფიქრებს, ამის თქმა მოერიდება, იტყვის სხვაზე და შემდეგ ძალიან დასწყდება გული. რა თქმა უნდა, არიან პერსპექტიულები, მათ შორის ჩემს თავსაც მოვიაზრებ, მაგრამ კონკურენტს არავინ ასახელებს, რეკლამას არ უკეთებს. პერსპექტიული პარტიაა მოქალაქეთა კავშირი, მიუხედავად იმისა, რამდენ ნაწილადაც არ უნდა გაიყოს. მმართველი პარტიის დაშლა მეტ-ნაკლებად კონკურენტულ გარემოს ქმნის და ეს ცუდი არ არის.

**— ქალბატონო ირინა, ზესტაფონში ძალოვნების მიერ ჩატარებულ ოპერაციას სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას უკეთებენ, თქვენი აზრი?**

— ძნელი დასაჯერებელია, რომ 4 კაცი სენაკიდან მცხეთაში საქეიფოდ ჩამოსულიყო. თუ ისინი დივერსიულ ოპერაციას გეგმავდნენ, გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ პისტოლეტებით შეიარაღებულნი. ფაქტია, რომ ორივე მოკლულს ზურგიდან აქვს ტყვია ნასროლი და ტელევიზიით ნაჩვენები კადრები არანაირად არ ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რასაც ჩვენი სამართალდამცავი უწყების ხელმძღვანელები ჰყვებიან. სხვა საქმეა, თუ მათ იმაზე მეტი იციან, რასაც ამბობენ, მაგრამ მეეჭვება. შს მინისტრი ნამდვილად არ გამოირჩევა მოთმინებით, საიდუმლოს შენახვისა და იმის უნარით, იმაზე მეტი იცოდეს, ვიდრე ლაპარაკობს. უფრო პირიქითაა, თარგამაძე იმაზე მეტს ლაპარაკობს, ვიდრე იცის. ელიავა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულიც რომ ყოფილიყო, თუ ამის შანსი არსებობდა, ოპერაცია უმსხვერპლოდ უნდა დამთავრებულიყო. უკნიდან ნასროლი ტყვიით რანაირად შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართალდამცავ უწყებებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ? როგორ შეიძლება თავდამსხმელს ტყვია ზურგში მოხვდეს და მკვლელი თავდამცავის მდგომარეობაში აღმოჩნდეს? რაც შეეხება საკითხს — დაგეგმილი იყო თუ არა ეს მკვლელობა — თავიდანვე დაგეგმილი კაკო ელიავას მოქმედებები იყო, ის დამოუკიდებლად არ მოქმედებდა. არ ვამბობ, რომ იდეურად იყო ვილაცის პატრონაჟის ქვეშ, მაგრამ მისთვის საკმარისი იყო ის თავისუფლება, რაც მისცეს. არ ვიცი, რატომ მოიცილეს თავიდან — ზედმეტი გახდა ვილაცისთვის, იმაზე მეტი იცოდა, რაც უნდა სცოდნოდა თუ სამართალდამცავი უწყების ხელმძღვანელებს სურდათ საკუთარი სკამების უფრო სანდოდ მიმაგრება თავიანთ თავზე, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას არ გადაჰყოლოდნენ. ფაქტია, მოხდა ისეთი რამ, რაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს.

> ჯიბეში თუ მხოლოდ 20 ლარი მიდევს, ეს ჩემთვის დიდი ფულია და, აქედან გამომდინარე, ვსაზღვრავ 1 ლარის ღირებულებას. თუ 200 მაქვს, ეს თანხაა დიდი და 20 ლარი _ ცოტა. არც ბევრი ფული მანებებს და არც უფულობა, იმიტომ, რომ არ მიჭირდება. პარლამენტარის ხელფასი თავისუფლად მყოფნიდა ბავშვების უზრუნველსაყოფად, პამპერსებსა და კვებაზე.

**— არის ისეთი ვერსიაც, თითქოს სამეგრელოს მოგლეჯა უნდათ საქართველოსაგან.**

— რაც მეტს ილაპარაკებენ ამ თემაზე, მით უფრო მეტი შანსი არსებობს იმისა, რომ რომელიმე მხარის პროვოცირება მოხდეს. ეს თემა თავისი არსით მეტად აბსურდულია და უკეთესია, რაც უფრო დელიკატურად ავუვლით გვერდს. როცა სამართალდამცავი უწყება თავად ქმნის პრობლემას და აცხადებს, მისი მოგვარება შემიძლიაო, არსებობს შანსი, რომ ის დაინტერესებულია რეგიონში დესტაბილიზაციის დაწყებით. ასეთ დამნაშავე თანამდებობის პირს არ უნდა დავეხმაროთ თავისი გეგმის განხორციელებაში და მის ანკესზე არ უნდა წამოვეგოთ. საჭიროა სიფრთხილე, რომ ხალხმა იმ თანამდებობის პირთა წისქვილზე არ დაასხას წყალი, რომლებიც, წესით, მომხდარის გამო უნდა დაისაჯონ.

**— ექსპერტიზის მომხრეები აცხადებენ, რომ საფრთხე ემუქრება პიროვნებას, რომელიც ელიავაზე უფრო გავლენიანია... რამდენად არის შესაძლებელი, რომ ეს პიროვნება შოთა კვირაია იყოს?**

— კვირაიას ელიავას არც შევადარებ. ელიავა იყო ჩვეულებრივი ქართველი; მას თურმე კრიმინალიც არ ჰქონია ჩადენილი. კვირაია კი არის სისხლის სამართლის დამნაშავე, ყოფილი თანამდებობის პირი, რომლის კისერზეც არის ბევრი სიცოცხლე. ის აგარაკზე კი არ უნდა ისვენებდეს, სასჯელს უნდა იხდიდეს. სხვა საქმეა, თუ ვინმეს სურს მისი თავიდან მოცილება. მის მკვლელს ექნება აბსოლუტურად სხვა მოტივაცია, ვიდრე ელიავას სიცოცხლის ხელმყოფს.

დღესდღეობით კვირაია არც ისე პოპულარულია, რომ მისმა სიტყვამ ვინმეზე იმოქმედოს. არ მგონია, კვირაია, თავისი ინფორმაციებით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს. თუ რამე იცოდა, აქამდე იტყოდა. მთლიანად გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება იყოს დაინტერესებული მისი თავიდან მოცილებით. შესაძლოა ვინმემ ეს თვითონ ხელისუფლებას გაუკეთოს. არ არის გამორიცხული, რომ იმავე მოტივაციით მოეკლათ კაკოც, რომ ამტყდარიყო წივილ-კივილი — ელიავა, პრეზიდენტმა მოკლაო. საბედნიეროდ, ეს თავიდანვე გამოირიცხა. ქვეყანაში რეალური დესტაბილიზაცია მხოლოდ მაშინ შეიქმნება, თუ პრეზიდენტის სკამი ვადაზე ადრე შეირყევა.

**— ელიავას სიკვდილმა თქვენსა და შს მინისტრს შორის დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა.**

— თარგამაძე არის სისხლის სამართლის დამნაშავე მინისტრი. კორუფციისა და განუკითხაობის კერა შს სამინისტროს ხელმძღვანელობაშია. თარგამაძეს ქუჩაში საშოვარზე ჰყავს გაშვებული სისტემის რიგითი თანამშრომლები, სამაგიეროდ, თვითონ ქერის ორმოში გრძნობს თავს. ჩვენ კარგად ვიცით, რამდენი რჩებათ შს რიგით თანამშრომლებს მოქალაქეებისგან წართმეული ფულიდან, ვის რამდენ პროცენტს უნაწილებენ. ყველა წყარო იერარქიით ზევით, პირველი პირისაკენ მიდის.

მომბეზრდა და დავიღალე ასეთი არასერიოზული თანამდებობის პირის რეპლიკების კომენტარისაგან. ადამიანს, რომელიც იარაღს ატარებს, სტაბილური თვისებები უნდა ჰქონდეს.



მით უმეტეს, ეს თვისება უნდა ჰქონდეს იმ პირს, რომელსაც აბარია ათიათასობით შეიარაღებული ადამიანი. არცთუ ისე სასაცილოა, თუ წარმოვიდგენთ, რამდენი სისულელე შეიძლება გააკეთოს ამ სტრუქტურამ.

შს მინისტრი ძალიან სერიოზული ფინანსისტი და ეკონომისტია. ის პატარა ბავშვივით ექცევა ფინანსთა მინისტრს (რომელიც ამ პოსტზე დანიშვნამ იმდენად დააბნია, ადამიანს აღარ ჰგავს) და შემოსავლების მინისტრს, იმიტომ, რომ თავად შესანიშნავად იცის თვლა, გადასახადების ამოღება იმგვარად, რომ დოკუმენტზე არაფერი ჩანდეს.

**— თარგამაძე თქვენ მიერ მოძიებულმა დოკუმენტურმა მასალამ ვერ შეაშინა და მას „კასანდრას“ კასეტებად ნათლავს. პროკურატურამაც არ აღიარა მისი ბრალეულობა.**

— ეტყობა, თარგამაძე ხშირად უყურებს ტელესერიალებს, რომ ასეთი დიდი გავლენის ქვეშ არის. ყველაფერს, რასაც მასზე ამბობენ, უთუოდ რომელიმე ტელესერიალს უკავშირებს. ბუნებრივია, ვინც რა იცის, მასთან ასოცირდება. კასეტებზე, რომლებიც პრეზიდენტს გადავეცით, ფიქსირდებოდა სახელები, გვარები და საუბრები. ეს მასალა ეხებოდა 3 თვის მანძილზე ერთი ფირმის მიერ წარმოებული სიგარეტის კონტრაბანდას, რამაც ბიუჯეტი 60 მილიონი ლარით დააზარალა. ამ ფირმის უკან შს მინისტრი იდგა. პროკურატურამ მოისმინა ეს კასეტები. დაიბარა ის ორი ადამიანი, რომელთა გვარები ჩანაწერში იყო დასახელებული და ჰკითხა, — მართლა თქვენზეა ლაპარაკიო? პროკურატურას წერილობით გადავეცით იმ მანქანების ნომრები, რომლითაც ხდებოდა კონტრაბანდის ტრანსპორტირება, მივუთითეთ კონკრეტული ადგილები,



საიდანაც შემოდიოდა ტვირთი, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. პროკურატურიდან სასაცილო პასუხი მივიღეთ, — თქვენ მიერ წარმოდგენილი ბრალდებები მთლიანობაში არ დასტურდებაო. სამართალდამცავი ორგანოები ერთმანეთზე მთლიანად ფლობენ ინფორმაციას. საკმარისია ერთმა უწყებამ მეორეზე თქვას რამე, რომ ის მეორეც ალაპარაკდება. ეს არის ჯადოსნური წრე, რომელსაც ვერც ერთი შემადგენელი კომპონენტი ვერ გაარღვევს. ეს წრე გარედან უნდა გაირღვეს, ან ტოტალური განთავისუფლების გზით ან რაღაც ახალი სამსახურის შექმნით, რომელიც ყველაზე ცუდი გამოსავალია. გაუგებარია ორი მონსტრის ფონზე (აქ არ ვგულისხმობ უშიშროებას, რადგანაც ეს სამსახური, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და შესაძლოა კულტურის სამინისტროს უფრო სერიოზული სტრუქტურები ჰქონდეს, ვიდრე უშიშროებას) რატომ იქმნება ახალი სამსახური? თუ გვყავს 40 წესიერი, მოუსყიდველი ადამიანი, რატომ არ გადანაწილდა ეს ხალხი კორუმპირებული სტრუქტურების ხელმძღვანელობაში? ამბობენ, ეს დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ანტიკორუფციული კომისიის დაფინანსებაში კი სხვა ქვეყანა გვეხმარებაო. საინტერესოა, რამდენად იქნება დაცული ეს სამსახური, რომ თვითონ არ გახდეს კორუფციის კერა და რა ტიპის კადრები იქნება შერჩეული.

**— რამდენად დიდია თარგამაძის „დამსახურება“ იმაში, რომ თქვენ არ მოხვდით ამ კომისიის შემადგენლობაში?**

— ჩემთვის საიდუმლო არ არის, რომ თარგამაძემ ამისთვის ბევრი იბრძოლა. მან საჯაროდ განაცხადა, — სარიშვილის მზე მე ჩავასვენე, ქართველი ხალხი მე უნდა მიმადლოდეს, რომ ედპ პარლამენტში არ მოხვდაო. ნებისმიერ ქვეყანაში ამ განცხადებას უდიდესი სკანდალი მოჰყვებოდა. შს მინისტრი აცხადებს, რომ მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური ორგანიზაციის პარლამენტს გარეთ დარჩენაში. ამას კითხულობს პრეზიდენტი. თუ არ კითხულობს, პრესმდივანი მაინც მოახსენებს, რას ზღაპრობს შს მინისტრი და ასეთი მინისტრი აგრძელებს მოღვაწეობას და სიცილს.

იმაში, ჩვენი პარტია 10 კაციანი ფრაქციით რომ არ არის პარლამენტში, თარგამაძემ დიდი სამსახური გაგვიწია. არა მგონია, რომ ასეთი წარმომადგენლობით ჩვენ იქ რამე შეგვეცვალა.

**— დღესდღეობით დეპუტატის ხელფასი არ გაქვთ. გაგვიმხილეთ თქვენი შემოსავლის წყარო.**

— მე არც დეპუტატის ხელფასით მომიწყვია ცხოვრება. როცა არის საშუალება, მინიმალურ ხელფასს ვიღებ პარტიაში. საკმაოდ ბევრი ხარჯი მაქვს. არ ვმალავ, რომ მეხმარებიან ჩემი და გიას მეგობრები. მათი წყალობით არასოდეს მექნება საქმე ისე, რომ ფინანსურად ძალიან გამიჭირდეს. პოლიტიკოსისთვის არ არის კარგი, რომ ვინმესგან იყოს დავალებული. ჩემი მეგობრები დახმარების გამო ისეთ რამეს არ მთხოვენ, რომ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდე. მეგობრები მე სკამით არ შემიძენია, ისინი ბავშვობიდან არიან ჩემს გვერდით.

**— თვეში საშუალოდ რა თანხას ხარჯავთ?**

— ძალიან ცუდი ეკონომისტი ვარ და მართლაც ცუდ მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩნდე, თუ ფულის დათვლას არ ვისწავლი. ფულის მიმართ თავისებური დამოკიდებულება მაქვს. ჯიბეში თუ მხოლოდ 20 ლარი მიდევს, ეს ჩემთვის დიდი ფულია და, აქედან გამომდინარე, ვსაზღვრავ 1 ლარის ღირებულებას. თუ 200 მაქვს, ეს თანხაა დიდი და 20 ლარი — ცოტა. არც ბევრი ფული მაწუხებს და არც უფულობა, იმიტომ, რომ არ მიჩერდება. პარლამენტარის ხელფასი თავისუფლად მყოფნიდა ბავშვების უზრუნველსაყოფად, პამპერსებსა და კვებაზე.

ზღაპრებს რომ ჰყვებოდნენ ჩემზე „ნიანკები“ ჰყავს აყვანილიო, ტყუილია. იმიტომ კი არა, რომ საშუალება არა მაქვს. ერთხელ მოვიყვანე ძიძა. ის ადამიანი არაფერს აშავებდა, მაგრამ ოჯახში უცხო ვერ ვიგუე. როცა რაღაც არ მომწონდა, ვერ ვეუბნებოდი, მერიდებოდა, დედაჩემთან კი არ მერიდება. ბავშვები ახლაც ჩემს მშობლებთან ერთად არიან ჩუმათელეთში.

**— რამდენიმე წლის წინ ინტერვიუში მითხარით, ქალისთვის იდეალური მდგომარეობაა, როცა გვერდით ძლიერი ადამიანი ჰყავსო. დღეს თქვენ მარტო ხართ?**

— გვერდით ორი ძალიან ძლიერი ადამიანი მყავს ჩემი ბიჭების სახით. შეიძლება მესამეც მყავდეს. მე მაქვს ჩვეულებრივი ოჯახი. ვთვლი, რომ მყავს ქმარი (გიას ვგულისხმობ). არ მაქვს ამის დეფიციტი. ჩემი ოჯახი ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე შეიძლება უკეთ იყოს, იმიტომ, რომ ყურადღების ცენტრში ვარ და ადამიანისათვის ეს გარკვეული შვებაა. ჩემი ბიჭები იმდენად ცელქები არიან, კედლებზე ადიან. მაშინ ვისვენებ, როცა ისინი დასასვენებლად მიმყავს. მათ ნიჭიერებაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, რადგან პატარები არიან, თუმც ლაპარაკის ნიჭი ორივეს აქვს.

ძალიან სასიამოვნოა, რომ „კვირის პალიტრის“ მკითხველის ყველაზე სასურველი მანდილოსანი რესპონდენტი ვარ და, საერთო ჯამში, მარტო პრეზიდენტმა გამასწრო.

***იზო რიკაძე***

# გრანდიოზული დასაქმება, ანუ ოპერაცია „სამუშაო ნორვეგიაში“

შარშან, „კვირის პალიტრის“ ივლისის ერთ-ერთ ნომერში, გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით — „სადღეისო იაღლიშები, ანუ ვინ შეჭამა ჩემი ფული“, რომელიც ეხებოდა საზღვარგარეთ მუშაობის მსურველებსა და მათ „გადამგდებ“ ფირმებს. თემის აქტუალობაში სატელეფონო ზარებმაც დაგვარწმუნა. ამას გარდა, პუბლიკაციაში „ინკოგნიტოდ“ დასახელებული იყო ერთი ორგანიზაცია, რომელიც ნორვეგიაში ქართველთა „გრანდიოზულ“ დასაქმებას აპირებდა. წერილი ასე მთავრდებოდა: „რადგანაც ეშმაკს არ სძინავს, ჩვენც ამ ორგანიზაციას მერე გაგაცნობთ, როცა უახლოეს მომავალში შეასრულებს დანაპირებს და უმუშევარ ქართველებს საზღვარგარეთ სამუშაო ადგილით დააკმაყოფილებს“.



თურმე, ეშმაკს მართლაც არ ეძინა!

ერთი წელი ურმის მძიმე თვალივით ჭრიალ-ჭრიალით შემოტრიალდა. ნორვეგიაში წამსვლელები კი დღესაც საქართველოში არიან, ოღონდ, შარშანდელთან შედარებით გაცილებით დამძიმებული ყოფითა და განცდებით. „გრანდიოზული დასაქმების“ ორგანიზატორი პროკურატურისთვის საკმაოდ ცნობილი თაღლითი — მრავალშვილიანი მარიამ ძაძამიძე გახლავთ. „მოღვაწეობის“ დაწყებამდე იგი ძაძამიას გვარისა ყოფილა, მაგრამ მერე რატომღაც მეგრული დაბოლოება „ძე“-თი შეუცვლია და აქტიურად ჩაბმულა „საზოგადოებრივი ცხოვრების“ ორომტრიალში. მარიამ ძაძამიძის თაოსნობით შეიქმნა მრავალშვილიან დედათა და ბავშვთა დაცვის ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლდათ. ასოციაციაში გასაწევრებლად მრავალშვილიან დედებს 5 ლარი (საწევროს სახით) უნდა გადაეხადათ, რათა შემდგომ საქართველოში შემოსული ჰუმანიტარული დახმარებებიდან მათაც რგებოდათ რაიმე; მაგრამ ნურას უკაცრავად, 30 გამოკითხულიდან არც ერთ დედას არ შეხვედრია არც შაქრის ფხვნილი, არც პურის ფქვილი და არც სხვა სასურსათო ნაწარმი, რომელიც ოდესმე შემოსულა ჩვენს დედაქალაქში. ახლა, დაიანგარიშეთ, 5-ჯერ 30 რამდენია? საქმეში ჩაუხედავს, ირონიულად გაეღიმება: 150 ლარი, განა რა თანხაა, რომ ამის გულისთვის „პრეზიდენტმა“ სახელი გაიტეხოსო?! 30-მდე დედას პირადად მე ვესაუბრე, ასოციაციაში კი დაახლოებით 5.000-მდე მრავალშვილიანი დედა ერთიანდება. ახლა კი თქვენთვის მომინდია „სასაცილო“ 5 ლარის 5.000-ზე გადამრავლება. ძაძამიძე (თურმე!) ერთ საქმეზე არასოდეს ჩერდება. იგი რამდენიმე „მსხვილ თევზზე“ ერთდროულად ანკესობს. ასე რომ, ზემოთ დასახელებული ასოციაციის პრეზიდენტობასთან ერთად შეჭირვებული თანამემამულეების „მხარში ამოდგომა“ და „ხელის გამართვაც“ გადაწყვიტა. ასე დაიწყო ოპერაცია „სამუშაო ნორვეგიაში“. 1999 წლის იანვრიდან ხალხის ნაკადი არ შეწყვეტილა შრომის სასახლესთან, რომლის მეორე სართული მარიამ ძაძამიძის ოფისს ეჭირა. ხუმრობა ხომ არ იყო, იმისთანა პირობებს სთავაზობდნენ სამუშაოს დანატრებულ ხალხს: ნორვეგიის წითელი ჯვრის საზოგადოება, ხსნის არმია და მაშველთა კორპუსი(?) დახმარებას დაგვპირდა, იქაურებმა იციან ჩვენი უკიდურესი მდგომარეობა, 200-300 სამუშაო ადგილს გვთავაზობენ სოფლის მეურნეობაში, თევზის გადამამუშავებელ და ნახევარფაბრიკატების კომბინატებშიო!

იურისტების მომსახურებისთვის თითო კაცისაგან 20$ არის საჭირო, ამ საქმის თავმობმისათვის კი ორგანიზაციას 300 დოლარი ეკუთვნის, რაც სასაცილო თანხად მოგეჩვენებათ იმ ხელფასთან შედარებით, რაც ნორვეგიაში გელოდებათო! სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, 1.500-დან 3.000 დოლარამდე გექნებათ ანაზღაურებაო! — ყველას ერთნაირი იმედიანი სიტყვებით კვებავდა ქალბატონი მარიამი. ხომ იცით, ქართველი კაცის მენტალიტეტი, სადღეისოდ ბევრს გაიჭირვებს, რომ სამომავლოდ „ლხინს“ მისცეს თავი და შვილებსაც გაუიოლოს ცხოვრების გზა.

საიდან არ მოაწყდნენ მარიამ ძაძამიძეს ქართველები. საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მსურველებმა მანქანა გაყიდეს, ბინა დააგირავეს, ბანკში ოქროულობა ჩადეს, რომ საჭირო თანხა შეეკოწიწებინათ და ასე, ტანჯვა-ვაებით მოგროვილი ფული კაპიკ-კაპიკ (ამ შემთხვევაში ცენტ-ცენტად) ჩაუთვალეს მარიამ ძაძამიძეს. ოპერაცია „სამუშაო ნორვეგიაში“ გაჭიანურდა. მარიამ ძაძამიძესთან ერთად „გრანდიოზულ დასაქმებას“ კურირებდნენ ვინმე მურთაზ კლდიაშვილი და იმრი ბალაშვილი. ისინი, ძაძამიძის თანაშემწეების სტატუსით, „გარკვეული“ თანხით, ნორვეგიის საელჩოსთან „მოსალაპარაკებლად“ გაემგზავრნენ პეტერბურგში. „მოლაპარაკებამ“ დიდხანს გასტანა. საქმე, რა თქმა უნდა, არ გაკეთდა. „თანაშემწეები“ კი ჰორიზონტიდან გაქრნენ. აირ-დაირია სიტუაცია, ხალხი ჯერ დაიბნა, მერე გაბრაზდა და მთლად „მთავარს“ — მარიამ ძაძამიძეს მიეჭრა. წავიდა „საქმის გარჩევები“, მაგიდაზე მუშტების ბრახუნი, გულის წასვლები და მუქარაც, რის საპასუხოდ ძაძამიძემ საკმაოდ მშვიდი ტონით მიუგო იქ მყოფთ, — ჩემი დაჭერით და ჩივილით ვერც საქმეს გააკეთებთ და ვერც ფულს დაიბრუნებთო. ამ პასუხით კარგა ხანს გაჩუმდა ხალხი, მაგრამ წასვლის დღეც რომ არა და არ დადგა, კვლავ აჩოჩქოლდნენ. მარნეულელმა სვანებმა ულტიმატუმი წაუყენეს ძაძამიძეს, — ან სამ დღეში გაგვისტუმრებ, ან არადა სიცოცხლეს გამოეშმშვიდობეო. ქალბატონ მარიამს სულაც არ უნდოდა სიცოცხლესთან გამომშვიდობება, ამიტომაც დაჰპირდა: იმრი ბალაშვილს დავუკავშირდები და რახან პეტერბურგიდან ნორვეგიაში გადაყვანა ჯერჯერობით ჭირს, მურმანსკში დაგელოდებათ და იქედან წაგიყვანთ ოსლოშიო. წასულან სვანებიც. მურმანსკში იმათგან იმრი ბალაშვილს კიდევ 300-300$ დაუცინცლავს და კვლავ გამქრალა. მშიერ-მწყურვალი სვანები კი ბაბანა ყინვის დროს (იანვარ-თებერვალში) მატარებლის ვაგონებში ათენ-აღამებდნენ; იმედი რომ გაუქრათ, მერე ახლობლებისაგან ელოდნენ უკან დასაბრუნებელ თანხას და როგორც იქნა, დაბრუნდნენ თბილისში. აქ კი უკვე ყველას ერთად აევსო მოთმინების ფიალა და პროკურატურაშიც იჩივლეს. ასეა თუ ისე, სკანდალური ამბავი ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ ხალხი შიშობს, რომ მათ სასარგებლოდ მაინც ვერ გადაწყდება საქმე, რადგან ძაძამიძე რომც არ დაიჭირონ, მას კრედიტს აღარავინ მისცემს.

ოპერაცია „სამუშაო ნორვეგიაში“ მავანთათვის კრახით დამთავრდა. დღეს ამ საქმეს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ზაქრო წიკლაური იძიებს. დავინტერესდით გამოძიების პროცესით და ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ გამომძიებელს.

ზაქრო წიკლაური: ნორვეგიის ამბავთან დაკავშირებით 200-მდე დაზარალებული დავკითხე. უმცირესობამ მოახერხა და ფულის შეტანის დღიდან მალევე უკან გამოიტანა თანხა. 150 კაცს დასაბრუნებელი აქვს ფული, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ოდესმე დაიბრუნონ. რაც შეეხება მარიამ ძაძამიძეს, იგი ამ ოპერაციამდე თაღლითობისთვის რამდენჯერმე ყოფილა გასამართლებული. პირველად, 1983 წლის სექტემბერში, 1985 წელს კი ორჯერ.

**— საინტერესო ის არის, რომ ეს ქალბატონი ერთი თაღლითობისთვის სასჯელის მოხდას „ვერ ასწრებს“, რომ მეორე თაღლითობას სჩადის.**

— შეიძლება მას, როგორც 6 შვილის დედას, შინაპატიმრობას უფარდებდნენ, გარდა ამისა, მართლაც ავადმყოფი ქალია, 7 თუ 8 დაავადება აწუხებს. რაც შეეხება ამ ახალ თაღლითობას, ჩვენ მას ახალი კანონმდებლობით 180-ე მუხლით თაღლითობას (ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით) წარვუდგენთ. იმრი ბალაშვილი ხან მოსკოვშია და ხან პეტერბურგსა და მურმანსკში იმალება, მაგრამ როდემდე დაიმალება? რაც შეეხება მურთაზ კლდიაშვილს, იგი თბილისში იმყოფება. მაქვს ინფორმაცია, რომ იგი იელოველებთან მჭიდრო კავშირშია. ის ძაძამიძეს ახოცავს ხელებს, ძაძამიძე კი პირიქით და ასე გრძელდება დაუსრულებლივ, როგორც ეს თაღლითებს სჩვევიათ.

ძაძამიძის საქმე მალე სასამართლოს გადაეცემა. ვფიქრობ, ამჯერად მას ემუქრება 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მასთან ერთად სასჯელს ვერ გადაურჩებიან მისი მარჯვენა ხელი და ვაჟიშვილი გოგიტა, იმრი ბალაშვილი და მურთაზ კლდიაშვილი. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ვასახელებ კიდევ რამდენიმე პიროვნებას, რომელთაც ამ თაღლითობაში „ლომის წილი“ უდევთ.

**— დაზარალებულ ხალხს რა ეშველება?**

— საიმედოს ვერაფერს გეტყვით!

P.S. კიდევ მერამდენედ ტყუვდება ხალხი... ხალხი, რომელიც ამ ბედკრულ ცხოვრებაში წყალწაღებულის მსგავსად ხავსს ეჭიდება. ხავსი კი, მოგეხსენებათ, რა საიმედო საყრდენიცაა.

ჩვენი რჩევა იმედის მომცემი თუ არა, აუცილებლად გასათვალისწინებელია: სამომავლოდ, სანამ საზღვარგარეთ დასაქმებაში ფულს ჩადებდეთ, ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით, რადგან საზღვარგარეთ მუშაობის ლეგალიზაციის კანონი არ არსებობს.

როდემდე უნდა მოუთბოთ ხელი ძაძამიძისნაირ თაღლითებს?!

***მარინა ბაბუნაშვილი***

# რომელ ერთ გაჭირვებას უნდა გაუძლოს კახელმა კაცმა?!

კახელი გლეხი ოდითგანაა მიჩვეული ბუნების ჭირვეულობას, მაგრამ, როგორც აქაური მხცოვანნი ამბობენ, ისეთი გვალვა, წელს რომაა, არავის ახსოვს. მეოთხე თვეა, ნამი რა არის, ის არ ჩამოვარდნილა ციდან. მზეც თითქოს განსაკუთრებულად მცხუნვარეა, რადგან იქ, სადაც მორწყვის საშუალება არსებობს და მეურნე მკლავებდაკაპიწებული დღეცისმარე წყალში დგას, მაინც ვერაფერს შველის ჭირნახულს. გვალვისგან მიყენებულ ზარალს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ბოლო დროს ლამის მთლიანად ხანძარმა შთანთქას ბაღ-ვენახები. დღე არ გავა, გადაბუგული ვენახის თუ ხეხილის ბაღის ამბავი არ გავარდეს მეხივით. ასე მარტო წლის მოსავალს კი არ კარგავს მიწათმოქმედი, წლობით ემშვიდობება ოჯახის ერთადერთ მარჩენალს და გაჭირვებისგან ქანცგაწყვეტილი ახლა უკვე მორალურად ტყდება ხერხემალში. პანიკამდე ჯერ შორსაა, მაგრამ ყველაზე მძიმე ზამთრისთვის ახლავე იწყებენ ზრუნვას. როგორც ჩანს, წელს ყველაზე უფრო უპრეტენზიო მზესუმზირაც კი მცირე მოსავალს გამოიმეტებს. მარცვლეულის მოსავალზე თითქმის ხელი აქვთ ჩაქნეული, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ვენახებიც. თუ უახლოეს ერთ-ორ კვირაში წვიმა არ მოვიდა, ყურძენსაც გვარიანად გაუჭირდებაო, — ამბობენ მეზვრეები.



კახეთს კარგი დროც ახსოვს...

**იოსებ ბეგლარაშვილი** (გურჯაანი): ერთი ჩამოდი, შეხედე ჩემს ვენახს, შვილო. ისე მაქვს დაკვარკვარებული, ღერ ბალახსა და ერთ კენჭს ვერ იპოვი. შვიდჯერ შევწამლე, მარტო შაბითა და კირით, შხამი ახლოს არ გავაკარე, მეც ხო უნდა დავლიო ეს ღვინო, ორი შვილთაშვილი მყავს, ხუთი შვილიშვილი, ყურძენი ხომ უნდა ჭამონ, ძვალი რო გაუმაგრდეთ და ხო არ მოვწამლავ გოგო-ბიჭებს-მეთქი, — ვფიქრობდი, მაგრამ რად გინდა, გადაიხრუკა ზეზეურად ფოთოლი და გატრუსულია მტევანიც. ახლა იმასა ვფიქრობ, რო მოვკვდე, რით უნდა დამმარხონ შვილებმა, კაცო? შარშანდელიც ორიოდე შტოფიღა დამრჩა. ან კიდე, სტუმარია, მიმსვლელ-მომსვლელი, უამისოდ არც მკვდარი ვარგა და არც ცოცხალი...

ვეუბნებოდი ბიჭსა, ან საკლავი დავუკლათ, ან სალოცავში წავიდეთ. ე ბუნება იმისთვის ხო არ გვიწყრება, რო ბოლო დროს მაგისთვის ველარ ვიცლით-მეთქი.

შენ დაიჯერე, მაგის ბრალიც შეიძლება იყოს.“

იოსება პაპასნაირები ბევრია, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ ბუნება და ღმერთი ბოლომდე არ გასწირავს და ციდან წყალობას მოელის, მაგრამ ქვის გული უნდა გქონდეს, იმათ ტანჯვას და უიმედობას მშვიდად უყურო, ვისაც წლობით ნალოლიავები ვენახი ხანძარმა დაუბუგა.

**მურაზ ბილიაშვილი**: ატმის ბაღი და ვენახი ერთად მაქვს არხზემოთ. განა ბევრია, ორმოცი ძირი ატამია და ორი საჟენი ვენახი, მაგრამ ოჯახსა ყოფნის. შარშან ათასხუთასი ლარისა ყურძენი გავყიდე, ერთი ექვსასი ლარისა — ატამი. გოგო-ბიჭებს უყიდა დედაკაცმა რაც უნდოდათ, ტანზე და ფეხზე ჩასაცმელად. ფქვილიც და სხვა რამე აუცილებელიც, დავიმარაგე ზამთრისთვის და გადავაგორეთ ზამთარი.

ვფიქრობდი, წელსაც რამეს გამოვრჩებოდი მიწას. სუ წითლად ღუოდა ატამი უკვე. ჩავედი, უნდა დამეკრიფა და... მტერს არ ვუსურვებ, რაც მე განვიცადე. შინ აღარ მინდოდა წამოსვლა.

ეგრე ყველაფერი ჩვენ საწინააღმდეგოდ და სატანჯველად როგორ უნდა ხდებოდეს, ამის დედა ვატირე, ამისი“.

სტიქია კი ისევ მძვინვარებს. ღმერთმა ქნას, ბუნებამ, როგორც აქ ამბობენ, მალე „ნამი გამოიმეტოს“, მაგრამ... მრავალჭირვარამგადანახადი კახელები, უნდა ვიფიქროთ, რომ არც ახლა დაეცემიან სულიერად, არ გატყდება მათი ჯიუტი და შრომასთან ოდითგან წილნაყარი ბუნება. ცოტასაც მოითმენენ და მერე ალბათ ღმერთიც არ გაგვწირავს.

***ფირუზ ფურცელაძე***

# „ვისთან წვება ჩვენი ახალგაზრდობა ლოგინში?!“

## ელენე თევდორაძე პროსტიტუციის ლეგალიზაციის მომხრეა

ადრე აკრძალული, აწ უკვე თავის ნებაზე მიშვებული პროსტიტუცია დღეს ის პრობლემაა, რომელსაც საზოგადოება ვერსად გაექცევა და ადრე თუ გვიან მის დარეგულირებას მოითხოვს. დღესდღეობით პროსტიტუციის პრობლემასთან მიმართებაში საზოგადოება ორად არის გახლეჩილი. სანამ ჩვენი „ათასი პრობლემით გადაღლილი“ ხელისუფლება ამ საკითხის მოსაგვარებლად მოიცლიდეს, მეძავები ხშირად კრიმინალური სამყაროსა და ჩვენი ნაქებ, ზოგიერთი სამართალდამცავის ჯიბისა და სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მსხვერპლნი ხდებიან. პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ელენე თევდორაძეს მალე ალბათ მოქალაქეთა კიდევ ერთი, არცთუ ისე მცირერიცხოვანი ჯგუფის უფლებების დაცვა მოუწევს. გასულ კვირას მას ასამდე მეძავის სახელით განცხადება გადასცეს. განცხადებაში მეძავები განსაკუთრებით უჩივიან ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს:

„მოგახსენებთ, რომ მეძავად მუშაობის საკმაო სტაჟი მაქვს. რაც ამ წლების მანძილზე გადამხდა თავს, ენით აუწერელია. ერთხელ მქონდა ძალადობის შემთხვევა გლდანში, ცოცხალი ძლივს წამოვედი. პოლიციის თანამშრომლებმა, მიუხედავად ადგილმდებარეობის მინიშნებისა, მაინც ვერ შეძლეს მათი პოვნა და ეს ადამიანები დაუსჯელნი დარჩნენ. მათ ჩაიდინეს ძალადობა საშინელი სისასტიკით, გაუპატიურება, ცემა, სიტყვიერი შეურაცხყოფა და ა.შ.

რა ხდება დღეს — თბილისის ნებისმიერი რაიონის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ჩვენ მიმართ იჩენენ საშინელ აგრესიას. იყენებენ იარაღს და გვაიძულებენ, დავემორჩილოთ და შევასრულოთ მათი ნებისმიერი სურვილი. ყოველდღიურად გვართმევენ ფულს: ხუთ-ხუთ, ათ-ათ ლარს“.

მეძავი ნ.კ. ასახელებს ძალადობის კონკრეტულ ფაქტებს. მათ შორის (სახელს არ ვასახელებთ), მთაწმინდის პოლიციის განყოფილების ყოფილ თანამშრომელს. განსაკუთრებით უჩივიან წითელი ფერის „ფოლკსვაგენის“ მძღოლს, რომელიც თურმე უშიშროების თანამშრომლად ეცნობა „ღამის პეპლებს“. მეძავები მას მანიაკს ადარებენ: „ეს კაცი მანიაკს უფრო ჰგავს. არ დარჩენილა ქალაქში მეძავი, რომელიც მას არ უცემია. გარეგნობით პატარაა, ჩაფსკვნილი, დაახლოებით 35-40 წლის. იქნებ მოძებნოთ ეს კაცი და შეამოწმოთ მისი ფსიქიკური მდგომარეობა“, — აღნიშნულია განცხადებაში.



ფსიქოლოგ-ექსპერტების აზრით, ქალების ამ კატეგორიას არანორმალური ცხოვრების წესი ნერვულ ფსიქიკას უყალიბებს. ისინი თავიანთ „ბიზნესს“, ძირითადად, ოჯახისგან მალულად ეწევიან, მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, საქართველოში არის შემთხვევები, როცა ცოლების საქმიანობის შესახებ ქმრებმაც იციან. მათი შემოსავალი საშუალოდ 500 ლარამდე მერყეობს. მეძავთა ასაკი — 16-დან 60 წლამდეა. არადა, ძალადობის ფაქტები იმდენად ხშირია, რომ მეძავს, რომელიც გარეთ გამოდის, ცალი ფეხი სამარეში უდგას.

საჭიროა თუ არა მეძავთა, ანუ მაღალი რისკის ადამიანთა ლეგალიზაცია? ფსიქოლოგ ლელა კურდღელაშვილის განმარტებით, ლეგალიზაცია იძლევა დაავადებების სტატისტიკის, ამ ადამიანების მუშაობის ადგილის გაკონტროლებისა თუ პროფილაქტიკის საშუალებას.

ასეა თუ ისე, პრობლემა სახეზეა, ამას არც პარლამენტარი ელენე თევდორაძე უარყოფს, თუმცა მიაჩნია, რომ საზოგადოება პროსტიტუციის ლეგალიზაციის კანონის მისაღებად ჯერ კიდევ არ არის მზად.

**— ქალბატონო ელენე, განცხადებაში, რომელიც მეძავისგან მიიღეთ, ძალადობის კონკრეტული ფაქტებია აღწერილი. რას აპირებთ?**

— ქალაქის პოლიციის სამმართველოში ამ დღეებში აუცილებლად დაიდება ჩემი წერილი, რათა ის პირები მოინახოს და დაისაჯოს.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მათი უფლებების დაცვას?**

— რადგან სექსუალური უმცირესობებისა და პროსტიტუციის შესახებ კანონი არა გვაქვს, დახმარების გაწევა ძალიან ძნელია. თუმცა ამ საკითხზე პოლიციის ხელმძღვანელობას აუცილებლად შევხვდები და ვესაუბრები.

**— კანონის მიღება თქვენი, ანუ პარლამენტის გადასაწყვეტია. თუ საუბრობენ ამაზე პარლამენტში?**

— არა. მაგრამ რა არის, იცით? მე რომ დავაყენო საკითხი, — მოდით, კანონპროექტი პროსტიტუციის შესახებ მივიღოთ-მეთქი, საზოგადოება ამას საკმაოდ ძნელად გაიგებს. საზოგადოებრივი აზრი არ არის ჩამოყალიბებული. მე ვარ ხალხის არჩეული, ხომ? ამიტომ ჩემი კანონპროექტი ფართო საზოგადოების ინტერესებში უნდა შედიოდეს. არადა, ცხოვრება ჩვენ გვკარნახობს, რომ აუცილებლად გვჭირდება კანონი პროსტიტუციის შესახებ.

**— პარლამენტი ხალხის გაღიზიანებას ერიდება?**

— გაღიზიანებას არა, გაგებას. საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის, ეს დადებითია თუ უარყოფითი. სერიოზული სამუშაოა გასაკეთებელი, რათა საზოგადოება მიხვდეს, რომ ეს კანონი მისი შვილისთვის, მისი ქმრისთვის, მისი ძმისთვის და ა.შ. მიიღება.

**— არსებობს აზრი, რომ პროსტიტუციის ლეგალიზება მოზარდების გარყვნას გამოიწვევს...**

— მაშინ მე შეგეკითხებით — ეს პრობლემა არ არსებობს დღეს? არსებობს და ძალიან საშიშ ფორმებსაც იღებს. პრაქტიკულად, ამით ძალადობას ხელს ვაფარებთ, ვერ ვებრძვით. მეორე მხრივ, რამდენად დაცულია ჩვენი ახალგაზრდობა, რომელმაც არ იცის, მაპატიეთ, ვისთან წვება ლოგინში?! რა უფრო საშიშია?!

**— მაგრამ ფაქტია, რომ დღის წესრიგში საერთოდ არ დგას პარლამენტში ამ პრობლემის დარეგულირება. არადა თუნდაც იმ განცხადებაში, რომელიც თქვენ მიიღეთ, ერთდროულად სახეზე სამი დანაშაულია: გაუპატიურება, ფულის გამოძალვა და...**

— ბორდელები დღეს იატაკქვეშეთშია, თვალს ვხუჭავთ, მაგრამ ხომ არსებობს?

**— რაში ხედავთ გამოსავალს, როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა?**

— თუნდაც დღეს რომ ვსაუბრობთ და პრესაში გამოქვეყნდება, ეს უკვე მუშაობაა საზოგადოებასთან. თანდათან კიდევ რაღაცას მივაწვდით და საზოგადოება მიხვდება და მერე თვითონვე მეტყვის: რატომ არ აკეთებთ ამ კანონპროექტს?! თქვენ, ჟურნალისტები, ხშირად წერთ: საზოგადოება თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ხელისუფლება — თავისითო. ეს უფსკრული არა მხოლოდ ხელფასებით უნდა შეივსოს, არამედ ურთიერთგაგებითაც.

***მარინა მამისაშვილი***

# Су-ები თბილისის ცაში

## ანუ ვინ რისთვის იყენებს საბრძოლო თვითმფრინავებს

საქართველო უკვე დაემსგავსა იმ უიმედო კაცს, რომელსაც ბედნიერი მომავლის იმედი თითქმის გადაუწურავს და კორუფციის, მექრთამეობის თუ არაკაცობის ჭაობი ნთქავს...

ასეთ კრიტიკულ დროს სულ მცირე ნათელიც კი შეიძლება მთელი ქვეყნისთვის იმ ჭაობიდან ამოსვლის ერთადერთ იმედად იქცეს.

ის ფაქტიც, რომ თბილისის საავიაციო ქარხანა წვალებით, მაგრამ მაინც აგრძელებს მუშაობას და, მით უმეტეს, საზღვარგარეთის შეკვეთებს ასრულებს, არც ისე ცოტას ნიშნავს.

კონგოში გაყიდულ ოთხ მოიერიშე Су -25-ზე „კვირის პალიტრა“ უკვე წერდა. ჩვენი მკითხველისთვის არც ის არის უცნობი, რომ ამ ქარხანაში თავისი 46 მოიერიშე თვითმფრინავის კაპიტალური შეკეთების დიდი სურვილი გამოთქვა თავის დროზე თურქმენეთმა.

მიუხედავად იმისა, რომ თვეების (თუ არა წლის) განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ხელს არ უწყობდა (თუ პირიქით, ხელს უშლიდა), პირველი 6 გარემონტებული Су-25 შარშან თურქმენეთში დაბრუნდა. რემონტის ხარისხით შემკვეთი სავსებით კმაყოფილი დარჩა.

თუმცა, რად გინდათ, გარემონტებული თვითმფრინავების საფასური ქარხანას დღემდე არ მიუღია.

მოკლე ისტორიული ექსკურსი: თითოეული გარემონტებული Су თურქმენეთს დაახლოებით 1მლნ აშშ დოლარი უჯდებოდა. თუმცა, თურქმენბაშს, საქართველოს პრეზიდენტისა არ იყოს, ზედმეტი ფული არ აქვს. სამაგიეროდ, თავად საქართველოს თავისი „ჭკვიანი“ მთავრობების გამოისობით, თურქმენეთის მილიონობით ვალი დაუგროვდა. შეთანხმების მიხედვით, ქართული მხარე 46 მლნ ვალს უბრუნებდა თურქმენებს, რომელიც იმავე დღეს თბილისში გადმოირიცხებოდა თვითმფრინავების შეკეთების საფასურად.

ერთი შეხედვით არცთუ რთულ საფინანსო ოპერაციას ჩვენმა მთავრობამ ვერ (ან არ) მოაბა თავი. სამაგიეროდ, 6 შეკეთებული მოიერიშე თურქმენეთში დარჩა

2000 წლის დასაწყისში, უკვე ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა თბილისის საავიაციო ქარხანას მისცა გარანტია, რომ აღლო შეკვეთა დამატებით 18 თვითმფრინავის შეკეთებაზე და ყველა საფინანსო ოპერაციას თავად კისრულობდა.



თურქმენული Су-25 საცდელ აფრენამდე

თუმცა, უკვე მეშვიდე თვე გადის და ამ პრობლემას არაფერი ეშველა.

თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ფინანსთა სამინისტროს ახალი, „სეკვესტრირებული“ მინისტრი ჰყავს, რომლის კაბინეტიდან მოშიმშილეები არ „მოჩანს“ და ცაში მფრენი, ქართველების მიერ გაკეთებული თვითმფრინავები როგორღა გამოჩნდება?

არადა, თურქმენეთმა მეორე პარტია — კიდევ ექვსი მოიერიშე ჩამოიტანა შესაკეთებლად.

19 ივლისს მათგან პირველმა (საერთო ანგარიშით მეშვიდემ) შეკეთებულმა Су-25-მა განახორციელა საცდელი ფრენები.

„კვირის პალიტრა“ საგანგებოდ დაესწრო ამ ფრენებს. ამდენი, ერთმანეთზე უარესი ამბის კორიანტელში, ძალზე სასიამოვნოა, როდესაც უცხო ქვეყნის პილოტი, ფრენების დასრულებისთანავე, აღტაცებას ვერ დამალავს და ქართველი თვითმფრინავთმშენებლების ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს ფრიადზე შეაფასებს.

საცდელი გაფრენა განხორციელდა ველიდან (საავიაციო ქარხნის აეროდრომი) — წალკა-ცხინვალი-ბაკურიანი-ველის მარშრუტით სხვადასხვა სიმაღლეზე და სიჩქარით. პილოტმა შეკეთებული Су-25, მისთვის მაქსიმალურ 7.000 მეტრზეც „აიყვანა“.

სხვათა შორის, ეს წარმოშობით რუსი და თურქმენეთში მცხოვრები პილოტი თავის დროზე სწორედ ამ მოიერიშეებით ანადგურებდა ავღანეთში ადგილობრივ მოჯაჰედებს და ზრწყინვალედ იცის მოიერიშის ყველა წვრილმანი.

თურქმენეთს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 552(!) თვითმფრინავი და შვეულმფრენი დარჩა, რომლებიც ძირითადად განვლილი ათი წლის განმავლობაში დაკონსერვებული ჰყავდათ. რატომ დაიწყო თურქმენბაშმა ამდენი თვითმფრინავებიდან მაინცდამაინც სწორედ Су-25-ის რემონტი და ისიც თბილისში? იმიტომ, რომ შუა აზიის ქვეყნების დღევანდელ (იგივე პოსტკომუნისტ) ლიდერებს ავღანელი თალიბებისა ძალზე ეშინიათ და იციან, რომ თუკი თალიბებმა სამხრეთიდან შემოუტიეს, ძელზე ჩამოკიდება არ ასცდებათ.

თბილისში აღდგენილი Су-25 მოიერიშეებით კი თურქმენეთის ხელისუფლებას შეეძლება თალიბებს მნიშვნელოვანი საჰაერო დარტყმები მიაყენოს, რადგან ეს საბრძოლო თვითმფრინავი, უშუალოდ ბრძოლის ველზე, დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად რჩება.

ამას მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება ვერ ხვდება, ქართულ სამხედრო-საჰაერო ძალებს შეიარაღებაში მხოლოდ შვიდი Су-25 ჰყავს და მათი გაფრენაც საწვავის უკმარისობის გამო სანატრელი გამხდარა, მფრინავებს ეს ნატვრა მაშინ აუხდებათ ხოლმე, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი სადმე აპირებს გაფრენას.

სად მოიერიშე თვითმფრინავი და სად — საესკორტოო, იტყვით, მაგრამ მიწაზე ჯდომას, სამხედრო მფრინავებისთვის ესეც სჯობს.

ისე, სხვათა შორის, 19 ივლისს ერთი შემთხვევითობა მოხდა — თბილისის ცაში ერთდროულად სამი Су-25 აიჭრა. ორს შვიდქიმიანი ვარსკვლავი ეხატა, ისინი პრეზიდენტის დასახვედრად ემზადებოდნენ, მესამის კუდს კი ნახევარმთვარე ამშვენებდა, ის მომავალი ბრძოლებისთვის (ანუ იმისთვის, რისთვისაც იქმნება ამ კლასის თვითმფრინავი) ემზადებოდა.

# „დუმ-დუმი“ გადარჩენის შანსს არ ტოვებს

9 ივლისის ზესტაფონის ინციდენტი ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა. მან გაგრძელება ჰპოვა, რადგან ელიავასა და გვილავას ჭირისუფლები პირდაპირ ადანაშაულებენ სპეცსამსახურებს დაღუპულების სასტიკად ცემასა(!) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — აკრძალული, მსკდომარე ტყვიებით დახოცვაში.

მსკდომარე ტყვიებს სხვანაირად „დუმ-დუმ“-ის ტიპის ტყვიებსაც უწოდებენ, თუმცა ბოლო დროს მათ მიიღეს დასახელება — ექსპანსიური ტყვიები. თუკი, ჩვეულებრივი ტყვია, მოხვედრისას, ადამიანის სხეულში დარჩენისას ან გამჭოლად გასვლის შემთხვევაში ორგანიზმის გარკვეულ ნაწილს აზიანებს, ექსპანსიური ტყვიები სხეულის შიგნით ფეთქდება და მრავალ ნაწილად იშლება, რაც ბევრად ზრდის დაზიანების რადიუსს.



გამოცდილ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს შედარებით ადვილად შეუძლია დაადგინოს ექსპანსიური ტყვიის გამოყენების ფაქტი — რადგან ჭრილობის ნახვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ადამიანის სხეულში ასაფეთქებელ მოწყობილობას უმოქმედია.

აქედან გამომდინარე, სამედიცინო ექსპერტებს, წესით, არ უნდა გასჭირვებოდათ ზუსტად დაედგინათ, გამოყენებულ იქნა თუ არა მსკდომარე ტყვიები, მით უმეტეს, რომ ელიავას სამი-ოთხი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

ტყუილად არ აიკრძალა ჰააგის დეკლარაციით „დუმ-დუმ“-ის ტიპის ტყვიების გამოყენება, რადგან ისინი მუცლის ან მკერდის არეში მოხვედრისას დაჭრილის გადარჩენის თითქმის არავითარ შანსს არ ტოვებენ.

**ჩვენი დოსიე:** **ექსპანსიურ ტყვიებს, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, თავი წაჭრილი ან ჯვარედინად წაქლიბული აქვს. ამას თავად მებრძოლებიც ხშირად აკეთებენ, განსაკუთრებით პოზიციური ბრძოლების დროს, როდესაც თავისუფალი დრო თავზე საყრელი აქვთ. თუკი ტყვედ ჩავარდნილს ასეთ ტყვიებს უპოვიან „მჭიდში“, მას, როგორც წესი, ადგილზე დახვრეტა არ ასცდება.**

ხელში ან ფეხში მოხვედრისას მსკდომარე ტყვია ადამიანს სამუდამოდ ახეიბრებს. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დროს „დუმ-დუმ“-ით დაჭრილი, ცოცხლად გადარჩენილი ათასობით საბჭოთა ჯარისკაცი, მაინც დაიღუპა, თუმცა სულ სხვა მიზეზის გამო.

სტალინგრადის ბრძოლების დროს ძალზე იმატა იმ საბჭოთა ჯარისკაცების რაოდენობამ, რომლებიც ხელში ან ფეხში იყვნენ დაჭრილნი. ბერიას შინსახკომის გამომძიებლები ასეთებს თვითდამჭრელებად მიიჩნევდნენ, რადგან ჭრილობის ადგილზე დენთის კვალი შეიმჩნეოდა, ანუ, მათი აზრით, ჯარისკაცი ახლო მანძილიდან თავად ისახიჩრებდა თავს, რათა ფრონტს გარიდებოდა და ზურგში, ჰოსპიტლისთვის შეეფარებინა თავი. ათასობით ასეთი „დაჭრილი“ კომისრებმა გაუსამართლებლად ადგილზევე დახვრიტეს ან გულაგში გააგზავნეს.



„დუმ-დუმის“ მიერ მიყენებული ჭრილობა

და მხოლოდ 1943 წლის ბოლოს სრულიად შემთხვევით გაირკვა, რომ დაჭრილი ჯარისკაცები არაფერ შუაში არ ყოფილან — თურმე გერმანელები იყენებდნენ „დუმ-დუმ“-ის ტიპის ტყვიებს, რომლებიც ადამიანის სხეულზე მოხვედრისას ფეთქდებოდა და კანზე დენთის კვალს ტოვებდა!

ასე რომ, გერმანელების ბარბაროსულ ტყვიებს სასწაულით გადარჩენილ საბჭოთა (მათ შორის ვინ იცის რამდენი ქართველი იყო) ჯარისკაცებს ბოლო ისევ საკუთარმა ხელისუფლებამ მოუღო.

# მოსკოვი წუხს — ჩეჩნებს ბირთვულ რაკეტებს ვერ ესვრიან

პიროვნული დაპირისპირებები, მით უმეტეს, თუ მოწინააღმდეგეებს უმაღლესი სამხედრო პოსტები უკავიათ, ხშირად შეიძლება ქვეყნისთვის საბედისწერო გახდეს.

თუმცა, საბედნიეროდ, საუბარი ქართულ გენერალიტეტში არსებულ დაპირისპირებაზე არ გვაქვს (მათზე სტატიის ბოლოს მოგახსენებთ), ამჯერად ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ რუსეთის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი იგორ სერგეევი და გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი კვაშნინი.

მათი დაპირისპირება რამდენიმე წლის წინ დაიწყო, მაგრამ 12 ივლისს აპოგეას მიაღწია — გენერალურმა შტაბმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი — 2003 წლისათვის რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სტრუქტურულად სამხედრო-საჰაერო ძალებში გაერთიანებისა (მანამდე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალები შეუერთდნენ სამხედრო-საჰაერო ძალებს), ასე რომ, რუსეთს მხოლოდ სამი სახეობის ჯარი დარჩება — სახმელეთო, საჰაერო-კოსმოსური და საზღვაო.

ერთი შეხედვით, ეს რთული ეკონომიკური პრობლემების მქონე რუსეთისათვის არცთუ ცუდი გამოსავალია — მოხდება თავდაცვის ბიუჯეტის ეკონომია. დაახლოებით ამგვარი თავდაცვითი სტრუქტურა გააჩნია პენტაგონს.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ რუსეთის ახლანდელი თავდაცვის მინისტრი სწორედ სტრატეგიული რაკეტების დიდ სპეციალისტად ითვლება და იგი არასოდეს დათმობს თავისი „აღმზრდელი“ ჯარების სახეობას.

ამ დაპირისპირებამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ საქმეში თავად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჩაერთო — ჯერ არავითარ ცვლილებებზე საუბარი არ იქნებაო — კატეგორიულად განაცხადა მან.

როგორც თავად რუსი სამხედროები აღიარებენ, ძაღლის თავი სხვაგანაა დამარხული — ჩეჩნეთის ორივე ომმა რუსეთის არმიის სტრატეგიული მარაგი, როგორც საბრძოლო ტექნიკის, ისე ტყვია-წამლისა, კატასტროფულად შეამცირა. გენერალურმა შტაბმა არ იცის, როგორ შეავსოს იგი, რადგან თავდაცვის ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომაც კვაშნინმა გადაწყვიტა, ბალისტიკური რაკეტების შემცირების ხარჯზე გაზარდოს ტანკებისა და ქვემეხების რიცხვი, რადგან საკონტინენტთაშორისო რაკეტას ჩეჩნების წინააღმდეგ ვერ გამოიყენებ, ტანკები კი ამისთვის აუცილებელია.

ეს პრობლემა რუსეთის უშიშროების საბჭომ თვის ბოლომდე უნდა გადაწყვიტოს.

ახლა თავი დავანებოთ რუსებს და ჩვენი სამხედრო ძალების პრობლემებს მივხედოთ, ჯარების სახეობებისა და გვარეობების შემცირება არც მას აწყენდა. ნახეთ, რამდენია: თავდაცვის სამინისტრო, ეროვნული გვარდია, სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალები, სამხედრო-საზღვაო ძალები, საარტილერიო-სარაკეტო ჯარები, სასაზღვრო ჯარები და მათი სანაპიროს დაცვა, შინაგანი ჯარები და სამთავრობო დაცვის სახელმწიფო სამსახური.

ასე რომ, არც საქართველოს აკლია ლამაზ-ლამაზი დასახელებების, სხვადასხვა სახეობებისა და გვარეობების სამხედრო შენაერთები. რამდენად კარგად არიან ისინი დაფინანსებულნი და აქედან გამომდინარე, როგორ ასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს, ისედაც კარგად ჩანს.

ერთი დიდი რეორგანიზაცია, არც ქართულ სამხედრო ძალებს ავნებდა-მეთქი, მაგრამ ეს ჩვენთან დიდ პიროვნულ ინტერესებზეა დამოკიდებული. არ დაგვავიწყდეს, 1991 წლის მოვლენების ერთ-ერთ საბაბად მაშინდელი ეროვნული გვარდიის შინაგან ჯარებად სახელის გადარქმევა იქცა.

P.S. ისე, რუსებს ერთ რამეში მაინც „გავუსწარით“ — ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა ურთიერთობა ჯერ კიდევ შარშან „გაარკვიეს“, თანაც ძალზე საინტერესო სიტუაციაში და როგორც ამბობენ, პირველმა გაიმარჯვა.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# მსოფლიოს სპეცსამსახურები



**ჩვენ ვხსნით ახალ რუბრიკას „მსოფლიოს სპეცსამსახურები“, სადაც მოთხრობილი იქნება ყველაზე ცნობილ სპეცსამსახურებზე. გასაგები მიზეზების გამო, მათზე ამომწურავი ინფორმაციის მოცემა შეუძლებელია, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეგიქმნით. ეს განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს იმ ოპერაციის ფონზე, რომელიც საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცდანიშნულების ჯგუფმა ზესტაფონში განახორციელა და რომელმაც ძალზე ბევრი უპასუხო კითხვა დაბადა.**

## ისრაელი




თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სადაზვერვო ჯგუფი „Sayeret Mat’Kall“. 1957 წელს შეიქმნა და თავიდანვე მეზობელი ისრაელისადმი მტრულად განწყობილ არაბულ ქვეყნებში (ეგვიპტე, სირია, იორდანია და სხვა) სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება დაევალა.

„სეირეტ მატკალი“ შეიძლება „მოსადივით“ ცნობილი არ არის, მაგრამ ეს პირიქით, მის მაღალ რანგზე მეტყველებს, რადგან რეკლამა სპეცსამსახურებს სულაც არ სჭირდება. მის დონეზე ისიც მეტყველებს, რომ ისრაელის ამჟამინდელი და ყოფილი პრემიერ-მინისტრებიც — ბარაქიცა და ნეთანიაჰუც თავის დროზე სწორედ „სეირეტ მატკალში“ მსახურობდნენ. ის კი არადა, „მოსადის“ დირექტორი, ათომიც სწორედ „მატკალის“ გამოზრდილია.

„სეირეტ მატკალის“ პირადი შემადგენლობის მიახლოებითი რაოდენობაც კი გასაიდუმლოებულია, თუმცა ცნობილია, რომ რიგითი შემადგენლობის საშუალო ასაკი 18-დან 21 წლამდეა, ხოლო ოფიცრებისა 22-38 წლებს შორის მერყეობს. მათი ფულადი ანაზღაურებაც საიდუმლოდაა დარჩენილი.

„სეირეტ მატკალმა“ შექმნიდან დღემდე არანაკლებ 1000 გასაიდუმლოებულ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. მათგან ყველაზე ცნობილი 1968 წლის დეკემბერში განხორციელდა.

მანამდე ცოტა ხნით ადრე არაბმა ტერორისტებმა ციურიხიდან ათენში მფრინავი ისრაელის ავიაკომპანიის თვითმფრინავი გაიტაცეს. თელ-ავივმა, ასე არ უნდაო და, დაზვერვას საპასუხო აქციის განხორციელება დაავალა. სწორედ მაშინ ამოქმედდა მთელი ძალით „სეირეტ მატკალი“ და ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტში დივერსიული ჯგუფი გადასხა, რომელმაც არაბული ავიაკომპანიების 13 თვითმფრინავი გაანადგურა.

1972 წლის 9 მაისს „სეირეტ მატკალის“ ანტიტერორისტული ჯგუფის წევრებმა ავიამექანიკოსების ფორმები გადაიცვეს და მოულოდნელად შეუტიეს აეროპორტში არაბი ტერორისტების მიერ გატაცებულ „ბოინგ-707“-ს. ამ წარმატებული ოპერაციის შედეგად 100 მძევლად აყვანილი მგზავრი გაათავისუფლეს.

სამი წლის შემდეგ „სეირეტ მატკალი“ უკვე თელ-ავივში ტერორისტული დაჯგუფების „შავი სექტემბრის“ მიერ დაპყრობილი სასტუმროს — „სავოის“ გათავისუფლებაში მონაწილეობდა.

1976 წელს ამ სპეცსამსახურის ანტიტერორისტული ჯგუფი ქალაქ ანტებში მძევლად აყვანილ 103 ადამიანს შველის.

თუმცა, „სეირეტ მატკალი“ მარტო მძევლების გათავისუფლებით როდი არის დაკავებული, მათ ხშირად ამა თუ იმ ტერორისტის ფიზიკური განადგურებაც ევალებათ. მათი აქციის შედეგად 1988 წელს, ტუნისში, სპეციალურად განადგურებულ იქნა „შავი სექტემბრის“ სამი აქტიური ტერორისტი და „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ სამხედრო უფროსი აბუ ჯიჰადი. მათსავე სინდისზეა ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის „ჰეზბულაჰის“ რამდენიმე მეთაურის მოტაცება სამხრეთ ლიბანში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ოპერაციებში მონაწილეობას თავად „სეირეტ მატკალი“. კატეგორიულად უარყოფს.

რა თქმა უნდა, „სეირეტ მატკალს“ მარტო წარმატებები არ სდევდა. 1974 წელს სამხრეთ ისრაელის ქალაქ მაალოტში ტერორისტებმა მძევლებად 100-ზე მეტი მოსწავლე აიყვანეს. „მატკალს“ მათი გათავისუფლება დაევალა, მაგრამ სპეცოპერაციის დროს 20-ზე მეტი მძევალი დაიღუპა და 70-მდე დაიჭრა, რაც ამ სპეცსამსახურისთვის ყველაზე დიდ წარუმატებლობად ითვლება. 1994 წელს „ჰამაზმა“ ებრაელი კაპრალი მოიტაცა, მისი გათავისუფლებისას კი დაიღუპნენ, როგორც თავად მძევალი, ისე ანტიტერორისტული ჯგუფის უფროსიც.

სპეციალისტების გათვლით, „სეირეტ მატკალის“ მიერ ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად ყოველ 100 გათავისუფლებულ მძევალზე ერთი მსხვერპლი მოდის. „მატკალის“ დაუწერელი კანონის თანახმად, ყველა ოპერაციას მისი მეთაური იწყებს, ამიტომაცაა ასე ხშირი მისი მეთაურების დაღუპვა. სხვათა შორის, მსოფლიოს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისგან განსხვავებით „სეირეტ მატკალი“ თავის რიგებში სუსტი სქესის არც ერთ წარმომადგენელს არ აჭაჭანებს.

# „ლობჟანიძე მოსკოველი ჩეჩნების ერთ-ერთი ლიდერი იყო“

***სიმონ ლობჟანიძე თბილისში რამდენიმე დღის წინ, ნათესავის გარდაცვალების გამო ჩამოვიდა. იგი ამჟამად რუსეთის მოქალაქეა, თავის დროზე კი მოსკოვის მილიციაში მუშაობდა და ჩვენი ინტერესიც სწორედ ამით გამოიწვია. თადარიგის მაიორი დღეს რუბრიკა „ვერსიის“ სტუმარია:***

— 1988-1993 წლებში მოსკოვის რამდენიმე რაიონის მილიციაში ვიმსახურე, ძირითადად, სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით. ამ ექვსი წლის მანძილზე ლეიტენანტობიდან მაიორის ჩინამდე მივაღწიე, არაერთი სამთავრობო ჯილდო თუ მადლობა მივიღე, ორჯერ დამჭრეს, შემდეგ კი მოულოდნელად სამსახურიდან დამითხოვეს, თანაც ისე, რომ მიზეზიც კი ვერ ამიხსნეს... ყველაფერი ჩემი ერთი მოგვარის გამო მოხდა.

1988 წლის მაისში მილიციის რაიონულ განყოფილებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი მაღალჩინოსანი გვეწვია. მილიციის უფროსის კაბინეტში შევიდნენ, რამდენიმე წუთში კი მეც გამომიძახეს. სტუმრებმა განმიცხადეს, კადრების მთავარი სამმართველოდან ვართ, პირად შემადგენლობას ვამოწმებთ და შენთან რამდენიმე კითხვა გვაქვსო. ეს „რამდენიმე კითხვა“ თითქმის სამ საათს გაგრძელდა. ძირფესვიანად გამომკითხეს ბიოგრაფია. აინტერესებდათ, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, მყავდა თუ არა მოსკოვში ახლო ნათესავები, თავისუფალ დროს როგორ ვატარებდი და ა.შ. ბოლოს, დიდი მადლობაო, მითხრეს და გამომისტუმრეს. საგონებელში ჩავვარდი, ვერაფრით მივმხვდარიყავი, რატომ დაინტერესდა ჩემით სამინისტრო.

9 აპრილის ტრაგედია თბილისში ახალი მომხდარი იყო და ეს დაკითხვა რატომღაც ამ მოვლენას დავუკავშირე, მერე განყოფილების უფროსსაც მივმართე, მაგრამ პასუხს ვერ ველირსე... თანამშრომლებმა კი მითხრეს, ალბათ, გაწინაურებენ ან რომელიმე სპეცსამსახურში გადაჰყავხართ და ამიტომ დაინტერესდნენო. ის მაღალჩინოსნები მერე აღარც გამოჩენილან, სამაგიეროდ, მათთან შეხვედრის შემდეგ მუდმივად ვგრძნობდი, რომ მითვალთვალებდნენ. ჩემს მანქანას უკან „კუდი“ აჰყვებოდა-ხოლმე, ისმინებოდა ჩემი ტელეფონი. ერთხელ კი ბინაც გამიჩხრიკეს და ხელს იაფფასიანი ნივთები გააყოლეს, ქურდების ნახელავი რომ მგონებოდა. ისე „მანებივრებდნენ“ ყურადღებით, ვიფიქრე, უთუოდ სპეცსამსახურში, მაღალ თანამდებობაზე მიმიწვევენ-მეთქი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს МУР-ის თანამშრომელი, ჩემი ნაცნობი კაპიტანი შემხვდა და მითხრა, საიდუმლოდ გეტყვი, შენზე ცუდი ხმები დადის, ამბობენ, ბანდიტებთან არის შეკრულიო. გავოგნდი, ასეთი სისულელე საიდან მოიტანე-მეთქი და იმანაც ამიხსნა, შენი ნათესავი რომ არის, გენა ლობჟანიძე, თავის ძმაკაცებთან ერთად მთელი ქალაქი აიკლო და ხელმძღვანელობას ინფორმაცია აქვს, რომ მათ საქმეებში შენც გადიხარო. მოსკოვში ნათესავები არ მყავდა, თანაც ბანდიტი... არც იმ გენას სახელი გამეგონა ოდესმე. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქში მოთარეშე ბანდისა და ჩემი მოგვარის შესახებ საკმაო ინფორმაცია მოვიპოვე.

## გენა „შრამი“ – კოოპერატორთა რისხვა

ნაცნობებმა გადმომცეს ქსეროასლი სისხლის სამართლის საქმისა, სადაც მთავარ გმირად ვინმე გენა ლობჟანიძე, მეტსახელად „შრამი“ ფიგურირებდა. საქმე აღძრული იყო 1988 წლის 14 იანვარს, მოსკოვში მცხოვრები კოოპერატორის, არმენ დაშიანის განცხადების საფუძველზე.

დაშიანი მილიციას ატყობინებდა: „დილის თერთმეტ საათზე მოჟაისკის რაიონში მდებარე ძეხვის საამქროს თეთრი „ვოლგა“ მოადგა. იქიდან დაახლოებით ორმოცდაათი წლის, შავგვრემანი მამაკაცი გადმოვიდა, მომიახლოვდა და თავაზიანად მომმართა, არმენ სურენოვიჩ, მეც თქვენსავით კოოპერატორი ვარ და ერთ საქმეში კონსულტაცია უნდა გამიწიოთო. სასაუბროდ „ვოლგაში“ მიმიწვია. თავად საჭეს მიუჯდა, მე მის გვერდით მოვთავსდი და უცებ უხეში ტონით მეკითხება, ამხელა საქმე რომ გაგიჩაღებია, წილი არ უნდა გადაიხადოო? ვისი წილი-მეთქი. ვისი და ვინც ზემოთაა, ხელისუფლებაშიო. ამიხსნა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ყველა მოსკოველმა მეწარმემ თავისი მოგების 10% ჩვენ უნდა გადაგვიხადოსო: „არადა, ოჯახი გყავს და შესაძლოა, უბედური შემთხვევა მოხდეს... ერთი სიტყვით, შენს კოლეგებს, კოოპერატორებს ჰკითხე, გენა „შრამის“ თაობაზე და ისინი გეტყვიან, როგორც უნდა მოიქცე!“ მანქანიდან გადმოვედი... ის კაცი წავიდა, ნახევარი საათის შემდეგ კი მახლობლად მდებარე ლიმონათის საამქროს პატრონთან მივედი და მისგან ასეთი რამ შევიტყვე: გენა „შრამი“ (ლობჟანიძე) ჩეჩნების დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი ყოფილა. რაიონის თითქმის ყველა კოოპერატორისგან წილს იღებდა და ურჩ გადამხდელებს თურმე სასტიკად უსწორდებოდა — ერთი მეწარმე დაუხეიბრებია — მეორისთვის ბავშვი მოუტაცებია. საამქროს უფროსმა მირჩია, სჯობს დამორჩილდე და ფული აძლიოო.

ლობჟანიძე სამი დღის შემდეგ ხელმეორედ მესტუმრა და განმიცხადა, ერთი კვირის თავზე რესტორან „ლაზანიაში“ 50 ათას მანეთს მომიტანო. შევევაჭრე, ამხელა თანხას ვერაფრით გადაგიხდი, არ მაქვს-მეთქი. გენამ შუბლზე პისტოლეტი მომადო და წაისისინა — სომეხო ვირთხავ, რაც გითხარი, ის გააკეთე, თორემ მეუღლეს დაგიქვრივებო. იძულებული ვიყავი, პირობას დავთანხმებოდი. დიდი გაჭირვებით მოვაგროვე 50 ათასი და დანიშნულ დროს „ლაზანიაში“ მივედი.

„შრამი“ ორ კაცთან ერთად ქეიფობდა. მაგიდასთან დამსვა, ფულის შეკვრა გამომართვა და არც კი დაუთვლია, ისე ჩაიდო ჯიბეში. მერე ოფიციანტს შამპანური შეუკვეთა, ჩემი ოჯახის სადღეგრძელო შესვა და გამაფრთხილა, თუ იმავე თანხას ყოველთვიურად არ გადაგვიხდი, ნაწილებად დაგაქუცმაცებ და მერე ზოოპარკის მგლებს ვასადილებო.

დამფრთხალ დაშიანს მილიციაში განუცხადეს, შიში არაფრისა გქონდეს, ლობჟანიძეს დღედღეზე დავაპატიმრებთო, მაგრამ სიტყვა კარგა ხანს ვერ შეასრულეს. როგორც ჩანს, გენა „შრამს“ ძლიერი მფარველი ჰყავდა.

## „ჩვენ სიცილიელებივით მოვიქცევით“

ოთხჯერ ნასამართლევი გენა ლობჟანიძე აფხაზობდა, თუმცა ამბობდა, ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენო. ჩეჩენთა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ დაჯგუფებაში მას სალარო ებარა, მაგრამ სარისკო საქმეებზე სიარულსაც არ ერიდებოდა. გარდა ამისა, მისი მოვალეობა იყო მოლაპარაკებების წარმოება, ჩეჩნებთან დაპირისპირებულ კლანებსა თუ კანონიერ ქურდებთან.

საერთოდ, პირველი ჩეჩნური ბანდები მოსკოვში 1983 წელს გამოჩნდნენ და აზერბაიჯანელი გადამყიდველების ნებართვით რესტორან



„უზბეკისტანის“ მახლობლად გააჩაღეს საქმიანობა. თავიდან ტანსაცმელს, ხალიჩებსა და ნარკოტიკებს ყიდდნენ, შემდეგ თანდათან მომძლავრდნენ, მოქმედების არეალი გააფართოეს და რამდენიმე რაიონიდან აზერბაიჯანელები საერთოდ განდევნეს. 1987 წლისთვის ჩრდილოკავკასიელი დამნაშავენი, ფაქტობრივად, სრულიად აკონტროლებდნენ მოსკოვურ ათობით ფირმას, მაღაზიას, ავტოსალონსა და ბაზრობას. მოგვიანებით ჩეჩნების ბანდა რამდენიმე ფრთად გაიყო. ერთ-ერთი იყო ე.წ. „ლაზანური“, სადაც ჩემი მოგვარეც „მოღვაწეობდა“.



ჩეჩნებმა მშვენივრად უწყოდნენ, ადრე თუ გვიან მოსკოვის რეალურ პატრონებთან — სოლნცევოს, ლუბერეცკის, ბალაშიხისა და პოდოლსკის ბანდფორმირებებთან მოუწევდათ ურთიერთობის გარკვევა, ამიტომ მომძლავრდნენ თუ არა, თავად გადავიდნენ იერიშზე. 1987-1988 წლებში „ლაზანელებს“ მოწინააღმდეგეებთან 30-მდე შეტაკება მოუხდათ და ბრწყინვალე გამარჯვებებიც მოიპოვეს — ერთ დროს უძლეველი მოსკოველი დაჯგუფებები ქალაქიდან ერთიანად გააძევეს. მაშინ, დამარცხებულმა ბანდებმა დახმარებისთვის კრიმინალური სამყაროს გენერლებს — კანონიერ ქურდებს მიმართეს, რომელთაც ასევე არ აძლევდათ ხელს ჩეჩენთა გაძლიერება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოსკოვში არეულობა დაიწყო და სიტუაციის ფლობა გაძნელდა. და მეორე — მანამდე რუსი ბანდიტები ნაძარცვის გარკვეულ ნაწილს უნაწილებდნენ-ხოლმე ქურდებს, ჩეჩნებმა კი ისინი ცარიელზე დასვეს. წარმოშობით თბილისელმა, კანონიერმა ქურდმა შაქრო კალაშოვმა „ლაზანელთა“ ლიდერებს შეუთვალა, ამა და ამ დროს უნდა შევხვდეთო.



სიმონ ლობჟანიძე

1988 წლის თებერვალში შეხვედრა კაფე „აისტში“ შედგა. „შავების“ ინტერესებს იქ თერთმეტი კანონიერი ქურდი, მათ შორის შვიდი ქართველი, იცავდა. ერთი ამდენი ჩეჩნები იყვნენ. ქურდებმა ჩრდილოკავკასიელებს საკმაოდ მკაცრად განუმარტეს, თუ ვინ იყო ქალაქის ნამდვილი ბატონ-პატრონი. წინასწარი შეთანხმების თანახმად, მხარეები „აისტში“ დაცვისა და იარაღის გარეშე უნდა გამოცხადებულიყვნენ. ქურდებმა პირობა შეასრულეს და მწარედაც მოტყუვდნენ.

შუა მოლაპარაკების დროს კაფეში ცივი იარაღითა და ხელკეტებით შეიარაღებული ოცამდე ჩეჩენი შეიჭრა და ქურდებს დაერია. ატყდა სასტიკი ჩხუბი. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, „ლაზანელებმა“ იოლად სძლიეს რაოდენობრივად სამჯერ ნაკლებ მოწინააღმდეგეს და შემთხვევის ადგილი მილიციის მისვლამდე დატოვეს. ქურდები — ბერაძე, ჯალალიანცი და კალაშოვი მძიმედ დაიჭრნენ და არც დანარჩენები იყვნენ უკეთეს დღეში. ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი, ზოგს — ცხვირი. სამართალდამცავებმა სისხლის სამართლის საქმე ვერ აღძრეს, რადგან, თავიანთი კანონების თანახმად, დაზარალებულებმა ამაზე სასტიკი უარი განაცხადეს. მალე ქურდებმა კვლავ სცადეს მოლაპარაკების გაგრძელება, მაგრამ „ლაზანელებმა“ თავი შორს დაიჭირეს — ჩვენ თავადვე დავიპყრობთ მოსკოვს, როგორც ოდესღაც სიცილიელებმა დაიპყრეს ნიუ-იორკიო...



გენა ლობჟანიძე

ჩეჩნებმა მართლაცდა დაისაკუთრეს ეს უზარმაზარი ქალაქი, თუმცა კანონიერ ქურდებთან მუდმივი ბრძოლა უხდებოდათ. დარწმუნებული ვარ, დახოცილი ქურდების უდიდესი ნაწილი სწორედ ჩეჩნების „გასაღებულია“. ერთადერთი კრიმინალური ავტორიტეტი, ვისაც ჩრდილოკავკასიელი ბანდიტები ვერაფერს უბედავდნენ, ოთარ კვანტრიშვილი იყო. მის მიერ კონტროლირებად სფეროებში ჩეჩნები ცხვირის ჩაყოფას ვერ ბედავდნენ.

## ბანდიტი პრობლემებს მიქმნის

ახლა კვლავ გენა ლობჟანიძეს დავუბრუნდეთ. 1989 წლის გაზაფხულზე მოსკოვის მილიციის სპეცდანაყოფებმა „ლაზანელებს“ დიდი დარტყმა მიაყენეს. შეტევა ერთდროულად შვიდ მისამართზე განახორციელეს და ბანდის რამდენიმე თავკაცი, მათ შორის, „შრამიც“ დააპატიმრეს. სამართალდამცავებმა მას ბრალი წაუყენეს მკვლელობების, ადამიანთა გატაცების, რეკეტისა და ყაჩაღობის გამო, მაგრამ ორიოდ კვირაში მოულოდნელი რამ მოხდა. ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მოსკოვში ხალხი აფრინა. როგორც ჩანს, მათ იქ დიდძალი თანხა ჩაიტანეს და მაღალჩინოსნებიც უცებ მოქრთამეს. გარდა ამისა, გროზნოდან მოსკოვში ოფიციალური დოკუმენტიც გაიგზავნა, სადაც რესპუბლიკის მთავრობა ირწმუნებოდა, მოსკოვში ჩადენილ დანაშაულობათა დროს თქვენ მიერ დაკავებული პირები გროზნოში იმყოფებოდნენო... ანუ ბანდიტებს ალიბი შეუქმნეს და საპატიმროდან გაათავისუფლებინეს. ლობჟანიძემ რამდენიმე თვე ჩეჩნეთში გაატარა, შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა და თავისი საქმიანობა განაახლა.

ერთხელ მან და მისმა სამმა ხელქვეითმა ცნობილი მოსკოველი კომერსანტი კუზმინი გაიტაცეს. მსხვერპლს გამოსასყიდ თანხად — 200 ათასი მანეთი დაუნიშნეს, ორი დღე სადღაც აგარაკზე ამყოფეს, მერე კი ფულის მოსატანად გაუშვეს. კუზმინს ლობჟანიძისთვის უთქვამს, თანხას მოგიტან, მაგრამ ერთი პრობლემა მაქვს — შარშან ნაცნობს 80 ათასი ვასესხე, არ მიბრუნებს და იქნებ დამეხმაროო. რაზეა ლაპარაკიო, უთქვამს „შრამს“ და კომერსანტისთვის იმ კაცის მისამართი უკითხავს. რამდენიმე დღის შემდეგ კუზმინს სახლში მევალე მიადგა, 80 ათასი მანეთი ხელში შეაჩეჩა და აცრემლებულმა უსაყვედურა, რა საჭირო იყო ჩვენს საქმეში იმ გადარეული ლობჟანიძის ჩარევაო.

მალე გენა მორიგ საქმეზე მიდის — თავს ესხმის უცხოური ბანკის მოსკოვის ფილიალს და იქიდან, ჩემი ინფორმაციით, 400 ათასი დოლარი გააქვს. მილიციამ „შრამი“ იმავე დღეს დააკავა, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცა და მალევე გაუშვა.

ამის შემდეგ მოგვარის კვალი დავკარგე. თანამშრომლებმა მითხრეს, „შრამი“ საზღვარგარეთ წავიდა საცხოვრებლადო. ჩემდა სასიხარულოდ, იმ დროს უკვე აღარ მითვალთვალებდნენ. ვიფიქრე, გადავრჩი, ლობჟანიძე სადღაც გადაიხვეწა და ხელმძღვანელობაც დარწმუნდა, რომ ამ ბანდიტთან არაფერი მაკავშირებს-მეთქი, მაგრამ 1993 წლის ბოლოს ის კვლავ გამოჩნდა ქალაქში. მილიციის უფროსმა თავისთან დამიბარა და კატეგორიულად განმიცხადა, შსს მთხოვს, სამსახურიდან გაგაგდო, რადგან გენა „შრამის“ ნათესავი ბრძანდებიო. გავცოფდი, ბევრი ვიყვირე, ვილანძღე, მაგრამ ვერაფრით დავარწმუნე ჩემს სიმართლეში. გინდა თუ არა, მტყუანი ხარ და გადადგომის თაობაზე ახლავე დამიწერე განცხადებაო... არაფერიც არ დავუწერე, სამაგიეროდ, იმავე დღეს გავგზავნე ოთხი წერილი რუსეთის პრეზიდენტის, გენპროკურორის, შს მინისტრისა და უშიშროების ფედერალური სამსახურის შეფის სახელზე. წერილებში განვმარტავდი, რომ ცნობილ დამნაშავესთან არც ნათესაური და არც სხვა რამ კავშირი არ მქონდა და ამ შეთითხნილი ბრალდების გამო სამსახურიდან მითხოვდნენ. პასუხს ამაოდ ველოდი...

## ნაცნობობა შედგა

1993 წლის 7 იანვარს უშუალო უფროსმა მთხოვა, სამსახურში ცოტა ხანს ნუ ივლი, ხელმძღვანელობას თვალში ნუ შეეჩხირები, დაისვენე და ამასობაში ყველაფერი გაირკვევაო. თითქმის ორი თვის მანძილზე განყოფილებაში არაფერს მავალებდნენ, უსაქმოდ ვიყავი, ზოგიერთები რატომღაც ცერად მიმზერდნენ, ჰოდა, მეც ავდექი და წამოვედი. ერთი კვირა შინ ვიჯექი, დარდისგან სასმელს მივეძალე, მერე კი ხელოვნური წვერ-ულვაში და მზის სათვალე გავიკეთე და გენა ლობჟანიძისკენ გავწიე...

რესტორან „ლაზანიაში“ ჩემი ვინაობით დაინტერესდნენ. გენასთვის ინფორმაცია მაქვს გადასაცემი, პირადად-მეთქი. საღამოს მოდიო, დამიბარეს. მივედი. ვიღაც ახალგაზრდამ რესტორნის ბუფეტის გავლით ბნელ დერეფანში გამიყვანა, საფუძვლიანად გამჩხრიკა და ნახატებით მორთულ ოთახში შემიძღვა. იქ ჩემი მოგვარე, საშუალოზე მაღალი, კვადრატული სახის, ელეგანტურ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი დამხვდა. თავი ამერიკული დეტექტიური ფილმის გმირად წარმოვიდგინე. სავარძელში თამამად ჩავეშვი, წვერ-ულვაში მოვიცილე და დავიწყე:

— გამარჯობათ, მე სიმონ ლობჟანიძე ვარ, მილიციის მაიორი. კარგა ხანია სამსახურში იმის გამო მდევნიან, რომ თქვენი მოგვარე გახლავართ. ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს, გავიცნობ მაინც-მეთქი ამ კაცს და გეახელით კიდეც.

„შრამი“ გაოგნებული შემომცქეროდა. ეტყობოდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე. გულის ჯიბიდან პირადობის მოწმობა ამოვიღე და გავუწოდე.

— მე და თქვენ ერთი და იგივე გვარი გვაქვს, ამიტომ გადავწყვიტე თქვენი გაცნობა.

— რა გნებავთ? — მომიგო, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა.

დაწვრილებით ვუამბე, რით დაიწყო ყველაფერი, რა ბრალდებას მიყენებდნენ და როგორ გამომაპანღურეს სამსახურიდან. გენა გულგრილად მისმენდა, შემდეგ მოულოდნელად გადაიხარხარა და მეკითხება, აფხაზი ხარ თუ ქართველიო. ქართველი ვარ-მეთქი.

— წესით, მეც ქართველი უნდა ვიყო. მამაჩემის ოჯახი რაჭიდან გადაუსახლებიათ აფხაზეთში. იქ აფხაზების გარემოცვაში გავიზარდე და თავადაც აფხაზად ვიქეცი. ისე, შესაძლოა, მართლაც ვართ შორეული ნათესავები. ჰოდა, ნუ გიკვირს, მილიციიდან რომ გამოგაგდეს. შსს ვერ მიტანს, მაგრამ ვერაფერს მაკლებენ და როგორც ვხედავ, შური შენზე იძიეს... გული არ გაიტეხო, სიომა, მე დაგეხმარები, ბიზნესში ჩაგაბამ. გაცილებით მეტი გექნება, ვიდრე მილიციაში. შენისთანა ხალხი მჭირდება, მაგრამ იცოდე, თუ თაღლითობ, საკუთარი ხელით მოგიღებ ბოლოს!

უარი ვუთხარი, თავადვე მივხედავ-მეთქი საკუთარ თავს. იგი ჩრდილოკავკასიელების წესისამებრ დამემშვიდობა — ხელი ჩამომართვა და გადამეხვია. მას შემდეგ აღარ მინახავს, თუმცა ამბებს მისი ბანდიტური საქმიანობის შესახებ ხშირად ვიგებდი.

## დაბოლოს...

1994 წლის ზაფხულში გენა „შრამს“ თავს დაესხნენ. ქილერები განგსტერული ბოევიკების საუკეთესო ტრადიციების მიხედვით მოქმედებდნენ. ღამის 12 საათზე, როცა ლობჟანიძე თავისი უძვირფასესი „ლინკოლნით“ სადღაც მიიჩქაროდა, სამი ავტომანქანით მისი ბლოკირება მოახდინეს. „ლინკოლნის“ მძღოლი იძულებული შეიქნა გაჩერებულიყო. ქილერები „შრამის“ მანქანას ორი მხრიდან შემოერტყნენ და ავტომატების ჯერი დაუშინეს. გენა და მისი მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალნენ, თავდამსხმელები კი ელვისუსწრაფესად გაუჩინარდნენ.

ლობჟანიძის მკვლელობის თაობაზე უამრავი ვერსია არსებობდა, თუმცა საქმე დღემდე გაუხსნელია. ერთნი ვარაუდობდნენ, რომ „შრამი“ ჩეჩნებმავე მოიცილეს, რადგან ლობჟანიძის მზარდი ავტორიტეტი აღიზიანებდათ. სხვების აზრით, მკვლელობის ორგანიზატორი შსს იყო, თავად „ლაზანელები“ კი თვლიდნენ, რომ „შრამის“ მკვლელობა ქართველი ქურდების, „ვალტერას“, ბერაძისა და ამირან კვანტრიშვილის შეკვეთილი უნდა ყოფილიყო, რომლებსაც გენა დიდ პრობლემებს უქმნიდა.

არსებობდა ასეთი ვერსიაც: ლობჟანიძე მონაწილე იყო იმ დროს მეტად გახმაურებული ამბისა. სანამ გროზნოსა და მოსკოვს შორის ომი ატყდებოდა, ჩეჩნებმა გაიტაცეს რუსეთის კონტრდაზვერვის მაღალჩინოსანი კრილოვი. მოსკოვში ეჭვობდნენ, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი გენა ლობჟანიძე იყო. როგორც ჩანს, ეს ვარაუდი სწორი აღმოჩნდა — კრილოვის გამოსასყიდი თანხის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებში „შრამიც“ მონაწილეობდა. კონტრდაზვერვის პოლკოვნიკი რუსებმა მალე გამოისყიდეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი ლობჟანიძე მოკლეს.

დღემდე ვერ ამიხსნია, მართლაც ამ ადამიანის გამო დამითხოვეს მილიციიდან თუ გენა „შრამი“ მხოლოდ საბაბად გამოიყენეს. არ არის გამორიცხული, რომ კორუმპირებულ ხელმძღვანელობას რაღაცაში ვუშლიდი ხელს და ამის გამო მომიცილეს. ასეა თუ ისე, ბედს არ ვემდური — ამჟამად მშვენიერი ბიზნესი მაქვს, მილიციის იმ განყოფილების ბიჭები კი, სადაც ვმუშაობდი, ლამის ერთიანად ამოხოცეს. ჩეჩნეთის ომის დროს ისინი გროზნოში გაგზავნეს და 15 კაციდან ბოევიკებმა 12 მოკლეს.

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## კუჩხი ბედინერი



ჩელო გარახელია, კარგი დედ-მამის შვილი. თვითონაც კოლორიტული პიროვნებაა და დიდი იუმორის მქონე კაცი.

ჰოდა, იმაზე მეტი კურიოზი რაღა იქნება, რაც მას დაოჯახების დროს შეემთხვა. ახალგაზრდა იყო. მოიტაცა თუ ნებით წაიყვანა, ვერ გეტყვით, მაგრამ თავისი მომავალი მეუღლე პირდაპირ ნათესავებთან გააქროლა. როგორც სამეგრელოშია მიღებული, გაიშალა დიდი პურმარილი, დააგუგუნეს „კუჩხი ბედინერი“. უკვე თენდება, პატარძალი მორცხვობს და ცალკე ოთახშია თავისთვის. ჩელო ხშირად შედის, ეფერება, ბოლოს გულმა ველარ მოუთმინა, იქვე გორგოლაჭებიან „კრაოტზე“ არხეინად წამოაწვინა და... მომავლის შენებას შეუდგა.

გვერდით ოთახში გახურებული ქეიფია. ნეფე-პატარძალი ისე გაერთო, არც კი უგრძნიათ როგორ დაგორდა „კრაოტი“, ბიძგმა მეორე ოთახის კარიც გააღო და ჩახუტებულები გრიალ-გრიალით პირდაპირ მოქეიფეებს მიადგნენ.

*გუჯა ლელაძე, გარახა*

## აი, მეუღლე!



ეს ამბავი სტუდქალაქში მოხდა. ჩემმა ბიძაშვილმა ბონდომ (სიმაღლე 165სმ) ორმეტრიან მეტოქეს ისეთი დაჰკრა ყბაში, რომ ორი კვირით საავადმყოფოში დააწვინეს ყბის მოტეხილობით.

ბონდოს მეტოქეს შესარიგებლად მისი სიმაღლის ყველა ჩვენი ძმაკაცი მივუგზავნეთ. რომ შეხედა დაზარალებულის მეუღლემ ამხელა ვაჟკაცებს, ცოტა გაუხარდა კიდეც, ალბათ ამათი მეგობარიც ასეთი იქნებაო და შერიგებაზე დაგვთანხმდა, ოღონდ ქმრის მძლეველის ნახვა მოისურვა.

ბონდო იქვე, კარს უკან იყო დამალული, დაუძახეს ბიჭებმა და რომ შეხედა მეტოქის ცოლმა, კინაღამ გული წაუვიდა.

— იცი, რა გითხრა? — უთხრა ქმარს — ამან თუ გცემა სახლში აღარ წაგიყვან!

ჩაავლო ბონდოს ყურში ხელი, ასწია, უკან პანღურიც მიაყოლა და ასე გამოაგდო გარეთ.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## სიხარბე ღამღუპველია!



**მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა მიამბო:**

— ბოლო ხანებში საკმაოდ დამაკლდა თვალს და დაბადების დღეზე ძმაკაცმა 30 ლარიანი ძვირფასი სათვალე მაჩუქა. გაახაროს მისი ოჯახი ღმერთმა, გამოვიხედე თვალებში.

მზიანი დღეა, მოვსეირნობ პლეხანოვზე ჩემი სათვალით. რას ვხედავ... ჩემ წინ მიმავალ შუახნის კაცს ლარიანი არ დაუვარდა?

ხარბი და საზიზღარი ვარ, თორემ დავუძახებდი იმ კაცს და აიღებდა თავის ფულს.

არ დავუძახე, მაინც მაჯობა სიხარბემ!

დავდექი იმ დავარდნილ ლარიანთან. მივიხედ-მოვიხედე (მაინც მეუხერხულა), როგორც იქნა, მოვძებნე მომენტი და სასწრაფოდ დავიხარე ფულისკენ. დავიხარე და წამძვრა კიდეც სათვალე, დავარდა ასფალტზე, მაგრამ ეს არაფერი, უსათვალოდ დარჩენილმა, წონასწორობა დავკარგე, წავბორძიკდი და მუხლით გავჭყლიტე ჩემი 30 ლარიანი სათვალე. ვაი-მეთქი, აღმომხდა. ხმაურზე ის კაცი მობრუნდა. აიღო თავისი ლარიანი და გაუდგა გზას... ასეა, კაცს სიხარბე ღუპავს, ძმაო!

*მურმან მერკვილიშვილი*

## „სპეკულანტი“ მიხა



ჯარიდან რომ ჩამოვედი, ჩემმა საყვარელმა ბებია მარომ, როგორც ყველაზე რჩეულ და საყვარელ შვილიშვილს, ორი წლის ნაგროვები პენსია დამახვედრა „შმოტკების“ შესაძენად.

მოგეხსენებათ, მაშინ, 70-იან წლებში, ფული ბევრიც რომ გქონოდა, კარგ, იმპორტულ ტანსაცმელს „სპეკულანტების“ გარდა ვერსად შეიძენდი.

მეზობელმა მირჩია, მაშინ ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურში მცხოვრებ ბიჭს, ქ. ცხაკაიაში (დღევანდელი სენაკი) წავსულიყავი „პლაშის“ საყიდლად და თან დამარიგა:

— ცხაკაიაში რომ ჩახვალ, მიდი ქალაქის პარკთან (თეატრთან ახლოს), იქ დგას ჯოხიანი, ცილინდრიანი, ხელზე პლაშგადაკიდებული მოხუცი, კაცი, სახელად მიხა, ჩუმად უთხარი რაც გინდა და ის უსათუოდ მოგყიდის.

მე, რა თქმა უნდა, უღრმესი მადლობა გადავუხადე ჩემს გულშემატკივარ მეზობელს და მეორე დილითვე ჩავედი ქ. ცხაკაიაში.

მოვძებნე მითითებული ადგილი, რამდენჯერმე გავიარ-გამოვიარე, მაგრამ ვერსად წავაწყდი „სპეკულანტ“ მიხას. ბოლოს გავრისკე, პარკში მოსეირნე ერთ ხანში შესულ ძიას მოვუბოდიშე და ვკითხე:

— მე, ბატონო, „პლაშის“ საყიდლად ჩამოვედი მუხურიდან, მომასწავლეს, პარკში ჯოხიანი, ცილინდრიანი, პლაშგადაკიდებული მიხა დგას და ის მოგყიდისო, მაგრამ ვერსად მივაგენი და ხომ ვერ მეტყვით მის ადგილსამყოფელს?

მოხუცმა რამდენჯერმე გულმოდგინედ შემათვალიერა, ამხედ-დამხედა და პაუზის შემდეგ ღიმილით მიპასუხა:

— ჯოხიანი, ცილინდრიანი, ხელზე პლაშგადაკიდებული მოხუცი მიხა აგერ დგას, ბიძიკო, მაგრამ მოგყიდის თუ არა „პლაშს“, ვერ გეტყვიო და საჩვენებელი თითი ჩვენთვის კარგად ცნობილი უხუცესი ბოლშევიკის, მიხა ცხაკაიას ძეგლისკენ გაიშვირა.

*სოსო ცირგაია*

## კაცური კაცი კოლია



ცხონებულ კოლიას თათბირზე მორიგ საყვედურს უცხადებენ. „დაბერდი კაცი და გრამი ტვინი არ გაქვს თავში“ — უყვირის უფროსი.

კოლია მოწყალე ტონით პასუხობს:

— რად მინდა, ბატონო, ტვინი, სამსახურში თქვენს ჭკუაზე დავდივარ, ოჯახში — ცუცას ჭკუაზე და იმდენი ტვინი ქე მაქვს, თათბირის მერე სახლს რომ მივაგნოო.

*ავთო წყალტუბოელი*

## „ფორტუნას“ თამაშობ?



ჯონდოს თანამშრომელი გაუხდა ცუდად: ხან მაღალი წნევა ჰქონდა, ხან — დაბალი.

— რავაა შენი საქმე, ნანაია, „ფორტუნას“ თამაშობ თუ? — შეეკითხა ჯონდო.

*უავტორო*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხო ცოლოურში სტუმრად მივიდა. მგელივით მშიერია, მაგრამ სუფრას არავინ შლის. არადა, ეზო სავსეა მსუქან-მსუქანი დედლებით. მიხომ მოსწია ერთი ღერი სიგარეტი და გავიდა საპირფარეშოში. უკან დაბრუნებულს სიდედრი ეუბნება:

— შვილო, მიხო, შარვალი შეიკარი, ხორცი მოგიჩანს.

— ჰო, დედიშენისამ, სულ ამ ხორცის იმედზე იყავით და არაფერი დაკლათ, — უპასუხა მიხომ.

*გრაფი „მენგრელსკი“*



— ჰაა! მიხავ, შე ვირიშვილო, შენა!

— რას ამობ, ჯოო! შენ ხომ სამეფო ფარშევანგს გავარდი, აი!

*გრაფი „მენგრელსკი“*



რაჭველმა „დრუჟბაზე“ ვოლგის სარკეები დააყენა.

— რატომ ქენი ეს? — ჰკითხა მეზობელმა.

— დათვი ვერ მომეპარება ტყეში უკნიდან — უპასუხა რაჭველმა

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*



ჭიჭიკია მაღაზიაში შევიდა და ოსური ფანქარი ითხოვა.

— ეგ როგორია? — ჰკითხა გამყიდველმა.

— გოუთლელი — უთხრა ჭიჭიკიამ.

*ჯანო ონიანი*



ისმის ტელეფონის ხმა.

— შაქრო, შენა ხარ? რას აკეთებ?

— ვჭაამ.

— რასა ჭამ?

— მაგაი ტელეფონზე ვერ გეტყვი....

*ფრიდონ თათრიშვილი*



— ჭიჭიკია! ორი ფერადი ტელევიზორი რატომ იყიდე?

— სიდედრმა მითხრა, ერთ ფერად ტელევიზორში ნახევარ სიცოცხლეს მივცემო და მეც ორი ვიყიდე

*„თიკურა“*



მთვრალმა თაგვმა ღამურა დაინახა:

— ვაა, ანგელოზი!

*ლ. მარტვილელი*

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# შევარდნაძემ რუსეთი დააბეზღა და სერ ედუარდი გახდა

ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში გამამხნევებელი ნოტით დასრულდა. ინგლისის დედოფალმა ელისაბედ -მ წმინდა გიორგისა და მიხეილის ორდენი უბოძა პრეზიდენტს, რომლითაც გამორჩეულ რაინდებს აჯილდოებენ. საქართველოს პრეზიდენტი თავისთან მიიწვია ქვეყნის პრემიერმა ტონი ბლერმა.

ლონდონში თითქმის ყველა შეხვედრაზე რუსეთი მრავალგზის იყო მოხსენიებული. შევარდნაძე წარამარა შესჩიოდა ინგლისელებს, რუსეთი დაუმსახურებლად ბრალს სდებს საქართველოს, თითქოს იგი იჩქერიის ხელისუფლების წარმომადგენლებს აქეზებს რუსეთის წინააღმდეგ და ხელს აფარებს ჩეჩენ ბოევიკებსო, თბილისი წინააღმდეგია ორივე ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებისა, მაგრამ მოსკოვი დაჟინებით მოითხოვსო; დიდი წინააღმდეგობა გვხვდება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხთან დაკავშირებითო.

სხვათა შორის, გაირკვა, რომ საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანისთვის არა მარტო ამერიკა გადაიხდის სათანადო თანხას, არამედ ბრიტანეთიც. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობინ კუკი ფინანსურ დახმარებას დაჰპირდა შევარდნაძეს, რომელიც მოხმარდება უშუალოდ რუსეთის ჯარების დისლოკაციის ადგილზე ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაოთი უზრუნველყოფას. მხარეებმა ამ მიზნით საერთაშორისო ფონდის შექმნა გადაწყვიტეს.

ბრიტანეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ჩარლზ გატრინმა საქართველოს შეიარაღებულ



ძალებს დახმარება აღუთქვა.

შევარდნაძემ მოხერხებულად გაათამაშა „ნავთობ-გაზის რუკა“. იგი შეხვდა ნავთობის კომპანიის BP-Amoco-ს ხელმძღვანელს, რომელიც კასპიის ნავთობის (რუსეთის გვერდის ავლით) საქართველოს გავლით ტრანსპორტირების პროექტის მთავარი მონაწილეა.

პრეზიდენტმა ამერიკის ნავთობ-გაზის კომპანიის ხელმძღვანელებთან ისადილა, რომლებიც საგანგებოდ ჩამოფრინდნენ ჰიუსტონიდან. საქართველოს დელეგაციამ სადილობისას კასპიის გაზის თურქეთში ტრანსპორტირების პერსპექტივები განიხილა. ამერიკელები შეწუხებულნი არიან, რომ „გაზპრომთან“ საკონკურენციო ომს აგებენ.

# საქართველოს სამხედრო-საგზაო ხარჯები

მოსკოვში მიმდინარეობს აშშ-ისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებათა წარმომადგენლების მოლაპარაკება — საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის დაფინანსების შესახებ. ეტყობა, თბილისი დარწმუნდა, რომ რუსეთის ორი სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის შესახებ მოლაპარაკებებზე იგი მარტო ვერაფერს გახდება — ძალზე ძლიერია მოსკოვის ზეწოლა. ამ საქმეში ამერიკელები ჩაერივნენ. მოსკოვს გაუჭირდება ვაშინგტონთან ვაჭრობა, თუმცა კი აშშ მზად არის დააფინანსოს რუსი ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა — აშშ რუსეთთან პირდაპირ აწარმოებს მოლაპარაკებას მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ტექნიკის გატანის შესახებ. მანამდე ამერიკელები მხოლოდ განსაიარაღებელ პროექტირებაში იხდიდნენ ფულს, რომელიც ზედმეტი შეიარაღებისა და ტექნიკის განადგურებას ითვალისწინებდა. სტამბოლის ხელშეკრულების (1999 წლის 19 ნოემბერი) თანახმად, რომელსაც 30 სახელმწიფოს ლიდერმა მოაწერა ხელი, რუსეთმა 2000 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეამციროს საქართველოში დისლოცირებული თავისი შეიარაღება, ხოლო თავისი სამხედრო ბაზებიდან (ვაზიანი და გუდაუთა) გაანადგუროს სამხედრო ტექნიკა.

2001 წლის 1 ივლისისათვის ეს ბაზები მთლიანად უნდა გაუქმდეს. ამა წლის გაზაფხულზე დაწყებულმა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებამ რუსეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ ცხადყო, რომ მოსკოვი ამას დიდი სიამოვნებით არ აკეთებს — აყოვნებს კიდეც ეუთოს სტუმბოლის სამიტის დადგენილების შესრულებას და ამას ფინანსურ და ტექნიკურ სიძნელეებს აბრალებს. რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდს საქართველოსთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. პირიქით, რუსებმა ხელში ჩაიგდეს თბილისის მახლობლად მდებარე სამხედრო აეროდრომი, რომელიც რატომღაც არ იყო ვაზიანის სამხედრო ობიექტების ნუსხაში შეტანილი. ამას წინათ საქართველოში ჩავიდა აშშ-ის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი დსთ-ის საკითხებში — სტივენ სესტანოვიჩი. იგი დარწმუნდა, რომ საქართველო მარტო ვერაფერს გახდებოდა და განაცხადა, რომ რუსეთთან ამ თემაზე პირდაპირი დიალოგი სურს. ამ მოლაპარაკებას დაესწრნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო წარმომადგენლები კრეიგ დანქერლი და უილიამ ტეილორი.

ამჟამად რუსეთის სამხედროებს საქართველოში 300-მდე ტანკი, 400-ზე მეტი ჯავშანტექნიკა და 300-მდე საარტილერიო მოწყობილობა აქვთ. სტამბოლის ხელშეკრულების თანახმად, ეს რიცხვი ორჯერ უნდა შემცირდეს. სწორედ ამ შეიარაღების გატანას დააფინანსებენ ამერიკელები. ახლახან ვენაში ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე მათ განაცხადეს, რომ ამ საქმეს 10 მლნ დოლარი დასჭირდება. ეს თანხა რუსეთმა და საქართველომ უნდა გაიყონ, რადგან რუსეთის სამხედრო ტექნიკის გადატანას საქართველოს რკინიგზა უზრუნველყოფს.

***ლონდონი***
***კომერსანტი №131***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— აუცილებელია თუ არა ქრისტიანისათვის მარხვის შენახვა, წირვაზე სიარული და სხვა საეკლესიო წეს-ჩვეულებათა შესრულება, თუ ის ერთგულად იცავს ათ მცნებას?**

— შეუძლებელია ადამიანმა უერთგულოს და დაიცვას ათი მცნება იმ ეკლესიის გარეშე, რომელიც დაფუძნებულია კაცობრიობის გამოსახსნელად მაცხოვრის მიერ დაღვრილ სისხლსა და მოციქულთა მიერ ნაქადაგებ სარწმუნოებაზე.

**— როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც გზაზე უცნობი მღვდელმსახური გვხვდება?**

— როდესაც ჩვენ ვხვდებით მართლმადიდებელ მღვდელმსახურს (თუ არა გვაქვს ეჭვი, რომ ჩვენ წინაშე სქიზმატიკოსია), უნდა მივეახლოთ და ვთხოვოთ დალოცვა ან კურთხევა.

**— შეიძლება თუ არა, რომ ადამიანი, რომელიც არ არის მონათლული, სისტემატურად ლოცულობდეს და კითხულობდეს ქრისტიანულ ლოცვებს?**

— შეიძლება! ქრისტიანულ ეკლესიაში გარკვეული დროის მანძილზე ადამიანები ზრდასრულ ასაკში ინათლებოდნენ (ცნობილია ეკლესიის დიდი მნათობის, ბასილი დიდის მაგალითი). ისინი გულმოდგინედ ემზადებოდნენ წმინდა ნათლისღების მისაღებად: ესწრებოდნენ წმინდა ლიტურგიის იმ ნაწილს, რომელსაც „კათაკმეველთა ლიტურგია“ ეწოდება. და როდესაც იგრძნობდნენ მზადყოფნას ნათლობისათვის, უეჭველად ნათელიღებდნენ და მართლმადიდებელი ქრისტიანები ხდებოდნენ.

**— წინასააღდგომოდ მონაწილეობა მივიღე ერთ-ერთ მართლმადიდებელ ეკლესიაში კოლექტიურ აღსარებაში. ანუ: მღვდელი კითხულობდა ცოდვების ნუსხას და ჩვენ გულში ვაღიარებდით, რომელიც შეგვეხებოდა და პირჯვარს ვიწერდით.**

**რამდენად მისაღებია ღვთის წინაშე აღსარების ასეთი ფორმა და შეგვინდობს თუ არა უფალი ასეთი აღსარებით მონანიებულ ცოდვებს?**

— ასეთი ფორმა აღსარებისა, რომელიც „საზოგადო აღსარებით“ შეგვიძლია მოვიხსენიოთ, დაშვებულია ეკლესიაში. ეს იმ ეკლესიაში ხდება, სადაც მღვდელმთავართა რიცხვი მცირეა და მრევლი — ძალზედ მრავალრიცხოვანი და მეტწილად დიდ დღესასწაულებზე ხდება ხოლმე. შეცოდებათა შენდობაც მღვდელმსახურთა სათანადო ლოცვით ხდება.

**— შეიძლება თუ არა ჯვრის ხელმეორედ კურთხევა?**

— ჯვრის ერთხელ კურთხევა სრულიად საკმარისია, რათა ვატაროთ ის ჯვარი და შემწეობა გვქონდეს მისგან.

**— სამოცი წლის ქალი ვარ და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საოცარ ხილვებს ვხედავ; ჩემ წინ, სადაც უნდა ვიყო, ისახება ჯვარი! სულერთია, ტყიდან შეშა მომაქვს თუ საყანე ფართობს ვწმენდ, გამუდმებით ჯვარია ჩემ წინ გამოსახული. გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს ეს და როგორ უნდა მოვიქცე?**

— ეკლესიის მამები უაღრესად დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ მსგავსი გამოცხადების და ხილვის პრეცედენტებს. თუ ადამიანი ზეცისკენ იცქირება სასწაულის მოლოდინში — ამაოდ: იქ ღმერთს ვერ დაინახავს! ადამიანი თავის გულში უნდა იყურებოდეს, რათა უფალი შეიგრძნოს. თქვენ უნდა იცხოვროთ ეკლესიურად: მარხვით, აღსარებით, ზიარებით. გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი.

**— გამიგონია, რომ ხატები ისე უნდა განვალაგოთ, რომ მათ აღმოსავლეთიდან მზე უყურებდესო. მართალია ეს თუ არა და რომელი ხატები უნდა ვიქონიოთ?**

— პირიქით, მლოცველი, რომელიც დგას ხატების წინ, თვით უნდა იყოს პირით აღმოსავლეთისაკენ მიქცეული. მორწმუნეს შინ უნდა ჰქონდეს მაცხოვრის, ღვთისმშობლის, უდიდესი წმინდანების ხატები, წმინდა ჯვრის გამოსახულება.

**— დაუჯდომელის კითხვისას აუცილებელია თუ არა დასაწყისი ლოცვების თქმა, როდესაც ძილის წინ ან შემდგომი ლოცვები წაკითხული გვაქვს, ან ერთზე მეტი დაუჯდომელის წაკითხვას ვაპირებთ?**

— თუ ლოცვებს მიმდევრობით კითხულობთ, შეიძლება არ იყოს ასეთი აუცილებლობა.

**— სასაფლაოზე რომელ ადგილას უნდა გაკეთდეს ჯვარი — მიცვალებულის თავთან თუ ფეხებთან?**

— ტრადიციულად საქართველოში ჯვარი მიცვალებულის თავთან არის ხოლმე, ხოლო რუსეთში — ფეხთით.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28***

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

## გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს

**წავიკითხე თქვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „თქვენი მოძღვარი მოკლესო“. გთხოვთ, გვიამბოთ წმ. ვასილისკოს შესახებ, რომელზეც აქამდე არაფერი მსმენია. როგორ მოხვდა იოანე ოქროპირი საქართველოში?**

***ნინო ყიფიანი***

# რა ბედი ეწევა კამანს?

მადლობას გიხდით ჩვენი წერილის ინტერესით გაცნობისთვის. წმ. ვასილისკოზე ქართულ ენაზე მართლაც მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება.

ვინ იყო წმინდა ვასილისკო?

წმ. ვასილისკო წარმოშობით კაპადოკიელი, წმ. გიორგის ძმისწული იყო. ცხოვრობდა მე-3-4 საუკუნეში და აწამა პონტოს მმართველმა ასკლეპიოდოტემ. მასთან ერთად აწამეს მისი ორი მეგობარიც. წამების მეთოდი მრავალგვარი იყო, მორწმუნეთა პასუხი კი ერთადერთი — ისინი თანადგომას სთხოვდნენ მამაზეციერს და ლოცულობდნენ უფლისთვის. ასკლეპიოდოტემ ბრძანა, მიწაში ჩარჭობილ სარებზე მიებათ მოწამეები და გადაესხათ მდუღარე ფისი. მაგრამ ღვთის ნებით, ფისი მოწამეთა სხეულებმა აისხლიტა და ჯალათები დაწვა. ამის შემდეგ მორწმუნეები რკინის მარწუხებით გვემეს, ხოლო ჭრილობებზე მარილი და ძმრიანი მდოგვი დააყარეს. 308 წლის 3 მარტს წმ. ვასილისკოს სულიერი ძმები ჯვარს აცვეს, თავად კი გადაასახლეს დღევანდელ კამანში (უწინ ქალაქი კომანაქი), სადაც იმავე თვის 22 რიცხვში მოწამებრივად აღესრულა — მას თავი მოჰკვეთეს, ხოლო წმინდანის გვამი მდინარეში გადააგდეს. ქრისტიანებმა მოიძიეს მისი ნეშტი და დაკრძალეს.

## სისხლიანი ქვები — მითი თუ რეალობა?

წმინდა ვასილისკოს წამების ადგილი, ისევე, როგორც დავით და კონსტანტინე მხეიძეების მარტვილობისა, დღესაც სისხლიანი ქვებით არის მოფარული... ეკლესიასთან, სადაც დამარხულია წმინდა ვასილისკო, მისივე სახელობის წყაროც მოედინება. იგი ქმნის დაახლოებით 30 კვმ ფართის ტბას, რომელიც ნაპირიდანვე ღრმა და ზაფხულშიც კი ყინულით ცივია. გადმოცემით, ადამიანმა, რომელსაც სურს გაიგოს, რამდენად ცოდვილია, სამჯერ უნდა ჩაყვინთოს წყალში და ფსკერიდან ამოიღოს ქვა. ამ სისხლიანი ქვების მორწმუნეები ძვირფას რელიკვიასავით ინახავენ. ამბობენ, ქვის შენახვა თავისსავე წყალში სჯობს, რადგან სხვა წყალში ქვა იხრწნება და გაფუჭებული სისხლის სუნი ასდისო. უწყლოდ შენახულ ქვას სისხლის წვეთები ნაკლებად ემჩნევა.

## წმინდა მამა ოქროპირი

ეკლესიის მრევლმა მე-4 საუკუნეში მოღვაწე კაპადოკიელ მამას — იოანეს ოქროპირი უწოდა. იოანე 12 წლის განმავლობაში კვირაში ორჯერ (ზოგჯერ ყოველდღიურადაც) მოძღვრავდა მრევლს, პირუთვნელად ამხელდა საზოგადოების მანკიერებას, არ ერიდებოდა გავლენიან პირებსა და კონსტანტინოპოლის დედოფალსაც კი, რომელიც უკეთური საქციელისთვის ჯვართამაღლების დღესასწაულზე ტაძარში არ შეუშვა. ამის შედეგად იოანე ოქროპირს დედოფალმა და ლაქია სამღვდელო პირებმა დევნა დაუწყეს. საბოლოოდ, 404 წელს იოანე ოქროპირი აიძულეს, დაეტოვებინა კონსტანტინოპოლი.

## აია სოფიას ხანძარი

იოანეს არ უნდოდა კონსტანტინოპოლის დატოვება — წინასწარმეტყველურად გრძნობდა, რა უბედურება დატრიალდებოდა იქ. ქრისტიანული ქვეყნის მომავალს ხშირად განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულება წმინდანთან. ამის მრავალი მაგალითი არსებობს: იმ ღამეს, როცა დედოფალმა ევპრაქსიამ იოანეს სიკვდილი მიუსაჯა, ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რამაც მთლიანად შეარყია მეფის სასახლე, ჩამოიქცა დედოფლის ოთახი. შეშინებულმა ევპრაქსიამ სასწრაფოდ გამოიხსნა წმინდანი და პატივით შეაბრძანა ეკლესიაში. შემდეგ, როცა იოანე ოქროპირმა დატოვა კონსტანტინოპოლი, ურჯულოებმა ფერფლად აქციეს აია სოფიას ტაძარი და სინატის შენობა. მალე ბარბაროსთა შემოტევაც დაიწყო. თვით კონსტანტინოპოლის მაოხრებლებიც კი ამ „გამარჯვებას“ მამა იოანეს ქალაქიდან გაძევებას უკავშირებდნენ.

## იოანე ოქროპირი და საქართველო

დევნილმა იოანე ოქროპირმა როგორც კი სომხეთის გავლით საქართველოში — კამანში ჩამოაღწია, ხორციელი ძალა წაერთვა. წმ. ვასილისკოს საფლავთან მყოფს თავად წმინდანი გამოეცხადა და გაამხნევა, — „განძლიერდი, ძმაო, განძლიერდი და გაიხარე, რამეთუ ხვალისა დღემან ზოგად შემომკრიბნეს ჩვენ“.

ბრძენი მოძღვარი ეზიარა და სიტყვებით: „მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის“, სული მიაბარა უფალს. ეს მოხდა 407 წლის 14 სექტემბერს. ამ დღეს დაწესდა წმინდანის ხსენება.

„მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის“ — ეს სიტყვები დღეს მთელ მართლმადიდებელ სამყაროს ახსოვს.



## სასწაული შემდგომ გარდაცვალებისა

მოწაფეებმა წმინდანის ნეშტი სარკოფაგში ჩაასვენეს და ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან დაკრძალეს. 30 წლის შემდეგ იმპერატორმა თეოდოსიმ წმინდანის ნეშტის კონსტანტინოპოლში გადასვენება განიზრახა, მაგრამ ნეშტი ადგილიდან მანამ ვერ დაძრეს, სანამ თეოდოსიმ განსვენებულს ხელში წერილი არ ჩაუდო, სადაც შვილების ცოდვის გამო, პატიებას თხოვდა. ამის შემდეგ თავისუფლად ამოასვენეს ნეშტი სარკოფაგიდან და გადაასვენეს კონსტანტინოპოლში.

## კამანი — უდიდესი სიწმინდე

კამანში დარჩა იოანე ოქროპირის უდიდესი სიწმინდე — სარკოფაგი, რომლის შეხებითაც სნეულები იკურნებოდნენ. მორწმუნეები ცდილობდნენ, სარკოფაგის ნამცეცები შინ წაეღოთ... კომუნისტების პერიოდში ღვთის მებრძოლთ არც ეს სარკოფაგი დარჩენიათ წაუბილწავი — შიგ ცხოველებს საკვებს უყრიდნენ, ვიდრე ყველა ცხოველი არ დაიხოცათ. წმ. ვასილისკოს სახელობის წმინდა წყალში იხვები ჰყავდათ გაშვებული. ადამიანთა უგნურებამ ფრინველთა სიცოცხლე იმსხვერპლა.

დროთა განმავლობაში დანგრეულ კამანის ტაძარში სიწმინდის დაცვა შეუძლებელი შეიქნა და უწმინდესი და უნეტარესი ილია -ის მითითებით, როცა იგი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანდებოდა, სარკოფაგი, მისი დაცვის მიზნით, სოხუმის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს.

1990 წლის 25 ნოემბერს, როდესაც ღვთისმოსავი ოჯახის — ზოია და იური ანუების მეცადინეობით აღდგენილი ტაძარი საზეიმოდ ეკურთხა, იოანე ოქროპირის სარკოფაგი კვლავ კამანში გადაასვენეს.

კამანს უკავშირდება აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც. საუკუნეში აქ კონსტანტინოპოლელ ბერებს ჩამოუტანიათ იოანე ნათლისმცემლის თავი და დაუმარხავთ. იგი V საუკუნეში კვლავ გადაუსვენებიათ კონსტანტინოპოლში.

## კამანი — მიუსაფარი

დედა მარიამის (ანუა) მიერ მოწოდებული ცნობით, სამწუხაროდ, ამჟამად კამანის ეკლესია გაძარცულია და უპატრონოდ არის მიტოვებული. აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას მისი ბედი სულ არ ანაღვლებს. წელიწადში ერთხელ (ან ორჯერ) რუსეთიდან ჩამოსული ბერები თუ აღავლენენ წირვა-ლოცვას და არავინ უწყის, რა ბედი ეწევა კამანს...

***ნინო ტარყაშვილი***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! მადლობთ კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიამბობენ

**3,5 წლის ნიკა** ბაბუის მოლოდინშია, შედის ბაბუა.

ნიკა: ბაბა, რა მომიტანე. ბაბუა გაბრაზებულია და ეუბნება, ბუს კვერცხებიო. ნიკა გარბის სამზარეულოში დედასთან და ცოტა ხანში მესმის ტირილი, გინდა თუ არა ბაბამ ბუს კვერცხები რომ მომიტანა, ის შემიწვიო.

* * *

— ეს რა ასოა? — კითხულობს **პირველკლასელი ანი**.

— პატარა დაბლიუ — პასუხობს ანის დაიკო მაკა.

— მივხვდი, ეს აი მაღლიუა — მიუთითებს დიდ დაბლიუზე ანი.

* * *

ძმები შოთიკო და გიორგი უყურებენ ტელევიზორს. **5 წლის შოთიკო** ეუბნება **4 წლის გიორგის**: — გიორგი, პირზე კოცნა არ შეიძლება!

გიორგი პასუხობს: — ესენი კი არ კოცნიან, კბილებს ატოლებენ ერთმანეთს.

* * *

დედა **2 წლის კახა ციხელაშვილს** ეფერებოდა და ეუბნებოდა:

— ისე ძალიან მიყვარხარ, რომ გულში მიზიხარო.

— სკამი არის რო? — შეეკითხა პატარა კახა.

* * *

**პატარა გიორგი** უყურებს მოცინარ ბიძაშვილს, რომელიც 5 თვისაა და ამბობს: „ნახეთ, პატარა გულიკოს ენა უკვე ამოსვლია, კბილები კი ჯერ არა".

* * *

ერთხელ **5 წლის გიორგიმ** დაინახა, როგორ რეცხავდა დიდი ბებია კბილების პროთეზს: — დედიკო, იცი თამარა ბებიას ზაპასკა კბილები რომ აქვს? — მომახარა მე.

* * *

**4 წლის ლუკა** შეესწრო იმ მომენტს, თავგატეხილი მამამისი რომ სახლში შემოვარდა. ლუკამ წამოიძახა, მამა ნუ გეშინია, დღეს დედამ ხის წებო იყიდა და თავს დაგიწებებსო.

* * *

**3 წლის ირაკლი** ნაყინს მიირთმევდა და თქვა: ნაყინი ჯობია თაგვსაო თუ კატა მოიგონებსაო.

## I რებუსი



## რამდენი ცხვარი ჰყავდათ მწყემსებს?

ორი მწყემსი ცხვრებს აძოვებდა. ერთმა უთხრა მეორეს:

— მომეცი ერთი ცხვარი და მე შენზე ორჯერ მეტი მეყოლება.

— არა, შენ მომეცი ერთი ცხვარი, — მიუგო მეორემ, — და ორივეს ცხვრების თანატოლი რაოდენობა გვეყოლება.

რამდენი ცხვარი ჰყავდა თითოეულს? (პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)

**წინა ნომერში შემოთავაზებულ მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:** სალომე მკერვალიძემ, სანდრო მღებრიშვილმა, თათია და ანა დვალიშვილებმა, თამუნა და ნოდარ კილაძეებმა, ლევან და ნატა ხვადაგიანებმა, ნინო დვალიშვილმა, აკაკი წიქარიშვილმა, ნინო დევიძემ, დათო კ-იმ, თორნიკე ტუსკაძემ, ლია ვარდიაშვილმა, ჯაბა და ოთარ ყირიმლიშვილებმა, ნანა ტეფნაძემ, მარიამ ბოჭორიშვილმა, მაკო ჯიქიძემ და ლიკა ბოლოთაურმა.

**სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:** კაცი დაბადებული იყო 29 თებერვალს, ვინაიდან ეს რიცხვი ოთხ წელიწადში ერთხელ მოდის, ამიტომ გამოვიდა 20 კენჭი.

## II თბილისვორდი




კროსვორდში ჰორიზონტალურად თბილისის უბნების სახელწოდებების შეტანით ლურჯი ფერის ვერტიკალურ სვეტში მიიღებთ ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოს

## იპოვეთ 12 განსხვავება



## III




## გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით






ეცადეთ მოხვდეთ ლაბირინთის გულში

## V სახალისო გამოცანები

ა
ვარსკვლავივით იცინის,
რკინის ქუდი ახურავს,
და ანათებს ციმციმით,
რა იქნება? ...

— — —

ბ
მრგვალი არის ბურთივით
თითქმის კაკლის ხელა,
ბურძგლები აქვს ზღარბივით
გიჭამიათ ყველას.
ტყეში ხეებს ასხია,
ბევრი, ვერც კი დათვლი,
კანს რომ გადააცლიან,
გამოძვრება ...

*გამოცანები გამოგვიგზავნა 15 წლის ნინო ტომარაძემ*

## გააფერადე

ფერადი ფანქრებით



## VI

ამ ქართველი მწერლის კალამს ქვემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან, მხოლოდ ერთი არ ეკუთვნის. გამოიცანით მწერალი და გამორიცხეთ სხვისი.



1) სიმონა;
2) ქრისტინე;
3) სამანიშვილის დედინაცვალი;
4) პალიასტომის ტბა.




*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

# „გამორბოდა ქართველობა: გვარდიელები, ჯარისკაცები, როგორც დამფრთხალი თხები...“

***ჟორდანიას ხანაში, ქვეყნის მთლიანობის დასაცავად სამხედრო საშუალებების გამოყენებას შუა საუკუნეების მეთოდად მიიჩნევდნენ, ხოლო ეროვნული ჯარების მიერ სამხედრო გზით მოპოვებულ გამარჯვებებს დიპლომატიური დამარცხებებით ცვლიდნენ.***

**ნოე ჟორდანიას** დროინდელ საქართველოში, პირველ რესპუბლიკაში (1918-1921წ.წ.), ისევე როგორც დღეს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და უსაფრთხოება საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. ეს გახლავთ ის პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, როდესაც ოკუპანტს ოკუპანტი ცვლიდა, მტერს — მტერი. შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად იმდროინდელი მთავრობა დიდად არ აქტიურობდა. პირიქით, ქვეყნის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვა სამხედრო საშუალებების გამოყენებით (თავისი უტოპიური მარქსისტულ-სოციალისტური ორიენტაციის გამო), დრომოჭმულ მეთოდად მიაჩნდათ.



## ქვეყნის მთლიანობა და მიტინგები

ჟორდანიას რეჟიმს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უმთავრეს საშუალებად მიტინგები მიაჩნდა. ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეებს, კერძოდ, ბათუმს, თურქეთის მიერ დაპყრობის რეალური საფრთხე დაემუქრა. ბათუმის თავდაცვასთან დაკავშირებით, ნოე ჟორდანიამ მოიწვია ეროვნული საბჭოს სხდომა. გაიმართა ცხარე კამათი, რა საშუალებებით დაეცვათ ქალაქი. კონკრეტული წინადადებით გამოვიდა გენერალი ვასილ გაბაშვილი და განაცხადა: „მე ვიცნობ ბათუმის ციხეს, როგორც ჩემს ხუთ თითს, მომეცით 3.000 ჯარისკაცი და სიტყვას გაძლევთ, ექვსი თვის განმავლობაში თურქებს კი არა, ჩიტს არ გადმოვაფრენ იქითკენო“. ნოე ჟორდანიას მთავრობის წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა შეიცხადა: — რას ბრძანებთ, ბატონო გენერალო, თქვენი თავი საშუალო საუკუნეებში ხომ არ გგონიათ, — ზარბაზნებსა და ციხეებზე გველაპარაკებით? ბათუმში ჯარი კი არ უნდა წავიყვანოთ, არამედ ხალხი, იქ საპროტესტო მიტინგები გავმართოთ და როცა თურქები დაინახავენ, რომ მთელი ქართველი დემოკრატია წინააღმდეგია მათი — დღეს დემოკრატიის ხანაა და თურქეთის დემოკრატებიც ჩვენი ძმები არიან — ისინი ველარ გაბედავენ ბათუმში შემოსვლას“. საბოლოოდ, მიღებულ იქნა გეგეჭკორის წინადადება, გაბაშვილი ცივი უარით გაისტუმრეს. აი, რას იგონებს ამასთან დაკავშირებით იმდროინდელი დამფუძნებელი კრების წევრი რევაზ გაბაშვილი:

„ბათუმში მართლაც უზარმაზარი მიტინგი იქნა ჩატარებული. 40.000 კაცი ჩაიყვანეს. მიტინგები და პროტესტები აუარებელი იყო, მაგრამ თურქების 5.000-იანმა ჯარმა რამდენიმე დღეში ბათუმი უბრძოლველად აიღო. 5 ათასი ქართველი დაატყვევა და დანარჩენები ცხვრებივით იფრინა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოდის ეროვნული საბჭოს სხდომაზე უტიფრად ევგენი გეგეჭკორი და აცხადებს: „ბატონებო, რა ვნახე... ბათუმიდან გამორბოდა მთელი ქართველობა: გვარდიელები, ჯარისკაცები, როგორც დამფრთხალი თხები... ზოგს ზურგზედ საკერავი მანქანა ჰქონდა, ზოგს ხალიჩა, ზოგს რა, ზოგს რა... ამხანაგებო, რას შვრებით, სად გარბიხართ? ვუყვიროდი და მიპასუხებდნენ: „ქე გვესვრიან და რავა დავდგეთო“. აი, ასეთი პოლიტიკური ლიდერები ედგნენ მაშინდელ საქართველოს სათავეში, რომლებთაც ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა ფუჭი ლაყბობით და ხმაურიანი მიტინგებით შესაძლებლად მიაჩნდათ. და ისინიც მართლაც „ქე ესროდნენ“, აბა, კანფეტებს ხომ არ გადმოუყრიდნენ ჟორდანია-გეგეჭკორისთანა „დემოკრატებსა“ და ყოვლისმცოდნე „სტრატეგებს“.

## ბონაპარტიზმის სინდრომი

ზემოთ მოგახსენეთ, პირველი რესპუბლიკის (1918-1921წ.წ.) მთავრობა ეროვნული ჯარის მიერ ომით მოპოვებულ გამარჯვებებს დიპლომატიური დამარცხებებით ცვლიდა-მეთქი. ეს მართლაც პათოლოგიური მოვლენა გახლდათ. კონკრეტულად რით იყო გამოწვეული ეს? როგორც ჯერ კიდევ თანამედროვენი აღნიშნავდნენ, ამის უმთავრესი მიზეზი იყო ე.წ. „ბონაპარტიზმის სინდრომი“ — ხელისუფლების ავადმყოფური შიში, ომში გამარჯვებული მხედართმთავარი, ვაითუ, ისე აღზევდეს, რომ ნაპოლეონის მსგავსად ხელისუფლების წინააღმდეგ განეწყოს და მისი დამხობა მოინდომოსო. აი, ამ უტოპიური ილუზიებით ხელმძღვანელობდა პირველი რესპუბლიკის რეჟიმი, როცა ეროვნული ჯარის მიერ მოპოვებული ოთხი დიდი სამხედრო გამარჯვება ქვეყანას დამარცხებად უქცია. ეს მოხდა 1918 წლის აპრილ-მაისში, თურქეთთან გამართულ ომში, სადაც ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს; 1918 წლის დეკემბერში, სომხეთთან ომში; 1919 წელს მესხეთისათვის წარმოებულ ბრძოლებსა და 1920 წელს საბჭოთა რუსეთთან მიმდინარე საომარი კამპანიის პერიოდში.

სამხედრო გზით მოპოვებული გამარჯვებების პოლიტიკურად წაგების სერიალი დაიწყო თურქეთის ომიდან, 1918 წლის აპრილ-მაისში. ქართულმა არმიამ გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა თურქეთის გალიპოლის დივიზია და აღმოსავლეთში მოქმედი თურქული სამხედრო კორპუსი სრული კატასტროფის წინაშე დააყენა. ნაცვლად იმისა, რომ საომარი ოპერაციები გაგრძელებულიყო და მოპოვებული გამარჯვებებით მტერი იძულებული გაეხადათ, საქართველოსთვის სასურველი საზავო პირობები შემოეთავაზებინა, საქართველოს მთავრობამ იქით სთხოვა თურქეთს მოლაპარაკებების დაწყება... 1918 წლის 4 ივლისს დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაიდო საზავო შეთანხმება, რომლის ძალითაც მტრის ხელში გადავიდა მთელი მესხეთი — ართვინი, ახალციხე ბათუმითურთ. მაზნიაშვილის მიერ მოპოვებული სამხედრო გამარჯვება მთლიანად ნიველირებულ იქნა.

იგივე მოხდა სომხეთთან 1918 წლის დეკემბერში გამართულ ომშიც. ქართულმა ჯარებმა, იმავე გენერალ მაზნიაშვილის მთავარსარდლობით, ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. დაიკავეს შულავერი, სანაინი და ფრონტის მთელ მონაკვეთზე მტრის შენაერთების განადგურებით ერევანს უშუალო საფრთხე შეუქმნეს. მაგრამ დაუყოვნებლივ გამოდის მთავრობის განკარგულება, საომარი ოპერაციების შეწყვეტის და სომხეთთან საზავო მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, რის შედეგადაც ქართველებმა არათუ ერევანი ვერ დაიკავეს, არამედ თავისი კუთვნილი ლორეს რაიონის შემოერთებაც ვერ შეძლეს. ეს ძირძველი ქართული მიწა ნეიტრალურ ზონად იქნა გამოცხადებული, გენერალი მაზნიაშვილი კი, გამარჯვებული მხედართმთავარი, გადააყენეს თანამდებობიდან. ასე რომ, მისი მხრიდან ვითომცდა მოსალოდნელი აღზევების საფრთხე მთავრობამ აიცილა.

მსგავს მოვლენებთან გვაქვს საქმე 1919 წელს მესხეთისთვის გაჩაღებულ ომში. ქართველთა 10.000 კაციანმა კორპუსმა, გენერალ გიორგი კვინიტაძის სარდლობით, სასტიკად დაამარცხა მტერი, დაიკავა თურქეთისაგან დაპყრობილი ახალციხისა და ახალქალაქის ტერიტორიები, მარშით შევიდა არტაანსა და ართვინშიც და მთელი ეს ისტორიული მესხეთ-კლარჯეთის ტერიტორია დედასამშობლოს შეუერთა. მაგრამ სწორედ ამ დროს, ჟორდანიას რეჟიმი იწყებს პოლიტიკურ მოლაპარაკებებს კავკასიაში იმ პერიოდში გაწესებულ ინგლისის მისიასა და სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებთან, რაც იმით დასრულდა, რომ გამარჯვება, ფაქტობრივად, დამარცხებით შეიცვალა, რადგან ინგლისთან გამართული მოლაპარაკებების ძალით ართვინი და მთელი კლარჯეთი დატოვეს ქართულმა ჯარებმა და იქ ინგლისელთა სამხედრო-პოლიტიკური მმართველობა იქნა აღიარებული. რაც შეეხება არტაანის მხარეს, ეს ტერიტორია სომხეთის შემადგენელ ნაწილად იქნა ცნობილი. ქართველების უშუალო დაქვემდებარებაში, მთელ ამხელა ქართულ ტერიტორიაზე, ერთადერთი წერტილი, საკუთრივ ქალაქ არტაანის დასავლეთი ნაწილი რჩებოდა და ქართველებს მისასვლელი გზით სარგებლობის უფლება რომ მოეპოვებინათ, ნებართვა სომხეთის მთავრობისაგან უნდა მიეღოთ. გენერალ კვინიტაძეს კი მთავრობამ მესხეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში გაწეული ეს დამსახურება იმით გადაუხადა, რომ დაუყოვნებლივ იქნა გადაყენებული და შტატგარეშე სამხედრო თანამშრომლად, თადარიგის გენერლად გამოაცხადა. 1920 წლის გაზაფხულზე პირველი რესპუბლიკა ომის მორიგ ჭაობში ჩაეფლო. სამხრეთ-აღმოსავლეთის, აზერბაიჯანის მხრიდან მას თავს დაესხა საბჭოთა რუსეთი. საომარი ოპერაციები, თავდაპირველად, მტრისათვის სასურველი შედეგებით მიმდინარეობდა, მაგრამ მალე ძირეული გარდატეხა მოხდა. ქართული ჯარის სარდლად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე, რასაც შედეგად მტრის სასტიკი დამარცხება მოჰყვა. რუსეთი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. ქართველებს მიეცათ შესაძლებლობა, შესულიყვნენ განჯაში, დაეკავებინათ ბაქო და განედევნათ რუსი მთელი ამიერკავკასიიდან (ამ დროისათვის გენერალ კვინიტაძეს ექვემდებარება 40.000-იანი კარგად გაწვრთნილი არმია), მაგრამ ამ დროს გამოდის ჟორდანიას ბრძანება საომარი ოპერაციების შეწყვეტისა და აზერბაიჯანში რუსული საოკუპაციო ხელისუფლების ცნობის შესახებ. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართული ჯარის კაპიტულირება, რადგან ყველამ კარგად იცოდა — რუსი აზერბაიჯანში როგორც კი ფეხს მოიკიდებდა, კვლავ შეეცდებოდა საქართველოსა და მთელი კავკასიის ჩაყლაპვას, რაც მოხდა კიდეც.

პირველი რესპუბლიკის მთავრობის მოღალატური პოლიტიკით მალე საქართველოს 1921 წლის 25 თებერვალი გაუთენდა, ხოლო სამხედრო გამარჯვებები 1918-21 წლების საქართველოსთვის ტკბილ მოგონებადღა დარჩა.

***კახა მაისურაძე***

# — ვიცოდი, მეც და ჩემს მანქანასაც KГБ მაშინვე დაგვაფიქსირებდა...

„კვირის პალიტრამ“ ორიოდ თვის წინ შემოგთავაზათ ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ზოგიერთ დეტალზე იყო ყურადღება გამახვილებული. რედაქციაში დაგვირეკა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ალექსანდრე ფოცხიშვილმა,** რომელმაც გვიამბო, თუ როგორ შეხვდა შემთხვევით პარიზში გამსახურდიას დაცვის ერთ-ერთ წევრს, რომელიც იქ პოლიტიკურ ემიგრაციაში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ბატონმა ალექსანდრემ ზვიად გამსახურდიასთან პირადი ურთიერთობებისა და სხვა საინტერესო ფაქტების შესახებაც მოგვითხრო:

— ზვიად გამსახურდიას პირველად შევხვდი 1978 წლის ნოემბერში. ამ დროს იგი საქართველოდან გასახლებული იყო და ოჯახთან ერთად ყიზლარში ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს აპოლონ ჟორდანიამ, რომელიც ზვიადს კარგად იცნობდა, შემომთავაზა, ყიზლარში, ზვიად გამსახურდიას სანახავად მივდივართ და ხომ არ წამოხვალო. ცხადია, სიხარულით დავთანხმდი. წავედით სამნი: მე, აპოლონი და ლეილა ნანიტაშვილი, რომელიც ასევე ძალიან ახლოს იყო ზვიადის ოჯახთან.

მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ვიცოდი, მეც და ჩემს მანქანასაც (ჩემი ავტომანქანით წავედით) KГБ მაშინვე დაგვაფიქსირებდა და გაგვშიფრავდა, მაინც გავემგზავრეთ. ყიზლარში რომ ჩავედით, უკვე შეღამებული იყო. ზვიადიც და მანანაც შინ დაგვიხვდნენ (მანანა მაშინ გიორგიზე იყო ფეხმძიმედ). პირველი შეკითხვა, რომელიც ზვიადმა დაგვისვა, ეს იყო — ჩემზე რას ამბობენ საქართველოშიო. მისი ცნობილი სატელევიზიო მონანიების გამო ამ დროს ავტორიტეტი ცოტა არ იყოს შელახული ჰქონდა და შეკითხვაც სწორედ აქედან გამომდინარეობდა. მე ვცადე, ცოტათი შემემსუბუქებინა სიტუაცია და ვუთხარი — ისეთს არაფერს-მეთქი. მაგრამ ზვიადი, რა თქმა უნდა, მიხვდა, ბოლომდე სიმართლეს რომ არ ვეუბნებოდით და ცოტა არ იყოს, ნაღვლიანად გვითხრა — კი მაგრამ, ახლა რომ მკიცხავენ, რატომ არ მოვიდნენ და მაშინ არ დამიდგნენ გვერდით, როცა საქმე ჩემს დაპატიმრებამდე მივიდა. იციან მათ, რა გადავიტანე და რას გავუძელიო?

ახლა მახსენდება ერთი შეკრება კინოს სახლში, 1988 წლის ნოემბერში. მთავრობის სახლის წინ მაშინ გრანდიოზული შიმშილობის აქცია მიმდინარეობდა. შევიკრიბეთ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რათა მოგვეთათბირა, როგორ მოვქცეულიყავით. ღამის 2 საათია. სამედიცინო ინსტიტუტის ორმა სტუდენტმა ამბავი მოიტანა, საავადმყოფოებში ადგილებს ათავისუფლებენ, ეტყობა რაღაც უბედურება მოხდებაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ აქციის დარბევას აპირებდნენ. დარბაზი აღშფოთდა. გამოვიდა მარიკა ლორთქიფანიძე და თქვა, თუ მოშიმშილეები არ დაიშლებიან, შესაძლოა 1956 წელი განმეორდესო. ამას გამოეხმაურა რეზო ჩხეიძე, რომელმაც ასევე მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო შიმშილობის აქცია, რათა თავიდან აგვეცილებინა თავდასხმა და უბედურება. მერაბ კოსტავას გამოსვლა აბსოლუტურად სხვა პათოსით იყო გამსჭვალული — თუ დამოუკიდებლობა და ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება გვინდა, თავდასხმებისთვისაც მზად უნდა ვიყოთო. სხვათა შორის, მაშინ მეც გამოვედი სიტყვით და ახლა ვხვდები, როგორი შეცდომა დავუშვი, როცა ვთქვი, ჩვენი დღევანდელი შიში და აჟიოტაჟი უსაფუძვლოა, რადგან არა მგონია მთავრობამ ჯარს მოშიმშილეთა დარბევა უბრძანოს-მეთქი. 9 აპრილმა დაადასტურა, რომ მაშინ მწარედ ვცდებოდი.

***— ზვიად გამსახურდიას პოზიცია როგორი იყო მოშიმშილეთა დაშლასთან დაკავშირებით?***

— თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ ზვიადი არც სიტყვით გამოსულა და არც თავისი პოზიცია დაუფიქსირებია. ის კი არადა, როდესაც მას მიმართეს, შენ რას იტყვიო, უპასუხა, ამ მოშიმშილეებთან არანაირი კავშირი არ მაქვსო. ამ დროს აუდიტორიის შუა რიგებიდან წამოდგა ერთი ყმაწვილი, რომელმაც საშინლად განაწყენებული ტონით განაცხადა —ზვიად გამსახურდიასთან რა გინდათ, ეს აქცია ეროვნულ-დემოკრატების მოწყობილია, წარმომადგენლებიც აქ ვართ და თუ რაიმე გინდათ, ჩვენ გვკითხეთო. ასე რომ, ზვიადს იქ თითქმის არაფერი უთქვამს.

***— ბატონო ალექსანდრე, ახლა იმ ახალგაზრდაზე გვიამბეთ, რომელსაც პარიზში შეხვდით და თავი ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრად გაგაცნოთ.***

— შარშან, სექტემბერში პარიზში მიწვეულები ვიყავით ენათმეცნიერთა მე-8 საერთაშორისო კონფერენციაზე. კონფერენცია 20 სექტემბერს დამთავრდა, მაგრამ მე და რამდენიმე თანამშრომელი დავრჩით, რათა პარიზი დაგვეთვალიერებინა. ერთ მშვენიერ საღამოს გავემართე პარიზის ღვთისმშობლის



ტაძრისკენ. ხალხმრავლობა არ იყო. შევედი და უცებ ქართული ლაპარაკი მომესმა. გავიხედე და დავინახე სამი მამაკაცი — ერთი ხნიერი და ორიც — ახალგაზრდა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი რეაქცია მექნებოდა? მაშინვე მივედი და გამოველაპარაკე. ვკითხე, ვინ ხართ, საიდან ხართ-მეთქი. მაინცდამაინც დიდი აღტაცება არ გამოუხატავთ. საკმაოდ თავდაჭერილად მპასუხობდნენ, ისე კი არა, როგორც ქართველები ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს უცხოეთში. ამან რაღაცნაირად დამთრგუნა. მათთან დაახლოება ველარ მოვახერხე, თუმცა თავიანთი ვინაობა მაინც მითხრეს. მათგან ყველაზე ხნიერი გვარად ჭკადუა აღმოჩნდა. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ თავი ხატიაშვილად გამაცნო, მითხრა, პარიზში სამკურნალოდ ვარ ჩამოსულიო. მესამე ახალგაზრდა შედარებით მორიდებული ჩანდა. რაღაცნაირად დანაღვლიანებულიც კი იყო. მასზე მითხრეს, ეს არის გოჩა შერმადინი — ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი, რომელიც ექსპრეზიდენტს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში თან ახლდაო. ეტყობა, პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ განერიდა საქართველოს. როგორც ვიცი, გარკვეული ხნის მანძილზე დაპატიმრებულიც კი იყო გერმანიაში და მასზე საგანგებო გამოძიება წარმოებდა.

***— იმხანად პარიზში ცხოვრობდა?***

— არა, თუ არ ვცდები, ცხოვრობდა სტრასბურგში. ეს იყო საოცრად თავდაჭერილი და არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანი. საქართველოზე რომ ლაპარაკობდა, თვალებზე ცრემლები ადგებოდა.

***— თუ იგი პრეზიდენტს სიცოცხლის ბოლო დღეებში ახლდა, მას თავისი გარკვეული ვერსია უნდა ჰქონოდა მისი გარდაცვალების შესახებ. ჰკითხეთ ამის თაობაზე?***

— დიახ, რა თქმა უნდა, ვკითხე. ვუთხარი, მანანა არჩვაძე ავრცელებს ხმებს, რომ იგი მოკლეს და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს გუგუშვილისკენ იშვერს და მაინც როგორ იყო — მოკლეს თუ თავი მოიკლა-მეთქი? მან მიპასუხა, პრეზიდენტი ბოლო დღეებში საშინელ დეპრესიაში იყო. თითქმის არ გველაპარაკებოდა, ჩვენთან შეხვედრასა და საუბარს გაურბოდაო. ერთი სიტყვით, გოჩა შერმადინის ვერსიით, გამსახურდიამ თავი მოიკლა.

***— ე.ი. მან გამორიცხა გამსახურდიას მკვლელობის შესაძლებლობა?***

— რას ამბობთ, ამ ყმაწვილმა მითხრა, გუგუშვილს კაცის კი არა, წიწილის მოკვლაც არ შეეძლო. იარაღს რომ მივცემდით, გვეუბნებოდა, არ მინდა, მაინც ვერ გავისვრიო. გარდა ამისა, მას და გამსახურდიას ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, ამისთანა რამის გაფიქრებაც კი უაზრობააო. სამწუხაროდ, საუბრის გაგრძელება ველარ მოვახერხეთ, რადგანაც ძალიან ეჩქარებოდათ. მოკლედ, ასე დავშორდით ერთმანეთს. სიმართლე გითხრათ, ძალიან ამაფორიაქა ამ შეხვედრამ, მთელი ღამე არ მძინებია.

***— მას მერე ამ ყმაწვილის შესახებ აღარაფერი გსმენიათ?***

— არა, სამწუხაროდ, აღარაფერი. მაგრამ სამივეს მისამართი მიწერია.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

**7**



ხილის კარამელი, ამერიკელ მეცნიერთა აზრით, საუკეთესო დასამშვიდებელი საშუალება ექიმთან ვიზიტის წინ

**8**



სამაგიდო თამაში მეწარმისთვის საჭირო თვისებების გამოსამუშავებლად

**10**



ორგანიზმის სისტემა, რომელზედაც მეტად უარყოფითად მოქმედებს ხმაურიანი „ოჯახური გარჩევები“

**11**

ფრინველი მტრედისნაირთა რიგისა, გავრცელებული ევროპაში, აზიაში, აფრიკაში. საქართველოში მრავალგან გვხვდება

**12**



ნატურიდან შესრულებული წინასწარი მონახაზი

**16**



დეკორატიული ნაგებობა

**18**

ძალა, რომლითაც შენობის საძირკველი მოქმედებს ნიადაგზე

**19**



მორიგეობა გემზე

**20**



ადგილი საზაფხულო დასვენებისთვის

**21**




ეთეროვანი ზეთებისა და სხვადასხვა სურნელოვანი წვენის შემცველი ნივთიერება

**25**



სუფთად მოგება ძიუდოში

**26**



მაღლობზე მდებარე ვაკე

**27**



სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება

**30**



ნასხლავი

**33**



ყელ-კისრის ირგვლივ მოვლებული ქსოვილი

**34**

მცენარე, რომლის ზეთის რამდენიმე წვეთი ბალიშზე არანაკლებ ეფექტურია, ვიდრე დასაძინებელი აბები

**35**



გრძნობებსა და დამოკიდებულებაში უცვლელობა, მედეგობა

**36**

პიროვნება, რომელიც კარგად ერკვევა ადამიანებში, მათ ხასიათსა და განცდებში

## შვეულად:

**1**



ყურძნის მაგარი ღვინო, რომლის მისაღებად წვენს ან დურდოს დუღილის პროცესში უმატებენ ეთილის სპირტს

**2**



1951 — „ბალახის ხმები“, 1958 — „საუზმე ტიფანისთან“, 1965 — „ჩვეულებრივი მკვლელობა“ (ამერიკელი მწერალი 1924-1984)

**3**



სურ. ტაძარი აგებული 1091 წ. (სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში)

**4**



ქოქოსის კაკლის გული, რომელიც გამოიყენება ზეთის, მარგარინის და საპნის წარმოებაში

**5**



თევზების გვარი ქაშაყისებრთა ოჯახისა, ქარსალა

**6**

„ის, ვინც თანახმა არ არის“ (ლათინურად)

**9**



ქვეყანა, საიდანაც გავრცელდა ჰუსართა განსაკუთრებული თარგის მუნდირი

**13**



საჩიხი

**14**



გონებრივი თვისება, რომელიც ამერიკელ მეცნიერთა მტკიცებით, უცილობლად მცირდება ტელეგადაცემების რეგულარული ყურების შემდეგ

**15**



კარბონული პერიოდიდან ცნობილი ხრტილოვანი თევზები, რომელთა სხეულთა ზომები 0,2-დან 20 მეტრამდე აღწევს

**17**



ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებელი სურსათ-სანოვაგე

**22**



(პროფესია)

**23**



ნაკეთობის მასალა

**24**




ინგლისის ფულის ერთეული

**28**



გარკვეული ხასიათის როლები, რომლებიც შეესაბამება ამა თუ იმ მსახიობის თავისებურებას

**29**



ესპანელი კონკისკადორი, რომელმაც პირველმა გადაკვეთა პანამის ყელი და მიაღწია წყნარ ოკეანეს

**31**

მუდმივი და ჭარბი ტენიანობის მქონე ხმელეთის ნაწილი

**32**

თანამედროვე ნავსადგური შავ ზღვაზე, ყოფილი თურქული ციხესიმაგრის, ჰაჯიბეის ადგილზე

---

კროსვორდი შეადგინა
*რამაზ ალანიამ*

---

**„კვირის პალიტრა“ №29 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. ზეთისხილი; 8. კარტოთეკა; 10. ილუსტრატორი; 13. ფლავი; 16. ხურდა; 17. გარნიტური; 18. აფიშა; 19. ოდერი; 20. კვაზარი; 21. ზღაპარი; 25. ფორდი; 26. ჟიური; 27. ალებასტრი; 28. ტოლმა; 29. ედემი; 34. პორნოგრაფია; 35. ეფრეიტორი; 36. მჭადასოკო.

**შვეულად:** 1. იეროგლიფი; 2. თხილი; 3. პლისე; 4. მალტა; 5. მტერი; 6. სკიპიდარი; 9. პროფილი; 11. ქვეშევრდომი; 12. ვუნდერკინდი; 14. კარნავალი; 15. გრენადერი; 22. ფოტოგრაფი; 23. დიალოგი; 24. გრამატიკა; 30. ფოსტა; 31. ქნარი; 32. ნაოჭი; 33. დიოდი.

## ბინები

დიღუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ავტომანქანის სადგომი ადგილით, ბუხრებიანი კარით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

3 ოთახიანი, არასტანდარტული ბინა, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, სველი წერტილებით ცალ-ცალკე. საწყისი ფასი 20.000$. ტელ: 32-08-90; 32-69-64

მიცკევიჩის ქუჩაზე №6-ში 4 ოთახიანი (3+1), არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ტელეფონით, ლოჯიით, გისოსებით, რკინის კარით, ოთხი სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. გაიცვლება სოფისებდ. საწყისი ფასი 42.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

ორი დუპლექსი ვაჟა-ფშაველასა და ნუცუბიძის შემაერთებელ ქუჩაზე, 5-6 და 7-8 სართულები, რკინის კარებით. კომუნიკაციები სადარბაზოშია, დაშენება – 4 სართულიან სახლზე. თითოეულის ფართი 254 კვმ. ერთის საწყისი ფასი 20.000$. ტელ: 899 50-69-68; 32-52-85

მეტრო „წერეთლთან" 5 ოთახიანი, არასტანდარტული ბინის კარკასი, 9(10), ს/ფ – 200 კვმ, მუდმივი წყლით და დენით. მის: ბათუმის ქ. №5. ტელ: 76-29-24; 899 50-77-12

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

800 კვმ მიწის ნაკვეთი შუა წყნეთში, ნაძვნარიან ადგილას. ფასი 30.000$. ტელ: 32-80-44 (საღამოს). ნანი; 98-51-16 (საღამოს). ნანა

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

ქ. ზუგდიდის ცენტრში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ბოტანიკურ ბაღთან 2.000 კვმ, 2 სართულიანი, კაპიტალური, კეთილმოწყობილი სახლი ეზოთი, ბაღით, კაპიტალური ავტოფარეხით, მუდმივი ცხელი და ცივი წყლით, ბუხრებიანი კარით და გათბობით. ფასი 42.000$. ტელ: 74-07-86; 899 53-22-77. ზურიკო

## ქირავდება

ახალგარემონტებული 4 ოთახიანი საოფისე ფართი მელიქიშვილზე (კაბინეტს აქვს საკუთარი სველი წერტილი). ფასი 600$. ტელ: 32-80-44 (საღამოს). ნანი; 98-51-16 (საღამოს). ნანა

ჩუღურეთის რაიონში (ნიტაის ქ. №33) 250 კვმ ფართის, კეთილმოწყობილი ნახევარსარდაფი. ტელ: 22-38-23; 877 43-34-38

## მილოცვა

**პატარა ირაკლი ალადაშვილს!**

ჩვენო პატარა ირაკლი, გილოცავთ დაბადების დღეს! ბედნიერი, კეთილი, ჭკვიანი, ღირსეული კაცი გაიზარდე, მშობლების სასახელოდ, შენი სამშობლოს პატრონად და მოჭირნახულედ. ღმერთმა დაგლოცოს, 6 წლის ვაჟკაცო!

*პალიტრელები*

**თამარ და ცოტნე წერეთლებს!**



ჩვენო საყვარელო პატარებო, გილოცავთ დაბადების დღეებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, კარგად სწავლას, თავაწეულ და წელგამართულ სიარულს ცხოვრებაში, ჩვენი ტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოდ!

„მარად გახსოვდეთ, რომ დიდ ქართველთა
სათაყვანებელ სახელს ატარებთ,
წერეთლის გვარის შთამომავალნო,
საქართველოს მზე თავს ზე ატარეთ!"

კარგი ყოფაქცევით გვასახელეთ, შვილებო!

*გკოცნით თქვენი მამიკო, დედიკო, მამიდა, ბებიები და ბაბუა*

**ლევან ბურჯანაძეს!**

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო ლევანიკო, გილოცავ დაბადების დღეს. იმედია, 13 წელიწადს მხიარულად, ორიგინალურად შეხვდები აბასთუმანში. გისურვებთ კარგ დასვენებას დედასთან, გიორგისა და რუსიკოსთან ერთად. ჩვენ სულითა და გულით შენთან ვართ. გკოცნით და გეხვევით.

*შენი ბებო, კახა, ლიკა, ოლიკო, ნინიკო, მედეა, მარინა, მალხაზი, დათო და...*

ჩემს უძვირფასეს პედაგოგს **ნანა ცომაიას!**

სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს, 20 ივლისს. ლიმილი იყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

*ვანო*

P.S. „ზოგჯერ ბედი ფრთებდაჭრილი გედია, მაგრამ ისიც ბედია..."

ჩვენს მონატრებულ მეგობარს **ქეთევან ნემსწვერიძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, შენს ლამაზ ქალ-ვაჟთან, დედიკოსთან, ძამიკოსთან და, რა თქმა უნდა, სამეგობროსთან ერთად.

„ერთი წამიც კი სანამ ცვარი დაფარავს ლამით
მწვანე თავთავებს, ნიავით რომ ოდნავ იძვრიან.
ამ ცხელ ზაფხულის ერთი წამიც, ო, ერთი წამიც,
ერთი წამიც კი არ გავიხსოვდეს, არ შეგვიძლია!"
ბედნიერებას გისურვებთ!

*ზღრეული მეგობრები*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფიანი. მის: მ. „300 არაგველი", არამანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფენვენი", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპრს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი. არ არსებობს მოურჩენელი თმა, ამაში უნდა დარწმუნდეთ პირველივე სეანსზე. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

ყურადღება! მშობლებო! დაეხმარეთ თქვენს შვილებს სიმაღლეში ზრდაში: 4-18 წლამდე (5-10 სმ); ფრანგული პრეპარატებით ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება: გახდომა (5-15 კგ), მომატება ვიტამინებით. გვაქვს ნაოჭების გელი „მილენიუმი". ტ: 52-65-18. თამარი; 61-75-81. მზია

გახდომა ახალი პროგრამით ეფექტურად, კომფორტულად, გემრიელად! სცადეთ, არინანებთ! ტელ: 95-31-90; 61-77-74; 899 58-25-44

ფირმა „მოდინახე"! ასრულებს ბრტყელი სახურავების სამუშაოებს გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით – 4 ლარი, მინა-ქსოვილით – 5 ლარი, ჰიდროიზოლით (მიკროსტი) – 8 ლარი. გარანტია 5-12 წლამდე. მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3. (რკინიგზის დეპარტამენტთან). ტელ: 96-80-99; 22-08-58; 899 54-52-60

COMPUTER COMPANY „PULSAR" – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

სწრაფად აგიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79

აგიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

ვაკეთებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას. სამეულებზე, არაბულ ტახტებსა და სკამებზე ზამბარიანი მატრასების დარბილება-გადაკვრას, განახლებას. აგრეთვე ვამზადებ ნებისმიერი ზომის გასაშლელი დივან-სავარძლებს. ტელ: 95-72-98

„ცხრაკლიტული"! შეამოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოსადგომის უსაფრთხოება. საკეტის შეკეთება, ახლის დამატება ან კარზე ტყავის გადაკვრა ხომ არ გსურთ? ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარჯანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეროხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ უცხო ენებისა და კომპიუტერზე მუშაობის შესწავლას ინდივიდუალურად. თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც შეგიქმნიან საუკეთესო პირობებს, თქვენთვის სასურველ დროს. ტელ: 98-78-26 „DAWIT"-ი – ბედნიერი მომავალი თქვენს ცხოვრებაში!

## სხვადასხვა

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურისტ-ეკონომისტი);
2. ეკონომიკური (ეკონომისტ-იურისტი);
3. უცხო ენები.

უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან III კურსზე. ფასი 200-250 ლარი.

მის: თოფურიას ქ. №12, ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 32-82-60; 32-06-97 (საღამოს)

დასვენება ქობულეთში, 10 დღე, სამჯერადი კვებით. ფასი 60-დან 200 ლარამდე. გაიცემა საგზურები. ფასები განისაზღვრება ზონისა და კომფორტის მიხედვით. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში, პოლიციის შენობის უკან), კაბ. №6, „ტურიზმი-2000"

## იყიდება

მაღაზიისათვის, კომერციული საქმიანობისათვის 2 სართულიანი შენობა, სარდაფით, ფართი – 180კვმ + 60 კვმ, საუცხოო, ხალხმრავალ ადგილას, გლდანში, მეტროსთან ახლოს. საჭიროებს მოპირკეთებას, შემინვას. საუკეთესო შანსია ბიზნესისთვის. ტელ: 34-16-50; 899 51-30-49; 877 40-57-61

ბენზოგასამართი სადგური, მაღაზია და ავტოტექმომსახურების სამი ბოქსი. შეიძლება ცალ-ცალკე გაყიდვაც. ტელ: 899 51-07-36; 877 43-67-90; 70-05-50 (23 საათის შემდეგ)

ა/მ „კრაისლერ-სტატუსი", 1995 წლის, მწვანე ჭარბისფერი, საუკეთესო მდგომარეობაში, ახალი ჩამოყვანილი. ფასი 9.800$. ტელ: 34-16-50; 899 51-30-49; 877 40-57-61

ნიჟარების („რაკუშკების") ფარდა (1.20X2.00). ფასი 150 ლარი. ტელ: 23-07-65

ბალზაკი, 15 ტომი – 40 ლარი (რუსულად); ასი ოპერა რუსულად, 2 წიგნი – 10 ლარი; ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი – 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) – 5 ლარი; 2 ტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, მერიმე), რუსულად, 2 ტომი – 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად – 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

**სპარტაკ (პაკო) ხათრიძის ხსოვნას**



ჩვენო საყვარელო, მონატრებულო სპარტაკ! დღეს, 26 ივლისს შენი დაბადების დღეა, 25 წლის გახდებოდი, რომ არა ეს ტრაგიკული შემთხვევა. დღეს მორიდან გფერებით ორივე ძმას – შენი ძმა ბადრი ხომ 4 ივლისს გახდა 23 წლის. გფერებით და გილოცავთ წმინდა სანთლებით, მაგრამ პირველი შენი განუყრელი და სათაყვანებელი ძმა ბადრი მოგილოცავდა – თქვენ ხომ სიჭაბუკეში ერთად ეზიარეთ მარადისობას, წახვედით და მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვეთ გამწარებულ დედ-მამას, ცოლ-შვილს და თქვენს დაიკო ლიკას.

ღმერთი გვარავდეთ ზეციურ სასუფეველში, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა. ოჯახი

**სულიკო მორბედაძის ხსოვნას**



დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო საყვარელო მამიკო. 27 ივლისს 39 წელი შეგისრულდებოდა. უკვე რამდენიმე დღეა უშენოდ ვცხოვრობთ. ძნელია უშენობა, ძალიან გვენატრები. ნათელში იყოს შენი წმინდა სული, ჩვენო კეთილო და ლამაზო მამიკო, ძალიან, ძალიან გვიყვარხარ.

*შენი საყვარელი შვილები ნინო და სოსო მორბედაძეები*

**გიული ჯინჯოლავას ხსოვნას**

ძვირფასო გიული ბაბუა, 29 ივლისს შენი დაბადების დღეა. თვალცრემლიანნი ვხვდებით ამ დღეს, რადგანაც ის ტრაგედიად იქცა ჩვენთვის. 1978 წელს, ზუსტად 29 ივლისს, სახლთან ახლოს, ავტოკატასტროფაში დაიღუპა შენი უსაყვარლესი დაიკო, დალი. მას შემდეგ ცრემლი აღარ შეგშრობია თვალზე. შენც ამავე ადგილას დაიღუპე ავტოავარიაში, შენც ასევე ტრაგიკულად, 45 წლისამ დაასრულე სიცოცხლე. ყველამ დაგიტირა, განსაკუთრებით გული დასწყვიტე შენს კოლექტივს – მარტინ ბაუერ კოლხეთის თანამშრომლებს, რომლებმაც გაგიკეთეს უკანასკნელი განსასვენებელი.



მზე და მთვარე ამოგდიოდა შენს ოჯახზე. მეუღლე ნანი, შვილები გია, ლაშა, რძალი ანა დღემდე დასტირიან შენს გარდაცვალებას. ნათელი დაიმკვიდრე მარადიულ სასუფეველში, ჩვენო კეთილო გიული ბაბუა.

*შენი შვილიშვილი მეგი*

**გიორგი (გია) ჩხარტიშვილის ხსოვნას**



გენატრებოდა შენი საქართველო, შენი ოჯახი, პატარა ნატალი, შენი ხალხი. მათ უნახავად წახვედი ამ ქვეყნიდან. მშობლიურ მიწაზე დამარხვა არ გეღირსა სულით ხორცამდე ქართველს.

შენი სხეული უცხო მიწას მიაბარეს, სული კი მშობლიურ ქვეყანაში გადმოფრინდა. საქართველოში პოვებს შვებას შენი ტანჯული სული.

აგისრულდა ექვსი წლის ნანატრი – შენ დაბრუნდი, გია!

**არჩილ მეგრელიშვილის ხსოვნას**

დღეს 40 დღე შესრულდა, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ძვირფასო არჩილ! ძნელია, შენზე წარსულში საუბარი, შენმა იმქვეყნად წასვლამ დიდი ტკივილი დაგვიტოვა. შენ ჩვენი მუდმივი თანამგზავრი იყავი. ვისთანაც ახლო ურთიერთობა გქონდა, ყველას უყვარდი, დიდთან დიდი იყავი, პატარასთან – პატარა. ბუნებით ვაჟკაც კაცს მგრძნობიარე და სათუთი გული გქონდა, ყველაფერი გულთან ახლოს მიგქონდა. რამდენი სიკეთე გაქვს გაკეთებული... შენი ლამაზი და დიდი ოჯახის კარი ყველასთვის ღია იყო. სიცოცხლე, სიცოცხლე გინდოდა მხოლოდ. დასანანია, რომ აღარა ხარ. ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული.

*ბიძაშვილები*

**ნიკა ვანიშვილის გახსენება**



ბატონო ნიკა! 22 ივლისს ერთი წელი გახდა, რაც ჩვენთან აღარა ხარ. თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო ჩვენთვის თქვენი სიკვდილი. წახვედით და დაგვიტოვეთ უზარმაზარი ტკივილი, დარდი და ნაღველი. ძნელია ჩვენთვის უთქვენოდ ყოფნა. თქვენ ხომ ირგვლივ სიყვარულს, სიკეთეს და იმედს თესავდით. არა მარტო ჩვენ, თქვენს ავადმყოფებსაც დააკლდით. ბევრჯერ გვინახავს თქვენს სურათთან თვალცრემლიანები, თქვენს სიკეთესა და დახმარებას რომ იხსენებენ. საუკეთესო მეუღლისა და შვილების პატრონი იყავით. თქვენი შვილები მამის ხსოვნას სათუთად ინახავენ. იმედი გქონდეთ, ჩვენ მათ გვერდში დგომას არ მოვაკლებთ. ძალიან გვიყვარხართ, გვენატრებით და ვფერებით თქვენს ხსოვნას. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ ჩვენო ბატონო ნიკა!

*მე-15 პოლიკლინიკის თანამშრომლები*

## ნეკროლოგი



მეუღლე ლია დოლიძე, შვილები ირმა, ლაშა, მაია შალაშვილები, რძალი ირმა ყუთელაშვილი, შვილიშვილი მარიამი, და ბელა, ძმა ბესიკი, რძალი ირა, ძმისშვილები გიორგი და ფიქრია, ცოლისდები ნანა, მანანა, ლუიზა, ქვისლები ნუგზარ გვალია, ნუგზარ ნორაკიძე, მძახალი ალბერტი, მარინე ჯანჯღავა ოჯახით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან

**გიორგი გიორგის ძე შალაშვილის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* 23, 24 ივლისი, 17 საათზე;
*დაკრძალვა:* 25 ივლისს, 15 საათზე.
*მისამართი:* ზ. ბენდელიანის ქ. V კორპ. (თერთმეტსართულიანის უკან)



მეუღლე ინგა, შვილები ცისანა, ანა, დედა ცისანა, დები მადონა, მაია, მზია, ბიძები პიერ კახიშვილი, ნუგზარ ზუბაშვილი, მამიდა ნათელა, სიძე რომან გარსევანიშვილი, დიშვილები ია, თენგიზ, გია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე (ალეკო) თენგიზის ძე ზუბაშვილი**

*პანაშვიდი:* 25, 26 ივლისს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 27 ივლისს 14 საათზე
*მისამართი:* ხაშური, სტალინის ქ. №35

გამომცემლობა **„კოლორი"** მწუხარებას გამოთქვამს თანამშრომლების ალეკო და დათო ზუბაშვილების გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახებს.

**„კვირის პალიტრის"** რედაქცია თანაუგრძნობს ტრაგიკულად დაღუპული ალეკო და დათო ზუბაშვილების ოჯახებს.






*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

ის ისეთი დახვეწილი, სიფრიფანა და ჰაეროვანი იყო, რომ ყველას მისი დაცვის სურვილი უჩნდებოდა, მაგრამ მაინც მარტოდმარტო უხდებოდა მთელი სამყაროსგან თავის დაცვა.

„რომაული არდადეგების“ შემდეგ მთელმა მსოფლიომ დაიჯერა, რომ ის სასახლიდან გამოპარული პრინცესა იყო, რადგან ასეთი ციური სილამაზე და უმანკოება, ასეთი უჩვეულოდ მეტყველი თვალები, დახვეწილი მანერები შეუძლებელია ჩვეულებრივ გოგონას ჰქონოდა.

მან კი კარგად იცოდა, რომ შეიძლებოდა ტიტის ბოლქვის ჭამა (როცა სხვა არაფერი ჰქონდა), ვირთხები ახლოდან არც ისე საშიშნი არიან, მამაკაცები ხანდახან ტოვებენ ცოლ-შვილს, ადამიანები ერთმანეთს იოლად იმეტებენ სასიკვდილოდ...

და ეს ყოველივე მან მონაყოლით კი არ იცოდა, არამედ საკუთარ თავზე გამოსცადა, ეს იყო მისი მწარე ბავშვობა.

**ოდრი ჰეპბერნი** დაიბადა 1929 წლის 4 მაისს ბრიუსელში, შეძლებულ ოჯახში. დედამისი — ელა ვან ჰეემსტრი ბარონესა გახლდათ და ეს ყოველთვის ახსოვდა, მამა კი, ჯოზეფ ვიქტორ რასტონი, ანგლოირლანდიური წარმოშობისა იყო და ბანკის მოხელედ მუშაობდა. მას თავდავიწყებით უყვარდა ცოლი და ანებივრებდა კიდეც, მაგრამ ამას ცოლის სახსრებით აკეთებდა.

ჯოზეფს უყვარდა ბრიუსელი და იქ ამიტომაც დასახლდა. მისი მეუღლე კი ვერ იტანდა მოსაწყენ, ჩახუთულ და მტვრიან ბელგიას, ნამდვილი ცხოვრება ხომ პარიზში, ვენაში ან რომში დუღდა... ელა მუდამ ოცნებობდა მსახიობობაზე, მაგრამ სცენის მაგივრად წილად ხვდა ევროპის ეს საშინელი ქვეყანა და ამას ვერაფრით შეეგუა.

ოდრის მშობლები ხშირად ჩხუბობდნენ, მისი ძმებიც მუდამ კინკლაობდნენ. თავად ოდრის კი სულ შიოდა, არა იმიტომ, რომ უჭირდათ და



საჭმელი არ ჰქონდათ, არამედ იმიტომ, რომ ის არავის ახსოვდა.

მოგვიანებით ოდრი თავის მემუარებში წერდა: „ჩემს მშობლებს ჩემთვის არ ეცალათ. მე არავის ვჭირდებოდი. ჩემი ერთადერთი სიყვარული შოკოლადი გახლდათ, რომელსაც არასოდეს უღალატია“.

ადრეულ ბავშვობაში ოდრი საკმაოდ პუტკუნა იყო, სახელგანთქმულ ბელგიურ შოკოლადს უხვად მიირთმევდა, ბარონესას კი არ სურდა, რომ მისი ქალიშვილი გასუქებულიყო და მზარეულებს უბრძანა, გოგონასთვის შოკოლადი დაემალათ.

რა თქმა უნდა, შოკოლადი მხოლოდ მიზეზი იყო. ელას აზრით, ქმარი მას და შვილებს ნაკლებ დროს უთმობდა და ამაში საკუთარ სიმსუქნეს ადანაშაულებდა; იმიტომ არ აჭმევდა შვილს ტკბილეულს, რათა მომავალში ქმარს მისთვის არ ეღალატა. ხოლო პატარა ოდრი ფიქრობდა, რომ მისი სიმსუქნის გამო ჩხუბობდნენ მშობლები და საერთოდ მიატოვა ჭამა.

საღამოობით ოდრი ბიბლიას კითხულობდა და ღმერთს შესთხოვდა, მის მშობლებს არასოდეს ეჩხუბათ, ფიციც კი დადო — ყოველთვის კარგად მოიქცეოდა, სათამაშოებს არ გააფუჭებდა, ჭამის წინ ხელებს დაიბანდა და 46 კგ-ზე მეტი არასოდეს იქნებოდა (რადგან დედა ეუბნებოდა, — ნამდვილი ლედი ამდენს უნდა იწონიდესო). ოდრიმ მხოლოდ ერთი პირობა შეასრულა — მთელი ცხოვრების მანძილზე მისი წონა 45 კგ-ს არ ასცილებია.

ღმერთმა ვერ უშველა, მშობლები მაინც გაიყარნენ. შემდეგ კი ომიც დაიწყო.

ოდრის მამა ლონდონში წავიდა საცხოვრებლად და ნაცისტების მიმართ აშკარა სიმპათიები ჰქონდა. დედამ კი, სამ შვილთან ერთად დატოვა საძულველი ბრიუსელი და ჰოლანდიის პატარა ქალაქის, არნემის საგვარეულო მამულში დასახლდა. არნემი გერმანიის საზღვრიდან სულ 25 კმ-ში იყო, მაგრამ ბარონესა იმედოვნებდა, რომ ომი მათ გვერდს აუვლიდა.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. 1940 წელს ჰიტლერი შეიჭრა ნიდერლანდებში და პატარა, მშვიდი არნემი მესამე რაიხის ნაწილად გამოაცხადა. ვან ჰეემსტრების სახლში გერმანიის არმიის შტაბი მოთავსდა, მთელ ქონებას კონფისკაცია გაუკეთეს, თუმცა ბარონესას და მის შვილებს მამულში დარჩენის ნება მისცეს.

იმ დროს ოდრი 11 წლისა იყო და 5 წლის მანძილზე ოკუპაციის მთელი სიმძიმე იწვნია. ის ბავშვად დარჩა და წუხდა, რომ მამა მათ გვერდით არ იყო. დედასაც რაღაც დაემართა. იგი ხან მეგობრებთან ერთად ფაშისტების წინააღმდეგ საბოტაჟის გეგმებს აწყობდა, ხან კი დილიდან საღამომდე ტიროდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ფაშისტებმა ძმა დაუხვრიტეს. მტირალი დედა აშინებდა ოდრის და მიხვდა, რომ თუკი სურდა ძველებურად მტკიცე და ძლიერი დედა ჰყოლოდა, თავად უნდა ყოფილიყო სუსტი, უნდა შეეხსენებინა დედისთვის, რომ მას ჰყავს გოგონა, რომელსაც მოვლა და სითბო ესაჭიროება... ამ ხერხმა გაჭრა და უკვე შემდეგ ოდრი ამ მეთოდს ხშირად იყენებდა და აგრძნობინებდა თავის ქმრებსა და მეგობრებს, რომ მათ გარეშე იგი ვერ გაძლებდა და დაიღუპებოდა. ასე იქცეოდა, რადგან სხვისი სისუსტისა ეშინოდა და იცოდა, რომ სისუსტესთან ბრძოლა ძნელი იყო.

ოდრი კი თვითონ საკმაოდ ძლიერი გახლდათ. როცა შინ საჭმელი აღარ ჰქონდათ, თავი დაირწმუნა, — საჭმელი მძულსო. მთელი დღე

# ფერია და პრინცესა

მხოლოდ ერთი კარტოფილით და სალათის ფოთლებით გადადიოდა, ქალაქის მოედანზე თანატოლებთან ერთად ერთობოდა. ფეხსაცმელში დამალული ჰქონდა ბარათები წინააღმდეგობის მებრძოლებისთვის და რაღაც მანქანებით ახერხებდა მათ გადაცემას დანიშნულებისამებრ. ეს იყო მისი პირველი როლი — როლი უდარდელი მოხტუნავე გოგონასი, ხოლო ფაშისტები მისი პირველი მაყურებლები იყვნენ. როგორც ჩანს, გოგონა ამ როლს შესანიშნავად ასრულებდა, ხოლო ტყეში „სასეირნოდ“ წასულს კალათაში ფაშისტების მიერ ჩამოგდებული მფრინავებისთვის საჭმელი ედო. მათთვის მიჰქონდა, თვითონ კი აღარ ჭამდა.

ერთხელ, ნაცისტებმა ოდრი სხვა ქალებთან ერთად ქუჩაში დაიჭირეს გერმანიაში სამუშაოდ გასაგზავნად. გოგონამ მოახერხა გაქცევა და მიტოვებულ სარდაფში თითქმის მთელი თვე იმალებოდა. იქ უამრავი ვირთხა იყო, მაგრამ ოდრიმ დაირწმუნა თავი, რომ ამ მღრღნელებისა არ ეშინოდა, იჯდა ბნელ სარდაფში და იხსენებდა დედას, თეატრს, მუსიკის გაკვეთილებს და ხმამაღლა იმეორებდა ინგლისურ სიტყვებს. მთელი თვე ჭამდა ექვს ვაშლს და ნახევარ პურს, რომელიც მას ჩანთაში ჰქონდა. ერთ დღეს კანონადის ხმა გაიგონა. იფიქრა, ამერიკელები მოვიდნენო და სარდაფიდან გამოძვრა. როცა ბარონესამ კარის ზღურბლზე ლანდად ქცეული შვილი დაინახა, გული შეუღონდა.

გოგონას სიყვითლე შეეყარა, შემდეგ კი ასთმა, რომელმაც მთელი ცხოვრება გააწამა, ხოლო ნივთიერებათა ცვლა სამუდამოდ დაერღვა.

ათი წლის შემდეგ აღფრთოვანებული კრიტიკოსები ხოტბას ასხამდნენ ოდრის გრაციოზულობას, დახვეწილ მანერებს და შველივით დამფრთხალ თვალებს. ყველაფერი მართალი იყო, მას ომმა დაუტოვა შეშინებული თვალები.

...ომის დროს ცოცხლად გადარჩენა უკვე ბედნიერებას ნიშნავდა. მაგრამ ომის შემდეგ ადამიანებს ისევ დასჭირდათ სახლები, მანქანები, კაბები და სამკაულები. ბარონესა გაკოტრებული იყო, შველას არსაიდან ელოდა. იძულებული გახდა, მდიდარ ოჯახებში მზარეულად და მოსამსახურედ ემუშავა, ღამღამობით კი ჩუმად ტიროდა და იგონებდა თავის არისტოკრატიულ წარსულს.

17 წლის ოდრიმ ბალერინობა გადაწყვიტა. სწავლაც დაიწყო, მაგრამ ძალიან ცუდად ცეკვავდა. ერთხელ შემთხვევით საბალეტო სკოლაში იგი შენიშნა რეჟისორმა ჩარლზ ვან დერ ლინდენმა, რომელიც თავისი ფილმისთვის ეპიზოდური როლის შემსრულებელს ეძებდა. როგორც შემდგომში გამოირკვა, ვერც ერთი რეჟისორი ვერ დატოვა გულგრილი ოდრის განუმეორებელმა ხიბლმა. ჩარლზი პირველი იყო ამ გრძელ სიაში. ოდრი მიხვდა, რომ მისგან ბალერინა არ გამოვიდოდა, ცოტა ხანს მესამეხარისხოვან მიუზიკლში გამოდიოდა, ფოტომოდელობაც სცადა. ფოტოგრაფებს უკვირდათ გოგონასი, რომელსაც არ ეშინოდა სახლის სახურავზე ან უფსკრულის პირას გადაღებისა. მას კი, ოკუპაციაგამოვლილს, ეს ბუნებრივად მიაჩნდა.

მომავალი კინოვარსკვლავი დიდებას არ ეძებდა. მას მხოლოდ ნორმალური ცხოვრება უნდოდა და მოსიყვარულე ქმარ-შვილზე ოცნებობდა. ოცნებობდა და არც ერთ ფილმზე უარს არ ამბობდა, დროდადრო სხვადასხვა საქონელს უკეთებდა რეკლამას და სანამ რეჟისორი უილიამ უაილერი ფიქრობდა, აეყვანა თუ არა პრინცესას როლზე ყველასთვის უცნობი (თუმცა უჩვეულოდ მომხიბლავი) გოგონა, რეჟისორმა კოლეტმა, როგორც კი ოდრი ნახა მონაკოში, რომელიღაც ფილმის გადაღებაზე, მაშინვე გაგზავნა დეპეშა ნიუ-იორკში: „მე ვიპოვე ჩემი ჟიჟი. ეს საოცარი გოგონაა!“

„ჟიჟი“ ბროდვეის სეზონის ყველაზე პოპულარულ მიუზიკლად იქცა. ეს იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ ოდრიმ იმის თქმაც ვერ მოასწრო — მსახიობი არა ვარო. მაგრამ ბარონესამ მაშინვე იგრძნო, იწყებოდა ახალი ეპოქა, — მისი უსახური იხვის ჭუჭული მშვენიერ გედად გადაიქცეოდა, და შვილს ნიუ-იორკში წასვლა უბრძანა.

ოდრის „ოსკარი“ მიანიჭეს პრინცესა ანას როლისთვის. ის ძალიან პოპულარული გახდა. მამაკაცები თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ მას ყველაზე უარესი შეუყვარდა — ოდრის რჩეული მსახიობი გახლდათ, ლოთი, დონ-ჟუანი და



ცოლშვილიანი!

ოდრის არაფრის გაგონება არ სურდა. მათ ერთმანეთი ფილმ „საბრინას“ გადაღების დროს გაიცნეს. ფილმში მისი პარტნიორები იყვნენ ჰემფრი ბოგარტი და უილიამ ჰოლდენი. სახელგანთქმული ბოგარტისთვის ოდრის ყურადღებაც კი არ მიუქცევია, ხოლო ჰოლდენი თავდავიწყებით შეუყვარდა. ბოგარტმა ვერ მოინელა, რომ ვიღაც გოგო მას ზედაც არ უყურებდა და წარამარა ჩხუბობდა, რაც ხელს უშლიდა ფილმის გადაღებას, მაგრამ შეყვარებულები ამ ამბავს ყურადღებას არ აქცევდნენ, ხელიხელჩაკიდებულნი ისხდნენ და ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ.

ოდრი მიეჩვია იმ აზრს, რომ მის რჩეულს ხშირად ეუფლებოდა დეპრესია და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მხოლოდ ვისკი სჭირდებოდა. ის იმასაც შეეგუა, რომ ჰოლდენს ცოლი და ორი შვილი ჰყავდა და უქმე დღეების გატარება მარტოს უწევდა. ყველაფერს შეეგუა ერთის გარდა — უილიამი გამოუტყდა, — გადატანილი ოპერაციის გამო შვილი აღარ მეყოლებაო.

ღამე ოდრიმ ტირილში გაათენა. დილას უილიამს უთხრა, — ჩვენი ურთიერთობა დამთავრდაო. ერთი წლის შემდეგ კი ცოლად გაჰყვა მსახიობ მელ ფერერს, თუმცა ჰოლდენი მაინც ვერ დაივიწყა და საშინლად ეჭვიანობდა მის საყვარლებზე.

მელს კარგი გარეგნობა, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, უამრავი როლი, ნამდვილი დიდება და, რაც მთავარია, მაგარი ჯანმრთელობა ჰქონდა.

ისინი შვეიცარიაში დაქორწინდნენ, სადაც ოდრი ასთმის მორიგი შეტევის გამო ისვენებდა. იქაურმა ჰაერმა და სიმშვიდემ სიცოცხლისკენ შემოაბრუნა. შვეიცარიიდან ოდრიმ ფერერს პლატინის ძვირფასი საათი გაუგზავნა წარწერით: „მე ამ ადამიანზე ვგიჟდები“. მელი მაშინვე ჩაფრინდა მასთან და ცოლობა სთხოვა.

არაჩვეულებრივი იყო თეთრ საპატარძლო კაბაში გამოწყობილი ოდრი. სამლოცველო თეთრი მიხაკებითა და პატარძლის საყვარელი შროშანებით იყო მორთული. ბარონესამ ვერ მოასწრო ამ ქორწინებისთვის ხელი შეეშალა, თუმცა გრძნობდა, რომ მას მომავალი არ ექნებოდა.

დედას გუმანმა არ უმტყუნა. ოდრის პირველი ბავშვი მკვდარი დაებადა, ხოლო ქმართან პირველი ერთობლივი გადაღება ფილმში „ომი და მშვიდობა“ — კრახით დამთავრდა. ოდრი ოცნებობდა შვილებზე, მელს კი მხოლოდ თავისი სამსახიობო კარიერა ადარდებდა. ცდილობდა, ქმარს დახმარებოდა და ახალ ფილმში გადაღებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა, თუკი მელისთვის გამონახავდნენ როლს. მელი ვერ უტოლდებოდა ცოლის ტალანტს და ამიტომ შეეცადა, ინიციატივა ხელთ ეგდო. ის ოდრის ნაცვლად ინტერვიუებსაც კი იძლეოდა. ამის გამო ჟურნალისტებს ოდრი ქარაფშუტა და ქედმაღალი ეგონათ. „მერე რა, — ფიქრობდა ოდრი, სამაგიეროდ, მელი ჩემთან იქნება და მე შვილს გავაჩენ“.

რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დაორსულდა, მაგრამ გადაღების დროს ცხენიდან ჩამოვარდა, ბავშვი დაეღუპა და თითქმის მთელი თვე საწოლში გაატარა.

...ტრავმირებულმა ოდრიმ ისევ შვეიცარიას შეაფარა თავი. მან უარი თქვა კლეოპატრას როლზე (რომელშიც ელიზაბეტ ტეილორი გადაიღეს) და „ვესტსაიდის ისტორიაზე“... ისევე, როგორც ბავშვობაში, ღმერთს შეჰფიცა: — ოღონდ შვილი მაჩუქე და, დამჯერიც გავხდები, აღარც ფილმებში ვითამაშებო. ღმერთმა ისმინა ოდრის ვედრება და 30 წლის ქალს მშვენიერი ბიჭუნა — შონი აჩუქა.

ახლა მას ჰყავდა შვილი, მაგრამ აღარ ჰქონდა სიყვარული. შეიძლება იმიტომ, რომ დაარღვია ღმერთისადმი მიცემული პირობა და შესანიშნავად ითამაშა ფილმებში: „საუზმე ტიფანისთან“, „ჩემი მშვენიერი ლედი“, „როგორ მოვიპაროთ მილიონი“. თუმცა ეს ნამდვილად არ იყო მიზეზი. უბრალოდ, მელმა ვერ აიტანა ცოლის ზღაპრული წარმატება. მას უკვე ადარებდნენ შირლი მაკლეინს და ელიზაბეტ ტეილორს, თუმცა მათგან განსხვავებით, ოდრი არ იცვლიდა ქმრებს და ცდილობდა ოჯახის შენარჩუნებას... „ჩემი ბავშვობა იმ დღეს დამთავრდა, როცა მამამ მიგვატოვა, — მრავალი წლის მერე დაწერა ოდრიმ, — დედა ტირილის უფლებას არ მაძლევდა. მამა ძალიან მენატრებოდა და მეშინოდა, შონსაც იგივე არ მოსვლოდა. ამიტომ დავიფიცე, რომ მელს არ დავშორდებოდი“. ოდრიმ ბევრი ითმინა, სამჯერ მუცელიც მოეშალა და მელს ხუთი წლის შემდეგ მაინც დასცილდა.

მისი მეორე ქმარი, იტალიელი არისტოკრატი, ფსიქოანალიტიკოსი ანდრეა დოტი ოდრიზე ათი წლით უმცროსი იყო და საგრძნობლად განსხვავდებოდა მისი წარსული რომანების გმირებისგან.

როცა რომში „რომაულ არდადეგებს“ იღებდნენ, ანდრეა შემთხვევით აღმოჩნდა გადასაღებ მოედანთან და მაშინვე დაატყვევა ოდრიმ — ზღაპრულმა ფერიამ. მას შემდეგ მოსვენება დაკარგა. იგი მისი ოცნების ქალად იქცა.

ოდრი ანდრეას ცოლად გაჰყვა, ჯვრისწერაზე ჟივანშის ვარდისფერი კოსტიუმი ეცვა და ბედნიერების სწამდა, მით უმეტეს, რომ შონმა გულით შეიყვარა მამინაცვალი.

ისინი რომში ცხოვრობდნენ. მათი სახლის ფანჯრებიდან ტიბროსი ჩანდა. დედამთილი ოდრის ძვირფას ანტიკვარულ ნივთებს ჩუქნიდა და ოდრის პირველად, სიცოცხლეში, მიეცა საშუალება, ეხეტიალა მაღაზიებში და ქმრისთვის შეერჩია პერანგი თუ ჰალსტუხი. ხანდახან კინოშიც დადიოდნენ. ოდრიმ აღმოაჩინა, რომ ფილმის ყურება უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე გადაღება და დაიფიცა, კინოს თავს დაანებებდა.

ქალი მეორედ განუდგა კინემატოგრაფს და მოხდა საოცრება — ღმერთმა მას მეორე ვაჟი — ლუკა აჩუქა. და... კვლავ იგრძნო, რომ ამჯერადაც კარგავდა ქმარს... გაზეთები აჭრელებული იყო ფოტოებით: ანდრეა კოცნის შავგვრემან ლამაზმანს, ეხვევა ქერა ქალს, გამოჩნდნენ უამრავი ფრანჩესკები, პაოლები, მარიები... „რას იზამ, ის ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, — ყლაპავდა ცრემლებს, — მე მას მაინც ვუყვარვარ“, — ფიქრობდა, როცა უდარდელი ქმარი შინ ბრუნდებოდა ყვავილების თაიგულით, ხუმრობდა და ართობდა ჩაფიქრებულ ცოლს.

მაგრამ როდესაც პრესაში გამოჩნდა ანდრეასა და ცნობილი რომაელი მეძავის ერთობ პიკანტური ფოტოები, ოდრი მიხვდა, რომ მისი რომაული არდადეგები დასასრულს მიუახლოვდა...

ოდრის ისევ იღებდნენ ფილმებში... იგი მესამედ გათხოვდა. ბარონესამ პირველად მოიწონა სასიძო — რობერტ უოლდერი. ისინი ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს, ხშირად ჩნდებოდნენ ზეპურ მიღებებზე და ისევ ალაპარაკდნენ დედოფლურ მანერებზე, დახვეწილობასა და სისადავეზე.

ოდრი თავის ბაღში დაფუსფუსებდა, თავის საყვარელ შროშანებს ახარებდა და გაეროს ბავშვთა ფონდში მუშაობდა. ბევრს მოგზაურობდა ბანგლადეშში, ეთიოპიაში, ვიეტნამში — იმ ქვეყნებში, სადაც ომი იყო და ბავშვები შიმშილობდნენ. ცდილობდა მათ დახმარებოდა, ლუკმაპური მიეწოდებინა, იქნებ იმიტომაც, რომ კარგად ახსოვდა ტიტის ბოლქვის გემო.

როცა ოდრი კიბოსგან კვდებოდა, მის გვერდით იყვნენ ის მამაკაცები, რომელთაც ოდრი უყვარდათ — მისი ვაჟები, რობი უოლდერი, მელ ფერერი, ანდრეა დოტი და იუბერ დე ჟივანში.

„მე ბედნიერი ვარ“, — ასე უთხრა მათ ოდრიმ სიკვდილის წინ.ს

***კარავანი***




# ჯორჯ სოროსმა ინტუიცია დაკარგა

ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა საერთაშორისო ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა განაცხადა, რომ თავისი ფონდის მართვა უფროს ვაჟს — რობერტს გადასცა. მემკვიდრეობა საკმაოდ დიდია — ფონდის ქონება დაახლოებით 11 მილიარდი დოლარია. „მაგიური ინტუიცია დავკარგე და ველარ ვიღებ სწორ გადაწყვეტილებას, ამიტომაც მინდა ჩემი ვაჟი გახდეს ჩემი მემკვიდრე“, — ამბობს სოროსი და თავის არჩევანს იმით ამართლებს, რომ რობერტი უკვე იყო ფონდის პორტფელების განმკარგავი, ამიტომაც კარგად იცნობს კომპანიაში შექმნილ სიტუაციას.



რობერტ სოროსი 36 წლისაა. 1986 წელს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე საინვესტიციო ბანკსა და კომპანიაში მოასწრო მუშაობა. ბევრ ფინანსისტს მიაჩნია, რომ სოროსის არჩევანი გაუმართლებელია, მისი ვაჟი არც აქტიურობით გამოირჩევა და არც ამბიციურობით — ცდილობს, მეტი დრო ოჯახში გაატაროს. ერთადერთი დიდი გარიგება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, ეს იყო 1997 წელს კორპორაცია MICROSOPT-ის მიერ ჩაყლაპული WEB TV ინტერნეტ-კომპანიის აქციების შესყიდვა. WEB TV კორპორაციის ერთ-ერთი ქვედანაყოფი გახდა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით აწარმოებდა ტელეგადაცემების ტრანსლაციას.

რობერტ სოროსი საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. 1 ივლისიდან მუშაობა დაიწყო ახალი QUANTUM ENDOWMENT FUND-ი, რომლის აქტივი დაახლოებით 5,6 მილიარდი დოლარია. ჯორჯ სოროსის წილი მასში დაახლოებით 60%-ია. სოროსის საქმეები მაინცდამაინც კარგად ვერ არის, შარშან 5 მლრდ-მდე დოლარი დაკარგა. მისი მთავარი სტრუქტურა QUANTUM FUND 20%-ით გაიაფდა. სოროსმა თავისი ფონდის აქტივის 80% გაყიდა. ამის შემდეგ ინვესტორებმა სოროსის სტრუქტურებიდან გამოიტანეს 3 მლრდ დოლარი. ისე რომ, რობერტ სოროსი უნდა შეეცადოს, არა მარტო მოიგოს ბირჟაზე, არამედ შეაჩეროს კიდეც კლიენტურის გასვლა. თუ ეს მოახერხა, აღმოჩნდება, რომ ჯორჯ სოროსს მისმა მაგიურმა ინტუიციამ არ უღალატა.

***კომერსანტი №107***

# როდის დაეცემა ამერიკა?!



ამერიკის ბირჟებზე ცოტა ხნის წინ ატეხილმა პანიკამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამერიკული ეკონომიკის კეთილდღეობა, რომელზეც აგერ უკვე მეორე ათწლეულია აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ყველა ტელეარხზე. მიუხედავად აქტიური პროპაგანდისა, აშკარა შეიქნა, რომ ქვეყნის ზეობა ზედმეტად გაბერილია, რომელიც მეტად მერყევ, გრანდიოზულ საერთაშორისო თაღლითობას ეფუძნება. ბოლო დრომდე ამის დაფარვას ასე თუ ისე ახერხებდნენ, ყველაზე კირკიტა, თავნება კრიტიკოსებს კი, მაგალითად, როგორიც ეკონომისტი ლინდონ ლარუში გახლავთ — საეჭვო ბრალდებებით ციხეშიც კი უკრეს თავი.

აშშ-ის ეკონომიკის განვითარება ბოლო ათი წლის მანძილზე ძირშივე აცამტვერებს არა მარტო მარქსისა და ენგელსის, არამედ ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლის ადამ სმიტის თეორიებსაც. მაშინ, როცა ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტი ამ პერიოდში 70%-ით გაიზარდა, ლოუ-ჯონსის ინდექსი, უფრო სწორად, ამერიკულ უდიდეს კორპორაციათა აქციების კოტირებათა დონე 4-ჯერ გაიზარდა.

არსებობს ციფრები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ყველაფერი შესანიშნავადაა. მხოლოდ იანვარ-მარტში წარმოება 3%-ით გაიზარდა, უმუშევრობა 4,1%-ით შემცირდა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა კი გასავლებს 170 მლრდ დოლარით გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, სხვა მონაცემებით, ქვეყნის ეკონომიკა უფსკრულისკენ მიექანება. აგერ უკვე რამდენიმე წელია ამერიკის პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე კარგავს კონკურენტუნარიანობას და ამიტომ ქვეყანაში ბოლო თვეებში გარედან საქონლის შეტანამ 30 მლრდ დოლარს გადააჭარბა. 2000 წელს სახელმწიფო ვალმა 5.700 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო ამერიკელთა დავალიანებამ 300 მლრდ-ს გადააჭარბა, ეს თანხა გაცილებით სჭარბობს მოსახლეობის დანაზოგსა და თვიურ ხელფასებს ერთად აღებულს.

ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ციფრები იოლად დადგება თავ-თავიანთ ადგილას, თუ გავიხსენებთ ამერიკული ეკონომიკური სასწაულის რამდენიმე თავისებურებას. თუნდაც ისეთ „წვრილმანს“, როგორიც იყო 1973 წელს დოლარის ოქროთი უზრუნველყოფის ოფიციალური გაუქმება. ამ უბრალო ოპერაციის წყალობით, ამერიკამ ელვისუსწრაფესად გაავრცელა მსოფლიოში პრაქტიკულად არაფრით გამაგრებული დოლარი, რომლითაც ყველაფერს ყიდულობდა — დაწყებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სასარგებლო წიაღისეულით და დამთავრებული უახლესი მეცნიერული მიღწევებით. ამერიკული დოლარის „მტვერსასრუტის“ სფეროში დიდხანს არ მოქცეულა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები. მაგრამ 1989 წლიდან ამ ბლოკის და თავად საბჭოთა კავშირის ნგრევა დაიწყო ეკონომიკის ტოტალური დოლარიზაციის თანხლებით. ამიტომ შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ ამ დროიდან ამერიკის ეკონომიკის მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა. მაგრამ რაც უფრო მტკიცდებოდა ამერიკის, როგორც მსოფლიო ლიდერის იმიჯი, მით მეტად ირყვნებოდა ქვეყნის მოსახლეობა. მშრომელთა პლეადა, რომელმაც მსოფლიოს ფორდი, ედისონი და ძმები რაიტები მისცა, თანდათანობით დაკნინდა. საშუალო კლასი რანტიედ და პროფესიონალ სპეკულანტად იქცა (ამჟამად მოსახლეობის 45%-ის ძირითად შემოსავალს აქციებიდან პროცენტები წარმოადგენს, მაშინ, როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი 10%-ს უტოლდება. ამასთან, იზრდება მათი რაოდენობა, ვისაც პრინციპულად არ სურს მუშაობა და თავს საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებითა და წვრილმანი ნარკობიზნესით ირჩენს.

ბოლო სამი წლის მანძილზე ბირჟაზე თამაშის მოყვარულთა ვალი სამჯერ გაიზარდა და ასტრონომიულ თანხას — 252 მლრდ დოლარს მიაღწია. მათი დიდი ნაწილი არაფრით არ არის უზრუნველყოფილი. პროფესიონალი მათხოვრები კი უკვე ქვეყნის ფერადკანიანთა დიასპორის მესამედს შეადგენენ და 2050 წლისთვის უმცირესობიდან ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობად იქცევიან. მანამდე კი არაფრის მაქნისი დოლარების მასა, რომელიც ისევე როგორც ყველა ფინანსური პირამიდა, დაინგრევა და ამერიკის ეკონომიკას გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებს.

შეგახსენებთ, ლაპარაკია იმ ეკონომიკაზე, რომელშიც ინტეგრირებასაც გვირჩევენ ახალგაზრდა თუ ხანდაზმული რეფორმატორები. ლაპარაკია იმ ეკონომიკაზე, რომლის კრახიც იწინასწარმეტყველა პლანეტის უდიდესმა სპეკულანტმა ჯორჯ სოროსმა.

***კალეიდოსკოპი №19***

# ბანკნოტებს დედოფლის პორტრეტი აღარ დაამშვენებს

ავსტრალიის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებით, 50 დოლარიანი ბანკნოტებიდან გაქრება დედოფალ ელისაბედ -ის გამოსახულება. მსოფლიოს ცენტრალური ბანკები ხშირად ცვლიან მიმოქცევაში არსებული ბანკნოტების დიზაინს. ზოგჯერ ეს დაკავშირებულია ფულად რეფორმასთან. ამ შემთხვევაში კუპიურებზე რამდენიმე „ნულს“ შლიან. ზოგჯერ ბანკები იძულებულნი არიან, დაუმატონ საგანგებო ზოლები, რათა გაურთულონ საქმიანობა ყალბ ფულისმჭრელებს. ზოგჯერ დიზაინი ესთეტიკური თვალსაზრისით იცვლება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ეს პოლიტიკური მოსაზრებითაც ხდება. მაგალითად, ადრინდელ ბელადებს ახალი გერბებითა და არქიტექტურის ძეგლებით ცვლიან. ცივილიზებული ქვეყნები ხშირად „აახლებენ“ თავიანთ ფულს. ცხოველებს — ჩიტებით ცვლიან, წარსულის გმირებს — მომავლის ტექნიკით. ავსტრალიის გადაწყვეტილება — „გადაშალოს“ ელისაბედი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური აქციაა.

სტატისტიკის მიხედვით, მწვანე კონტინენტის მცხოვრებთა შორის სულ უფრო პოპულარული ხდება ქვეყნის რესპუბლიკად ქცევის იდეა. თუმცა, შარშან, ნოემბერში ავსტრალიელთა უმეტესობამ მაინც მონარქიის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი. მონარქიის მოწინააღმდეგეებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, კვლავ განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი იდეალებისთვის. ამჟამად დედოფლის პორტრეტს უსწორდებიან. ხუთ დოლარიანებზე ელისაბედის ნაცვლად გამოსახული იქნება სერ ჰენრი პარკსი, რომელმაც ხელი შეუწყო ავსტრალიაში ბრიტანეთის კუთვნილი ტერიტორიების ერთ ფედერაციად გაერთიანებას.

***იზვესტია №103***

# თაღლითებმა ბირჟაზე 50 მლნ დოლარი „იშოვეს“

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ფარდა აეხადა უდიდეს მაქინაციას, რომლის მსგავსი არ ახსოვს ფასიანი ქაღალდების ისტორიას. ფედერალურმა ხელისუფლებამ 89 ადამიანი დააპატიმრა თაღლითობის და ფულის ჩამორეცხვის ბრალდებით.

ჭრელ კომპანიაში აღმოჩნდა თითქმის 6 ათეული საბირჟო ბროკერი, საფინანსო კომპანიების მოსამსახურეები, ერთი პოლიტიკოსიც კი. ყველა ისინი ინვესტორთა გასაბრიყვებელი რთული მექანიზმის პატარა რგოლები იყვნენ, რომელთაც მაფია აკონტროლებდა.

აფერა იმაში მდგომარეობდა, რომ მაქინატორები ყიდულობდნენ წამგებიანი ფირმების აქციებს, მერე კი ყალბი რეკლამის წყალობით კურსს უწევდნენ მათ ფასიან ქაღალდებს. გულუბრყვილო მყიდველები თავს იკლავდნენ იმ „ფასიანი ქაღალდების“ საყიდლად, რომლებიც გროშიც არ ღირდა, მოგება საქმოსანთა ჯიბეში მიდიოდა. პროკურორის თქმით, ამ გზით თაღლითებმა 50 მილიონი დოლარი იშოვეს.

ბინძურ საბირჟო თამაშში ჩარეულია ნიუ-იორკის 5 მსხვილი მაფიოზური კლანი.

***კომსომოლსკაია პრავდა №114***

# კითხვა-პასუხი

***გთხოვთ შეძლებისდაგვარად გვიპასუხოთ, ევროპული ენებიდან რომელია მიჩნეული ყველაზე ადვილად შესასწავლ ენად?***
***ერთგული მკითხველი***

მსოფლიოში არსებულ ყველა ენას შესწავლისას თავისებური სირთულე ახასიათებს. თუმცა შედარებით იოლად შესასწავლი ენებიც არსებობს. ამ მხრივ ევროპულ ენათაგან აღსანიშნავია ესპანური და იტალიური ენები, რომელთა გრამატიკაც ადვილია. საერთოდ, რომანული შტოს ენების (ლათინური, იტალიური, ესპანური, ფრანგული და სხვ.) შესწავლა უფრო ადვილია, ვიდრე გერმანული შტოს ენებისა, რომელთაც მიეკუთვნება გერმანული, ინგლისური, ჰოლანდიური, დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური და სხვ.

***ზურაბ დავითაშვილი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის კათედრის გამგე***

***სახლმმართველობა მთხოვს ხელშეკრულების დადებას, რომ ჩემი პრივატიზებული ბინის საბინაო მომსახურების თანხა გადავიხადო, სამაგიეროდ, ის ვალდებულებას იღებს შემიკეთოს ელექტროგაყვანილობა, სანტექნიკა და სხვა სახის წვრილმანი დაზიანებები, რაზეც უარი განვაცხადე, სახლმმართველობა კი ცნობის გაუცემლობით დამემუქრა. შეუძლიათ თუ არა ძალით დამადებინონ ხელშეკრულება და ფასიანია თუ არა ცნობის გაცემა?***
***საბურთალოს რაიონის მცხოვრები***

სერვისული მომსახურების ცენტრთან (ყოფილი სახლმმართველობა) ბინის მფლობელის მიერ ხელშეკრულების დადება ნებაყოფლობითია. ხელშეკრულების გაფორმებისას მობინადრე საბინაო მომსახურებისთვის სახლმმართველობას უხდის 1 კვმ-ში 5 თეთრს თვეში, ბინის ფართობის მიხედვით (თანხა თბილისის რაიონების მიხედვით სხვადასხვაა). სამაგიეროდ, სახლმმართველობა ვალდებულია, ბინის მფლობელს მოემსახუროს უფასოდ, რაშიც შედის: ცნობების უფასოდ გაცემა, სახურავის შეკეთება, სანტექნიკოსისა და ელექტრიკოსის გამოძახება და სხვ. ამ დროს მობინადრე გადაიხდის მხოლოდ მასალის და არა — მომსახურების თანხას. თუ სახლმმათველობასთან ამგვარი ხელშეკრულება არ გაქვთ გაფორმებული, მაშინ სერვისული მომსახურების ცენტრი ბინის დაზიანების დროს არ მოგემსახურებათ და ცნობაც ფასიანი იქნება (ფორმა №1 ღირს 50 თეთრი, ცნობა — 30 თეთრი).

***ჟ. თოთოსაშვილი, შპს თბილისის საქალაქო მეურნეობის საბურთალოს რაიონული სამსახურის მთავარი ბუღალტერი***

***გაუსაძლისი პირობების გამო ვცხოვრობ მეუღლესთან ერთად ქირით. მეკუთვნის თუ არა მამისეული სახლიდან წილი. ვგულისხმობ ეზოსა და ბინის ფართს?***
***ა. აფციაური, თბილისი***

მამისეული ქონებიდან შვილს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ეკუთვნის წილი, რაც მემკვიდრეებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს. იმ შემთხვევაში, თუ ანდერძი დაწერილია სხვაზე, თქვენ გეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც თანაბრად გაყოფილი ქონების ერთი წილის ნახევარს შეადგენს. მამისეული ქონების ფართის (ეზო და სახლი) გათვალისწინებით, სასამართლო გადაწყვეტს თქვენი სავალდებულო წილის ოდენობას.

***ადვოკატთა კოლეგია***

***ვმსახურობ ჭიათურაში უფროს მედდად, კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერში, რომელიც ერთადერთი განყოფილებაა საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის მასშტაბით. 1997 წელს, როგორც მედიცინის მუშაკს, დადგენილი კანონის თანახმად, საჩხერის რაიონში (სადაც ვცხოვრობ) მომიზომეს მიწის ნაკვეთი. ამჟამად კი მედავებიან, რადგან არ ვმუშაობ საჩხერის რაიონში. მაქვს თუ არა კანონით მიწით სარგებლობის უფლება?***
***ნანა ლაბაძე***

მიწის პირად საკუთრებაში გადაცემისას გასათვალისწინებელია ამა თუ იმ რაიონში გასაცემი მიწის ოდენობა. თუ ცალკეულ რაიონში იყო საშუალება, მიწით უზრუნველეყოთ ყველა მოსახლე, მაშინ ნებისმიერ რაიონში შეეძლოთ მოეზომათ მიწის ნაკვეთი, დამოუკიდებლად იმისა, მსახურობდით თუ არა იმ რაიონში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პირველი კატეგორიის მიწით სარგებლობის უფლება მისი შეზღუდული რაოდენობის გამო, შესაძლოა არ მოგეცეთ, თუ არ მსახურობთ იმავე რაიონში. ამიტომ უნდა მიმართოთ ადგილობრივ გამგეობას, სადაც გაითვალისწინებენ თქვენს კერძო მესაკუთრეობას.

***თ. ბექაური, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე***

***1944 წელს მობილიზაციით გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, შემდეგ გამგზავნეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რომელიც ომის გამო გასამხედროებული იყო და მეც ვითვლებოდი ჯარისკაცად. მაქვს ინვალიდობის პენსია, მეკუთვნის თუ არა ომის მონაწილის პენსია?***
***ბიძინა ნიშნიანიძე, თბილისი***

ომისა და შეიარაღებული ძალების შესახებ 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონის გათვალისწინებით, იმ ქარხანაში მომუშავენი, რომლებიც ფრონტის დაკვეთას ასრულებდნენ, წესით უნდა ჩაითვალონ ომის მონაწილეებთან გათანაბრებულად, მაგრამ ჯერჯერობით პარლამენტს არ შეუდგენია ზემოხსენებული ფეროშენადნობი ქარხნის მსგავსი ობიექტების ჩამონათვალი ნუსხა.

***ზ. არდაზიშვილი, საქართველოს სამხედრო კომისარიატის სამობილიზაციო სამმართველო***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
22 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,9649 |
| **გერმანული მარკა** | 0,9371 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.9680 |
| **ევრო** | 1,8329 |
| **რუსული რუბლი** | 0,0715 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,0312 |

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:
- ბოტკინით დაავადებულებს;
- ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
- პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
- ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
- ქავილს სხვადასხვა ადგილებში;
- ფრჩხილების ჩაზრუნებას; ფეხის ოფლიანობას;
- თმის ცვენას, სებორეას; ბუასილს;
- ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს

ეფექტი გარანტირებულია! ღირებ. მკურნალობის კურსი 5-10 ღრიანია
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები
მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“.
იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (სახ.); 899-51-76-08

შტამპების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

დაგიმზადებთ ყველა სახის რკინის ნაწარმს:
კარი
ავტოფარეხი
ჭიშკარი და ა.შ.
☎ 32-83-68; 30-25-12

საუკეთესო ხარისხის კერამიკული კრამიტი
„ინესერვისი“
☎38-58-24
95-53-32

ფირმების რეგისტრაცია
თარგმნა და ბეჭდვა
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ., ოთ. 639
☎99-02-80; 899-53-91-91

# ბერძნულ პასპორტში აღმსარებლობის აღმნიშვნელი გრაფა ამოიღეს

საბერძნეთის მთავრობამ, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, პასპორტიდან ამოიღო პუნქტი აღმსარებლობის შესახებ. ამ სიახლის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელმაც განაცხადა, რომ მოაწყობს საყოველთაო რეფერენდუმს და შეეცდება დაამხოს ხელისუფლება, რომელმაც გაბედა ეროვნული სულიერი ფასეულობების ხელყოფა.



საბერძნეთის პასპორტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე 15 ივნისს ალაპარაკდნენ. იმ დღეს ინფორმაციის დაცვის საბერძნეთის უწყებამ მთავრობას მოუწოდა, პირადი ცხოვრების დაცვის კანონის შესაბამისად, პასპორტიდან ამოეღო გრაფა აღმსარებლობის შესახებ; ეს კანონი ჯერ კიდევ 1997 წელს იქნა მიღებული და საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. ეკლესიამ ამაში დაინახა ქვეყნის ტრადიციებზე თავდასხმის მცდელობა. მიუხედავად ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობისა, პასპორტის მოდერნიზაციის შესახებ დეკრეტს ხელი მოაწერა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა მ. ხრისოხოიდისმა და ფინანსთა მინისტრმა გ. დრისომ. მთავრობას მიაჩნია, რომ ეს არის საბერძნეთის თანამედროვე სახელმწიფოდ გადაქცევის გზაზე გადადგმული ნაბიჯი. კერძოდ, ახალი პასპორტი მნიშვნელოვნად გაუადვილებს ბერძნებს ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობას.

ამიერიდან, საბერძნეთის მოქალაქის დამადასტურებელ საბუთში აღარ იქნება მითითებული აღმსარებლობა და პროფესია, აგრეთვე მეუღლის გვარი. პასპორტში არ იქნება არც თითების ანაბეჭდი. სამაგიეროდ, აღნიშნული იქნება სისხლის ჯგუფი, მფლობელის გვარი და სახელი ლათინურად.

სიახლეს პრემიერ მინისტრმა კ. სიმიტისკომაც დაუჭირა მხარი. მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს მიიჩნია იმის მცდელობად, რომ მთავრობას სურს ეკლესია თანდათანობით გამოეყოს სახელმწიფოს. ეკლესიის განცხადებაში ახალ დეკრეტს ანტირელიგიური უწოდეს.

1 სექტემბრიდან ეკლესია იწყებს ხელმოწერების შეგროვებას ნაციონალური რეფერენდუმის ჩასატარებლად. სასულიერო პირებს იმედი აქვთ, რომ 5 მილიონ ხელმოწერას შეაგროვებენ (საბერძნეთის მოსახლეობა 8,5 მილიონია, აქედან 8,3 მლნ ადამიანს პასპორტი აქვს). ეკლესია კი იმედოვნებს, რომ რეფერენდუმის შედეგად საბერძნეთის მთავრობა იძულებული იქნება, გადადგეს.

***კომერსანტი №214***

# ჩეჩნეთში ახალი ომი დაიწყო...



ფედერალურ ჯარებსა და ჩეჩენ ბანდფორმირებებს შორის ბრძოლის ფონზე რესპუბლიკის შიგნით ახალი კონფლიქტი ვითარდება, რომელიც, შესაძლოა, ნამდვილ სამოქალაქო ომად იქცეს. ერთმანეთს უპირისპირდებიან ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მოადგილე — ბისლან განტამიროვი თავისი ადმინისტრაციის ყოფილი მეთაურებითურთ და ჩეჩნეთის რესპუბლიკის ახალი მეთაური — ახმად კადიროვი.

მოსკოვის მიერ უმაღლეს პოსტზე დანიშნული კადიროვი ადგილობრივ მოსახლეობას აღიზიანებს, ხოლო ლაპარაკი კადიროვისა და განტამიროვის ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ, გაოცებას იწვევს. თავდაპირველად, განტამიროვი „ფედერალების“ მხარეზე იბრძოდა, ხოლო კადიროვი — ბოევიკებსა და ვაჰაბიტებს უჭერდა მხარს. ისინი ერთმანეთის მოსისხლე მტრები იყვნენ და მათ თანამშრომლობას არავინ ელოდა. ამ ორ პიროვნებას შორის საკითხი მხოლოდ ძალის გამოყენებით წყდებოდა. ამას წინათ განტამიროვი თავისი ხელქვეითი მილიციონერებითურთ რამდენიმე მანქანით გარს შემოერტყა ახმად კადიროვის რეზიდენციას. კონფლიქტის საბაბად იქცა ის, რომ კადიროვმა გადააყენა ადგილობრივი ადმინისტრაციის 4 მეთაური, რომლებიც განტამიროვის ამხანაგები იყვნენ. შამილ ბურაევს და იბრაჰიმ იასუევს ხელს არ ვახლებთო — დაჰპირებია კადიროვი. განტამიროვს თან ახლდა გროზნოს მერი სუფიან მახჩაევი და 200 მოკავშირე. მალე მათ სხვა რაიონებიდან ჩამოსული 2 ათასი ადამიანი შეუერთდა. განტამიროვმა ახლომახლო სახლების სახურავებზე სნაიპერები განალაგა, გადაკეტა ყველა გასასვლელი და კადიროვთან აუდიენცია მოითხოვა. ამ უკანასკნელმა შეხვედრაზე უარი შეუთვალა, განტამიროვი ძალზე აღგზნებულია და მასთან ლაპარაკი უაზრობააო. შეიარაღებულ მცველებს ამოფარებულმა კადიროვმა გადაწყვიტა, ეჩვენებინა „ვინ არის ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი“ და განაცხადა, განტამიროვს ჩემთან არ შეუთანხმებია თავისი ქმედება და ასეთი აქციების ჩატარებისთვის სანქცია არ მიმიცია, არც ლაშქართა მობილიზაციის განკარგულება გამიციაო. ასეთ სიტუაციაში კადიროვმა მოახერხა შეუმჩნევლად გასვლა ადმინისტრაციის შენობიდან და შინ გაეშურა. იქ კი კბილებამდე შეიარაღებული მომხრეები დახვდნენ. სიტუაცია გამძაფრდა; მოლაპარაკება თუ არ შედგება, მაშინ შესაძლოა, სისხლი დაიღვაროს. ეს კი სამოქალაქო ომის დაწყებას ნიშნავს.



განტამიროვსა და კადიროვს შორის კონფლიქტი თუ არ ჩაქრა, მაშინ ერთ-ერთს პოსტიდან გადადგომა მოუწევს. ორივე შემთხვევაში სიტუაცია გაუარესდება. ერთი ვერსიით, ფედერალებმა განტამიროვი კადიროვის მოადგილედ სიტუაციის გასამძაფრებლად დანიშნეს.

***რუსული პრესის მიხედვით***

# ჩვიდმეტწლიანი ომი



17 წელია სუდანში გრძელდება კონფლიქტი, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცივილიზაციათა შეიარაღებული შეჯახება.

სუდანის ჩრდილოეთით არაბი მუსლიმანები ცხოვრობენ. ქვეყნის ეს ნაწილი უძველესი დროიდან ჩაერთო მსოფლიო ისტორიულ პროცესში. აქ განვითარებული იყო ხელოსნობა, ვაჭრობა, მიწათმოქმედება. სუდანის სამხრეთი კი ცენტრალური აფრიკული ცივილიზაციის ნაწილია, აქ მისდევენ პრიმიტიულ მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას, მოსახლეობის დიდი ნაწილი ქრისტიანია.

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობა ყოველთვის რთული იყო. არაბული სამყაროსა და ოსმანთა იმპერიისთვის მონებით ვაჭრობის მთავარ ცენტრად სუდანი იქცა.

XX საუკუნიდან აფრიკა უკვე აღარ იყო მეკობრეთა და მონებით ვაჭართა კონტინენტი. ევროპის სახელმწიფოებმა ერთმანეთში დაიწყეს მისი დაყოფა. სუდანი ინგლისის კოლონიად იქცა. ინგლისელები მიხვდნენ, რომ სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის განსხვავების აღმოფხვრა ძალიან ძნელი გახდებოდა და გადაწყვიტეს, ქვეყანა შინა საზღვრით გაეყოთ.

1946 წლამდე ფაქტობრივად არსებობდა ორი სუდანი. ჩრდილოეთში დიდი გავლენა მოიპოვეს რადიკალმა ისლამისტებმა, მაგალითად, ორგანიზაციამ „ძმები-მუსლიმანები“; სამხრეთში კი ხელისუფლება ტომთა ბელადებიდან შეიარაღებული ჯგუფების ლიდერების ხელში გადავიდა, რომლებიც ერთმანეთსაც ებრძვიან და სამხრეთელებსაც. ინგლისელმა მისიონერებმა სამხრეთ სუდანში ქრისტიანობა გაავრცელეს. აქ სხვა ენებთან ერთად ოფიციალურ ენად ინგლისურიც იქცა.

სუდანმა 1956 წელს დამოუკიდებლობა მიიღო. ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა სამხრეთელებს მონებივით ექცეოდა. ამის საპასუხოდ სამხრეთში დაიწყო პარტიზანული გამოსვლები. ვნებათა დასაცხრომად სამხრეთს 1972 წელს ავტონომიის სტატუსი მიანიჭეს.

სიტუაცია გამწვავდა 1983 წელს, როცა „საბჭოთა კავშირის დიდმა მეგობარმა“, სუდანის პრეზიდენტმა ნიიმეირმა სოციალისტური განვითარების გზა უარყო და ისლამური ფუნდამენტალიზმის გზას დაადგა. მთელ სუდანში შარიათი შემოიღეს.

80-იანი წლების დამლევს ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ ბენტიუს მახლობლად ნავთობი აღმოაჩინეს. ნავთობი ომის კატალიზატორად იქცა. სამხრეთელები ამტკიცებენ, ჩრდილოელებს მისი დამუშავების უფლება არა აქვთო. სადღეისოდ ომი ერთი ქვეყნის ჩარჩოებს გასცილდა, დღეს მასზე ლაპარაკობენ როგორც კონფლიქტზე, ორ — შავსა და ისლამურ აფრიკას შორის. ბევრი ფიქრობს, რომ სამხრეთს ზურგს უმაგრებს ამერიკა — ამერიკა სუდანის რეჟიმს ტერორიზმის ხელშემწყობად მიიჩნევს და დაინტერესებულია ხარტუმის დასუსტებით.

სამხრეთისათვის ომი თვითიდენტიფიკაციის საშუალებად იქცა. ჩრდილოეთი კი ქვეყნის ერთიანობისთვის იბრძვის.

***იტოგი №28***

# თალიბები შპიონომანიამ მოიცვა

ავღანელ ისლამისტთა ლოზუნგია — „სამშობლო საფრთხეშია!“ თალიბანის ლიდერები არწმუნებენ თანამემამულეებს — რუსეთი სუვერენულ ავღანეთში მეორედ აპირებს შემოჭრასო. თავისი გეგმების განხორციელებაში მოსკოვს დაეხმარება „მეხუთე კოლონა“, რომლის შემადგენლობაში 35 ათასი ავღანელი ქალი შედის. ეს ქალები, ირწმუნებიან თალიბები, კგბ-ს კარგად გაწვრთნილი აგენტები არიან და დღემდე ემსახურებიან მას. თურმე ისინი გაეროს საქველმოქმედო სტრუქტურებში ერთიანდებიან და იქიდან ხრწნიან „ავღანეთის სახელმწიფოებრიობას“.

შპიონომანია განა მხოლოდ ავღანეთის სენია, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი ყველაზე უფრო აქ გაიფურჩქნა. ისიც არ არის გამორიცხული, რომ ავღანეთში უცხოურ სპეცსამსახურებს მხოლოდ ქალები კი არა, წვეროსანი მამაკაცებიც ემსახურებიან. მაგრამ, ჯერჯერობით, „ხალხის მტრებად“ მხოლოდ ავღანელი ქალბატონები გამოაცხადეს. საერთოდ, თალიბები სუსტი სქესის წარმომადგენლებს თავიანთ თანასწორად არ მიიჩნევენ: ავღანელ ქალს ეკრძალება განათლების მიღება (დაწყებითისაც კი!); მკურნალობა შეუძლია მხოლოდ ექიმ ქალთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ფონზე როგორ გამოიყურება „მოსკოვის ხელი“... ამას წინათ თალიბებმა ქვეყნიდან გააძევეს ასაკოვანი ამერიკელი ქალბატონი, რომელიც ავღანელ ქალთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამას ხელმძღვანელობდა, დააბრალეს მუსლიმანების გაქრისტიანებას ცდილობსო. მან დახმარება გაუწია 30 ათას ავღანელ ქალს. იქნებ სულაც ამ პატივცემულმა ქალბატონმა გადაიბირა თავისი ქვეშევრდომი ქალები კგბ-ს სტრუქტურებში?

თანამემამულე ქალებში თალიბებმა საშიში ჯაშუშები აღმოაჩინეს და ახლა ყველა ჩადრში გახვეული ქალი კგბ-ს აგენტი ჰგონიათ.

***იზვესტია №130***

# «რვიანის» სამიტი

„რვიანის“ ლიდერთა სამიტი იაპონიის ულამაზეს კუთხეში — ოკინავაში ჩატარდა. შეხვედრის ძირითადი ღონისძიებები საკურორტო ქალაქ ნაგომში ტარდებოდა. მაღალჩინოსანი სტუმრებისთვის ბურენის კონცხზე საგანგებოდ აშენდა „ბანკონ სინრეკანის“ კომპლექსი. ოტელის იაპონური სახელწოდება „მსოფლიოს ქვეყნებს შორის გადებულ ხიდს“ ნიშნავს. ოკინავაში ივლისში საოცრად ცხელა... გონიერმა იაპონელებმა სწორედ აქ „შემოიტყუეს“ სერიოზული მოლაპარაკებებისა და საპროტოკოლო ღონისძიებებისთვის მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა, თავისი აურაცხელი თანმხლებლით.



ალმურმოდებული და გაოფლილი ოფიციალური პირები საცოდავად გამოიყურებოდნენ... სამიტის დაწყებამდე კულუარებში პოლიტიკოსები ადგილობრივ სამზარეულოს ეცნობოდნენ... დიდი პოპულარობით სარგებლობდა ადგილობრივი თვითნახადი „ავამოსი“, ეროვნული კერძები, რომლებითაც ძალიან ამაყობენ იაპონელები. სტუმრებს ეგზოტიკური „ირაბუთი“ (ზღვის გველებით) უმასპინძლეს, გასინჯეს ოკინავას „სავიზიტო ბარათი“ — „ტიამპურუ“ (სოიის ხაჭო); „რვიანის“ წევრებს მიართვეს ნაირ-ნაირი ნაყინი — ეგზოტიკური ჩაროზი, რომლის ფერები შეესაბამებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს დროშას. იაპონელმა ელექტრიკოსებმაც თავი არ დაზოგეს და სტუმრები თავიანთი ტექნიკური ოსტატობით განაცვიფრეს. ოკინავამ დაამტკიცა, რომ „სოფელსა და ქალაქს“ შორის ისტორიული განსხვავება აბსოლუტურად წაშლილია: პლაჟებზეც კი სუპერთანამედროვე ტექნოლოგია გამოიყენება.

რასაკვირველია, ყველა ეს დეტალი ლირიკული გადახვევაა მსოფლიოს იმ გლობალური პრობლემებიდან, რომელიც „რვიანის“ დღის წესრიგში იდგა. ამ სოლიდურ ფორუმზე მთავარი იყო არა პოლიტიკური პრობლემების წარმოჩენა, არა გეგმების გრანდიოზულობა, არამედ სამიტის მონაწილე ყველა ქვეყნისთვის რეალური შედეგის მიღწევა.

რასაკვირველია, გაჩნდა იმედი, რომ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ოკინავაში, სამიტზე ჩაბრძანება 7 თვითმფრინავითა და მრავალრიცხოვანი დელეგაციით რუსეთისთვის უშედეგოდ არ ჩაივლის.

***რუსული პრესის მიხედვით***

# აშშ თავისებურ საჩუქრებს არიგებს

აშშ-ის სენატი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს სთავაზობს, ეროვნულ ვალუტად გამოიყენონ ამერიკული დოლარი. ამავე დროს, კანონპროექტის თანახმად, აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო დამატებით შემოსავალს ჰპირდება იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ მიერ შეთავაზებულ გზას დაადგებიან.

არსებითად, გამოდის რომ, ეს არის თავისებური „მწვანე პრემია“. ფლორიდის შტატის სენატორის აზრით, სხვა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის „დოლარიზაცია“ გამოიწვევს საერთაშორისო ფინანსურ სტაბილურობას და ამერიკული ექსპორტის ზრდას.

ამჟამად აშშ-ის დოლარი ეროვნულ ვალუტად გამოიყენება მხოლოდ პანამაში, მარშალის, პალაუს, მიკრონეზიასა და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე. სენატორებს დოლარის „კლუბის“ შესაძლო კანდიდატებად მიაჩნიათ რუსეთი(!) ინდონეზია, ბრაზილია, ეკვადორი და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნები. ფაქტობრივად, ლაპარაკია ე.წ. „სავალუტო მმართველობის“ მოდელის შესახებ, რომელსაც აქტიურად განიხილავდნენ რუსეთში 1998 წელს. გამორიცხული არ არის, რომ ამერიკელი სენატორების გადაწყვეტილება ხელმეორე კამათს გამოიწვევს.

რასაკვირველია, ეს იმიტომ ხდება, რომ დოლარს კონკურენტი გამოუჩნდა ევროპის ერთიანი ვალუტის (ევროს) სახით. რაც შეეხება „სავალუტო მმართველობას“, ეს აშშ-ის ეკონომიკაზე სრულ დამოკიდებულებას ნიშნავს.

***სეგოდნია №153***

# ხატაბის დოსიედან

პრაქტიკულად, ყველა ქვეყნის სპეცსამსახურების დოსიეში ხატაბი მოხსენიებულია მეტსახელებით: ცალხელა ახმედი, შავი ობობა, შავი არაბი, ამირა ხატაბი... 1995 წლის გაზაფხულზე, როცა ჩეჩნეთის პირველი ომი მძვინვარებდა, ხატაბი რუსეთში ჩავიდა. მასთან ერთად იჩქერიის ტერიტორიაზე თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან არალეგალურად შევიდა დაახლოებით 200 ე.წ. არაბი ავღანელი. თავდაპირველად, ხატაბი არ შედიოდა ცნობილ საველე მეთაურთა სიაში. 1996 წლის 16 აპრილს სოფელ იარიშმარდთან დაქირავებულმა მკვლელებმა შავი არაბის ხელმძღვანელობით გაანადგურეს ფედერალური ჯარების 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. იმ დღიდან ხატაბი ჩეჩნეთში ყველაზე ცნობილ დაქირავებულ მკვლელად იქცა.

ხატაბი დაიბადა იორდანიაში. დაამთავრა ამანის სამხედრო აკადემია და მუშაობა დაიწყო იორდანიის მეფის ჰუსეინის პირად დაცვაში. ავღანეთში ომის დაწყებისთანავე მოჯაჰედთა რაზმები აივსო მთელი მსოფლიოდან მოსული დაქირავებული მკვლელებით, მათ არც პროფესიონალი სამხედრო ხატაბი ჩამორჩა... ეტყობა, იჩქერია თვალში მოუვიდა, ვინაიდან დიდი ხნით აპირებს იქ დარჩენას. მან დიდებული ვილა შეიძინა სერჟენ-იურტთან. ცოლად შეირთო დაღესტნელი ქალი. ცოტა ხნის წინ გოგონაც შეეძინა. ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ ტერორისტმა თავისი მეუღლე სამშობიაროდ გაგზავნა არა თურქეთში ან პაკისტანში, არამედ... რუსეთში. ზუსტად იმ კასპიისკში, სადაც ვაჰაბიტებმა ააფეთქეს რუს მესაზღვრეთა სახლი.

***არგუმენტი ი ფაქტი №28***

# მოკლედ

დიდი ავიაკატასტროფა მოხდა დასავლეთ **ინდოეთში**. კომპანია „ელენს ეირის“ თვითმფრინავი კალკუტიდან დელიში მიემგზავრებოდა. ჯერ ბიჰარის შტატის დედაქალაქ პატნეში უნდა დამჯდარიყო, მერე ლუკნაუში. დანიშნულების პირველ პუნქტამდე „ბოინგი“ ვერ ჩაფრინდა. დაუდგენელი მიზეზით თვითმფრინავი პატნის საცხოვრებელ კვარტალს დაეცა. დაიღუპა 50-ზე მეტი ადამიანი. ჯერჯერობით არ იციან, რამდენი გადარჩა.

**სიდნეის** ახლოს, პატარა ქალაქ გოსფორდის ზოოპარკში ტერარიუმში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა ათასობით იშვიათი ჯიშის გველი, ნიანგი, ბაყაყი. ხანძარს 3 საათს აქრობდნენ. ეს პარკი 50 წლის წინ დააარსა ცნობილმა ბიოლოგმა სინკლერმა.

**მოსკოვში** თავს დაესხნენ ერთ-ერთ გავლენიან ჩეჩენ პოლიტიკოსს, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტს, იუსუფ სოსლამბეკოვს. იგი საავადმყოფოში მოათავსეს.

**მოსკოვში** გაიხსნა XX კინოფესტივალი, ჟიურის თავმჯდომარეა ცნობილი ბერძენი რეჟისორი თეო ანგელოპულოსი.

# ჯადოსნური ჩრდილები

**ვირისტერფა ასთმას ებრძვის.** 4 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ვირისტერფას ფოთლები ადუღეთ 1ჩაის ჭიქა წყალში, დადგით 30 წუთი და შემდეგ გაწურეთ. სვით 1/4 ჭიქა 4-ჯერ დღეში.

შეიძლება ნაყენი ასეც მომზადდეს: აიღეთ თანაბარი წილი (1:1). ვირისტერფას ფოთლები, პეპელა ბალახის ფოთლები, გულყვითელას ყვავილები, სამფერა იის, გვირილის ყვავილები, ძირტკბილასა და კულმუხოს ფესვები, ანისულის თესლი, პიტნის ფოთლები, მრავალძარღვას ფოთლები — ერთმანეთს შეურიეთ. 2 ს/კ. ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთი ორთქლზე, გააცივეთ 45 წუთის განმავლობაში. გაწურეთ, .მიიღეთ 1/3-1/4 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

**თალგამი ლარინგიტს კურნავს.** თუ ყელის სახმო სიმების ანთებას, ხმის დაკარგვასა და ბრონქიტს უჩივით — გიშველით თალგამი. ეს ყველაზე ეფექტური საშუალებაა — ლარინგიტის დროს. 2ს/კ გახეხილ თალგამს დაასხით 1ჭ მდუღარე წყალი, შეფუთეთ და გააჩერეთ 1 საათი. მიიღეთ 1/4 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში. წამალს არ აქვს უკუჩვენებები, ამიტომ შეგიძლიათ სმა ხანგრძლივად გააგრძელოთ. გარდა ამისა, ის წმენდს ორგანიზმს წიდებისგან.

**ქვებს შლის.** ბარდის ნაყენით ერთი თვის განმავლობაში ქვები გარდაიქმნება სილად და შარდთან ერთად გამოდის ორგანიზმიდან. აყვავებამდე მწვანე მცენარე დააქუცმაცეთ და 2 სუფრის კოვზს დაასხით 1,5 ჩ/ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით 30 წუთი. გაწურეთ და მიიღეთ 2ს/კოვზი ყოველი ჭამის წინ.

ასევე საუკეთესო გამწმენდი საშუალებაა თანაბარი რაოდენობის კიტრის, ჭარხლისა და სტაფილოს წვენების ნარევი.

**კუჭის აშლილობა.** ფაღარათისა და კოლიტის დროს ბავშვებს შეიძლება მისცეთ ბროწეულის გამხმარი ქერქის ნახარში. იგი გემრიელია და პატარა სიამოვნებით დალევს.

1 ჩაის კოვზ დაკეპილ ქერქს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. ადუღეთ კიდევ 10-15 წუთი. შემდეგ შეფუთეთ და 2 საათი გააჩერეთ. გაწურეთ და ბავშვს მიეცით დღეში სამჯერ, ჭამამდე. შეიძლება საჭმელშიც შეურიოთ. ბროწეულის კანი მდიდარია ვიტამინებითა და მთრიმლავი ნივთიერებებით და ორგანიზმს აძლიერებს.

**მხედველობის გასაუმჯობესებლად** ძალზე ეფექტური საშუალებაა ლიმონის ნაყოფისა და თესლის სპირტიანი ნაყენი. გახეხილ ან დაქუცმაცებულ ლიმონს დაასხით თანაბარი რაოდენობის 70%-იანი სამედიცინო სპირტი. მჭიდროდ დაახურეთ თავი და 3 კვირა გააჩერეთ. ნაყენი დროდადრო შეანჯღრიეთ. მიიღეთ 20-30 წვეთი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე ორი კვირის განმავლობაში. შეისვენეთ 5 დღე და შემდეგ გაიმეორეთ.



# ექიმმა ცეკვები გამოგვიწერა

ამერიკელმა მეცნიერებმა იმ პაციენტებზე დაკვირვებით, რომელთაც მკურნალობა ცეკვის სახით ჰქონდათ გამოწერილი, დაადგინეს, რომ ცეკვა, სპორტული ვარჯიშების მსგავსად, ძალზე სასარგებლოა. ყოველდღიური, სულ რაღაც 30 წუთიანი ცეკვა შესანიშნავად ამაგრებს გულსისხლძარღვთა სისტემას. ხოლო სექსოლოგები რიტმულ ცეკვებს უწერენ პოტენციადაქვეითებულებს. ცეკვა საშუალებას იძლევა შეიგრძნოს პარტნიორი, რაც ადამიანს ხელს უწყობს მიაღწიოს სრულ ემოციურ და სექსუალურ სიამეს.

*ოტდოხნი №26*

# ერიდეთ ანტიდეპრესანტებს

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ რეკლამირებულ პრეპარატ ლუსტრალს, რომელსაც იყენებენ დეპრესიისა და ბულიმიის (დაუოკებელი ჭამის სურვილი, რომელსაც ახლავს სისუსტე და ტკივილი მუცლის არეში) სამკურნალოდ, თან ახლავს საშიში გვერდითი მოვლენები. როგორც ბი-ბი-სი იუწყება, ლუსტრალი, აგრეთვე მეორე ცნობილი ანტიდეპრესანტი პროზაკი იწვევს პაციენტში თვითმკვლელობის სურვილს.

დღეისათვის პროზაკი ერთ-ერთი პოპულარული საშუალებაა დეპრესიის სამკურნალოდ. მას იღებს მსოფლიოს 38 მლნ-ზე მეტი ადამიანი.

1991 წელს აშშ-ის საკონტროლო ადმინისტრაციამ ჩაატარა გამოკვლევა მისი გვერდითი ეფექტების შესახებ, მაგრამ მაშინდელი მონაცემები არასწორად მიიჩნიეს.

*მეგაპოლის-ექსპრესი №24*

ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# თბილისური სიცხეები!

## რით გემუქრებათ სიცხე!

დღეს თბილისსა და მთელს საქართველოში დაჭერილმა სიცხეებმა და გვალვამ ბევრი შეაშფოთა და ზოგსაც დაფიქრების საბაბი მისცა. თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ასეთმა ტემპერატურამ ადამიანების ორგანიზმზე და რა ცვლილებას შეუწყობს ხელს, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.



გარემოს მაღალი ტემპერატურა ყველაზე მეტად არტერიული წნევით შეპყრობილ ადამიანებს „ემუქრება“. ტემპერატურამ შესაძლო წნევის ცვალებადობა ან სულაც მისი აწევა გამოიწვიოს. მომატებული არტერიული წნევა საფრთხეს უქმნის ათეროსკლეროზითა თუ სხვა პათოლოგიებით (ანევრიზმა და ა.შ.) შეცვლილ სისხლძარღვებს. სისხლძარღვმა შესაძლოა დაწოლას ვეღარ გაუძლოს და ირღვევა მისი მთლიანობა... იმის მიხედვით თუ სად იქნება ლოკალიზებული ეს პროცესი ინსულტი (თავის ტვინში სისხლჩაქცევა) ან მიოკარდიუმის ინფარქტი (გულში) ვითარდება. ამით სერიოზული საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს! ამიტომაც არის ძალზედ მნიშვნელოვანი ასეთ პირობებში წნევის კონტროლი.

მედიცინაში არტერიული წნევა „ჩუმი მკვლელის“ სახელით არის მონათლული. მუხთალი მტერი ძალზე წყნარად იჭრება ორგანიზმში, ისე რომ ზოგჯერ მასპინძელი ვერაფერს ეჭვობს და თავსაც ძალზე მშვიდად გრძნობს. დამტკიცებულია რომ მაღალი არტერიული წნევით შეპყრობილ ადამიანთა დაახლოებით მესამედმა არც კი იცის მისი არსებობა!

ცვლილებები საკუთარ თავში თვითონვე უნდა აღმოაჩინოთ. ამისთვის კი, აუცილებელია ნორმა და პათოლოგია ერთმანეთისაგან გამიჯნოთ. ფიზიოლოგიურად ადამიანს დღე-ღამის განმავლობაში წნევა რამდენჯერმე ეცვლება. ძილის დროს წნევა იკლებს, დილით გაღვიძებისას მატულობს. ეს ნორმაა და ბუნებრივად არის მიჩნეული. არტერიული წნევა მატულობს საკვების მიღების ფონზე, საინფორმაციო გადაცემების ყურებისას...

ამასთან გაზრდილი არტერიული წნევით ორგანიზმი ცხოვრებისეულ განსაზღვრულ სიტუაციებშიც რეაგირებს.

არტერიული წნევის გაზომვისას პანიკამ რომ ტყუილუბრალოდ არ მოგიცვათ, მთელი რიგი ფაქტორის გათვალისწინება მოგიწევთ. კერძოდ, თუკი წნევას ექიმი ან თეთრხალათიანი სხვა მედ-პერსონალი გიზომავთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არტერიული წნევის მაღალ ციფრებს მიიღებთ. ეს თქვენი ნერვული სისტემის და ემოციური ფაქტორის „ბრალი“ იქნება.

წნევა მშვიდ პირობებში, სახლში თქვენ თვითონ ახლობელ ადამიანებს გააზომვინეთ. თანაც დილით, უზმოზე, 2-3-ჯერ 10-12 წთ-ის ინტერვალით.

მიღებული რიცხვი თქვენი ნორმალური წნევა იქნება. ზოგიერთისათვის ეს შესაძლოა 140/90 ზოგჯერ კი 150/100-ზეც კი იყოს.

და თუკი დღის განმავლობაშიც წნევის 5-10 ერთეულით ცვლილება დააფიქსირეთ, არც მაშინ იჩქაროთ ჰიპერტონიით დაავადებილთა რიგებში ჩარიცხვა. იქნებ, ეს თქვენი ორგანიზმისათვის იმ პერიოდისთვის ოპტიმალურიც კი იყოს.

მაგრამ თუკი თავს ცუდად იგრძნობთ ან წნევის გასინჯვისას თქვენთვის ჩვეულებრივ ციფრებზე 10-20 ერთეულით ან უფრო მაღალი მაჩვენებლები აღრიცხეთ, ექიმთან კონსულტაციას გირჩევთ. რადგანაც მაღალი წნევა ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებს ვნებს, როგორებიცაა — გული, ტვინი, თვალი და თირკმელი.

ჩვენ არასასურველი სტუმრისაგან თავის დაძვრენის რამდენიმე ხერხს შემოგთავაზებთ:

— დღე-ღამის განმავლობაში 5-5,5 გ მარილი იმყოფინეთ. ეს ერთი ჩაის კოვზის ტოლფასია.

— საკუთარი საკვები რაციონი კალიუმით მდიდარი პროდუქტებით შეავსეთ: ბარდა, ლობიო, კარტოფილი ყურძენი, ბოლოკი.

— ებრძოლეთ ჭარბ კილოგრამებს;

— მეტი იმოძრავეთ.

— შეზღუდეთ ალკოჰოლის მიღება;

— შეამცირეთ დღე-ღამეში მოწეული სიგარეტის ღერების რაოდენობა.

— მიიღეთ რაც შეიძლება მეტი თევზის ქონი. ეს ათეროსკლეროზული პროცესების პროფილაქტიკისთვის საუკეთესოა. სასურველია დღეში დაახლოებით 5გ. თევზის ქონის მიღება.

ტემპერატურამ შესაძლოა თქვენს პულსზეც მოახდინოს ზეგავლენა. აქაც ინდივიდუალური მიდგომაა მიზანშეწონილი. ნორმად წუთში 70-80 დარტყმაა მიღებული, მაგრამ პულსიც არტერიული წნევის მსგავსად დღის განმავლობაში, სხვადასხვა სიტუაციაში მნიშვნელოვნად ცვალებადობს.

თუკი ფიზიოლოგიურ პირობებში პულსის აჩქარების შემდეგ ის ნორმას სწრაფადვე უბრუნდება, თანაც თქვენ თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობთ, აქ საშიში არაფერია.

ბრადიკარდია — პულსის გაიშვიათებაა. ამ დროს ადამიანს თითქოს ცალკეული გულისცემა თავში ზარივით სცემს, რასაც უსიამოვნო სიცარიელის შეგრძნება ცვლის ხოლმე. ზოგჯერ სისუსტე, თავბრუსხვევა, თვალებში დაბნელება და გრძნობის დაკარგვა ვითარდება.

ტაქიკარდია — პულსის გახშირებაა. ამ დროს ადამიანი აფორიაქებულია, სისუსტე, თავბრუსხვევა, წონასწორობის დაკარგვა აღენიშნება. ვითარდება გულის რევის შეგრძნება.

პერიოდული გულისცემის აჩქარება, შინაგანი აფორიაქებით, მზარდი ოფლიანობითა და ზოგჯერ ჰიპერემიით (წამოწითლება) ე.წ. ვეგეტოდისტონიური სინდრომის დროს ვითარდება. ეს სინდრომი ფარისებრი ჯირკვლის ზოგიერთი დაავადების ფონზე ყალიბდება.

ზედმეტი სიცხე ფარისებრი ჯირკვლის ერთ-ერთი დაავადების — დიფუზური ტოქსიური ჩიყვის დროსაც ძლიერ არამიზანშეწონილია. ხალხში „შხამიან ჩიყვად“ მონათლული ამ პათოლოგიის მკურნალობის დროს მზემ და მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა დაავადების გამწვავებას შეუწყოს ხელი.

*მაია მუხიგული*

# ვარსკვლავები გვირჩევენ

## ჯოან კოლინზის სილამაზის 7 წესი



67 წლის **ჯოან კოლინზს** ასაკი სულაც არ ეტყობა. ის ყველას აოცებს თავისი ახალგაზრდული იერით. ჟურნალისტები ყოველთვის ცდილობდნენ გაეგოთ მისი სილამაზის საიდუმლო: ერთნი ამბობდნენ, — განსაკუთრებულ აბებს სვამსო, მეორენი — საოცარი მასაჟისტი ჰყავსო, მესამენი კი ქირქილებენ — ჯადოქრები არ ბერდებიანო.

ბოლოს და ბოლოს, მსახიობმა გადაწყვიტა, გაემხილა თავისი სილამაზისა და მარადიული სინორჩის საიდუმლოება, რომელიც 7 პუნქტად ჩამოაყალიბა:

1. ცხოვრებამ მასწავლა, რომ გასახდომად ქალისთვის შიმშილი აუცილებელი არ არის, მხოლოდ უნდა მივიღოთ ნაკლები ცხიმი, ბევრი სითხე და, რაც მთავარია, გვქონდეს მოთმინების უნარი — გახდომას დიდი დრო სჭირდება.

2. მე, პირადად, დღეში 10-15 წუთი ვვარჯიშობ ჰანტელებით, რათა ხელების კუნთები არ მომიდუნდეს.

3. ყოველდღე თითო საათს ვვარჯიშობ იოგას სისტემით, რაც დადებითი ემოციებით მმუხტავს;

4. მიყვარს ზღვა, მაგრამ ვერიდები მზეს, იგი კანს აბერებს, ამიტომაც მუდამ ფართოფარფლებიანი ქუდით დავდივარ;

5. სახის კანს ვიწმენდ ნუშის რძით, შემდეგ ვისვამ მკვებავ კრემს, დღის განმავლობაში მაკიაჟს 2-3-ჯერ ვიკეთებ;

6. სტრესებიდან თავის დაღწევა ძნელია, მაგრამ მაინც უნდა მოვახერხოთ. არ უნდა ვიფიქროთ ცუდზე. სჯობს, გავისეირნოთ ბუნების წიაღში, წავიკითხოთ კარგი წიგნი ან მოვუსმინოთ მუსიკას;

7. ქალს დღე-ღამეში არანაკლებ 8 საათი უნდა ეძინოს, თუმცა ბევრისთვის და მათ შორის ჩემთვისაც, ეს ძნელად მისაღწევია; ამიტომ ყოველგვარ სიტუაციასა და წუთს ვიყენებ ჩასათვლემად — გადაღებებს შორის შესვენებისას, საგრიმიოროშიც კი მძინავს.

ისე რომ, ჯოან კოლინზს არავითარი განსაკუთრებული სილამაზის რეცეპტი არ აქვს. მისი საიდუმლო მარტივია — თავს უნდა მიხედო არა პერიოდულად, არამედ ყოველდღე, მთელი სიცოცხლის მანძილზე.

*ტვ პარკი №24*

# კლაუდია შიფერის უჩვეულო დიეტა

თურმე, ცნობილი თოფ-მოდელი კლაუდია შიფერი დიდი გურმანი ბრძანდება. ლამაზმანი არასოდეს ამბობს უარს გემრიელ, კალორიულ კერძებზე, მაგრამ ნებისმიერ ტრაპეზს დიდი რაოდენობით მწვანე ჩაის აყოლებს. მწვენე ჩაის ხომ ორგანიზმიდან წიდები გამოაქვს! მართალია, ამ სასარგებლო სითხეს სპეციფიკური გემო და სუნი აქვს, მაგრამ მუდამ გახსოვდეთ, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს.

*ლიზა №22*

# მიშელ პფაიფერის დიეტა

საუზმე: 1 ფინჯანი უშაქრო ყავა და იოგურტი

სადილი. 250გ. მოხარშული ხორცი და უხეშად დაფქვილი პური, რამდენიმე ფოთოლი სალათი და ვაშლი.

სამხარი: 1 ჭიქა მინერალური წყალი ხმელი ყველის ნაჭერი და შავი პური (საგულდაგულოდ უნდა დაილეჭოს) — მაწონი. ამ დიეტას დღეგამოშვებით შეენაცვლება ნახევრად თხევადი დიეტა: 1 დღე — 1,5ლ რძე, დღე — 2 ჭიქა მაწონი, დღე — 2 ცალი ქათმის უმი კვერცხი, V — 400გ ხორცის ბულიონი, V — 600გ ბოსტნეულის პიურე, V — 1,5ლ წვენი, V დღეს ჭამეთ რაც გნებავთ;

# პეტ უილსონის დიეტა

პოპულარული მსახიობი, ნიკიტას როლის შემსრულებელი ამავე სახელწოდების ტელესერიალში, პეტ უილსონი, მაყურებელს ხიბლავს ლერწამივით ტანით, კოხტა სიარულით, სინატიფით. ამ მშვენიერ ქალს მართლაც ყველაფერი უხდება, რადგან არ ამძიმებს სიმსუქნე. თურმე პეტს გემრიელი ჭამა-სმა უყვარს, მაგრამ უფრო ხილ-ბოსტნეულს ეტანება, ალკოჰოლს არ ეკარება — სახის კანს აბერებსო. გარეგნობა რომ შეინარჩუნოს, მსახიობი პროფილაქტიკისთვის თვეში ერთხელ დიეტას იცავს და თქვენც გთავაზობთ, ძვირფასო მანდილოსნებო:

**I დღე** — 5 ცალი საშუალო ზომის მოხარშული კარტოფილი, 1,5 ლ უცხიმო კეფირი;

**II** — 100 გ მოხარშული ქათამი, 1,5 ლ უცხიმო კეფირი;

**III** — 100 გ ნებისმიერი მოხარშული ხორცი, 1,5ლ. უცხიმო კეფირი;

**IV** — 100 გ მოხარშული თევზი, 1,5 ლ უცხიმო კეფირი;

**V** — ხილი და ბოსტნეული (ყურძნისა და ბანანის გარდა), 1,5 ლ. უცხიმო კეფირი;

**VI** — მხოლოდ კეფირი;

**VII**— მინერალური წყალი;

დიეტის დაწყებამდე გავისუფთაოთ კუჭ-ნაწლავი, ყველა რეკომენდებული საჭმელი უნდა მომზადდეს უმარილოდ და უშაქროდ.

*სთარი №23*

## ვარლამ გორდეზიანი

# ერთი ქილა ერბო

(საგადასახადო დეტექტივი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი გლეხი. ღარიბი იყო, მაგრამ ვენახი კი კარგი ჰქონდა და კარგადაც უვლიდა. ერთხელაც, გავიხედოთ და ერთი თვის პენსია არ მისცეს? გაეხარდა ძალიან — გაზაფხული იდგა, ვენახის შეწამლვის დრო მოსულიყო და წამალი კი არ ჰქონდა. მეორე დილით, გაიდო მხარზე კომბალი და გაუდგა ქალაქის გზას შაბიამნის საყიდლად. მიდის და მიღიღინებს ხალისიანად. ამ გზაზე მანამდე ვაჭარს გაევლო და ურმიდან ერთი ქილა ერბო ჩამოვარდნოდა. წამოჰკრა გლეხმა ფეხი ქილას, დახედა და თვალებს არ დაუჯერა — ბიჭოს, ერთი ქილა ქარვისფერი ერბოა. ცას ეწია სიხარულით, გაუყარა ქილას ყურში კომბალი, გაიდო მხარზე და გააგრძელა გზა. ერთმა ფიქრმა კი გაჰკრა გულში — ამდენი სიხარული რას უნდა ნიშნავდეს, ნეტა დღეს აღარაფერი მეწყინებოდესო, მაგრამ მერე გული დაიმშვიდა და ისევ გახალისდა. მიდის გლეხი და ფიქრობს: მივალ ბაზარში, გავყიდი ერბოს და წიწილებს ვიყიდი, გავზრდი, გავასუქებ და შემოდგომის პირზე გავყიდი, აღებული ფულით გოჭებს ვიყიდი, დავზრდი, საშობაოდ გავყიდი და ვიყიდი წყვილ სახარე მოზვერს, შვილივით მოვუვლი, ზაფხულში მწვანე ბალახსა და ალერდს არ მოვაკლებ, ზამთარში კი — თივასა და ჩალას, დავზრდი და დავასუქებო — ამ ფიქრებში კიდეც მიადგა ქალაქს. უცბად, სად იყო და სად არა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მის წინ ლურჯი BMW გაჩერდა. გადმოვიდა იქიდან სამი დევივით ვაჟკაცი — ერთი შავთმიანი, ერთი თეთრთმიანი და ერთიც წითური.

— რა გაქვს მანდაო, — ჰკითხა მკაცრად წითურმა.

— ერთი ქილა ერბოო, — მიუგო გლეხმა თავაზიანად.

— გზაზე იპოვეო?

— კიო, — მიუგო გლეხმა და გულში გაიფიქრა, ალბათ ამათ თუ დაკარგესო.

— გინდა გაყიდო, რომ წიწილები იყიდო, შემოდგომის პირას უკვე დასუქებული ვარიები გაყიდო და გოჭები იყიდო, საშობაოდ გაყიდო ნაპატივები ბურვაკები და წყვილი მოზვერი იყიდო, მერე ისინიც დაზარდო და სამი წლის თავზე გაყიდო, აღებული ფულით კი ტრაქტორი შეიძინო, ხომო? — ეკითხება ახლა თეთრთმიანი.

— ტრაქტორის გაფიქრება ვერ მოვასწარიო, — უპასუხა გაკვირვებულმა გლეხმა.

— კიდევ კარგად გადარჩენილხარო.

— რატომო? — კიდევ უფრო გაოცდა გლეხი.

— მეო, საგადასახადო სამსახურის უფროსი ინსპექტორი ესა და ეს გახლავარო, — ეუბნება თეთრთმიანი და თან საბუთს აჩვენებს, — ეს ჩემი ამხანაგებიც ინსპექტორებია ყველაო. მაგ ერბოს ვაჭარს ხომ ვადინეთ ძმარი, ეხლა შენ მოგივლითო.

— ჩემგან რა გნებავთო?

— შეცბა გლეხი.

— რა მნებავს და შე მამაცხონებულო, რომ გამიმართე აქ გაცხოველებული აღებ-მიცემობა, ბიუჯეტზე თუ იფიქრე ერთხელო?

— ბიუჯეტზე რა უნდა მეფიქრაო?

— თქვენისთანა არაკეთილსინდისიერმა მეწარმეებმა დააქციეს ბიუჯეტი და მოუღეს ბოლო ქვეყნის ეკონომიკასო, — გაცხარდა თეთრთმიანი, — უყურე შენ ამ უსინდისოებს, როგორ გათავხედდნენო, — თან თავის ამხანაგებს გადახედა. შავთმიანმა და წითურმაც დანანებით გადააქნიეს თავები.

— რას მერჩით, ბატონო, რატომ მლანძღავთ, ბიუჯეტთან მე რა ხელი მაქვს, მისი არსებობაც არ გამიგია, ან სადაური მეწარმე მე ვარ, ერთი უბრალო გლეხკაცი ვარ და საერთოდ რა შუაში ვარო, — იწყინა გლეხმა, თან ცოტა შეშფოთდა კიდეც, მგონი მართლა დავაშავე რაღაცო.

— ახლავე მოგახსენებ რა შუაში ხარო, — უთხრა წითურმა. — შენო, როგორც კი ქილა ერბოს გაყიდი, ინდივიდუალურ მეწარმედ ითვლები და სახელმწიფოს გადასახადი უნდა გადაუხადოო. შენ კი აქ ისეთი მასშტაბის კომერციული საქმიანობა გააჩაღე, საერთოდ მსხვილი გადამხდელების სიაში უნდა შეგიტანოო. ამოიღო კალკულატორი და დაიწყო ხმამაღლა ანგარიში:



— ერბოს რეალიზაციიდან მიღებული მოგება — ამდენი, მოგების გადასახადი — იმდენი, დარჩენილი მოგებიდან გადასახადი — ამდენი, იქიდან კიდევ დარჩენილის — იმდენი, ამას დამატებული საბაჟო მოსაკრებელიო, აქციზიო, სამეწარმეო, ადგილობრივი მოსაკრებელიო, დღგო და ვინ მოსთვლის, კიდევ რა ჩამოთვალა. ახლა წიწილებზე გადავიდა და ისევ თავიდან იანგარიშა, მერე გოჭებს გადაუარა და ბოლოს მოზვრებს გააძრო ტყავი.

— აიო, — აჩვენა ბოლოს გლეხს კალკულატორი, — ამდენი და ამდენი გადასახადი დაუმალე ბიუჯეტს, შეგიდგენ ახლა აქტს გადასახადის დაფარვისათვის და მოგივლიან, როგორც საჭიროაო.

შეღონდა გლეხი, წაიშინა თავში ხელი — რა ცუდ ფეხზე ავმდგარვარ ამ დილას, რა ღმერთი გამიწყრა ქალაქში რომ წამოვედიო, ნეტა ეს ქილა ერბოც არ წამომდებოდა ფეხზე, კი მიგრძნობდა გული, დღეს რაღაც მეწყინებოდაო. ამოიღო ცხვირსახოცში გახვეული ფული — აგერ, გუშინ პენსია ავიღე, ამის მეტი არაფერი გამაჩნია და რა მეშველება ახლა მეო.

— ეეჰო, — ამოიოხრა გულდაწყვეტილად წითურმა ინსპექტორმა. შავთმიანმა და თეთრთმიანმაც ამოიოხრეს და დაღონებით გადახედეს ერთმანეთს.

— გადასახადის გადახდა არ გინდა, პენსია კი კარგად აგიღიაო, — ეუბნება შავთმიანი, — ჩვენ რომ არ ვიყოთ, ვნახავდი, როგორ პენსიასაც აიღებდი, ეგ ფულები განა მუხას ასხია, სულ ჩვენი ამოღებულიაო.

შეწუხდა გლეხი, ნეტა მიწა გამისკდებოდეს ფეხქვეშ და თან ჩამიტანდესო, ნატრობს. უყურეს ცოტა ხანს ინსპექტორებმა გლეხს და ხედავენ, რომ ერთი ალალი გლეხია, ეგ არის ეკონომიკური განათლება არ გააჩნია და ვერც საგადასახადო კოდექსში ერკვევა. შეეცოდათ ბოლოს.

— რა გიყოთ ახლაო, — ეუბნება თეთრთმიანი — კი არ ხართ დასანდობი შენ და შენისთანები, მაგრამ ამ ერთხელ კიდევ გაპატიებთ და სხვა დროს კი აღარო. — გამოართვა ფული, წითურმა ქილას დაავლო ხელი, შავთმიანმა კომბალი ამოიდო იღლიაში, ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

ჩამოჯდა გლეხი ქვაზე მწარედ დაღონებული. ხედავს, ცხვირსახოცი დაუტოვებიათ — მოიწმინდა სიმწრის ოფლი. იჯდა ასე კარგა ხანს, იჯდა და ფიქრობდა. იფიქრა, იფიქრა — ვერაფერი მოიფიქრა, ანდა რა უნდა მოეფიქრებინა? ერთი ამოიგმინა „ვაიმე, ჩემო ვენახოო“, წამოდგა და წაჩანჩალდა უკან წელმოწყვეტილი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## მიხეილ შუბითიძე

მამუკა და ლალი თბილისიდან ლაგოდეხის ერთ სოფელში პაპასთან ჩავიდნენ სტუმრად. პირველი, ვისაც აქ ბავშვები გაეცნენ და დაუმეგობრდნენ, იყო თეთრი, გრძელწვერა და რქებდაგრეხილი ერკემალი, რომელსაც ლალიმ დანახვისთანავე ბროლა შეარქვა.

ბროლა ყოველ დილით სოფლის ცხვრებისა და თხების ფარას თავში ჩაუდგებოდა ხოლმე და მედიდურად მიუძღვებოდა საძოვრებისაკენ. საღამოს შინ დაბრუნებულ ბროლას ბავშვები ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ, ეფერებოდნენ, ტკბილი ფუნთუშის ნაჭრებსა და ნამყენი თუთის ლორთქო ფოთლებს აჭმევდნენ. ბროლაც ეზოში მოტრიალე ბავშვებს დაღამებამდე არ სცილდებოდა.

ბავშვებს ყველაზე ძალიან ის ართობდა, რომ ბროლა მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე მუდამ თავმომწონედ და ხალისით პასუხობდა:

— ყველაზე ლამაზი ერკემალი ვინ არის? — შეეკითხებოდა ლალი.

— მეე!.. — დაუყოვნებლივ პასუხობდა ბროლა.

— ყველაზე ძლიერი?..

— მეე!..

— ყველაზე ჭკვიანი?..

— მეე!!

— ახლა მე მიპასუხე, — ჩაერთვებოდა მამუკა, — ყველაზე მშიშარა ერკემალი ვინ არის?..

— მეე!..

— ყველაზე ჩერჩეტი?..

— მეე!!!

ბავშვები კისკისებდნენ. ერკემალი ხვდებოდა, რომ ბავშვებს მისი „მეე“ მოსწონდათ და ისიც მზად იყო, დაუსრულებლად ეძახა ეს ერთადერთი სიტყვა, რომელიც მან და მისმა მოდგმამ იცოდა.

ერთხელ პაპა შეესწრო მათ კითხვა-პასუხს და ბავშვებს ეს ლეგენდა-ზღაპარი უამბო:

დიდი ხნის წინათ, როცა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მხოლოდ ქართველური წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ და ქართველები მზის შვილებად იწოდებოდნენ, ერთ-ერთი ტომის უხუცესთა კრებამ თავის ბელადად ცნობილი მეომარი, მეტსახელად, ბოლმა აირჩია. მისი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ სხვისი ნიჭი და ძლიერება შურდა, ცდილობდა წინ არავინ გაეშვა და პირველობა არავისთვის დაეთმო. ამის შესახებ, ბევრმა არაფერი იცოდა, ამიტომ ერთმა დარბაისელმა იკითხა: ყველა, ყველა, მაგრამ ეს ზედმეტი სახელი, „ბოლმა“ რაღა არისო? სამწუხაროდ, მლიქვნელები მაშინაც იყვნენ და ბოლმას ერთმა მსახურმა ხმამაღლა თქვა: ამ კაცს იმათი ბოლმა ახრჩობს, ვისაც ქართველთა საცხოვრისის მიტაცება და ჩვენი ჯილაგის ამოძირკვა სურსო. ამ დღიდან მისი ზედმეტი სახელი საყვარელ და საპატიო სახელად იქცა.

გავიდა დრო და ბოლმას ზეობის ჟამიც მიიწურა, ძველებურად აღარ ერჩოდა მუხლი და მკლავი. ბოლმას გვერდით მრავალი ლომგული მეომარი აღიზარდა, თითოეულ მათგანს თავისუფლად შეეძლო წინამძღოლის საქმე შეესრულებინა, მაგრამ ბოლმა ფარ-ხმალს არ ყრიდა, სულ მე, მეს გაიძახოდა. ჯერ მე ვარ უძლიერესი, ჩემი ტოლი და სწორი არავინ მეგულება, პირველობა რომ გადავულოცოო.

ბოლმას ერთი უცნაურობაც დასჩემდა: წვერი მოუშვა, ამბობდა, რომ გრძელი წვერი სიბრძნისა და ძლიერების მაჩვენებელიაო, ამჟამად კი ჩემზე გრძელი წვერი ქვეყანაზე არავის აქვსო. მხატვრებს თავისი სურათები დაახატვინა და საზღვრისპირა ციხეებზე გააკვრევინა. ციხის მცველებმა იფიქრეს, აწი ვერავინ ვერაფერს გაგვიბედავსო და ყველანი ძილსა და ქეიფზე გადავიდნენ. სინამდვილეში ბოლმას გრძელი წვერის არავის შეშინებია. დაიკარგა ჯერ ერთი ციხე, მერე მეორე, ჩქარა მას მესამეც მიჰყვა. მომხდურთა ბელადმა, რომელსაც მეტსახელად კრეჭია ერქვა, ციხეებზე მოფრიალე ქართული დროშები ჩამოხსნა, მათზე გამოხატულ ქართველთა ღმერთს — ცხრათვალა მზეს, სიცილ-ღიმილით დიდი რქები და წვერები მიახატა. ერთი მათგანი ბოლმას გამოუგზავნა, ორი კი თავისი საპირფარეშოს შესასვლელთან დაკიდა. ქართველთა გამწარებული სარდლები იხვეწებოდნენ — გაგვიშვით, ორ-სამ დღეში დავიბრუნებთ დაკარგულს და მტერს თავხედობას ვანანებთო. ბოლმა უარობდა, დამაცადეთ, ყველას თვითონ გავუსწორდებიო.

უხუცესთა კრების წევრებს ღრმად ეძინათ. მათი ხვრინვა ცას სწვდებოდა. ბოლოს ერთმა გაიღვიძა, მიიხედ-მოიხედა, ყველაფერი რომ გაიგო და დაინახა, განგაში ატეხა: გაიღვიძეთ, თვალები გაახილეთ და ყურები გამოიფხიკეთ, თუ სასწრაფოდ რაიმე არ ვიღონეთ, სამუდამოდ დავიღუპებითო!..

მოიწვიეს ბოლმა. ეს რა გიქნია, ქვეყანა დაგიქცევია, თუ აღარ შეგეძლო, შენი ადგილი სხვას რატომ არ დაუთმეო?.. განაწყენებულმა ბოლმამ თავის მართლება დაიწყო: მე ბევრი გავაკეთე, თქვენ კი ამის დანახვა არ გინდათ. მარტო ის რად ღირს, რომ ჩემი გრძელი წვერის გამო ჩვენს პატარა კუთხე-მხარეს დღეს თითქმის ყველა ქვეყანა იცნობს, ჩემს ადგილს კი სხვას როგორ დავუთმობდი, როცა ჩემზე უკეთესს ირგვლივ ვერავის ვხედავო.

უხუცესთა კრების ერთი წევრი გაცეცხლდა: დაკარგულ ციხეებს რომ თავი დავანებოთ, წვერცანცარა მთავარსარდალი მარტო იმისთვის უნდა დაისაჯოს, რომ თავზე ლაფს გვასხამს და უსირცხვილოდ გაიძახის: მე ვარ, რაცა ვარ,



# წვერცანცარა მთავარსარდალი

ჩემი ტოლი და სწორი არავინ არისო. მზის შვილთა და ლომგულთა ქვეყანაში მჯობნის მჯობს რა გამოლევს?!. მაგის გრძელი წვერი კი ჩვენ არ გვჭირდება, თავისთვის შეინახოს და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროსო.

დაადგინეს: მზის შვილთა სათვისტომოს საზღვრისპირა ციხეების დაკარგვისათვის, განდიდების მიზნით, სხვათა ნიჭისა და ძლიერების დამცირება-დათრგუნვისათვის, წვერცანცარა მთავარსარდალი ბოლმა, ოჯახთან ერთად, მოიკვეთოს და განიდევნოს!..

ტომის ბელადად და წინამძღოლად, მრავალ ომებში გამოწრთობილი, ქართველთა ერთ-ერთი სარდალი, მეტსახელად ბორბალა აირჩიეს. ბორბალამ ითხოვა, ერთ კვირაში დავიბრუნებ ყველაფერს და ბოლმას მიმართ გამოტანილი განაჩენიც მხოლოდ მაშინ შეასრულეთო.

ბორბალას ერთი კვირაც არ დასჭირვებია, სამივე ციხე დაიბრუნა, მათზე კვლავ ქართული დროშები აღმართა, დამპყრობელთა ბელადი, კრეჭია დაიჭირა, თავზე თავისივე ღამის ქოთანი დაახურა, ვირზე უკუღმა შესვა, ტყვედ აყვანილ მის განახევრებულ არმიას ჩაუყენა სათავეში, წამოიყვანა და საალღუმო მოედანზე გამოსული ხალხის წინაშე ჩაატარა. აქვე ჰყავდათ გამოყვანილი ბოლმას ოჯახი: თვითონ, მეუღლე, ქალიშვილი და ვაჟიშვილი. როცა კრეჭია ბოლმას მიუახლოვდა, ყურებამდე გაიცინა და უთხრა: ვირზე უკუღმა შესასმელი მე კი არა, შენა ხარო. ამის შემდეგ უხუცესთა კრების ერთმა წევრმა ბოლმას მიმართ გამოტანილი განაჩენი საჯაროდ წაიკითხა და ხალხს მიმართა:

— მზის მადლი გაუწყრეს მას, ვინც ბოლმას ოჯახს დაეხმარება და შეიფარებს...

ბოლმამ კარგად იცოდა, რომ ამის შემდეგ, მისთვის ყველა სახლის კარი გამოკეტილი იქნებოდა, ამიტომაც თავჩაღუნული გაუძღვა ოჯახს და ტყეს შეაფარა თავი.

ახალი გაზაფხული იდგა. ბუნება იზმორებოდა, თვალებს იფშვნეტდა. აქა-იქ ყოჩივარდას ამოეყო თავი. ბოლმას დაღლილი მეუღლე შეჩერდა და ტყეს მოავლო თვალი. ყოველი მხრიდან შიმშილი და სიცივე იმზირებოდა. შვილების ბედით გულდათუთქული დედა მუხლებზე დაეცა და ხელები აღაპყრო:

— ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებელო, ჩემს უტვინო ქმარს შეუნდე ცოდვები და შვილებს შიმშილით ნუ დამიხოცავ!..

ღმერთმა შეისმინა გამწარებული დედის ღაღადისი და მთელი ოჯახი თხებად აქცია. მათ შორის დიდწვერა, რქებდაგრეხილი ერკემალი იყო. თხები მეე, მეეს ძახილით, მაყვლის ბარდებს შეესივნენ, შემდეგ ბუჩქნარის კვირტებდაბერილი ნორჩი ტოტები აკნატუნეს და რიგიანად გამოიბესტნენ.

ერკემალი ხტუნვა-ხტუნვით გაუძღვა ოჯახს, ერთ ტრიალ მინდორზე გავიდნენ, სადაც მეცხვარეები გაშლილ ცხვრის ფარას აგროვებდნენ და გზაზე დაყენებას ცდილობდნენ. ფარის წინ მიმავალი ორი მეცხვარე ერთმანეთში საუბრობდა:

— ეს რა უტვინო ცხოველებია, წინ თუ არ გაუძეხი, ისე ვერსად წაიყვან!..

— ჰო, ასეა, მაგრამ ამ დალოცვილების გარეშე ჭამაც გაგვიჭირდებოდა და ჩაცმა-დახურვაც.

ამ დროს მათ თხებმა გადაუჭრეს გზა და ფარას სათავეში ჩაუდგნენ. გაოცებული მეცხვარეები შეჩერდნენ.

— ღვთისო, ეს რა ცხოველებია?.. შენი არ ვიცი, მაგრამ მე პირველად ვხედავ!

— ჩემმა მზემ, ამათი მსგავსი ჯერ მეც არაფერი მინახავს!.. — უპასუხა მეორემ.

ამასობაში ისინი ფარის შუაგულში აღმოჩნდნენ, ფარა მედიდურად წინ მიმავალ, რქებდაგრეხილ ერკემალს მიჰყვებოდა. მეცხვარეები ახლაღა მიხვდნენ მთავარს. გახარებულებმა ტაში შემოჰკრეს და თითქმის ერთდროულად შესძახეს:

— ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი, რომ წყალობის თვალით გადმოგვხედე და ეს უცნაური ცხოველები დამხმარეებად მოგვივლინე!..

წვერცანცარა მთავარსარდლის ნაშიერები დღესაც წარმატებით ფლობენ პირველი წინაპრის მთავარ თვისებას და სულ მეე, მეე-ს გაიძახიან. განსხვავება კი ის არის, რომ ესენი ახლა წვრილფეხა ცხოველები არიან და საბრძოლველად გაწყობილი ლაშქრის მაგივრად, ცხვრის ფარას მიუძღვებიან წინ.

# ოცი საუკუნის საიდუმლო, რომელიც მეორედ მოსვლამდე გრძელდება

„ფიზიკურად დაღლილს არ ჰგავდა, მაგრამ მოქანცული კი ჩანდა. თვალებში თუ ჩახედავდით, მასში უამრავ რამეს დაინახავდით, ოღონდ უსიამოვნოს. თითქოს მის მზერაში იძირებოდით... შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ ლაპარაკობს, სათქმელს ჟესტებით ისე გამოხატავს, ყველაფერს მიხვდებით. გამოხედვა იმდენად მომნუსხავი აქვს, რომ ცდილობ, თვალი აარიდო და გაექცე... სახის კანი დამჭკნარი არ აქვს, მაგრამ ნაოჭიანი“, — ასე აღწერს ფრანგული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში კათოლიკე სასულიერო პირი, რომელმაც პერიფერიაში მდებარე ტაძარში თითქოსდა იხილა უკვდავი ურია, რომელსაც ეს სასჯელი მხოლოდ ერთადერთს ხვდა მსოფლიოში.

იერუსალიმელმა ხარაზმა, სახელად ალასფერმა, თავში კალაპოტი ჩაარტყა გოლგოთაზე ტანჯვით მიმავალ ქრისტეს, როდესაც ღმერთკაცი მისი სახლის წინ შესასვენებლად შედგა. მაცხოვარმა ამის გამო უთხრა: „მე შევისვენებ, მაგრამ შენ კი იქამდე ივლი, ვიდრე მეორედ არ მოვიდოდე“. იმ დღიდან ალასფერს, მარადიულ ურიად წოდებულს, სიკვდილი აღარ ძალუძს, მთელი დედამიწის ზურგზე დაეხეტება, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერ პოულობს. ყოველ ას წელიწადში დამაძაბუნებელი სენი ეყრება, გარდაცვალების იმედი უჩნდება, მაგრამ ხანგრძლივი წამების შემდეგ კვლავ ახალგაზრდობა უბრუნდება, 30 წლისა ხდება, ანუ იმ ასაკისა, რომელიც ქრისტეს წამების დროს იყო, — ნათქვამია მარადიულ ურიაზე არაკანონიკურ ტექსტებში და არა მარტო იქ.



ალასფერით სხვადასხვა საუკუნეში უამრავი მწერალი დაინტერესდა. ზოგიერთი მათგანი ნაწარმოების წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ უკვდავის შესახებ მანამდე არაფერი იცოდა, ვიდრე ვიღაც უცნაურ, თითქოსდა არაბუნებრივ ადამიანს არ შეხვდა, ან კიდევ, მასთან უშუალო მოსაუბრე ან მოსაუბრეები არ ნახა, რომლებიც ნანახითა და განცდილით აღშფოთებას ვერ მალავდნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არაკანონიკურ ტექსტებში მოხსენიებული ურია მითი კი არა, რეალური პიროვნებაა. იგი, გადმოცემის თანახმად, ჯერაც ამქვეყნად დაეხეტება, მაგრამ იმდენად მობეზრებული აქვს ცხოვრება და ადამიანიც, რომ იშვიათად უჩნდება მასთან ურთიერთობის სურვილი.

საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი გერმანელ მწერალს ნოვალისს. მისი გადმოცემით, შუა საუკუნეებში ძალზე გახმაურებული, პოპულარული და ყველა სარწმუნოების მიერ აკრძალული ნაშრომის „სამი დიდი მატყუარას“ ავტორი მარადიული ურიაა, რომელმაც წიგნი ანონიმურად გამოსცა. წიგნის ავტორის ზუსტი ვინაობა დღესაც არ არის დადგენილი. ნოვალისის აზრით, წიგნს არ შეიძლება სხვა ავტორი ჰყავდეს, გარდა მარადიული ურიისა, რადგან ნაშრომში ისეთი წვრილმანებია აღწერილი, რომელიც შეიძლებოდა დაეწერა ადამიანს, რომელმაც თავად ნახა, სხვადასხვა სარწმუნოების დამაარსებელთა მიწიერი ცხოვრება და ამაღლება. ნოვალისი დაბეჯითებით ამბობს, რომ ავტორი ღმერთებს ერკინება. იგი შეგნებულად ადგას ცუდ გზას, რითაც თითქოსდა ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო საზოგადოება, რომ ძალა მხოლოდ ათეიზმშია. თუ მსოფლიო ურწმუნოებას დაამკვიდრებს, ალასფერის მისიაც აღსრულებული იქნება — ურია ხომ სწორედ მაშინ ელოდება მეორედ მოსვლას, ანუ თავის აღსასრულს, რომელიც ასე სანატრელი გაუხდა, ვარაუდობს ნოვალისი.

არაკანონიკურ ტექსტებში მარადიულ ურიაზე სხვა არაფერია ნათქვამი. მის შესახებ მხოლოდ ასეთი ლეგენდაა დარჩენილი: ქრისტეს ჯვარცმისა და მისი აღდგომის შემდეგ ურიის ცხოვრებაში არც სასიკეთოდ შეცვლილა რამე და არც გაუარესებულა. რამდენიმე წლის შემდეგ ალასფერმა ქრისტეს ნათქვამიც მიივიწყა, რადგან ღრმად სწამდა, რომ შეურაცხყო ჩვეულებრივი კაცი და არა ღმერთი.

რაც მოხდა, მხოლოდ 130 წლის ასაკში გაახსენდა, დაუძლურებულს და სიკვდილის პირას მდგარს. მწოლიარეს განძრევა არ ძალუძდა, საჭმელი მიჰქონდათ და პირს ვერ აღებდა, სიტყვის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა. მაშინ ალასფერი დარწმუნდა ღმერთის ნათქვამში, მაგრამ ამით მხოლოდ ტანჯვა მოემატა, რადგან არც სიკვდილი უნდოდა და არც სიცოცხლე. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფს ცოდვის მონანიების სურვილი გაუჩნდა და დიდი ტკივილის შემდეგ ღრმა ძილით დაიძინა. გამოღვიძებული სრულიად შეცვლილიყო, 30 წელი შესრულებოდა, რაც კიდევ ერთხელ უდასტურებდა, რომ ქრისტეს თქმისამებრ, მისი ტანჯვა მართლაც მეორედ მოსვლამდე გაგრძელდებოდა. ხანდახან ალასფერი ბედნიერებასაც გრძნობდა, რადგან ყველაფერს დახარბებულ კაცს თავში გაუელვებდა ხოლმე, — უკვდავი ვარო, მაგრამ სიხარულს უმალ მწუხარება ცვლიდა, — სადამდე ვიყო ასე? ამით ურიის სული საშინლად იტანჯებოდა და მისხალ-მისხალ ეცლებოდა, უსულო ხდებოდა. დრო გადიოდა. ალასფერი ქვეყნიდან ქვეყანაში დაეხეტებოდა, სხვადასხვა რჯულის ხალხს ხვდებოდა, ცხოვრების არსის ამოხსნას ცდილობდა, მაგრამ ჭეშმარიტ პასუხს ვერავისგან იგებდა. გარშემო თითქოს ყველაფერი იცვლებოდა, მაგრამ მზისქვეშეთში მისთვის ახალი არაფერი იყო. სხვადასხვა რჯულის ხალხის ბუნება ისე ჰგავდა ერთმანეთს, თითქოს ერთი ცომიდან ყოფილიყვნენ მოზელილი. ურიას ეჩვენებოდა, რომ ამას მხოლოდ ის ამჩნევდა და სხვა ვერავინ. თვითონ გაბოროტებულს ხალხში დაბუდებული უზნეობა არ ასვენებდა, არ მოსწონდა. ჯერ კიდევ „ყმაწვილ“ კაცს უნახავს რომის ხანძარი, დასწრებია იმ ისტორიულ შეკრებას, სადაც კოლუმბმა აღიარა, რომ ვერ გადაიხდიდა ამერიკის აღმოსაჩენად აღებულ ვალს. 130 წელი უცხოვრია ინდოეთში, იოგები განუცვიფრებია თავისი სიცოცხლისუნარიანობითა და ამასთან შეუთავსებელი ანჩხლი ხასიათით. ყოველივე ამით დაღლილმა დატოვა ქალაქები, სოფლები, დასახლებული ადგილები და გადაიხვეწა. ეულად ცხოვრება ამჯობინა. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, სიმარტოვით დაღლილი თუ გამოჩნდება ხოლმე ხალხში და არც ამხელს, ვინ არის. ლაპარაკს მოსმენას ამჯობინებს, თუმცა იმდენად განსხვავებული და შესამჩნევი ადამიანია, რომ უყურადღებოდ არასდროს რჩება.

საუკუნეების ცვლასთან ერთად ალასფერს მწერლები სახელსაც უცვლიდნენ, ზოგიერთი მათგანი მას ბუდეოდ მოიხსენიებს, ზოგიც ისააკ ლაკედემელს უწოდებს და ა.შ. მაგრამ თითქმის ყველანი აღნიშნავენ, რომ მარადიული ურია ჩნდებოდა იქ, სადაც ექსტრემალური სიტუაცია იყო და სადაც ურწმუნოების ქადაგება შედეგიანი იქნებოდა. არცთუ იშვიათად მწერლები პარალელს ავლებენ სატანასა და ალასფერს შორის — ორივე მათგანი ზნედაცემულია, ორივე ცდილობს დაარწმუნოს ხალხი, რომ ღმერთი არ არსებობს, ორივე ცდილობს ათეიზმის დანერგვას და მსოფლიოზე გამარჯვებას. თუმცა, სატანა სხვაა, მარადიული ურია — სხვა, — უთქვამს ბაირონს.

მარადიული ურიის უმაღლესი ორდენით აჯილდოებენ ყველაზე სახელოვან მასონს. რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციის შემოწმება ვერ ხერხდება, მაგრამ რეალობასთან ახლოა, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასონები მარადიულობის წყურვილით არიან შეპყრობილნი. თუმცა, თუ ისევ მწერლებს დავესესხებით, ამ ქვეყანაზე ყველაზე საშინელი — ადამიანის მარადიულობაა.

ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ მარადიული ურია რეალურად არსებული პიროვნებაა, მაგრამ გადმოცემებში უამრავი ცხოვრებისეული სინამდვილეა.

ურიას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სინანულის გრძნობა იპყრობს მაშინ, როცა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა. ის მხოლოდ ამხელა ცხოვრების ამ მცირე მონაკვეთში ხდება კეთილშობილი, მორჩილი და ღრმად მორწმუნე ისევე, როგორც ალბათ უმრავლესობა.

***თამაზ ხაბეიშვილი***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

***I რებუსი***
ლოკოკინა

***II თბილისვორდი***
1. თემქა; 2. გლდანი; 3. საბურთალო; 4. მთაწმინდა; 5. ვაკე; 6. ავლაბარი; 7. დიდუბე; 8. ისანი; 9. ნაძალადევი; 10. ვერა; 11. დიღომი, 12. ორთაჭალა.

**III.** ა) „გრა“; ბ) „შვი“.

**IV** ა) საქანელა; ბ) კოწახური.

**V** სახალისო გამოცანები
ა) ნათურა; ბ) წაბლი.

**VI** ეგნატე ნინოშვილი; „სამანიშვილის დედინაცვალი“

# ფიფქიას ჯუჯები

1850 წელს ძლიერმა ქარიშხალმა, არქეოლოგების გასაოცრად, ერთ ბორცვს თავი წააცალა. აღმოჩნდა, რომ სკარა ბრეს ბორცვები დიდ საიდუმლოს ინახავდნენ. გაშიშვლებული ბორცვის შიგნით აღმოჩნდა ქვით ნაგები საცხოვრისი: პატარა ოთახები, მინიატურული საწოლები, დაბალი თაროები, ნიშები. ყველაფერი ეს განკუთვნილი იყო დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ადამიანებისთვის, ინტერიერი სრულ წესრიგში იყო, ოღონდ მტვერს დაეფარა. ამჟამად პატარა სკარა ბრე არქეოლოგების საიდუმლოს, ამოუცნობ მოვლენას წარმოადგენს. მეცნიერები ამ ნაგებობას გვიანდელი ნეოლითის ხანას მიაკუთვნებენ, რადგან აქ ყველაფერი ქვისგანაა ნაკეთები.



ქონდრისკაცთა ცხოვრება ცუდად წავიდა: V საუკუნეში ისინი ჩრდილოეთის მიწებისკენ განდევნეს კელტებმა. შემდეგ თავად კელტები განდევნეს ჩრდილოეთისაკენ ანგლოსაქსებმა. კელტებსა და ჯუჯებს ცხოვრება გვერდიგვერდ მოუხდათ. სწორედ ამ დროიდან შემოდის ინგლისურ ფოლკლორში ამბები მათ შესახებ. ამ ადამიანებს ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში, უელსსა და სხვაგან სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. თქმულებების თანახმად, მათ შეუძლიათ მოულოდნელად გამოჩენა და გაქრობა.

ერთი ჩრდილოირლანდიელი ხანში შესული ქალბატონი იხსენებს: 15 წლის ვიყავი. ტორფს ვჭრიდი. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც მიყურებდა და სამუშაო მივატოვე. ავიხედე, დავინახე მწვანე ტანსაცმელსა და მოწითალო ქუდში გამოწყობილი ციცქნა ადამიანი. ის 50 სანტიმეტრი სიმაღლისა იქნებოდა. კარგი აღნაგობის იყო და სახით სულ არ ჰგავდა ლილიპუტს. მისი გონიერი ცისფერი თვალები რამდენიმე წამს მომჩერებოდა. ამის შემდეგ ციცქნა ადამიანი გაქრა მაღალ ბალახებში. ამბობენ, პატარა ადამიანებს, სხვათა მოტაცებაც შეუძლიათო. საუკუნის დასაწყისში გავრცელებული თქმულების თანახმად, მოულოდნელად სადღაც გამქრალი ერთი გოგონა რამდენიმე წლის შემდეგ უკან დაბრუნდა. ამ ხნის მანძილზე თურმე ის ჯუჯებთან ცხოვრობდა. შინ დაბრუნებულმა დიდხანს იავადმყოფა და გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ მიეჩვია ადამიანებს შორის ცხოვრებას, მაგრამ სამუდამოდ გულჩახვეული დარჩა. ამბობენ, თითქოს ეს ადამიანები ძალიან ძლიერები და საშიშნი არიან. იციან ბუნების ძალთა საიდუმლოებანი, შეუძლიათ ქარების მართვა, ქარიშხლის გამოწვევა, ღელვის დაწყნარება.

სკარა ბრეს გაუჩინარებულ მშენებელთა საიდუმლო დღემდე ამოუხსნელია, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთ ჯერ კიდევ ახსოვთ ამბები თავიანთი თანასოფლელების ჯუჯებთან შეხვედრის შესახებ.

***ვოკრუგ სვეტა №3***

# გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა

ორი წლის წინათ ლიბიის უდაბნოში აღმოჩნდა უძველესი ნაგებობა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ზეციურ სახლს“ უწოდებენ. უფოლოგებმა ნაგებობას „ვარსკვლავების კარიბჭე“ უწოდეს. მისი შემქმნელები, შესაძლოა, იყვნენ უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლები და ეს მათი ობსერვატორია იყო. აფრიკული ლეგენდები გვიამბობენ, რომ „ზეციური სახლიდან“ გამოდიოდნენ უძლიერესი ღმერთები. მეცნიერებმა 2000 წ. ჩაიწერეს თქმულება იმის შესახებ, რომ უძველეს დროს ცეცხლოვან ბორბლებზე ამხედრებული ღმერთები ჩამოვიდნენ ლიბიის უდაბნოში და ააგეს ეს ქვის სახლი. ამ დროიდან მოყოლებული, ყოველ ათას წელიწადში ერთხელ იღება „ზეციური სახლის“ კარიბჭე, რათა ციურ არსებებს მიეცეთ საშუალება ჩვენს სამყაროში შემოსვლისა. ქურუმების გამოანგარიშებით, მათი ვიზიტი დედამიწაზე უახლოეს თვეებში უნდა შედგეს.

თქმულებაში წამოყენებული ჰიპოთეზის რეალურობაში დასარწმუნებლად უფოლოგებმა გადაწყვიტეს დააწესონ მუდმივი მეთვალყურეობა მასიურ ნაგებობაზე.

***ნლო №3***

## ტესტი ხელწერა ხასიათის მაუწყებელია

***დაწერეთ რამდენიმე ფრაზა და გრაფოლოგიურად გააანალიზეთ:***

**1. როგორ წერტილებს სვამთ?**
ა. შეუმჩნეველს — **ა**
ბ. საერთოდ არ ვსვამ — **ბ**
გ. დეფისის მსგავსს — **თ**

**2. როგორია სიტყვების პირველი ასოები?**
ა. გაკვრით დაწერილი — **გ**
ბ. გრძელი და წვრილი — **დ**
გ. კალიგრაფიული — **ბ**

**3. ტექსტში სათაურს სად წერთ?**
ა. მარჯვენა მხარეს — **ბ**
ბ. ცენტრში — **გ**
გ. მარცხენა მხარეს — **ა**

**4. მარცხენა მხარე (მინდორი) წერისას რა ფორმას იღებს?**
ა. ზოგჯერ სწორია — **დ**
ბ. თანდათან ფართოვდება — **ე**
გ. შევსებულია სწორი ბწკარებით — **ვ**

**5. ბოლომდე ავსებთ ბწკარს თუ ტოვებთ ადგილს და სიტყვა მთლიანად გადაგაქვთ?**
ა. ბოლომდე ვავსებ — **ე**
ბ. სიტყვა გადამაქვს მთლიანად — **ა**
გ. ბწკარი სრულია — **ვ**

**6. ტექსტის დასაწერად რას იყენებთ?**
ა. ფანქარს — **ა**
ბ. საწერ-კალამს — **ვ**
გ. ფლომასტერს — **ზ**

**7. როგორია თქვენი ასოების ფორმა?**
ა. ფართო — **ზ**
ბ. ვიწრო — **დ**
გ. მრგვალი — **ვ**

**8. როგორ ხასიათდება თქვენი ხელწერა?**
ა. მოჩუქურთმებული — **გ**
ბ. ლამაზი — **ბ**
გ. უბრალო და ნათელი — **ვ**

**9. როგორ აერთებთ ასოებს?**
ა. დამრგვალებულად — **ბ**
ბ. სწორკუთხოვნად — **დ**
გ. საერთოდ არ ვაერთებ — **თ**

**10. როგორი ფორმის მძიმეს სვამთ?**
ა. სიტყვისგან დაშორებულს — **ბ**
ბ. გრძელსა და წვრილს — **თ**
გ. მოკლესა და მსხვილს — **ვ**

**იმის მიხედვით, რომელი ასოა მეტი:**

**ა** — *თქვენ გაუბედავი, მშიშარა და ფრთხილი ადამიანი ხართ; ხშირად პასიური. გაკლიათ პატივმოყვარეობა.*

**ბ** — *მოკრძალებული ხართ, გიჭირთ გადამწყვეტი ზომების მიღება. დამთმობი ხასიათის გამო ხშირად სხვისი გავლენის ქვეშ ექცევით. დამოუკიდებლობა გაკლიათ.*

**გ** — *ყურადღების ცენტრში გიყვართ ყოფნა. გსურთ იყოთ თაყვანისცემის ობიექტი. მოდას აყოლილს მკვეთრი ფერები გხიბლავთ.*

**დ** — *მომჭირნე და თავდაჯერებული ხართ, ზოგჯერ ძალზე სასტიკიც.*

**ე** — *ხელგაშლილი და გულღია ბრძანდებით და მეგობრებისგან თანაგრძნობას ელით.*

**ვ** — *გაბედული, ფხიანი, საქმიანი ბრძანდებით, გიყვართ სტაბილურობა.*

**ზ** — *ენერგიული და კომუნიკაბელური ხართ. ამასთან გულუხვი და უზრუნველი.*

**თ** — *თქვენ მეოცნებე და ფანტაზიორი ხართ.*


**ფირმა «გარანტი»**

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

**გამონაყარი, ჭარბთმიანობა, კლიმაქტერული პრობლემები**
კვალიფიციური ექიმის უფასო სატელეფონო კონსულტაცია
92-10-13
10-19 სთ-მდე
შაბათ-კვირის გარდა

**ბიზნეს-გეგმის**
შედგენა პროფესიონალურ დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.
— ვაჭრობა, მშენებლობა, მომსახურება და სხვა;
— კონსულტაციები საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებებთან დაკავშირებით;
— მისაღები ფასები შესრულების მოკლე ვადები და ხარისხის 100%-იანი გარანტია.
☎877-45-42-37

# რა, ქართველებს ჩაპლინები და ფიუნესები არ გვყავს?

ქართული კინოსა და სცენის ჭეშმარიტ კოლორიტთან, ბატონ ბადრი ბეგალიშვილთან შეხვედრა, მისი საკმაოდ არაორდინარული სამსახიობო იმიჯის გამო, იმთავითვე არატრადიციულად მქონდა წარმოდგენილი — არავითარ შემთხვევაში საგრიმიოროში, ან თუნდაც ოჯახში, ბუხართან. უკეთეს შემთხვევაში იგი „სუკონკის“ სტადიონზე მორიგი საფეხბურთო შერკინების შემდეგ „ადიდასებსა“ და ბუცებში უნდა დამეჭირა ან... ან დილის ჩვეულებრივი გამამხნევებელი ვარჯიშის დროს, უკაცრავად პასუხია და ზამთარ-ზაფხულ ნიფხავ-პერანგის ამარას, მირცხულავა-წყალტუბოს ქუჩის თაღთან ჩავსაფრებოდი... ღმერთმა ინება და, როგორც ერთ, ისე მეორე ვარიანტს ამაცდინა, ალბათ ჩემი ნაკლებად სპორტული გარეგნობის გამო... მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ბედისგან შემოთავაზებული ვარიანტით აღტაცებული დავრჩი, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ნაკლებად ბეგალიშვილისეული გახლდათ: ის — შავი ცელოფანის პარკითა და თონის პურით ხელში, მე — სახლმმართველობაში გადატანილი მორიგი სკანდალის შემდეგ ჯარიმის ქვითრით აღჭურვილი...

იქვე, 22-ე სკოლაში გადავუხვიეთ და საზაფხულო არდადეგების წყალობით გამოცარიელებულ ერთ-ერთ კლასში ჩამოვსხედით გუგულებივით.

ის იყო, დიქტოფონი მოვმართე და ძველმოდური კალამ-ფურცელიც მოვიმარჯვე, რომ ეს ჩემი კოლორიტული რესპონდენტი ფრიად არაკოლირიტულად დამესხა თავს. რა-ა-ა-ო?! რა ბრძანე-ე-ეთ, საიდან ვაა-რრ-ო?! „კვირის პალიტრას“ ყოველთვის ვყიდულობ, კვლავაც შევიძენ, მიყვარხართ და მომწონხართ, მაგრამ გაჯავრებული ვარ თქვენზედაო!

ჩვენც გვიყვარხართ, ბატონო ბადრი, რით დავიმსახურეთ თქვენი წყრომა, რას ბრძანებთ, ყოვლად წარმოუდგენელია-მეთქი, გადავეფოფრე სიმწრით მოკვარახჭინებულ ინტერვიუს.

— ამიხსენით, აბა, სხვაზე ნაკლები სახალხო არტისტი ვარ, თუ როგორაა თქვენი საქმე? გაზეთის ყოველ ნომერს ხომ ვყიდულობ და ვყიდულობ, თქვენი კალენდარიც შევიძინე, გადავშალე 5 აპრილზე და რა დაგიკარგავს, რას ეძებ!!!

შევწუხდი. ისევ თავად მიხსნა: ალბათ, თქვენაო მრგვალ თარიღებზე ხართ ჩასაფრებული და მე ჯერ 67 წლისა ვაარო...

**— ბატონო ბადრი, ამ 67 წლის გადასახედიდან მსახიობის პროფესიაზე რას ბრძანებდით?**

— სხვაზე — სხვაგან და სხვა დროში სხვას ვიტყოდი, მაგრამ თქვენ ალბათ ჩვენზე, ჩვენში და ჩვენს დროში მეკითხებით და... ხომ იცით, მე პირში მთქმელ კაცს მეძახიან და მიუკიბმოუკიბავად მოგახსენებთ — შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს! რა, ქართველებს ჩაპლინები და ფიუნესები არ გვყავს? მარტო ხვიჩია და ჟორჟოლიანი რად ღირს?! კარგი, კორიფეებს ნუ შევაწუხებთ, მაგრამ საზღვარგარეთ ჩემი რანგის მსახიობი, ხმაურიან ფრაზებს თავი რომ დავანებოთ, ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ხომ არის? არის! მე ვარ? არა!

**— სხვაგან და სხვა დროში ლოგიკური იქნებოდა კითხვა — რატომ?! მაგრამ არც მე ვარ ციდან ჩამოვარდნილი და მესმის, სადაც უკაკუნებთ, თანაც ვინ — ბადრი ბეგალიშვილი, თხემით ტერფამდე, ტანსაცმლიან-ოჯახიანად მსახიობი...**

— კარგი, კარგი, გეთანხმებით, აუდიტორიის ყურადღება და სიყვარული არ გვაკლია და სწორედ ეს არის იმ წარმოუდგენელი ენთუზიაზმის სტიმული, რის გამოც სცენაზე და გადასაღებ მოედანზე მივისწრაფვით... სხვაფრივ კი... მსახიობის პროფესია ჩვენში ნაკლებადაა დაფასებული და ეს „ნაკლებად“ კიდევ კარგი თქმაა!

**— ბრძანეთ, პირში მთქმელ კაცს მეძახიანო. ახლა თქვენ საშუალება გაქვთ, „პირში“ უთხრათ სათქმელი ამ „ნაკლებად“-ის გამო, ვისაც ჯერ არს...**

— ამას წინათ ყური მოვკარი, კულტურის მინისტრის მოადგილემ ბრძანა, — თბილისში აკადემიური თეატრების გარდა, ყველა თეატრი უნდა დაიხუროსო(?!) ჯერ ერთი, მინისტრები მიდიან და მოდიან, თეატრები რჩება! მეორეც — როგორ მისცა მან თავს ამგვარი განცხადების უფლება — არა, კონკრეტულად ჩვენს თეატრზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ყველამ გაიგოს და შეიგნოს, რომ ჩვენში ერთადერთი მუსიკალური თეატრი არსებობს და მას თუ არ დაეხმარებიან, ხელს მაინც ნუ შეუშლიან. იმ „ვისაც ჯერ არსებს“ კი ერთს ვეტყოდი — მიხედეთ თეატრს!!!

**— თქვენი ოჯახის ხუთივე წევრი მსახიობია. კარგია ეს თუ ცუდი?**

— მორალურად — დიდებული! მატერიალურად — აუტანელი! კი, ბატონო, დავაკონკრეტოთ — ეს ხუთივე წევრი თითქმის ერთი თეატრის წარმომადგენლები ვართ, იმ თეატრისა, რომელსაც 9 თვეა, ხელფასი თვალითაც არ უნახავს?!

**— მაშ, ბადრი ბეგალიშვილი მთლად კარგად ვერ გრძნობს თავს?**

— დიახ, დიახ, როგორც შეეფერება ჩვენს დაულხინებელ დღევანდელობას, მივყვები ცხოვრებას და... ვიხარჯები!

**— განსაკუთრებით რა გენატრებათ?**

— გასტროლები! მიწვევები... მთელ საქართველოს ფეხით შემოვივლიდით-ხოლმე. მერე კიდევ გადაღებები ლენფილმში, მოსფილმში, შუა აზიის კინოსტუდიებში...

**— მაგრამ, თუ არ ვცდები, თქვენ ახლახან გასტროლებზე ბრძანდებოდით...**

— დიახ, მუსიკალური თეატრის 20 კაციანი ჯგუფი ქართველი ებრაელების მიწვევით, აბსოლუტურად მათი ხარჯით, ორი კვირა ისრაელის ათ ქალაქში მართავდა სპექტაკლებს. თავდაპირველად მხოლოდ „მეჩექმე გაბოს“ წაღებას ვაპირებდით, მაგრამ თურმე აქაურ ებრაელებს ახსოვთ და უყვართ „არშინ მალ-ალან“ და ძალიან გვთხოვეს მისი ჩვენება. ეს სპექტაკლი კარგა ხანია მოიხსნა რეპერტუარიდან და სხვა გზა არ იყო, მისი აღდგენა მე მომიხდა. ისრაელში ორივე სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. ენობრივი ბარიერი არ იყო და ურთიერთსიყვარული და პატივისცემა არ დაგვიკლია. არც ტაში დაგვაკლეს მასპინძლებმა და არც სითბო — საოცარი დღეები იყო... ეს გახლდათ თეატრის მიერ წინ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი და საერთოდ, გასტროლები თეატრის ზრდის ყველაზე ნაცადი და ეფექტური საშუალებაა...



**— რამდენადაც ვიცი, თქვენს თეატრს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდება მუშაობა...**



— დიახ, ხიზნები ვართ ამჟამად და ამან მაყურებლის რაოდენობას თავისი დაღიც დაასვა. მუსიკალური თეატრის შენობა გარეგნულად დამთავრებულია, დარჩენილია ე.წ. კოსმეტიკური სამუშაოები, მაგრამ ეგ „კოსმეტიკაა“, თურმე, ყველაზე ძვირი რომ ჯდება. ყველაფერი გასაკვირი ქართველებს გვჭირს, მაგრამ ახლა, თქვენი გაზეთის საშუალებით, ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მუსიკალური კომედიის თეატრის შენობის დაუმთავრებლობა დანაშაულია ერის წინაშე!

**— ამ შენობასთან დაკავშირებით ორი დიდი ავტორიტეტის სახელი ფიგურიგებდა რამდენადმე უსიამოვნო კონტექსტში...**

— ამ თემაზე ჭორაობა დაუშვებელია. ვინც თეატრი ჟანრებად დაყო, იმას მიეცა ჩვენი ცოდვა. საქმე ის გახლავთ, რომ მუსკომედიისათვის უფრო დიდი შენობის აშენებას აპირებდნენ იმ ძველ, კარგ დროში და მინიატურების თეატრი ჩვენს შენობაში მართავდა სპექტაკლებს — ჩვენ რომ წავიდოდით, ისინი უნდა დარჩენილიყვნენ. მერე ჩვენ აღარ თუ ველარ აგვიშენეს დაპირებული შენობა და ველარ წავედით — მინიატურების თეატრის შენობა მუსიკალურ ცენტრს ეპყრა ხელთ და... ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ვინ იყო ინციდენტის თაოსანი — ჯანსულ კახიძე, გიგა ლორთქიფანიძე, თენგიზ ჩანტლაძე თუ... უპირო მთავრობა?!

**— თქვენ ერთი ხანობა თენგიზ ჩანტლაძესთანაც მოღვაწეობდით...**

— მინიატურების თეატრი ამჟამად თენგიზ ჩანტლაძის სახელს ატარებს, მაგრამ მას მის სიცოცხლეშივე უნდა რქმეოდა თენგიზ ჩანტლაძის თეატრი — ვინც რაც უნდა თქვას და ვისაც არ უნდა ეწყინოს, ეს იყო ერთი კაცის თეატრი — აღარ არის თენგიზი და აღარც მინიატურების თეატრი არსებობს ტრადიციული გაგებით. მე თენგიზთან ვერაფერს დავიჩემებდი — გვერდში ვედექი, როგორც პარტნიორი. წესად გვქონდა — აგვისტოში გასტროლებზე მივდიოდით სრულიად საქართველოში. დამაგვირგვინებელი აკორდი მუდამ ქობულეთი იყო. თენგიზი გვერდიდან არ მიშორებდა — ზღვაში ბანაობა იყო, ფეხბურთის თამაში, სადილი თუ მიპატიჟება. გასაოცარი ენერგიის პატრონი იყო და ამ ენერგიას ოდნავადაც არ იზოგავდა, ყველგან და ყოველთვის მაქსიმალურად იხარჯებოდა, დილა სპორტს მიჰქონდა. საღამოს სპექტაკლზე ნიჭს აფრქვევდა, უშურველად, დაუნანებლად ისე, თითქოს ეს მისი ბოლო სპექტაკლი ყოფილიყოს... მოგვიანებით სუფრაზე მიპატიჟება გველოდა — იქაც თავდაუზოგავად დაიხარჯებოდა — ორ სპექტაკლს სუფრაზე ითამაშებდა...

**— თქვენი სამსახიობო ორიენტირი ვინ იყო და რომელ როლს ისურვებდით გამორჩევით?**

— რას ჰქვია იყო? ჩემი კერპი იყო და არის ვასო გოძიაშვილი. რაც შეეხება როლს, სულ ვოცნებობდი ყვარყვარეზე, მაგრამ როგორღაც ეგ დროც და ეგ ასაკიც ხელიდან წამივიდა, როლიც, რაღა თქმა უნდა! მაგრამ სულ მთლად არა! ახლა არის ლაპარაკი „ყვარყვარეს“ ჩვენს თეატრში განხორციელებაზე და მთავარ როლს ბადრი ბეგალიშვილი-უმცროსი ითამაშებს. ასე რომ, ჭიას მაინც მოვიკლავ! სიმბოლურია, არა? წავა ბადრი ბეგალიშვილი და... მოვა ბადრი ბეგალიშვილი, რომელიც აქედანვე ჩანს, რომ ამ სახელსა და გვარს გაამართლებს.

**— რაც შეეხება ზურას და ალეკოს?**

— ისინიც მაგარი ბიჭები არიან! მამაშვილურ ურთიერთობებშიც მიტანენ და როგორც უფროს კოლეგასაც. ალეკო შესანიშნავად უკრავს გიტარას და, თავს ნებას მივცემ ვთქვა, ასეთივე მსახიობია. რაც შეეხება ზურას, მან ახლახან ევროპის ქვეყნების კინოფესტივალზე მამაკაცის საუკეთესო როლისათვის პრიზი დაიმსახურა (კ/ფ „აქ თენდება“), მანამდე ანალოგიური ჯილდო მოიპოვა ჩვენს „ნატოზე“ (კ/ფ „ღამის ცეკვა“).

**— ქალბატონი იზა თქვენი ცხოვრებისეული და სცენური პარტნიორია, თქვენს ურთიერთობებზე რას ბრძანებდით?**

— ხან ის მასწავლის მსახიობობას, ხან მე ვასწავლი და ეს არც ერთს არ გვიყვარს, თუმცა ჩუმ-ჩუმად ვითვალისწინებთ. იზას კონსერვატორია აქვს დამთავრებული. იმ წელს ოპერის თეატრში განაწილება არ იყო და „ფორმა“ რომ არ დაეკარგა, დროებით ჩვენს თეატრში მოვიდა სამუშაოდ, მაგრამ იქ ისეთი ბარიერი დახვდა ჩემი სახით, რომ... თეატრშიც დარჩა და ჩემთანაც, თანაც ორივეგან სამუდამოდ!

**— თქვენი გმირები როგორღაც ბოღმიანი და კურიოზული ადამიანები არიან... თქვენში რა პროცენტითაა ეს თვისებები?**

— მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი გაბმული კურიოზი გახდა და ამ ფონზე ვცდილობ, ბოღმიან კაცად არ ვიქცე; თანაც ხომ გითხარით, ბოღმიანი კი არა, პირში მთქმელი კაცი ვარ-მეთქი. გინდათ გითხრათ, მთელი ინტერვიუს მანძილზე რა შეკითხვას მიმზადებთ? „ჩირიკი და ჩიკოტელას“ ვირის სცენის განცდებს... არა, არა, ნუ შეიცხადებთ — თქვენი კოლეგები სულ ამას მეკითხებიან... აბა, ვირს რომ პირში ხელს ჩაუყოფ, რა განცდა გექნება? სითამამისათვის არაყიც გადამაკვრევინეს და უსაფრთხოების მიზნით საცოდავ პირუტყვს ყბებში რაღაცა მოწყობილობაც ჩაუმონტაჟეს, მაგრამ მაინც საშინელება იყო, ნუ გამახსენებთ, რა...

**— თქვენი თუნდაც გამორჩევით კოლორიტული როლების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, და მაინც... ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარზე მინდა გკითხოთ...**

— თქვენ გია კაჭარავას ფილმი-სპექტაკლი „დონ-ჟუანის დაბრუნება“ გაქვთ მხედველობაში?! დიახ, ეს მართლაც კარგად გააზრებული ფილმია და, რაც მთავარია, შესანიშნავად შერჩეულ-შეხამებული აქტიორული ანსამბლი. მე მომწონს ჩემი გმირი და ჩემი თამაშიც და, იცით, რატომ? რეჟისორი მაქსიმალურად იძლევა იმპროვიზების საშუალებას — ეს დიდი ფუფუნებაა მსახიობისათვის.

**— ბატონო ბადრი, ვერანაირად ვერ დამარწმუნებთ, რომ თქვენ რომელიმე რეჟისორი იმპროვიზებას მოგაშლევინებთ... რამდენადაც ვიცი, დაბადებიდან მსახიობი ბრძანდებით.**

— მარჯანიშვილის თეატრის კულისებში გავიზარდე. მამაჩემი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსანდრე ბეგალიშვილი, ამ თეატრის მსახიობი გახლდათ. ეს იყო ჩემი ინსტიტუტიც, აკადემიაც. მეც ვმუშაობდი ცოტა ხანს „მარჯანიშვილში“. ერთი ხანობა ზუგდიდის თეატრშიც ვმოღვაწეობდი, რუსთავის თეატრში სპექტაკლებიც დავდგი... მერე მიმიწვიეს მუსიკალური კომედიის თეატრში — აქ შენს ადგილს იპოვიო(!) არც არაფერი წამიგია!

**— ათეული წლებია, სცენიდან არ ჩამოსულხართ, სულ მთავარ როლში ხართ, ზოგიერთში უდუბლიოროდ, შესანიშნავად ერგებით როლს და დარბაზს, რას განიცდით დარბაზის რეაქციაზე?!**

— ჩვენ ჩვენი მაყურებელი გვყავს და, ბუნებრივია, ერთმანეთს ვიცნობთ და გვიყვარს, ურთიერთგაგებასაც იოლად ვაგვარებთ, მაგრამ არის შემთხვევითი კატეგორიაც, რომელსაც არც მოსმენის უნარი აქვს და არც აღქმის, მით უფრო გააზრების. არცთუ იშვიათად არის უადგილო რეაქცია დარბაზიდან. ასეთ შემთხვევებში ვცდილობ, ჩემი ტექსტი ისე მოვიმარჯვო, რომ ამ „უადგილოს“ მოვაკეტინო...

ბადრი ბეგალიშვილის სცენური ტრიუმფის არაერთგზისი თვითმხილველი ვარ. არაერთი კურიოზიც დაფიქსირებულა დარბაზში. ერთხელ, „ბაბაჯანას ქოშებიდან“ სიცილით გულწასული ქალბატონი გაიყვანეს. ერთხელ მაყურებლის „უადგილო“ რეაქციის მოწმეც გავხდი „კურკას ქორწილზე“. სხვათა შორის, იმ სპექტაკლს გერმანელი ტურისტებიც ესწრებოდნენ. წინა სავარძელზე გოგონები ისხდნენ და უკვე სპექტაკლის დასაწყისიდან ხმამაღლა ჩურჩულებდნენ. კურკა — ბეგალიშვილი იმ დღეს ჩვეულებრივად და ჩვეულებრივზე მეტადაც შევიდა როლში და ჩვეული მაღალპროფესიონალიზმით ასრულებდა კურკას მინორულ არიას. ყველაზე უფრო ტრაგიკულ ნოტებზე ქალიშვილები... აკისკისდნენ! მსახიობის გაწვრთნილმა სმენამ უმალ დააფიქსირა დისონანსი. არია გაგრძელდა, მაგრამ ის, რაც კურკას ცხოვრების მისამართით უნდა ეთქვა, ითქვა იმ ვაიმაყურებლების მისამართით, თანაც ისე, რომ ქვეტექსტი მთელი დარბაზისათვის გახდა საცნაური. ბეგალიშვილმა ემოციებს მხოლოდ კულისებში მისცა გზა — ფარდა კიდევ კარგა ხანს არ აიხადა. ის ქალიშვილები დარბაზიდან მიაბრძანეს, სპექტაკლი კი წარმოუდგენელი ბრწყინვალებით გაგრძელდა და მქუხარე ტაშითა და ხანგრძლივი ოვაციით დაგვირგვინდა...

**— პრობლემა, რომელსაც ბადრი ბეგალიშვილი სხვაზე უფრო მტკივნეულად განიცდის...**

— სუფრიდან ვიპარები, კაცო! ადრე სხვას დავცინოდი ღვინოს რომ იპარავდა, გულის ჯიბით წამლებს რომ დაატარებდა, სუფრიდან რომ იპარებოდა. ახლა მესმის მათი. მეც ველარ ვსვამ ღვინოს და ისე ხომ არ ვიჯდები სუფრასთან... ველარც აქტიურ სპორტს მივყვები... პატარ-პატარა „რემონტები“ ჩამიტარეს და...

***მანანა ბეგიაშვილი***


## ცქრიალა ღვინომ „ბაგრატიონი“ ოქროს მედალი მოიპოვა

სანქტ-პეტერბურგში ღვინისა და არყის მე-7 საერთაშორისო, სპეციალიზებული გამოფენა-კონკურსი „ლენექსპო-2000“ ჩატარდა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ამ სფეროში ყველაზე დიდ და პრესტიჟულ გამოფენად ითვლება.




გამოფენაზე თავიანთი პროდუქცია 16 ქვეყნის ალკოჰოლური სასმელების კომპანიებმა წარმოადგინეს, მათ შესაფასებლად კი საერთაშორისო ექსპერტები და დეგუსტატორები იყვნენ მოწვეულები.

კონკურსში, თბილისის ყოფილი შამპანური ღვინოების ქარხანამ, ს.ს. „ბაგრატიონი 1882“-მაც მიიღო მონაწილეობა. ამ დონის საერთაშორისო გამოფენაზე, მრავალრიცხოვან, აღიარებულ ცქრიალა ღვინოებთან ერთად, პირველად წარდგა მისი ახალი პროდუქცია – ცქრიალა ღვინო „ბაგრატიონი“ და უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი მოიპოვა.




„ბაგრატიონი“ რეზერვუარული მეთოდით დამზადებული ცქრიალა ღვინოა. მის დასამზადებლად საუკეთესო, ახალი ყურძნის ჯიშებისაგან შემდგარი სპეციალური ასამბლაჟი კეთდება, რომელიც ერწყმის დაძველებულ ღვინოებს, ამიტომაც მას ახალსა და ძველ ღვინოებს შორის გარდამავალი საუცხოო ბუკეტი, განუმეორებელი გემო და არომატი აქვს და ახასიათებს დიდხანს ცქრიალი. ს.ს. „ბაგრატიონი-1882“ აგრძელებს თავის საუკუნოვან ტრადიციას და მისი პროდუქცია, კვლავ საუკეთესოა ქართულ, და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, არა მარტო ქართულ ცქრიალა ღვინოებს შორის.

**1999 წლის აგვისტოში რუსეთის გაზეთში „ვერსია“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „შეთანხმება“. მაშინ გაზეთი იუწყებოდა საფრანგეთის ტერიტორიაზე ორი ადამიანის სენსაციური შეხვედრის შესახებ. ერთი მათგანი „გარეგნულად ძალიან ჰგავდა პრეზიდენტ ელცინის ადმინისტრაციის მეთაურს ალექსანდრ ვოლოშინს, ხოლო მეორე — ჩეჩენ ბანდიტს შამილ ბასაევს“. როგორც „ვერსია“ ვარაუდობდა, სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ შეიჭრნენ ჩეჩენი ვაჰაბიტები დაღესტანში, რამაც, ფაქტობრივად, განაპირობა ჩეჩნეთის ომის დაწყება.**

**შეხვედრა შედგა ნიცის ახლოს მდებარე ქალაქ ბულიეში, საერთაშორისო იარაღით მოვაჭრე ადნან ჰაშოგის აგარაკზე, 1999 წლის 4 ივლისს. ამის შესახებ გაზეთმა „ვერსიამ“ მეტად სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო და ეს მასალა თავის დროზე „კვირის პალიტრამაც“ გამოაქვეყნა.**

# „შეთანხმება“–2

## კონვერტი, რომელზეც გამგზავნის მისამართი არ ეწერა

იმ აგვისტოს თვეში საფრანგეთის და ისრაელის სპეცსამსახურების წყაროები იუწყებოდნენ: „ბულიეში მდებარე ვილაში შეხვედრის ვიდეოჩანაწერი არსებობს“. მაგრამ მაშინ ამის დამამტკიცებელ ფაქტებზე არაფერს ამბობდნენ. ამჟამად „ვერსიის“ დირექციამ მიიღო კონვერტი, რომელზეც გამომგზავნის მისამართი არ ეწერა. მასში იყო ფოტო, სამი ადამიანის გამოსახულებით. მარცხნივ დგას ყოფილი მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერის იური მასლიუკოვის თანაშემწე ანტონ სურიკოვი, ცენტრში — კრემლის ადმინისტრაციის მეთაური ალექსანდრ ვოლოშინი, მათ გვერდით ჩაცუცქულია შორტში გამოწყობილი კაცი — მელოტი, დიდწვერა შამილ ბასაევი. გაზეთის ექსპერტიზა დაბეჯითებით ვერ ადასტურებს, ეს ფოტო ნამდვილია თუ მონტაჟი. ამდენად, იბადება მრავალი კითხვა და მათ შორის ყველაზე მთავარი: ეს დამთხვევაა, თუ სწორედ ამ შეხვედრამ განაპირობა მეორე ჩეჩნური კამპანიის დაწყება? ამიტომ დავიხიოთ ერთი წლით უკან და წამოვაყენოთ შესაბამისი ვერსია.



## სოხუმის მკვიდრთა შეხვედრა

საფრანგეთის სპეცსამსახურების ცნობით, ქალაქ ბულიეში ეს ვილა ეკუთვნის საერთაშორისო იარაღით მოვაჭრეს ადნან ჰაშოგის. იგი არაბია, საუდის არაბეთის მკვიდრი, მილიარდერი, საეჭვო რეპუტაციის მქონე. როგორც საფრანგეთის სპეცსამსახურები და პრესა იუწყებოდა, 1999 წლის ივნისში ამ ვილაში ცხოვრობდა ვენესუელელი ბანკირი ალფონსო დავიდოვიჩი, რომელიც ცნობილია ბინძური ფულის ჩამორეცხვით და ნარკობიზნესთან კავშირით. მალე ცნობილი გახდა, რომ დავიდოვიჩს ხშირად სტუმრობდა ვინმე ებრაულ-საბჭოთა წარმოშობის, სოხუმში დაბადებული ფრანგი ბიზნესმენი, 53 წლის იაკობ კოსმანი. რამდენიმე ვიზიტის შემდეგ კოსმანმა იქ მიიყვანა ექვსი ადამიანი, რომლებიც საფრანგეთში ავსტრიის გავლით თურქული პასპორტებით ჩავიდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ვინმე ცვეიბა, რომელსაც თბილისის მთავრობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს გენოციდში ადანაშაულებს. ყველანი ამ ვილაში სამ კვირას ცხოვრობდნენ.

მალე სპეცსამსახურებმა დააფიქსირეს, რომ კოსმანი და ცვეიბა ნიცის აეროპორტში პარიზიდან ჩამოსულ ორ ბატონს შეხვდნენ. დოკუმენტების მიხედვით, ამ ორიდან ერთი იყო სულთან სოსნალიევი, რომელსაც საქართველო-აფხაზეთის ომის დროს აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა, ხოლო მეორე — ასევე სოხუმის მკვიდრი ანტონ სურიკოვი. ამბობენ, საქართველო-აფხაზეთის ომის დროს სურიკოვი სოსნალიევთან მსახურობდა და დივერსიების მომზადებას ხელმძღვანელობდა. მეგობრობდა საველე მეთაურ შამილ ბასაევთან, რომელიც იმ დროს ჩეჩნეთის ბატალიონს მეთაურობდა. შემდეგ სურიკოვს სოლიდური თანამდებობა ეკავა ევგენი პრიმაკოვის მთავრობის აპარატში, თუმცაღა, ოფიციალურად მხოლოდ პირველი ვიცე-პრემიერის იური მასლიუკოვის თანაშემწედ ითვლებოდა. ამ შეხვედრის მომენტში სურიკოვი გახლდათ РСК МиГ-ის გენერალური დირექტორის თანაშემწე, ამჟამად კი იგი ისევ მასლიუკოვთან მუშაობს, მხოლოდ უკვე მრეწველობის, მშენებლობისა და მეცნიერული ტექნოლოგიების კომიტეტის უფროსია სახელმწიფო დუმაში. კოსმანთან და ცვეიბასთან ერთად ახალჩამოსულები ბულიეს ვილისკენ გაემგზავრნენ.

## „როლს-როისი“ — საიდუმლო სტუმრისთვის

ფრანგებისა და ისრაელელების უტყუარი ცნობების თანახმად, 3 ივლისს ბულიეს ნავსადგურში შევიდა კერძო ინგლისური იახტა „მაგია“, რომელიც იქ მალტიდან ჩავიდა. ამ იახტიდან ნაპირზე ორი მგზავრი გადავიდა. თუ ვერწმუნებით საპასპორტო მონაცემებს, ერთი „ინგლისელთაგანი“ იყო ვინმე თურქი მეჰმეთი, წარსულში თურქეთის მუსლიმანი პრემიერის ერბაქანის მრჩეველი, საკმაოდ გავლენიანი ფიგურა თურქეთის, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ვაჰაბიტთა შორის. გარდა ამისა, მეჰმეთი იყო აგრეთვე ახლო მეგობარი საკმაოდ ცნობილი ხატაბისა.

მზვერავების გასაოცრად, მეორე ადამიანი აღმოჩნდა ჩეჩნეთის საველე მეთაური შამილ ბასაევი. ფრანგებს გაუკვირდათ, დაიძაბნენ და თვალთვალი გააძლიერეს. და არცთუ ამაოდ. 4 ივლისის გვიან საღამოს, ნიცის აეროპორტში რუსეთის ერთ-ერთი ნავთობის კომპანიის კერძო თვითმფრინავით ჩაფრინდა მელოტი, წვერიანი, მზერაგამჭოლი ადამიანი, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა კრემლის ადმინისტრაციის მეთაურს. მას იგივე აფხაზები და სურიკოვი დახვდნენ. ყველანი „როლს-როისში“ ჩასხდნენ და ბულიეს ვილისკენ გასწიეს.

მთელი ღამის განმავლობაში ვილაში რაღაც ხდებოდა, გაძლიერებული დაცვა ფხიზლად დარაჯობდა იქაურობას, ხოლო ვილის შემოგარენში ვრცელდებოდა ძლიერი მაგნიტური გამოსხივება, ისე რომ, რამდენიმე ასეული მეტრის რადიუსში მობილური ტელეფონი არ მუშაობდა. დილით კი „როლს-როისი“ ისევ აეროპორტისკენ მიქროდა. კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა ვოლოშინს, მოსკოვში გაფრინდა. ერთ დღე-ღამეში ვილა მისმა სხვა მდგმურებმაც დატოვეს.

## ისღა დაგვრჩენია, რომ ვივარაუდოთ...

ამ „საიდუმლო სერობიდან“ ცოტა ხნის შემდეგ, აგვისტოში, შამილ ბასაევის ბანდა დაღესტანში შეიჭრა. სულ მალე პრემიერ-მინისტრი სერგეი სტეპაშინი გადადგა, მის ნაცვლად კი ФСБ-ს — ყოფილი მეთაური დანიშნეს. ფედერალურმა ჯარებმა ამის შემდეგ დაღესტანზე შეტევა წარმატებით ჩაახშვეს და ჩეჩენი ბოევიკების წყალობით ამბოხებულ ჩეჩნეთში ისევ შევიდნენ. მას შემდეგ „ანტიტერორისტული ოპერაცია“ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გრძელდება და როდის დამთავრდება, არავინ იცის.

ერთი სიტყვით, ასეთია გაზეთ „ვერსიის“ ვერსია ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების თაობაზე. გაზეთის თანამშრომლებს მათი ნააზრევის დასადასტურებლად არ შეუძლიათ შამილ ბასაევისაგან ინტერვიუს აღება. მათი ცნობების თანახმად, ბასაევი ცოცხალია, თუმცა კი ცალი ფეხი დაკარგა და ჩეჩნეთის მიუდგომელ ადგილას იმალება. სამაგიეროდ, ჟურნალისტები სახელმწიფო დუმაში ანტონ სურიკოვს დაუკავშირდნენ. იური მასლიუკოვის თანაშემწე შეხვედრაზე დასთანხმდა, ფოტოსურათს დიდხანს ათვალიერებდა, მაგრამ კომენტარებისგან თავი შეიკავა. ახლა იმის დასადგენად, სიმართლეს შეეფერება თუ არა ზემოთ მოყვანილი ვერსია და გამოგზავნილი ფოტო ნამდვილია თუ არა, „ვერსია“ აპირებს გამოთქმულ მოსაზრებაზე კრემლის ადმინისტრაციის თავკაცს ალექსანდრ ვოლოშინს საჯარო კომენტარის გაკეთება სთხოვოს.

*ვერსია №25*

# უხილავი სხივების საიდუმლო

70-იან წლებში, ბრეჟნევის კაბინეტში გათამაშდა უცნაური, თანაც საკმაოდ დრამატული სცენა. მარშალმა დმიტრი უსტინოვმა გენსეკს მოახსენა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში დაშვებული შეცდომების შესახებ და მწარედ წარმოთქვა, — შიშვლები ვართ უამისოდ, შიშვლებიო.



რა აკლდა ქვეყანას საზღვრების დასაცავად? იქნებ, რაიმე განსაკუთრებული ავიამზიდები, ატომური წყალქვეშა კრეისერები ან ზესწრაფი თვითმფრინავები? არა! საუბარი იყო პატარა ხელსაწყოზე, რომლის „გული“ გახლდათ ლაზერის სხივი.

მოულოდნელი ბირთვული თავდასხმის შემთხვევაში ნატოს ბაზებიდან რაკეტა ჩვენამდე 15-20 წუთში მოაღწევდა. თითქოს საკმარისი დროა პასუხის გასაცემად, მაგრამ სსრკ-ს ეს არ შეეძლო... საპასუხოდ საჭირო იყო რაკეტებში მექანიკური ჰოროსკოპების ლაზერულით შეცვლა. რა იყო პრობლემა? საბჭოელები ხომ ლიდერობდნენ ლაზერულ გამოკვლევებში?

და სწორედ მაშინ, გენსეკის რისხვა თავს დაატყდათ გასაიდუმლოებული ინსტიტუტის თანამშრომლებს. უპირველეს ყოვლისა, მოხსნეს დირექტორი, დანიშნეს ახალი, შეკრიბეს მთელი კოლექტივი და განუცხადეს, — ან დატოვებთ ინსტიტუტს ან დღედაღამ იმუშავებთ, ვიდრე რაკეტებისათვის ლაზერულ ჰოროსკოპებს არ დაამზადებთო. თანამშრომლები ინსტიტუტში ჩაკეტეს. უნებლიე ენთუზიასტები პროდუქტებითა და ყველა საჭირო ნივთით მოამარაგეს.

საბჭოელებს ამის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. სტალინის პერიოდში, დაპატიმრებული კონსტრუქტორები ქმნიდნენ სუპერთვითმფრინავებს, საოცარ საინჟინრო ხელსაწყოებს, მუშაობდა არაერთი საკონსტრუქტორო ბიურო. მაშინ მათ „შარაშკებს“ ეძახდნენ. სწორედ ამ „შარაშკებში“ გამოამჟღავნეს ნიჭი ს. კოროლიოვმა, ა. ტუპოლევმა, ი. კურჩატოვმა. ბრეჟნევისეულმა ახალმა „შარაშკამაც“ იმარჯვა. ლაზერული ჰოროსკოპი ექვს თვეში დამზადდა.

ახლა ცოტა თუ იხსენებს ამ ინსტიტუტის მეორე, არანაკლებ ფასეულ მიღწევას, რომელიც საიდუმლოდ შესრულდა და ასევე საიდუმლოდ გადაეცა არასამხედრო უწყებას. ამ კოლექტივის ერთმა ჯგუფმა მოინდომა ლაზერის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენება და ჩუმად დაიწყო ძიება-მუშაობა, უნდა შეექმნათ სამედიცინო დიოდი, რომელიც გახდებოდა პერსონალური სამედიცინო ლაზერის „გული“. ასეთი ლაზერი ყოველ ოჯახს სჭირდება. მეცნიერებმა მართლაც დაამზადეს ასეთი სამედიცინო ლაზერი და გამოსაცდელად გადასცეს თავიანთ მეგობრებს — კლინიკის ექიმებს. ექიმები მიღებული შედეგებით კმაყოფილნი დარჩნენ. ლაზერის ეფექტი საოცარი იყო. ის 50-მდე დაავადებას კურნავდა. ყველაფერში კი „დამნაშავე“ იყო სხივის ტალღის სიგრძე. ასეთი ლაზერი „მოლაპარაკებას“ აწარმოებს უჯრედთან, საჭიროებისას ბლოკირებას უკეთებს მავნე ინფორმაციას და შეუძლია უჯრედებს უბრძანოს:

— არ იავადმყოფოთ!

*სოვერშენო სეკრეტნო №17*

# ხელოვნურად გამოყვანილი გენიოსები



ციურიხელ ტყუპებს — კლაუსს, კურტს, პეტერს და ფრიცს 7 თვე შეუსრულდათ, მაგრამ უკვე ნათლად ჩანს, რომ მსოფლიოს არ ჰყოლია მათზე უფრო ინტელექტუალური არსებები. ეს ოთხეული სამყაროს მოევლინა სამეცნიერო ექსპერიმენტის მეშვეობით, რომელიც ჩაატარა შვეიცარიის ადამიანის ბიოლოგიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვორდანმა. მსოფლიოში ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერის (სახელი გასაიდუმლოებულია) სპერმა შეყვანილ იქნა იმ ქალის კვერცხუჯრედში, რომლის ინტელექტის კოეფიციენტი გენიალურს უახლოვდება. არავინ ელოდა, რომ ოთხი ტყუპი გაჩნდებოდა, თუმცა ხელოვნური დაფეხმძიმების დროს ძალიან ხშირად ჩნდებიან ტყუპები. როცა შევიტყვეთ, რომ დედა 4 ბავშვს ელოდა, უსაზღვროდ გაგვეხარდა — ამ გზით ჩვენი ექსპერიმენტის მნიშვნელობა რამდენჯერმე გაიზარდა, — თქვა პროფესორმა.

ვორდანმა უნიკალური პროექტის განხორციელება რამდენიმე წლის წინ დაიწყო. მან მსოფლიოს უნივერსიტეტებში წერილები დაგზავნა, ყველაზე ნიჭიერ სტუდენტებს გამოხმაურება სთხოვა. რამდენიმე ათას პრეტენდენტს შორის მშობლების როლზე მეცნიერმა 50 ადამიანი შეარჩია, რომელთაგანაც ხანგრძლივი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ტესტების შემდეგ მხოლოდ ორი დაიტოვა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პატარა გენიოსების დედ-მამა ერთმანეთს არ იცნობს. პროფესორმა პრესას მხოლოდ ის განუცხადა, რომ ბავშვების დედა მიკრობიოლოგია, ხოლო მამამ ცოტა ხნის წინ უდიდესი აღმოჩენა გააკეთა ფიზიკაში. ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის ორივე მშობელმა სოლიდური თანხა აიღო — ასეულ ათასობით შვეიცარული ფრანკი. ტყუპების მშობლების ინტელექტის კოეფიციენტი170-ს აღემატება, მათი პირმშოებისა კი, მეცნიერთა გათვლით, 200-ს უნდა გადასცდეს. მსგავსი შემთხვევა არ იცის კაცობრიობის ისტორიამ. უკვე ახლა, 7 თვის პატარები ლაპარაკობენ. ფრიცი სიამოვნებით ტიკტიკებს საბავშვო ლექსებსაც, რომელსაც ბიჭებს ძიძა — ფსიქოლოგიის პროფესორი ასწავლის.

პროფესორმა ვორდანმა ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიო საზოგადოება საქმის კურსში ეყოლება. ყველაზე საინტერესო ხანა ამ ექსპერიმენტში დაიწყება მაშინ, როცა ტყუპებს ერთი წელი შეუსრულდებათ. ამ დროისათვის პაწიები უკვე შეძლებენ კითხვას, მათემატიკურ ამოცანებსაც ამოხსნიან საშუალო სკოლის პროგრამიდან. ერთი წლის შემდეგ მეცნიერები ტყუპებს განსაზღვრული მიმართულებით წარმართავენ. ფრიცი — ხელოვნების სფეროში უნდა განვითარდეს, კურტი — ჰუმანიტარულ მეცნიერებას გაჰყვება, კლაუსი — ბუნებისმეტყველებას, პეტერი — ფიზიკასა და ელექტრონიკას. 4 წლის ასაკში ბავშვები უნივერსიტეტის პროგრამას უნდა დაეუფლონ, ხოლო 7 წლისანი რევოლუციას მოახდენენ მეცნიერებასა და ხელოვნებაში.

ზოგიერთი მონაცემის თანახმად, პროფესორი ვორდმანი შვეიცარიის პატარა ქალაქში მალე გახსნის XX საუკუნის გენიოსების მწარმოებელ ნამდვილ ფაბრიკას.

*უიქლი უორლდ ნიუზი*

ფირმა „მოდინახე“

ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით — 4 ლარი, მინაქსოვილით — 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით (ბიკროსტი) — 8 ლარი. გარანტია 5-12 წლამდე.

მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3 (რკინიგზის დეპარტამენტთან)

☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

ქსეროასლები - 5 თეთრი
ტირაჟი - 2 თეთრიდან

კომპიუტერული მომსახურება

იყიდება ქსეროაპარატი

წარმადობა - 42 ასლი/წთ
ფასი - 600 $-ის ეკვ.

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
LIBCO Company LTD

თბილისი, დ. აღმაშენებლის 99, ტელ.: 96-32-89

კოლეჯი „ცოდნის წყარო“

აცხადებს მიღებას 9 და 11 კლას-დამთავრებულთათვის სპეციალობებზე:

1. კბილის ტექნიკოსი;
2. ბებია ქალი (სამეანო საქმე);
3. საგადასახადო საქმე.

მის: აღმაშენებლის 178 („დინამოს“ სტადიონთან), მე-18 სკოლა

☎ 38-00-83; 35-27-00

# თითების ანაბეჭდი _ პოლიციის სამსახურში

ახლა ყველამ იცის, რომ დანაშაულის გახსნა თითების ანაბეჭდითაც შეიძლება, მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. მე-19 საუკუნის დამლევს მაძებრების განკარგულებაში იყო მხოლოდ სიტყვიერი პორტრეტი, ნაკვალევი, თმა, ფერფლი და, უკეთეს შემთხვევაში, დედუქციური მეთოდი. დაქტილოსკოპიას პოლიცია 1900 წლიდან იყენებს, მას შემდეგ, რაც დამტკიცდა, რომ: ადამიანის თითების ანაბეჭდი პიროვნების იდენტურია. ეს შესანიშნავი აღმოჩენა ინგლისელ მკვლევარს **ფრენსის გალტონს** ეკუთვნის.


ფრენსის გალტონი

1888 წლის 9 ნოემბერს ლონდონში რამდენიმე საზარელი მკვლელობა მოხდა. უცნობი დამნაშავე ღამღამობით სჩადიოდა თავის შავ საქმეს. ყველა მკვლელობა 23.00-სა და გათენების 4 საათს შორის ხდებოდა. მსხვერპლი მეძავი ქალები იყვნენ. საზარელი მკვლელობებისთვის მკვლელს „ჯეკი მფატრავი“ დაარქვეს. დანაშაული ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო და გაუხსნელი დარჩა.

შეშფოთებულები იყვნენ არა მარტო ლონდონელები, არამედ სკოტლანდ იარდის თანამშრომლები. ლონდონის პოლიციის ამჟამინდელ სამყოფელში, თემზის პირას მდებარე ქონგურებიან შენობაში, წინათ დედაქალაქში სტუმრად ჩამოსული შოტლანდიის მეფეები ჩერდებოდნენ. ამიტომაც ჰქვია ინგლისის კრიმინალურ პოლიციას — სკოტლანდ იარდი (შოტლანდიური ეზო).

სკოტლანდ იარდი იმ რეციდივისტთა სიების შედგენას შეუდგა, რომლებსაც შეეძლოთ ამ დანაშაულთა ჩადენა. მათი გარეგნული აღწერილობა ზერელე იყო, მაგალითად, „მარცხენა მხარზე სვირინგი აქვს“. ამ ნიშნით ადამიანის მოძებნა ძალიან ძნელი ხდებოდა, რადგან იმ პერიოდში მოსვირინგებული დამნაშავეები ძალიან ბევრნი იყვნენ.

მაშინ, როდესაც ლონდონს სისხლიანი მანიაკის აჩრდილი შიშის ზარს სცემდა, სერ ფრენსის გალტონი თავის ლაბორატორიაში თითების ანაბეჭდებს სწავლობდა. იგი დიდი აღმოჩენის წინაშე იდგა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი ადგილი მოუპოვა კრიმინალისტიკის ისტორიაში.

ფრენსის გალტონი 1822 წელს დაიბადა შეძლებულ ოჯახში. 7 შვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. მამა ცნობილი ბანკირი ჰყავდა, რომელიც ქიმიური ცდებით იყო გატაცებული, დედის მხრიდან ენათესავებოდნენ ცნობილი ექიმები და ფილოსოფოსები — რ. და ე. დარვინები.

1840 წელს კემბრიჯის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა მედიცინას თავი დაანება და მათემატიკის შესწავლა დაიწყო. შემდეგ დაინტერესდა ანთროპოლოგიით, ბიოლოგიით, ისტორიით, რასობრივი გენეტიკით. თავის ბიძაშვილ ჩარლზ დარვინთან ერთად გალტონი უკვდავების მეცნიერულ რეცეპტს ეძებდა. გალტონი მგზნებარე ორატორი გახლდათ. ბევრს მოგზაურობდა. სწავლობდა ახლადაღმოჩენილ მიწაზე მოსახლეთა ისტორიას, პარადოქსების დიდი მოყვარულიც იყო და ავითარებდა თავისი ბიძაშვილის — ჩარლზ დარვინის ევოლუციურ თეორიას, ამტკიცებდა, რომ იგი სულაც არ ეწინააღმდეგება სამყაროს ღვთაებრივი წარმოშობის თეორიასო.


ჯეკი მფატრავი

გალტონის საქმიანობისადმი ყოველთვის საყოველთაო ყურადღება იყო მიპყრობილი.

ის პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ღმერთის არსებობა მეცნიერულად დაასაბუთა. ფრენსის გალტონი დიდების კვარცხლბეკზე აიყვანა არა მარტო ინგლისის ეკლესიამ, არამედ სწავლულებმაც. მერე კი ამ კაცმა დაქტილოსკოპია მოიგონა.

1884 წელს ლონდონის საერთაშორისო გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში მსურველს 3 პენსად შეეძლო საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების გასინჯვა და შეფასება. ბილეთის საფასურის გადახდის შემდეგ მსურველი გრძელ შენობაში შედიოდა, სადაც მაგიდაზე სხვადასხვა იარაღი და აპარატი იდო. შესულს ახალგაზრდა კაცი ხვდებოდა, უსინჯავდა სიმაღლეს, რეაქციის სისწრაფეს, ფერთა განსხვავების უნარს, მხედველობას, სმენას. ყველაფერ ამას ესწრებოდა ხოლმე მელოტი, ხანში შესული მამაკაცი. ის გახლდათ სერ ფრენსის გალტონი.

ბიძაშვილის წიგნმა „სახეობათა წარმოშობა“, რომელშიც დაწვრილებით იყო განხილული მემკვიდრეობის პრობლემები, გალტონს ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების შესწავლისაკენ უბიძგა. მეცნიერს სჭირდებოდა სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ოჯახის რამდენიმე თაობაზე. იგი წლების განმავლობაში აგროვებდა ამ მონაცემებს. სწორედ მასალის შესაგროვებლად გახსნა პავილიონი საერთაშორისო გამოფენაზე. როცა 1885 წელს გამოფენა დაიხურა, გალტონმა ლონდონის ცნობილ მუზეუმში, საუთ-ქენსინგტონში, მუდმივი ლაბორატორია დააარსა, სადაც გრძელდებოდა გასინჯვა. მოგვიანებით სწორედ ამ ლაბორატორიაში დაადგინა დაქტილოსკოპიის მეთოდი.

1888 წელს ევროპის გაზეთებს სენსაციური ამბავი მოედო — პარიზის პოლიციის იდენტიფიკაციის სამსახურის შეფად დაინიშნა ალფონს ბერტილიონი, რომელიც წლების განმავლობაში ამუშავებდა დამნაშავეთა აღწერილობის ამსახველ ბარათებს და შექმნა სისტემა, რომლის საშუალებით რამდენიმე წუთში დგინდებოდა მონაცემები ამა თუ იმ პიროვნებაზე. 1883 წლის იანვარში ბერტილიონის კარტოთეკაში 500 ბარათი იდო, თებერვლის დამლევს კი უკვე 1.600. მისი მეთოდი მთელ ევროპაში გავრცელდა. სამეფო საზოგადოება ბერტილიონის მეთოდით დაინტერესდა. გალტონს სთხოვა, გასცნობოდა მას. გალტონი აღფრთოვანებული დარჩა ბერტილიონის მეთოდით და მის შესახებ მოხსენების წაკითხვის დროს აღნიშნა — იდენტიფიკაციის კიდევ ერთი გზა არსებობს — თითების ანაბეჭდიო. გალტონმა ინტენსიური მუშაობა დაიწყო — აინტერესებდა, რამდენად სწორი იყო მისი მოსაზრება, რომ ანაბეჭდი მთელი ცხოვრების განმავლობაში არ იცვლება.

1892 წელს გალტონმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც აღწერილი იყო მისი კვლევის შედეგები. ევროპის გაზეთებმა პირველ გვერდზე დაბეჭდეს სერ ფრენსის გალტონის ფოტოები.

სკოტლანდ იარდისათვის ეს მეთოდი უდიდესი აღმოჩენა იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში გაიხსნა ასობით „მკვდარი“ საქმე. დაქტილოსკოპიის მეთოდმა დაიპყრო ევროპა, ცოტა მოგვიანებით — იაპონია, რუსეთი, აზიის ქვეყნები. XX საუკუნის დამდეგს გალტონმა კრიმინალისტიკა მიატოვა და კვლავ ანთროპოლოგიასა და გენეტიკას დაუბრუნდა. იგი 1911 წელს გარდაიცვალა.

P.S. ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იხილება საკითხი იმის შესახებ, რომ პასპორტის მიღებისას აუცილებელი გახდეს თითების ანაბეჭდის აღება. მესაზღვრეების, საიმიგრაციო სამსახურის, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების და ინტერპოლისათვის ეს ნამდვილი საჩუქარი გახდებოდა. ევროკავშირის ექსპერტები იმასაც ვარაუდობენ, რომ მალე თითების ანაბეჭდის მსოფლიო ბანკიც შეიქმნება და დაახლოებით 2020 წლისათვის, ინტერნეტში ნებისმიერი ადამიანის თითების ანაბეჭდის პოვნა იქნება შესაძლებელი.

***დენგი***

# თოჯინური სამყაროს გამგებელი

ჯილ ბარადს მრავალი წლის განმავლობაში თოჯინა ბარბის ცოცხალ განსახიერებად მიიჩნევდნენ იმიტომ, რომ ეს მშვენიერი, თანაც ძალიან საქმიანი ქალი უკანასკნელ დრომდე ბარბის მწარმოებელი კომპანიის MATTEL TOIS-ის გენერალური დირექტორი გახლდათ... ახლა მის საქმიან ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა, მაგრამ საინტერესოა ის გზა, რომელიც ამ ენერგიულმა ქალმა გაიარა, რათა ბარბი ბავშვების უსაყვარლეს თოჯინად ექცია. თავის ერთ ინტერვიუში ჯილ ბარადმა განაცხადა, — როცა მუშაობას ვიწყებდი, დედამ მითხრა — აეროდინამიკის კანონების მიხედვით ბზიკებმა ვერ უნდა იფრინონ, მაგრამ მაინც დაფრინავენო. დედის ნათქვამი მუდამ გზას მინათებს.

ჯილ ბარადი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და მდიდარ ქალად ბარბის წყალობით იქცა. იგი ძალიან ჰგავს ბარბის. მასავით უყვარს მანქანებისა და ბინების ცვლა, მოდური ტანსაცმელი, ბარბივით არც მას ეტყობა ბალზაკისეული ასაკი, თუმცა ორივემ 40 წელს გადააბიჯა.

ყოველ ერთ წამში მსოფლიოს 140 ქვეყანაში ორი თოჯინა ბარბი იყიდება.

ირანში ბარბის გაყიდვა აიკრძალა, მერე ქვეყანას მოევლინა ჩადრში გახვეული „მუსლიმანი ბარბი“.




ბარბის წინამორბედი ჩვეულებრივი ქაღალდის თოჯინა იყო, მოხატული ქაღალდის კაბა ემოსა. ახლა ბარბის ტანსაცმელს უკერავენ მსოფლიოში სახელგანთქმული — დიორის, ჟივანშის, ვერსაჩეს სახლები.

ბარბის ოჯახი თავისი მეგობარ-ნათესავებითურთ ისე გაიზარდა, რომ MATTEL TOIS-მა მყიდველებისთვის ცნობარიც კი გამოსცა. მასში მთელი გვერდებია, სადაც აღწერილია გენეალოგია იმ თოჯინური პერსონაჟებისა, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვთ ბარბისთან.

ბარბი ვენერა მილოსელსა და ბრიჟიტ ბარდოსთან ერთად იმ ქალთა რიცხვში შედის, რომლებსაც სხეულის ყველაზე სრულყოფილი ფორმები აქვთ.

ბარბის ფერადკანიანი მეგობრები ჰყავს, ერთი მისი ამხანაგი ხეიბარია და ეტლში ზის. თოჯინამ არსებობის 45 წლის განმავლობაში 45 ეროვნება და 75 პროფესია გამოიცვალა.

ახლა ყოველ ამერიკელ გოგონას საშუალოდ 9 ბარბი ჰყავს. არსებობს ღარიბი და მდიდარი ბარბი, დიასახლისი, ბიზნესმენი, პოლიციელი ბარბი. ერთი სიტყვით, ბარბის თოჯინური სამყარო ნამდვილსა ჰგავს.

ჯილ ბარადი ამბობს: „როცა გოგონას ხელთ უჭირავს თოჯინა, ის თავის მომავალ ცხოვრებას გეგმავს“.

თავად ჯილს ბავშვობაში ბარბი არ ჰყავდა, მაგრამ მშვენივრად დაგეგმა თავისი ცხოვრება, ორი ვაჟის დედაა და ამავე დროს ამერიკის ყველაზე გავლენიან ქალთა ჯგუფშია, რომელიც სულ 50 წევრს აერთიანებს.

***უორქინგ ვუმენი***



# ცოტა რამ EXPO-ს ისტორიიდან

ინგლისის სამეფო სახლში რძლად თუ სიძედ შესულს ყოველთვის დიდი პრობლემები უჩნდებოდა. განსაკუთრებით ცუდად მიიღო ინგლისმა საქსონია-კობურგის პრინცი ალბერტი, რომელმაც 1840 წელს დედოფალ ვიქტორიაზე დაიწერა ჯვარი. „ჩამოხეტებულ გერმანელს“ პარლამენტმა კარი მიუხურა და „მმართველი დედოფლის მეუღლის“ ტიტულზე უარი უთხრა.

უსაქმოდ დარჩენილ პრინცს სწორედ რომ დროზე ეწვია ვინმე ჰენრი ქული, რომელმაც აუწყა, — პარიზში ტექნიკის საერთაშორისო გამოფენის მოწყობას გეგმავენო. ესო, — ამბობდა ქული, — ბრიტანეთის იმპერიაზე, როგორც ტექნიკური პროგრესის მშობელზე, საშინელი დარტყმა იქნებაო. ამ მოსაზრებას მისი სტატუსისთვის შესაფერი საქმიანობის მძებნელი პრინცი ალბერტიც იზიარებდა. დედოფლის უფუნქციო მეუღლე სასწრაფოდ ჩაუდგა სათავეში გამოფენის — „მთელი დასახლებული დედამიწისთვის“ — მოწყობით დაინტერესებულ ორგანიზაციას. ასეთივე ენთუზიაზმით და პათეტიკური ტონით ჩამოაყალიბა მან გამოფენის დანიშნულება და მიზანი: „ადამიანისთვის სარგებლობის მომტანი, კაცობრიობის სიბეჯითით შექმნილი ტექნიკის უახლესი მიღწევების დემონსტრირება და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცება“.

1851 წლის 1 მაისს ჰაიდ პარკში აღმართული „ბროლის სასახლის“ კარიბჭე გაიღო. მანამდე კი, შვიდი თვის განმავლობაში, 2.000 მუშა მუხლჩაუხრელად შრომობდა გრანდიოზული საგამოფენო დარბაზის მოსაწესრიგებლად. გამოფენის გახსნაზე თავად მისი უდიდებულესობა დედოფალი ვიქტორია მივიდა. „ეს ჩვენს ისტორიაში ბრწყინვალე დღე და ჩემი საყვარელი ალბერტის ტრიუმფი გახლდათ, — მოგვიანებით წერდა დედოფალი ბიძას, ბელგიის მეფე ლეოპოლდ -ს. ალბერტმა თავისი სახელი მართლაც უკვდავყო და ლონდონის პარლამენტმაც მას „მმართველი დედოფლის მეუღლის“ ტიტული მიანიჭა.

პირველ მსოფლიო გამოფენაზე 25-მა ქვეყანამ და ინგლისის 15-მა კოლონიამ 14.000 ექსპონატი წარადგინა. პრუსიელმა კრუპმა გამოფინა ქვემეხი, ბავარიამ — ერთ-ერთი იმ ლომთაგანი, დღეს რომ გამარჯვების კარიბჭეს ამშვენებს. ვენელმა ოსტატმა მიხაილ თონეტმა წარმოადგინა მორკალული, იშვიათი ოსტატობით დამზადებული ხის სკამები. მნახველების ყველაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია „მაღვიძარა საქანელა“ საწოლმა და კიდევ „მოსაშარდმა მოწყობილობამ“ მუდმივი წყლის ჭავლით.

მხოლოდ ფრანგები იყვნენ უკმაყოფილონი — ჩიოდნენ, ინგლისელებმა ექსპოს იდეა მოგვპარესო და რევანშით იმუქრებოდნენ. პრემიერიდან ოთხი წლის შემდეგ, 1855 წელს, მათ მართლაც მოაწყვეს მეორე მსოფლიო ტექნიკურ მიღწევათა გამოფენა და იქ თავიანთი უკანასკნელი ორთქლის მანქანები და ქვემეხები (კრუპის ფირმის ქვემეხების ტიპისა) გამოფინეს. ინგლისელებისაგან განსხვავებით, ფრანგების ექსპო უფრო დახვეწილი და თვალსაამო გახლდათ.

1940 წლამდე, ვიდრე კაცობრიობა ტექნიკურ პროგრესზე დიდ იმედებს ამყარებდა, 24 გამოფენა მოეწყო იმ 30-დან, დღემდე რომ ყოფილა მსოფლიოში.

1873 წელს გამოფენის მოწყობის პატივი ვენას ერგო. იმ დროს იქ ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა. ამ ავადმყოფობამ 2.983 ადამიანი იმსხვერპლა; თუმცა ამ ფაქტს გუნება არ შეუცვლია საგანგებოდ ექსპოსთვის აშენებულ თაღოვან სასახლეში გამართულ საღამოზე მოცეკვავე წყვილებისთვის. აქ მყოფთა სასაუბრო თემა არც საბირჟო კრახი ყოფილა, რომელმაც ზუსტად იმ დროს, 1 მაისს, იფეთქა.

1876 წელს ფილადელფიის რიგი დადგა. ამერიკამ წარმოადგინა ტექნიკის საოცრება: საარაკოდ სრულყოფილი და მძლავრი ორთქლის მანქანები. ვინმე ბატონი მაკდონალდსი სტუმრებს თავის რესტორანში იაფფასიანი საუზმით და უალკოჰოლო სასმელებით უმასპინძლდებოდა. აქ ყველაზე ცნობილ ექსპონატს წარმოადგენდა გიგანტური ბრინჯაოს ხელი, რომელსაც ჩირაღდანი ეკავა — თავისუფლების ქანდაკების ვარიანტი (ავტორი ოგიუსტ ბერთოლდი), რომელიც დღეს მანჰეტენის ერთ-ერთ კუნძულზე დგას. ინჟინერმა გრეჰემ ბილმა თავისი, ის-ის იყო, შექმნილი ტელეფონი წარმოადგინა, ხოლო თომას ალვა ედისონმა — მისი უახლესი ტელეგრაფი და ველოსიპედის დამხმარე მოტორი.

1928 წლამდე ექსპოს მოწყობა შეეძლო ნებისმიერ ქვეყანას, თუკი ამის სურვილი ექნებოდა. შემდგომ კი პარიზში შექმნილი ჟიური წყვეტს, თუ ვინ, როდის და სად უნდა მოაწყოს გამოფენა. საერთაშორისო გამოფენები შედარებით იშვიათად ტარდება და ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ ექსპოებს თუ აქამდე სახელმწიფო აწყობდა, ამჯერად ეს პრივილეგია კონცერნებმა ჩაიგდეს ხელში და შესაბამისად სარგებლობასაც ისინი ნახულობდნენ.

არქიტექტორებს ზეობის ხანა დაუდგათ. თუკი 1928 წლამდე გამოფენები კონსერვატიული და იმპერიული ტიპის შენობებში იმართებოდა, ახლა ნეოსასახლეების აგებას ცდილობდნენ და ყველაფერს, რაც კი ძველმოდურად ეჩვენებოდათ, სახეს უცვლიდნენ. ლონდონის ეპოქალური, უზარმაზარი ბროლის სასახლე, სადაც პირველი ექსპო გაიმართა, დიდი ხნის წინ გადააკეთეს. უნდოდათ პარიზის გამოფენის სამარკო ნიშნად ქცეული ეიფელის კოშკის ახლებურ ყაიდაზე შეცვლა. ფიქრობდნენ, ეიფელის კოშკის ირგვლივ ქვის გალავნის აშენებას და მისი კოშკებითა და საათით დამშვენებას. ისიც კი იფიქრეს, კოშკი აეღოთ და მის ადგილზე მონუმენტი აღემართათ. მაგრამ მის ამშენებელ გუსტავ ეიფელს ორმოცწლიანი გარანტია ჰქონდა და კიდევ ტურისტების მოზღვავებამ იხსნა ეს რკინის ჩონჩხი დანგრევისაგან.

თავად ექსპო-ს ტერიტორიებიც იქცა არქიტექტორების ექსპერიმენტების სარბიელად. ეს უპირველეს ყოვლისა, 1937 წელს პარიზში მოწყობილ გამოფენაზე გამოჩნდა. აქ, ნაცისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი შეეჯიბრნენ ერთმანეთს კოლოსალური მონუმენტური ნაგებობების აგებაში. რაიხის არწივი და ნამგალი და ურო თითქმის ერთმანეთის პირდაპირ იდგა. რადგანაც ჰიტლერის არქიტექტორმა ალბერტ შპერმა როგორღაც მოახერხა საბჭოთა კონკურენტების გეგმების წინასწარ გაგება, ნაცისტური არწივი ოდნავ ზემოდან დასცქეროდა პროლეტარების ნამგალსა და უროს.

გამოფენები, როგორც ეს თავიდან პრინცმა ალბერტმა განსაზღვრა, ორ მიზანს ემსახურებოდა: ტექნიკაში „ადამიანის გონის“ შესაძლებლობების გამოვლენას და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

დღეს აღარავის აქვს ილუზია, რომ ტექნიკის განვითარება ადამიანს სიკეთეს მოუტანს. ვერც მეორე მისია შესრულდა. ამ გამოფენებმა ხალხები ვერ დაამეგობრა და მშვიდობა ვერ უზრუნველყო. ომისშემდგომი გამოფენებიდან მსოფლიოს მეტნაკლებად გახმაურებული ნაგებობები და 1958 წელს ბრიუსელში წარმოდგენილი Atomium — 150 მილიარდჯერ გადიდებული ატომგული შერჩა, რომელიც ატომური ენერგიის და ატომის საუკუნის სიმბოლოდ იქცა.

***შტერნი***

## „დინამოს“ პრეზიდენტი დაიჭირეს, უშველის თარგამაძე გუნდს?



## „ბასკო“ ჩრდილოეთ ევროპის ლიგაში გაწევრიანდა








## კრესპოს მსოფლიო რეკორდი ათიოდე დღეში დაემხო



## ჩემპიონთა ლიგის კარიბჭესთან

## ქინქლაძემ ოპერაცია გაიკეთა. ქეცბაია კი «ნიუკასლს» ტოვებს







## ჯაბარს მარიხუანა ჰყვარებია












ყვითელი

მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა: 21 ივლისს „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი დააკავეს. რატიანს წინა დღით უპირებდნენ აყვანას, მაგრამ მის კვალს დღის 12 საათისთვისღა მიაგნეს. ეს ყველაფერი ლოგიკური დასასრული იყო „დინამოს“ ხელმძღვანელთა მიმართ 1995 წლიდან დაწყებული სასამართლო პროცესთა სერიალებისა. თუმცა, მას ხუთი წლის მანძილზე თავი ვერა და ვერ მოება.

მიზეზი მრავალი გახლდათ, რომელთაგანაც უმთავრესი იყო 1995 წლის 21 ივნისის პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებულება თბილისის „დინამოსთვის“ სამეწარმეო შეღავათების მინიჭების შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად შპს „დინამოს“ საგადასახადო შეღავათები მიენიჭა, საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი კი საპარტნიორო ფონდში უნდა ჩაერიცხათ. მაგრამ, ხუთთვიანი ვაჭრობის შედეგად, „დინამომ“ საპარტნიორო ფონდში მიზერული თანხა შეიტანა. გენერალური პროკურატურის საგამომძიებლო ჯგუფმა აღნიშნული საქმიანობის გამოძიების შედეგად დაასკვნა, რომ შეღავათიანი საქმიანობის პერიოდში შპს „დინამოს“ სახელით 215 სავაჭრო ოპერაცია ჩატარდა, საპარტნიორი ფონდში კი 28 მილიონი ლარი უნდა შესულიყო. მაგრამ, დიდუბის რაიონის მოსამართლემ, მიხეილ კოტრიკაძემ „დინამოს“ ხელმძღვანელები გაამართლა. საქმე ამით არ დასრულებულა და გენერალურმა პროკურატურამ საქმე ხელახალი გამოძიებისთვის გამოითხოვა. გამოძიების საგანი გახდა „დინამოს“ ფეხბურთელთა ტრანსფერებიც. ვაჟა ჟვანიამ გაამხილა, რომ „ფრაიბურგში“ წასული ქართული სამეულის — იაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილის — სატრანსფერო თანხები სადღაც „აორთქლდა“. ეს თანხა კი, მისი ვარაუდით, 7-8 მილიონ მარკას აღწევდა. ამ ყოველივეს 1999 წელს TBC ბანკიდან აღებული 150 ათასი დოლარის კრედიტი დაემატა, რომელიც ახლახან გაისტუმრა „დინამოს“ პრეზიდენტმა დიდავასა და წიტაიშვილის ისრაელში გაყიდვით. დიღმის ბაზა კარგა ხანს იყო ბანკში გირაოდ ჩადებული და ერთი ხანობა TBC-ბანკი მის აუქციონზე გატანასაც აპირებდა, რათა თანხა უკან დაებრუნებინა. რომ არა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავკაცთა ჩარევა, ბაზა დღეს უკვე გაყიდული იქნებოდა. ამ ყოველივეს დაემატა საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. ფაბრიკის 35 პროცენტი პრეზიდენტის განკარგულებით „დინამოს“ გადაეცა, მაგრამ არც ფაბრიკის შემოსავალი მოხმარდა გუნდს. მიზეზი ელემენტარულია — „მზიურს“ შემოსავლები არ ჰქონია, რადგან მანქანა-დანადგარების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიყიდა. ფაბრიკის დირექტორი კი დაკავებული მერაბ რატიანი გახლდათ. ამ ყოველივეს დაემატა შს მინისტრის, კახა თარგამაძის წერილი პრეზიდენტის სახელზე, სადაც საუბარია იმ დანაშაულებათა შესახებ, რაც „დინამოში“ ტრიალებდა. საინტერესო გახლავთ შსს-დან ორი თვის წინ გაჟონილი ინფორმაცია: „დინამოს“ ხელმძღვანელებს TBC ბანკის ვალის გასტუმრების შემდეგ დაიჭერენო. თანაც, ორი თვის წინ პრეზიდენტის მითითებით „დინამოსა“ და ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა, ფაქტობრივად, დაასრულა. 25 ივლისს, კანცელარიიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის შემაჯერებელი სხდომა უნდა გაიმართოს. გავიხსენოთ, რას წერდა კახა თარგამაძე პრეზიდენტს: „დინამოს“ უნდა ჩამოსცილდნენ ის საქმოსნები, რომლებმაც არაპროფესიონალიზმის, პირადი ინტერესებისა და ამბიციების გამო გუნდი სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანეს. ისინი დაინტერესებულნი არიან ამ სფეროში დღეს არსებული ქაოსითა და ანარქიით. მათი მონაწილეობით ვერანაირი სასიკეთო ნაბიჯები ვერ გადაიდგმება“ (ჩამოსაშორებლებში იგულისხმებიან დირექტორატის წევრები ჟორდანია, რატიანი, შალიკაშვილი და ბუღალტერი მამეიანი). „დინამოს“ ხელმძღვანელთა ბედი ამ წერილით განისაზღვრა. არადა, კლუბის თავკაცები დარწმუნებულები იყვნენ, რომ TBC ბანკის ვალის გასტუმრებით გუნდის მეორე დამფუძნებელთან, სპორტსაზოგადოება „დინამოსთან“ საერთო ენას იპოვიდნენ. თარგამაძის წერილში ეს საკითხიც გარკვეულია. სპორტსაზოგადოების პოლიციელი თავმჯდომარე მკაფიოდ უცხადებს შევარდნაძეს, რომ მიზანშეუწონლად მიგვაჩნია შემდგომში მათთან პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელებაო.

მოკლედ, გადაწყვეტილია რატიანისა და კომპანიის გუნდიდან ჩამოშორება. გამოსავალი ნაპოვნია და სამართლიანობამაც ვითომ გაიმარჯვა. მაგრამ, კარგად რომ დავუფიქრდეთ, ეს არის ყველაზე დაბალ ღობეზე ხელების შეწმენდის მცდელობა. რატიანი არ ყოფილა იმ მილიონების განმკარგულებელი, რასაც აბრალებენ. შემოსული ფული, როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, ხელისუფლების თბილ სავარძლებში მოთავსებულ ჩინოვნიკთა თვალის დახუჭვასა და მიჩუმათებასაც ხმარდებოდა, სხვაგვარად „დინამოს“ საქმე ხუთი წლით არ გაჯანჯლდებოდა. ეს მეტად მარტივი ლოგიკითაც გასაგებია. ამიტომაც თუკი „დინამოს“ პრეზიდენტი ალაპარაკდება, საფეხბურთო სკანდალი გაცილებით ფართო მასშტაბებს მიიღებს.

***ლაშა ნიშნიანიძე***

# „ნოუ კამპიდან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“



ლუიშ ფილიპე მადეინა კადეირე ფიგუ — ასე გამოითქმის სრულად სახელი და გვარი კაცისა, რომელმაც ევრო-2000-ზე ზღაპრულად ითამაშა, ტურნირის ულამაზესი გოლიც შეაგდო, ევროპის საფეხბურთო ფორუმის დასრულებიდან სამიოდე კვირის შემდეგ კი პლანეტის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად იქცა.

სიტყვის კაცი ყოფილა ფლორენტინო პერესი. თურმე ტყუილად არ იქადნებოდა — „რეალის“ პრეზიდენტად ამირჩიეთ და ფიგუს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იხილავთო — თქვა და შეასრულა კიდეც. როგორც კი „ლაციომ“ პარმელი კრესპო 54 მილიონად შეიძინა — ნათელი გახდა, კრესპოს რეკორდს დიდხანს სიცოცხლე არ ეწერა. მას სხვადასხვა მხრიდან უტევდნენ რივალდო და ფიგუ. ბოლო დროს კი ზიდანის შესაძლო ტრანსფერზეც ალაპარაკდნენ. რივალდოს მომავალი ჯერჯერობით უცნობია, ზიდანს ალბათ ვერ შეელევა „იუვენტუსი“, ფიგუ კი უკვე გაიყიდა, „ბარსელონამ“ პორტუგალიელი ნახევარმცველი მოსისხლე მტერს — მადრიდის „რეალს“ მიჰყიდა. სატრანსფერო თანხა 56.000.000 დოლარია. ასეთ ფასად ფეხბურთელი ჯერ არ გაყიდულა. ფიგუსა და სამეფო კლუბის ახალ კონტრაქტში ორი საინტერესო რამ სწერია — თუ რომელიმე კლუბი კონტრაქტის დასრულებამდე მოინდომებს 27 წლის პორტუგალიელის გადაბირებას, არც მეტი, არც ნაკლები, 168 მილიონის გადახდა მოუწევს, ხოლო თუ თავად ფიგუმ ინება მადრიდის დატოვება, საკუთარი ჯიბიდან მოუწევს 28 მილიონის გადახდა – შთამბეჭდავი ციფრებია. იმასაც შეგახსენებთ, რომ ფიგუსა და „რეალის“ კონტრაქტი ექვსწლიანია და 2006 წლამდეა ძალაში. პორტუგალიელი ხელფასის სახით ყოველწლიურად 4,5 მილიონს მიიღებს. სამეფო კლუბში ფიგუ ათნომრიან მაისურს მოირგებს. ჩემპიონთა თასის მფლობელი კი წელს ესპანეთის ჩემპიონობისთვისაც იზრუნებს.

როგორც ჩანს, ქართულ კლუბებს კიდევ კარგა ხანს არ უწერიათ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა, ყოველ შემთხვევაში, წელს მაინც. პარასკევს ჟენევაში გამართულმა მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ ის მცირე იმედიც მოგვისპო, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას შეეხებოდა. თუ სასწაული მოხდა და ქუთაისლებმა იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ ბარიერი დაძლიეს, ჩემპიონთა ლიგის კარიბჭესთან კიევის „დინამო“ გადაეღობებათ.

დანარჩენი წყვილებიდან ყველაზე საინტერესო ალბათ გერმანული „მიუნხენ 1860“-ისა და „ლიდს იუნაიტედის“ ორმატჩიანი დუელი იქნება. საინტერესოა, რომ სწორედ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება ბრძოლაში ლიგის შარშანდელი ფინალისტი „ვალენსია“ და ავსტრიის „ტიროლს“ შეხვდება. ამავე ეტაპზე იბრძოლებენ ლიგაში მოსახვედრად იტალიური გრანდები „მილანი“ და „ინტერი“.

# ფერგიუსონს ფეხბურთი მობეზრდა

სერ ალექს ფერგიუსონმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2002 წელს დატოვებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს. „ამ გადაწყვეტილებას წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება“ — განაცხადა „წითელი ეშმაკების“ მთავარმა ტრიუმფატორმა, რომელმაც „იუნაიტედი“ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად აქცია და სამუდამოდ დამკვიდრდა არა მარტო კლუბის, არამედ ინგლისური და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. მანვე განაცხადა, რომ უკვე განიხილავს მომავალი მოღვაწეობის რამდენიმე ვარიანტს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ სერ ალექსი ფეხბურთთან სამუდამოდ გამომშვიდობებას აპირებს.

საქართველოსათვის კორაჩის თასზე გამოყოფილი 4 ადგილიდან ერთ-ერთი, პირველ რიგში, ქვეყნის ახალ ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს“ ეკუთვნოდა, მაგრამ ზღვისპირელებმა ფიბა-ს ეგიდით გასამართ ევროტურნირში მონაწილეობა იუარეს და ჩრდილოეთ ევროპის ლიგაში ასპარეზობის სურვილი გამოთქვეს. რამდენიმე დღის წინ ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ბათუმელებს აცნობეს, რომ ისინი თანახმანი არიან, „ბასკო“ მათ რიგებში გაწევრიანდეს. ლიგაში, რომელიც შარშან დაარსდა, თითქმის მთელი ჩრდილოეთ ევროპაა გაერთიანებული. პირველი გათამაშების ჩემპიონი გახდა მოსკოვის ცსკა. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობამ იმდენად იმატა, რომ წლეულს აუცილებელი გახდა მეორე დივიზიონის ჩამოყალიბება. გუნდები სიძლიერის მიხედვით დაანაწილეს. „ბასკოს“ მეორე დივიზიონის 16 გუნდთან ერთად იმ ადგილისათვის მოუწევს ბრძოლა, რომელიც მომავალი სეზონიდან პირველ დივიზიონში თამაშის უფლებას იძლევა. მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ კვირამდე ყველაფერი დაზუსტდება. ამ დროისთვის ჩრდილოეთ ლიგის თავკაცები მონაწილე გუნდთა რაოდენობას საბოლოოდ დაადგენენ, დააკანონებენ დებულებას და შეჯიბრების ჩატარების სისტემას. ამ დროისათვის უკვე ცნობილია, რომ ბათუმის „ბასკოსთან“ ერთად ჯგუფში ითამაშებენ პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი „ანვილი“, ბელარუსის ჩემპიონი „სბკ გროდნო-93“, უკრაინის ვიცე-ჩემპიონი „მბკ ოდესა“ და ერთიც რუსეთის წარმომადგენელი, სავარაუდოდ, სარატოვის „ავტოდორი“ ან სანკტ პეტერბურგის „სპარტაკი“. რვაგუნდიანი ჯგუფის დანარჩენი 3 წევრის ვინაობაც სულ მალე გახდება ცნობილი. პირველობის ჩატარება რამდენიმე ეტაპად არის დაგეგმილი. იგი მოეწყობა არა მიმოსვლით, არამედ ტურებად. ერთ-ერთი ტურის მასპინძლობის სურვილს ბათუმელებიც აცხადებენ. ზღვისპირელებს დიდი კალათბურთის ხილვის კარგი შანსი ეძლევათ, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩრდილოელებმა სტუმარმასპინძლობით ცნობილი ქართველების წინადადებაზე უარი თქვან.

***ლევან იმერლიშვილი***



არცთუ სასიამოვნო ინფორმაციები მოვიდა ქართველ პრემიერლიგელებზე. გიორგი ქინქლაძემ, რომელსაც კარგა ხანია საზარდულის ტრავმა აწუხებდა, ოპერაცია გაიკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა, გიორგის დაახლოებით 4-5 კვირა მოუწევს იძულებითი შესვენება. ვინაიდან პრემიერლიგის პირველი ტური 19 აგვისტოს გაიმართება, ქინქლაძეს მისი გამოტოვება მოუწევს და სავარაუდოა, რომ მეორე ან მესამე ტურიდან დაეხმარება „დერბი ქაუნთის“. კლუბის მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა მომხდარის გამო სინანული გამოთქვა, თუმცა იმედი აქვს, რომ გიორგი მალე გამოჯანმრთელდება და ფორმაში ჩადგება.

რაც შეეხება მეორე ქართველ პრემიერლიგელს — თემურ ქეცბაია ალბათ დატოვებს „ნიუკასლ იუნაიტედის“ შემადგენლობას. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას. „კაჭკაჭების“ მწვრთნელმა ბობი რობსონმა ქართველი ფორვარდი სეზონისწინა შეკრებაზე არ წაიყვანა. 31 წლის ქეცბაიამ სამი სეზონი ჩაატარა „ნიუკასლში“. მისი შეძენით დაინტერესებულ კლუბთა შორის ყველაზე ხშირად „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ მოიხსენიება, თუმცა სატრანსფერო თანხის შესახებ ჯერ არაფერი თქმულა.

# საინტერესო ტრანსფერები





იტალიის „ფიორენტინამ“ ლისაბონის „ბენფიკასაგან“ შეიძინა ევრო-2000-ის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ნუნუ გომეში. 24 წლის პორტუგალიელმა გოლეადორმა, რომელმაც ბელგია-ჰოლანდიაში ოთხჯერ გამოიჩინა თავი, ფლორენციულ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახალ კლუბში, რომელმაც გომეში 18 მილიონ დოლარად შეიძინა, „ბენფიკას“ ყოფილი ფორვარდის კიდევ ერთი თანამემამულე რუი კოშტა გამოდის.

ესპანეთის ჩემპიონმა ლაკორუნიას „დეპორტივომ“ კლუბის ისტორიაში სარეკორდო ტრანსფერი განახორციელა და „მალაგასაგან“ 13 მილიონ დოლარად შეიძინა 28 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი კატანიო. ტრანსფერი „მალაგასთვისაც“ სარეკორდო აღმოჩნდა. კატანიოსათვის ბრძოლაში „დეპორტივომ“ მადრიდის „ატლეტიკო“ და ვიგოს „სელტა“ დაამარცხა. მისი გადაბირება სურდათ აგრეთვე „ფიორენტინას“ და „გლაზგო რეინჯერსს“. საინტერესოა, რომ ბრაზილიელი ფორვარდი მალე ესპანეთის მოქალაქეობას მიიღებს და ლეგიონრად აღარ ჩაითვლება.

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ დატოვა და „ვალენსიას“ მიაშურა ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთმა გმირმა — სლოვენიელმა ზლატკო ზაჰოვიჩმა. ჰექტორ რაულ კუპერს იგი „ლაციოში“ გაყიდული კლაუდიო ლოპესის შემცვლელად ჰყავს შეგულებული. სატრანსფერო თანხამ 8 მილიონი დოლარი შეადგინა.

ყველაზე საინტერესო ტრანსფერი კი ალბათ მაინც ინგლისში განხორციელდა. მივიწყებულმა ბრიტანელმა ვარსკვლავმა პოლ გასკოინმა, რომელსაც „მიდლსბროსთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა, „ევერტონს“ მიაშურა და დამდეგი სეზონიდან ამ კლუბის ღირსებას დაიცავს.

ლეგენდარული ქარიმ აბდულ ჯაბარი, რომელსაც NBA-ს ისტორიაში ყველაზე მეტი ქულა აქვს დაგროვილი (44149), გასულ სამშაბათს ლოს-ანჯელესში დააპატიმრეს ნარკოტიკების მოხმარებისა და შენახვის ბრალდებით. პოლიციელებმა მისი მანქანა მაშინ გააჩერეს, როდესაც ჯაბარმა დაშვებულ სიჩქარეს თითქმის ორჯერ გადააჭარბა. დოკუმენტების შემოწმების დროს წესრიგის ერთ-ერთმა დამცველმა მარიხუანის სუნი იგრძნო და მანქანის ჩხრეკა დაიწყეს. მართალია, ნარკოტიკები ჯაბარის მანქანაში არ აღმოჩნდა, მაგრამ თავად ექსკალათბურთელმა პატიოსნად აღიარა, ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ რომ იმყოფებოდა. მარიხუანის მოწევისათვის რასაკვირველია, ქარიმ აბდულს არავინ დააპატიმრებს და მცირე ფულად ჯარიმას აკმარებენ, მით უმეტეს, თავად ჯაბარს უთქვამს — თავის ტკივილები მაწუხებს და მარიხუანა ტკივილს მიამებსო.



## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

**შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).**

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.





**შავი**

# ჭრელ-ჭრელი ამბები

— ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს ერთ-ერთი ციხის კართან ერთ მშვენიერ დღეს გამვლელებს საოცარი სანახაობა წარმოუდგათ — ქათქათა საქორწილო კაბებში გამოწყობილი ასზე მეტი საცოლე მოუთმენლად ელოდა თავის რიგს, რომ მკლავებში ჩავარდნოდნენ... საყვარელ პატიმრებს.

ციხის ხელმძღვანელობა ყველანაირად უწყობს ხელს **ციხეში ქორწინებას**, მიიჩნევს, რომ ქორწინება დადებითად იმოქმედებს თავაშვებულ კანონის დამრღვევებზე. ზოგი ამ ფაქტს ძალზე ირონიულად უყურებს — გათხოვება არაფრით განსხვავდება პატიმრობისგან და ქორწინებით პატიმრებმა ნებაყოფლობით გაიგრძელეს პატიმრობის ვადაო.



მიუხედავად ამისა, ქორწილები იმ ციხეში უკვე ტრადიციად იქცა. მომავალშიც თუ ასე გაგრძელდა, მალე ციხეებს ქორწინების სახლებად გადააკეთებენო, — ავყიობენ ზოგიერთები.

— ფეშენებელურ პარიზულ ბულვარ მალზერბზე მდებარე მადამ პატრისიას **„საქორწინო სააგენტოს"** ჭეშმარიტი დანიშნულება ყველასთვის ცნობილი გახლდათ, გარდა მეპატრონის მეუღლის — თავმომწონე ჟანდარმისა.

სააგენტოს დიდძალი კლიენტურა ჰყავდა, სადაც მათ 50-მდე მეძავი ემსახურებოდა. თავად 43 წლის პატრისიაც მუხლჩაუხრელად შრომობდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს („მოკეთეთა" წყალობით) სააგენტოთი სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდნენ და რარიგ გაოცდნენ, როცა სააგენტოს მეპატრონის ბინის მისამართი პარიზის ჟანდარმერიის ერთ-ერთი მოსამსახურის მისამართს დაემთხვა. გაირკვა, რომ მადამ პატრისიას ქმარს წარმოდგენაც კი არ ჰქონია მეუღლის იღბლიანი ბიზნესის შესახებ. გამოძიებას მასთან არც აქვს პრეტენზია, ერთი ეს არის — სამართალდამცავ ორგანოებში მისი მუშაობის საკითხი საჭოჭმანო გახდა.

— „ამით არ დამისრულებია", — ამბობს ბედნიერი ღიმილით ინდოელი მოჰამედ აბდულა და ახალშობილ გოგონას არწევს. ეს მეგობრებსაც გულწრფელად სჯერათ: მათ თვალწინ აბდულას მრავალრიცხოვან **ოჯახს 24-ე ბავშვი შეეძინა.**

მოჰამედი 33 წლისაა. ასე რომ, ქვეყნის მოსახლეობის გაზრდის საქმეში კარგა დიდხანს შეიტანს წვლილს. არც იმას ნანობს, რომ მის სამშობლოში „გმირი მამის" წოდება არ არსებობს. 14 წლისამ შეირთო ცოლი და ჯილდოზე კი არა, დიდ, მეგობრულ ოჯახზე ოცნებობდა. ოცნებობდა და აუსრულდა. პირველ მეუღლესთან 6 შვილი ჰყავს, მეორე ცოლიც მოიყვანა, 11 წლის გოგონა. მეორეს — მესამე მიაყოლა.

ოჯახის რჩენაში მოჰამედს რვა ვაჟი ეხმარება. უფროსი, ალბათ 18 წლისა იქნება. სხვათა შორის, არც მამამისმა იცის ზუსტად, რამდენი წლისაა ვაჟიშვილი, ან კი რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— დიდი ბრიტანეთის მოზრდილი მოსახლეობიდან **7 მლნ კაცი „ფუნქციურად გაუნათლებელია"**, უფრო მეტს კი არ შეუძლია უბრალო არითმეტიკული ოპერაციების ჩატარება.

ექსპერტების მიერ მომზადებული სამთავრობო საანგარიშო მოხსენება შემაშფოთებელია. ივარაუდება, რომ მალე ყველა მეოთხე სამუშაოს შემკვეთი ვეღარ დაიქირავებს კომპეტენტურ მუშაკს. დღეს კი უკვე ყოველი მეხუთე მცხოვრები ნისლიანი ალბიონისა სატელეფონო ცნობარში ტელეფონის ნომერს ვერ პოულობს. ყოველი მეოთხე ორი ფუნტი სტერლინგიდან ხურდას ვერ ითვლის, თუკი რაიმე ნივთი 1,58 ღირს. აქედან გამომდინარე, მოლარეებს ოქროს ხანა დაუდგათ.

— ტაივანს საშინელი უბედურება დაატყდა თავს — **ბანანის არნახული მოსავალი,** რომლის მიზეზითაც ნაყოფის ფასი საოცრად გაიაფდა. გაკოტრებული ფერმერების დასახმარებლად, კუნძულის ხელისუფლებამ ადგილობრივი ჯარი მიიწვია. ტაივანელი ჯარისკაცები მხოლოდ ბანანებით იკვებებიან. ამ გზით მთლიანად მოსპობენ ზედმეტ მოსავალს და ხილს დეფიციტურ და ძვირად ღირებულ პროდუქტად აქცევენ. მაგრამ, რამდენიც არ უნდა მიირთვას ჯარმა ბანანი, მოსავალი იმდენად დიდია, რომ იგი არამც და არამც არ გაძვირდება.

— ეკვადორის ტყეებში ხარობს **პალმა „ფიტელეფას მაკროკარპა".** მისი ნაყოფი, — ადამიანის თავის ზომის კაკალი, — საოცრებაა. გაჭრილი კაკლის გული მკვრივია და თეთრი, როგორც სპილოს ძვალი. თანაც გამძლეა, არ ეშინია სიცხის, სინოტივის, ყინვისა და მდუღარე წყლის. ამიტომ პალმის კაკლის გულისაგან ეკვადორზე ამზადებენ სამკაულებს, ჭადრაკის ფიგურებს, დაფებსა და ღილებს. ამგვარი ნივთების გარჩევა სპილოს ძვლის ნაკეთობისაგან საკმაოდ ძნელია.

— უკვე 20 წელია, რაც ნიკოლ ქიდმანს არანაირი **ურთიერთობა არა აქვს დედასთან.** თურმე მსახიობი დღემდე ვერ პატიობს მშობელს იმას, რომ ეს უკანასკნელი გოგონას ბავშვობაში არ აძლევდა უფლებას, თოჯინებით ეთამაშა.

— ჯეინ ფონდასთან განქორწინების შემდეგ **თედ ტერნერი ქალებს ცხვირსახოცივით იცვლის**. მომხიბლავი ბო დერეკის მიტოვების შემდეგ თედმა რომანი გააბა ფრანგ მხატვარ ფრედერიკასთან, მალე ისიც მასწავლებელ პერსი როზენფელდზე გაცვალა. მათ გარდა მილიარდერის ლოგინში უამრავი ქალი აღმოჩნდა.

— მრავალ სამეფო რეგალიასთან ერთად, ბრიტანელ უფლისწულს დაემატა წოდება, რომლითაც ყველაზე მეტად ამაყობს, — ჩელსში, მებაღეობის ხელოვნების გამოფენაზე პრინცი **ჩარლზი ბრიტანეთის საუკეთესო მებაღედ** დაასახელეს. დედოფალ ელისაბედ-ის მემკვიდრემ პირველად წარადგინა მებაღეობის საყოველთაო დათვალიერებაზე თავისი მრავალწლიანი შრომა — ჰაიგროუვის ფერმა. დიდებული ბაღის, პარკის, ყვავილნარისა და საუკეთესო ბოსტნის გაშენებაში პრინცმა ჩარლზმა სული და გული ჩააქსოვა. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე საუკეთესო მებაღემ მიტოვებული ადგილ-მამული სამოთხედ აქცია. ჩარლზმა თვითონ შეარჩია ყვავილების ჯიშები, იშოვა უიშვიათესი ლიბანის კედრის ნერგი, ველური გვიმრის თესლი, გამართა ფანჩატურები, გაიყვანა ბილიკები. ამ წალკოტს ლონდონის ხმაურით დაღლილი უფლისწული ხშირად აფარებს თავს.




— **ჯეკ ნიკოლსონმა** მოულოდნელად შეწყვიტა სტრიპტიზ-კლუბებში სიარული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ 63 წლის ცნობილმა მექალთანემ ინტერესი დაკარგა ქალების მიმართ. უბრალოდ, ახლა მას არაფერი ესაქმება ამ დაწესებულებებში, ვინაიდან შინაც კარგად ერთობა. მისი ახლანდელი საყვარელი, 30 წლის ლარა ფილინი მსახიობს ყოველდღე უწყობს წარმოდგენებს. ის არაფრით ჩამორჩება პროფესიონალ მოცეკვავეებს ოსტატურად გაშიშვლებაში. გახდის ხელოვნების სწრაფად ათვისებაში ლარას სიყვარული დაეხმარა. ქალს ეჭვიანობა აგიჟებდა, როცა ნიკოლსონი მას სახლში მარტო ტოვებდა და შიშველი გოგონების სანახავად მიდიოდა. ლარა მიხვდა, რომ ერთადერთი საშუალება იყო თავად ეჩვენებინა **სტრიპტიზი საყვარელი მამაკაცისათვის.**

— გარკვეული რაოდენობის **ევროს მონეტებს უფასოდ დაარიგებს** ჰოლანდიის 6 წელზე მეტი ასაკის ყველა მოქალაქე. ეს მოხდება მიმოქცევაში ევროპული ვალუტის შემოტანამდე ცოტა ხნით ადრე. ქვეყნის მთავრობამ ეს ძვირად ღირებული ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ თავისი მოქალაქეებისთვის ევროს გაცნობისა და შეგუების საშუალება მიეცა. ევროზე ქვეყანა გადავა 2002 წლის იანვრიდან.

— საუდელი მულტიმილიონერი, №1 ტერორისტი **ბენ ლადენი**, რომლის ბაზა ავღანეთშია განლაგებული, ამ ბოლო დროს ძალზე ფრთხილობს. რამდენიმე თვის წინ მან მთლიანად შეცვალა პირადი დაცვა იმის შიშით, რომ აშშ-ის სპეცსამსახურებს მოსყიდვის გზით არ გაენადგურებინათ.



ახლანდელი მონაცემებით კი დისლოკაციის ადგილიც შეიცვალა, თალიბების სულიერი ლიდერის მოლა მოჰამად ომარის პირადი რჩევით. ბოლო დრომდე იგი ქალაქ ყანდაგარის მახლობლად იყო დაბანაკებული, მერე კი ქაბულის დასავლეთით გადაინაცვლა. იქ დაიკავა სამხედრო ბაზა, რომელიც ოდესღაც პროირანულმა შიიტურმა დაჯგუფებამ შექმნა. 40 მცველის გარდა, ბენ ლადენს ახლავს 450 ბოევიკი. თავის მხრივ, მათ გზაში კიდევ 2.000 მოჯაჰედი იცავდა, მათ შორის — დაქირავებულები პაკისტანიდან, ბანგლადეშიდან და შრი-ლანკიდან. საბრძოლო და ტერორისტულ სამზადისს ისინი ახალ ბაზაში გადიან, რათა მერე „თალიბანის" მხარდასაჭერ ბრძოლებში მიიღონ მონაწილეობა; გარდა ამისა, ავღანეთში ცხოვრების უფლების სამაგიეროდ ბენ ლადენი „თალიბანს" ფინანსურადაც ეხმარება — ყანდაგარში მეჩეთი ააშენა, თანხა გამოყო ქალაქიდან პაკისტანის საზღვრამდე გზის გასაყვანად. „თალიბანის" ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, ბენ ლადენი ავღანეთში „სტუმრადაა" და მის გაცემაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

***უცხოური პრესის მიხედვით***

# ნამდვილი შოკოლადი მლაშეა

— ძალიან ბევრს უყვარს ნუგბარი, რომელსაც შოკოლადი ჰქვია, მაგრამ, რომ გავიგოთ, ნამდვილია თუ არა იგი, საჭიროა გავსინჯოთ.

შოკოლადის დეგუსტაციისთვის, როგორც ღვინის დაჭაშნიკებისას, საუკეთესო დროა დილის 11 საათი. ეს პროცედურა აუცილებლად უნდა ჩავატაროთ უზმოზე, კარგ გუნებაზე მყოფმა და თანაც ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე. დაიდეთ ენაზე შოკოლადის ნატეხი, გააჩერეთ ცოტა ხანს, შემდეგ დალეჭეთ, მიაკარით სასას, რათა შეიგრძნოთ მისი სურნელი და გემო — სიმწარე, სიმჟავე, სიტკბო, რომელსაც მარილის გემო დაჰკრავს — ყოველივე ეს დამოკიდებულია მის შემადგენლობაზე. ჩაიტკბარუნეთ პირი და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გამოიტანოთ თქვენი ვერდიქტი.

მცოდნენი გვარწმუნებენ, რომ გაიგოთ ნამდვილია თუ არა შოკოლადი, მთავარია არა მარტო გემო, არამედ დნობის ტემპერატურა. ნამდვილი შოკოლადი ენაზე წამიერად დნება.

ნამდვილ და სუფთა შოკოლადად კი ითვლება ის, რომელიც მომზადებულია კაკაოს კოპტონის, კაკაოს ცხიმისა და შაქრისაგან. აკრძალულია მასში მცენარეული ცხიმების გამოყენება. სხვათა შორის, ამ ცხიმების გამოყენებამ გამოიწვია ნამდვილი 25 წლიანი ომი, რომელიც გამოუცხადეს ევროპული კავშირის სპეციალისტებმა ბრიტანელ შოკოლადის დამამზადებლებს, რომლებიც იყენებდნენ მცენარეულ ცხიმებს...

„ნამდვილი" შოკოლადი იმსხვრევა, დნება ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე და არავითარ შემთხვევაში არ იწელება, გული მქრქალი ფერისაა, ზედაპირი გლუვია და პრიალა.

გურმანები გვირჩევენ შოკოლადი არ მივირთვათ ღვინოსთან ერთად, რადგან ღვინის სუნმა შეიძლება გემო დაუკარგოს. თუმცა, ზოგიერთი ხარისხის ღვინოს ძალიან უხდება. მაგალითად, შოკოლადი ამშვენებს კონიაკს, შამპანურსა და შოტლანდიურ ვისკის.

...როდესაც XVს-ში პირველი ევროპელები ამერიკის მექსიკურ ნაპირზე გადმოსხდნენ, აცტეკები მათ გაუმასპინძლდნენ სასწაული სასმლით, რომელსაც კაკაოს უწოდებდნენ. შემდეგ კაკაოს დამზადების საიდუმლოს დაეუფლნენ კონკისტადორები და ჩამოიტანეს ესპანეთში. იქიდან კი XVს-ში აღმოჩნდა იტალიასა და ნიდერლანდებში. 1615 წელს ცხელი კაკაო გასინჯა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო X-მ და იმ დღიდან ეს სასმელი სწრაფად გავრცელდა დიდგვაროვანთა ოჯახებში. მხოლოდ 40 წლის შემდეგ გაუსინჯა გემო მას დაბალმა ფენამ. დღეისათვის შოკოლადი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მაგალითად, გურმანი ფრანგები ყოველწლიურად შოკოლადზე ხარჯავენ 11,5 მილიარდ ფრანკს. მარტო საახალწლოდ ისინი მიირთმევენ 36.000 ტონა შოკოლადს, რომელიც 4-ჯერ აჭარბებს ეიფელის კოშკის წონას.

***ეხო პლანეტი №22***

# შარონი დედა გახდა



შარონ სთოუნს ყოველთვის ეძახდნენ მამაკაცებზე მონადირეს, ურცხვ ვამპირს, ნიმფომანს, სექსუალურ ტერორისტს. გათხოვების შემდეგ შარონმა გადაწყვიტა უსათუოდ დედა გამხდარიყო. თავის ოცნებას მსახიობი ყველას უმხელდა. შარონმა და მისმა მეუღლემ ახლახან იშვილეს 4 კვირის პაწია. ბედნიერი ცოლ-ქმარი ბიჭის საწოლთან ათენ-აღამებენ და იავნანასაც კი უმღერიან. პატარას როან-ჯოზეფი დაარქვეს. როანი — კელტური მითოლოგიის გმირის სახელია, რომელსაც მაგიური ძალა აქვს, ხოლო ჯოზეფი შარონის მამის პატივსაცემად უწოდეს. ჩემი პატარა უთუოდ მალე მსოფლიოს გააკვირვებსო, — ამბობს აღფრთოვანებული დედიკო და თვალს ვერ სწყვეტს პაწიას. ფილი კი, როგორც მამაკაცს შეეფერება, უფრო თავდაჭერილია, — როან-ჯოზეფზე უკეთესი ღმერთს ჩემთვის არა მოუცია რაო.

ცოლ-ქმარი ბავშვის აყვანის თაობაზე ადვოკატს მოეთათბირნენ. მან ტეხასის შტატში იპოვა გაუთხოვარი ახალგაზრდა ქალი, რომელიც არასასურველ შვილს ელოდა. შეთანხმების დეტალები და გადახდილი თანხის რაოდენობა არავინ იცის. 22 მაისს გაჩნდა 2.437 კგ წონის ბიჭუნა, რომელიც რამდენიმე კვირაში ცოლ-ქმარმა შინ წამოიყვანა.

***პოსლედნიე ნოვოსტი №28***



**თარაზულად**: 7 არტერია, ძაფი; 8. რინგი, ნოკაუტი; 9. მელა, „წითელქუდა"; 10. ნოველა, კრილოვი; 11. ალბიონი, საბერძნეთი; 16. პენსნე, ყური; 18. ხერხემალი, კომპაქტი; 19. ხორბალი, ქერი; 20. გოგლა, მუხა; 21. ოდა, ფუტკარი; 22. ზოლა, „წითელი და შავი"; 25. „პრიმა", ენძელა; 27. ძარღვი, სპაზმი; 30. ალ პაჩინო, „ნათლია"; 33. დოლარი, პანამა; 34. ჰავანა, გვინეა; 35. დესპოტი, ტირანი; 36. ოკულისტი, კბილი.

**შვეულად:** 1. თამრო, „გლახა"; 2. ალუჩა, ჭანჭური; 3. ნისკარტი, ღორი; 4. კომპიუტერი, არქივი; 5. სევდა, თვალი; 6. ბაგრატიონი, ინგლისი; 12. დანია, შექსპირი; 13. კენჭი, ლოდი; 14. შაქარი, ყურძენი; 15. ჯუნგლი, ბალუ; 17. აბედი, კაჟი; 23. იალბუზი; ჰიმალაი; 24. ანტილოპა, აფრიკა; 26. „კარმენი", ვერდი; 28. აჯიკა, სოსისი; 29. ცეკვა, ოპერა; 31. ზარანდია, პოლიცმეისტერი; 32. კოალა, ნაყინი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7. ჰანიბალი. 8. მუსოლინი; 10. ბალი; 11. ევფრატი; 12. იაკი; 15. სკამი; 16. ბალთა; 18. ამადუ; 19. ანგარა; 20. მაყალი; 24. ალამი; 25. ამება; 26. ქმარი; 29. ანძა; 31. ლონდონი; 32. ხაში; 33. სვასტიკა; 34. ატროპინი.

**შვეულად**: 1. ფაფანაკი; 2. ტირი; 3. ფლავი; 4. ბუნტი; 5. ილფი; 6. ანაკონდა; 9. კრემლი; 13. ომონიმი; 14. ემბლემა; 16. ბარდა; 17. აგარა; 21. ულიანოვი; 22. ბეჭედი; 23. არტაშანი; 27. კონკა; 28. კნუტი; 30. აისი; 32. ხაპი.

## №30 (199) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 526 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 193-მა ქალმა და 329 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად სად და რა სიტუაციაში წარმოჩინდება პიროვნების ბუნება?“**

ჩვენი მკითხველების აზრით, არაფერი ისე არ წარმოაჩენს ადამიანის ხასიათს, როგორც ფულთან ურთიერთობა. **5,92** საშუალო ქულით „ფულთან ურთიერთობა“ პირველ ადგილზეა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მან და „ომმა“ ზუსტად ერთნაირი რაოდენობის მაქსიმალური ქულა (27) დაიმსახურეს. მკითხველთა ზუსტად 27 თვლის, რომ პიროვნების ბუნება კარგად ჩანს ბრძოლაში. 5,47 საშუალო ქულით „ომი, ბრძოლა“ მეორე ადგილზეა.

საკუთარ ოჯახში ადამიანი ყოველგვარი ნიღბის გარეშე ვლინდება — ასე ფიქრობს მკითხველთა 22.

სუფრასთან — სადღეგრძელოს თქმისას, მეგობრებთან და ქუჩაში, რესპონდენტთა აზრით, ადამიანთა ბუნება შედარებით ნაკლებად წარმოჩინდება (ზოგიერთი საგულდაგულოდ ცდილობს და ახერხებს კიდეც ნამდვილი სახის დაფარვას), სამაგიეროდ, ძალიანაც რომ სურდეთ, მათ ჭეშმარიტ სახეს არაფრით არ დამალავს ფული.

რაც შეეხება რესპონდენტთა ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების პასუხებს შორის განსხვავებას, იგი შემდეგში მდგომარეობს: 30 წლამდე მკითხველები და ასევე, რესპონდენტი ქალები თვლიან, რომ ფულთან ურთიერთობის შემდეგ პიროვნების ბუნება ყველაზე მეტად ოჯახში წარმოჩინდება; ქალებს ასევე მიაჩნიათ, რომ ომზე მეტად კონფლიქტური სიტუაცია წარმოაჩენს ადამიანის ხასიათს.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი 72 წლის თბილისელი **ირაკლი ზაქარიაშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ფულთან ურთიერთობას“ 8-ის ნაცვლად 7 ქულა (მეორე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „ომს, ბრძოლას“ — 7-ის ნაცვლად — 8 (პირველი ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 1 აგვისტოს, 17 საათზე.

## №31 (200) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№31 (200) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 2 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 3 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №31 (200) —
**ახალი ქართველები**

**თქვენი აზრით, რაში ხარჯავენ ყველაზე მეტ ფულს ახალი ქართველები?** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№31(200) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | რესტორანი | |
| 2 | კაზინო | |
| 3 | მოგზაურობა | |
| 4 | ქველმოქმედება | |
| 5 | უცხოური ავტომობილები | |
| 6 | განათლება | |
| 7 | ქალები | |
| 8 | უძრავი კაპიტალი | |

**დამატებითი კითხვა**

**გჯერათ თუ არა, რომ ახლო მომავალში დაიწყება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი?**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას 502-მა რესპონდენტმა უპასუხა. კითხვა ასეთი იყო: **„კითხულობთ თუ არა ჟურნალ „გზას“?“**

შედეგებმა გვიჩვენა, რომ „გზას“ ყოველთვის კითხულობს რესპონდენტთა 35; ხშირად — 10; იშვიათად კი — 9; მკითხველთა 46-მა კი განაცხადა, რომ არასოდეს წაუკითხავს ეს ჟურნალი, მათგან რამდენიმე მკითხველმა ამის მიზეზად უსახსრობა დაასახელა. იმ რესპონდენტებს, რომელთაც არასოდეს წაუკითხავთ „გზა“, ვურჩევთ, აუცილებლად გაეცნონ ჟურნალს — სავსეს საინტერესო სიახლეებით, ერთფეროვანი დღეების გასალამაზებლად.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



სოსო ალავიძე და ანზორ ბალუაშვილი

**მ.ს.** — ქალო, ვერ გასწავლე ქართული წესები! მე როცა ვლაპარაკობ, შენ გააჩუმე ეგ ენა, გაიგე! ვინ არი ესა, ტო!

***ზვიო. ქ. რუსთავი***

**მ.ს.** — ვახ, კაცო, კონიაკს როცა ვსვამ, თვალი მტკივდება!

**ს.ს.** — მიშელ, სატვალე მარცხენა ხელში დაიჩირე!

**უცნობი** — ხედავ, კაცო, მაინც რა მაგარია ევროპული ტვინი!

***ბეკო და დაკო ყულჯანიშვილები***

**მ.ს.** — ვერ გავაგებინე ამ ხალხს ვერაფერი! დაანებეთ ჩემს ცოლს თავი!!!

***„თამარინა“ თბილისი***

**მ.ს.** — სანდრა, ეხლა მაინც შეიკავე თავი...

**ს.ს.** — რა ვქნა, ჩემო მიშელ, მე ხომ ევროპელი ვარ.

***ი. ხონელი, ხონი***

საბედისწერო სამკუთხედი

***გიო-გიო, თბილისი***

**ს.ს.** — ვაიმე მიშა, ფანტომასი!

**მ.ს.** — ნუ გეშინია სანდრა, ეს ანზორია ბალუაშვილი, ვითომ გვითვალთვალებს ფანტომასის ნიღბით.

***თამაზ დუნდუა***

მიხეილ და სანდრა,
მოგწონთ, არა მანდა?
ქვეყანას ხრავს ვიდრე მაფიოზთა,
ანდა გველაძუა



მიხეილ და სანდრა სააკაშვილები

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 150 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

ამ მთავრობის უმაძღარი მადა,
ნათესავთა, ჩინოსანთა უსირცხვილო ბანდა,
კორუფციას რას დააკლებს ენით როკვა, საქმის ბლანდვა!

***უავტორო***

**უცნობი** — გილოცავ, მიშა, ცოლს შერიგებიხარ. გუშინაც დაგინახეთ ერთად, შეშას ხერხავდით.

**მ.ს.** — (უცნობს) არა კაცო, შეშა კი არა ავეჯი იყო, ეხლა კი მაღარიჩს ვსვამთ, როგორც იქნა დამთავრდა!

***ლელა — „გოგიტა“, თბილისი***

**მ.ს.** — (ეუბნება ინგლისურად) ჩემო სანდრა! რავა გაოცებული გიყურებს, აი ყაზახი, რაიმე საეჭვო ადგილას ხომ არ უნახიხარ, თუ იცი!

***ნ. კუპრეიშვილი, თბილისი***

**მ.ს.** — უხერხულია შენ გერქვას ცოლი,
შენ უნდა ცისფერ ღრუბლებში იწვე!

**ს.ს.** — თავმოტვლეპილო! დაგიდგა თოლი! ვერ ხედავ? მიშა საცემრად იწევს!!!

**უცნობი:** — ამ ხუთი თითით დაგაჩნდა ზოლი,
მე შენს მიშიკოს დუელში ვიწვევ!

***მიშიკო კვანტალიანი, თბილისი***

**მ.ს.** — სიყვარულის სადღეგრძელოს ამთავრებს ხალხური ლექსით „ყივჩაღი შემომეყარა“.

**უცნობი** — მე ყივჩაყი კი არა, „რუსთაველი მანიაკი“ გახლავართ. დაწუნებულმა მოსამართლეებმა დამიქირავეს.

***ბადრიანო, დიდუბე***

**მ.ს.** — რით ვერ გაიგე სანდრა, რომ ორჯერ ორი არის ოთხი. ჰაა, ჰაა ხუთიი! მალე გამრავლების რეფორმასაც ჩავატარებ და ყველაფერს ხუთი თითივით მიხვდები.

***ლ. გერგეტელი, გურჯაანი***

**უცნობი** — ჩემო მიშა, ამ ჭიქით მეუღლეს დაგილოცავ, უახლოეს ხანში საქართველოს პირველი ლედი გამხდარიყოს.

**მ.ს.** — იყურება პარლამენტისკენ — არა ბიჭო და, „იშტოიანს“ დავუთმობ საქართველოს ტახტს.

***გურამ რამაული, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



— რაო, რაო, ვან გოგიო? მოიცათ, ახლავე გადავაკეთებ...

შტირლიცი მიდის ტყეში და ხედავს ხალხს ჯოხებით ხელში.

„მოთხილამურეები", — გაიფიქრა შტირლიცმა.

„შტირლიცი" — გაიფიქრეს მეთევზეებმა.

**მაგნიტური დღეები**

26/VI 19-21 სთ

30/VII 21-23 სთ

24/VII ◐ უკანასკნელი მეოთხედი

## წინა სკანვორდის პასუხები



## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"**

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიღუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაჟაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი; არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ბოლნისსა და ახმეტაში ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათს 10 სთ.-დან.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (30) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№30 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 27 ივლისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



ჯადოსნური სიტყვა ზღაპარში „ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი"

### იცით თუ არა, რომ...

... აშშ-ის პრეზიდენტმა ბენჯამინ ფრანკლინმა გამოიგონა საცურაო ლასტები.

... სანთებელა ასანთზე ადრე გამოიგონეს.

... ელვა 3-ჯერ ცხელია, ვიდრე მზის ზედაპირი.

... ფიდელ კასტროს მოკვლა 637-ჯერ სცადეს.

... ერაყში მთვრალ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისათვის სიკვდილით სჯიან, ხოლო ნორვეგიაში — 43 თვის მანძილზე უკითხავენ ლექციებს.

... მამაკაცებმა პარსვა ჯერ კიდევ ქვის ხანაში დაიწყეს.

... კალიას თეთრი ფერის სისხლი აქვს.

... ლომები კატებივით კრუტუნებენ.

„კვირის პალიტრა" აცხადებს კონკურსს ფოტოკორესპონდენტის თანამდებობაზე. გასაუბრება ხუთშაბათს, 20 ივლისს 18 სთ-ზე „კვირის პალიტრის" რედაქციაში (სასურველია ფოტორეპორტაჟების წარმოდგენა)

**პირველად საქართველოში!**

**გიწვევთ სასწავლებლად „ოჯახის ადვოკატის" ინსტიტუტში,**

**რომლის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით**

ჩამოყალიბდებით პროფესიონალ იურისტად და სწავლის პერიოდში დამატებით გაივლით საადვოკატო პრაქტიკას ინსტიტუტთან არსებულ ადვოკატურაში.

თქვენი სურვილის შემთხვევაში უფასოდ შეისწავლით: კომპიუტერთან მუშაობას, მეორე უცხო ენას, ავტომობილის მართვას, აღმოსავლურ ორთაბრძოლებს.

**ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 65**

☎ 74-26-97

გაზეთი ... და ... ... პირების პოზიციები. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე ... სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სწორზე.

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ. რედაქცია: 33-39-54

რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".